


კვირის პალიტრა



N15(44) 12/IV. - 18/IV.2001 უნაღი 60 თ.


წამლები მოგებინა
ბიზნესი - ჩვენი
ჯანმრთელობის
სარჯზე?!

წურაბ შვანის
შინაური ღორი
შემოაკვდა...


ნუგარ სავია -
„რუსი კარდინალი“

„უდილომო სანიკო“
- დიპლომატი
დაუბაბი

სერბი გვარჯალაძის
ყველაზე დაუჯერებელი
კონტაქტი



23



გვ.18

ტრისტან სალარიძე:

„სიყვარული ყველას უნდას“ რომ ვიღებდით, იყო ერთი სისილი და ხორხოსი. ხალხის თვალწინ იბადებოდა იუმორი. ჩვენ რომ მანქანიდან „ჩამოგვსლიან“ წყალში, მერე როგორ უნდა მოვქცეულიყავით, ეს სხენარში არ არის... ეპიზოდი უზუალოდ გადაღებისას დაიბადა...”

ბინიატურები

- რა ღირს ღირსება?
- „ღვა პიღისიატ!“ 3

კოლეგა

- სჭირდება თუ არა „კრიშა“
- „კომუნეკატორს“ 4

პერსონა

- „რუსი კარდინალი“ რომ ვარ, ამის
- შესახებ გაზეთში წამიკითხავს...“ 6

სასარგებლო აზრები

- აფორიგებების ენციკლოპედია 8

კომპლავა

- წამლების მოგზავნიანი
- ბიზნესი ჩვენს
- ქანმრთელობის ხარჯზე 9

კოლორიტი

- უდილოში სასიკოს, სამი
- დილომისა და უესარი
- გაღუპუბატების ამბავი 12

შაჟონათი თჟჟანი სოღა

- ბესტი: ერუღისიანაჟე 14

კოზი

- შეგებარიაწელი მონადირის
- აღსარება 15

ბესტი

- ერთგული მკითხველი 17

მსახიოზი

- სნოგან, ისინიან - ესე იბი,
- ყველაჟერი რიბგეა! 18

რჩეუბი

- ბრქენქასის ღარიბეაბი 20

აღსარება

- „ესე მგონია, მაქლაქუნას და
- ემეას ყეაჟი დაპატრონეჟული...“ 21

ანტიღჟკრასანტი

- ინფორმაციულ-შეგეწეაბითი
- კოლაჟი გორა ღვალის
- უბის წიგნაკიღან 22

კრიჟინალი

- „რუსუღან თბილელს თაჟი
- არ მოუქლავს - იბი მოკლავს“ 24
- ჟინ ამბოგს სიგართლავს? 27

კაჟიტანი

- „შეგებურთი ეროწნულოზის
- გამოვღინეზის ერთაღერთი
- საშუალეა იყო“ 28

ფსიქოლოგიაური თაგაჟი

- ხასიათის „მარსენა“ და
- „მარჯვენა“ ბიჟი 31

„რუსი კარდინალი“ რომ ვარ, ამის შესახებ გაზეთში წამიკითხავს...“



უშიშროების საბჭოს მდივანზე, ნუგზარ საჯაიაზე ხშირად, მაგრამ ხმადაბლა საუბრობენ. მისი მფარველობა უსაფრთხოებად ითვლება; საყოველთაო დაპირისპირებების პერიოდში არ გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც საჯაიას წინააღმდეგ გალაშქრების სურვილი გაუჩნდებოდა.

6

შეგებარიაწელი მონადირის აღსარება

მაღალი ეშელონებიდან ნადირობის გრფიალთა შორის ყოფილა ბურაბ ევანია. სწორედ მას ეხება ერთი გასაიდუმლოებული ინფორმაცია, რომელიც შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში.



15

წამლების გიგნესი



წამალმა, როგორც ბიზნესის საშუალებამ, საქართველოში არნახულ მასშტაბს მიაღწია. აუთიაქებიდან კი, თურმე ჟერ კიდეე საბჭოთა კავშირის დროს ხმარებიდან ამოღებულ წამლებს ვყიდულობთ. ამ წამლების ნუსხაში ბავშვთა სპეციფიკური პრეპარატებიც გვხვდება.

9

„რუსუღან თბილელს თაჟი არ მოუქლავს - იბი მოკლავს“

„...ვალაგებდი რუსუღანის წიგნებს, ერთ-ერთი წიგნიდან გადმოვარდა წერილი, სადაც ეწერა - მე მოვკალი კაცი, რომელიც ღაგმარხე გარაჟში... მე მოვკალი ვალია, მის შენახვაში დამეხარჯა 1.000 ლარი, მე თუ ციხიდან ვერ გამოვალ, ჩემს დათუნას მოვკლავ და წყალში გადავავლებ“



24

სამყარო

მწვანე კანუნიკის კარნავალი 32

წილანები

„ლექსი მას უქმს რომელსა“ 34

საუფლო დღასწაული

„აღდგომას შენსა,
ქრისტე მაცხოვარ!“ 35

სორტის ლაგანები

უკლებელი ფალანგი –
არსენ მეკოპიშვილი 37

ისტორიის გაკეთილვაი

საინგილოს საკითხი 1918-1921
წლების დამოუკიდებელ
საქართველოში 39

პაროღი

- კონსტანტინე გამსახურდია.
კონკია 42
- ვიქტორ ვიუგო. ნასარქეჩია 43

გომონდი

45

უსიზავი

მისი ფილის ჩვენებისას სტალინს
ღარბაგი დაუტოვებია... 46

რომანი

ბესიკ კეკელიძე.
შეუწყალეხელი შეწყალეხა
(გაბრძელება). 48

ავტო

52

პარსკლავი

რენე რუსო: „შარს ვერ
ვიტყვი ტრავოლტასთან
ლოგინში ჩანოლაგა“ 54

ჯანვრთელოა

- ბაგაფსული – ალერბია 56
- აღნოვირუსული ინფექცია! 57

საუკუნის ქალაქი

კალიფორნიული „ჩამოსხმის“ კინო 58

სანოორღი

61

პოროსკოვი

კვირის (16-22 აპრილი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

გუსმით თუ არა თქვენი შვილების? 63


კალიფორსკოვი

ჩრელ-ჩრელი ამბები 64

გარეკანა: ბიორგი შორშოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყემლაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**„აღდგომას შენსა,
ქრისტე მაცხოვარ“**



იერუსალიმში ყოველი აღდგომის წინა შაბათს ხდება უდიდესი სასწაული: გეციდან გადმოდის ქრისტეს საულავზე ღვთაებრივი ცეცხლი. ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მართლ-მადიდებლები აღნიშნავენ აღდგომას.

35


**უდიდებო სსიქოს, საბი დიკლომისა
და შეხარი გაღვუტბებების ამბები**

ის თხა მგონი რაჭიდან ჩამოიყვანეს, საგანგებოდ შერჩეული – დიდი და ლამაზი. ქამარში ბალახს დავიმაგრებდი და თხაც სულ უკან დამდევდა. ბოლოს ისე „დავძმაკაცდით“, მართლა მიწვებოდა ლოგინში.



12

**„შარს ვერ ვიტყვი ტრავოლტასთან
ლოგინში ჩანოლაგა“**



ფილმიდან წასვლის მიზეზი სულ სხვა იყო: 38 წლის რენეს ჯერ კიდევ სჯეროდა უფლისწულის შესახებ ზღაპრისა და არ უნდოდა ეღიარებინა, რომ მისი ზღაპრული გმირი რეალურ ცხოვრებაში უბრალო გარეწარი აღმოჩნდა.

54

შეუწყალეხელი შეწყალეხა

– ბიჭო, ის შვინდისფერი „ბე-ემ-ვე“ ჩვენ მოგვსდევს, თან ნომრებიც არა აქვს! – შეშოთებულმა წამოიძახა და სინქარეს უმატა.
გურამ უკან მიიხედა:
– გადი ცენტრალურ ქუჩაზე,
– დაიყვირა დაბნეულმა.



48

— რა ღირს ღირსენა? — „ღვა პიდისიატი“



სახელმწიფო თუ ხარ და საკუთარი ფერი თუ გაქვს მსოფლიო რუკაზე, სახელმწიფოს ისეთ აუცილებელ „ატრიბუტებთან“ ერთად, როგორც ჰიმნი, დროშა და გერბი გახლავთ, ოფიციალური სახელმწიფო ჯილდოებიც უნდა გქონდეს და ჩვენ ვისზე რა ნაკლებნი ვართ...

ჰოდა, არც საქართველოა „სახალქართული ჩინ-მენდლების“ გარეშე დარჩენილი.

მრავალ სხვა ორდენსა და მედალს შორის — **С БАНТОМ И БЕЗ БАНТИКА**, განსაკუთრებული მაინც ღირსების ორდენია და არა იმიტომ, რომ სხვებზე მეტად ფასეულია. არა, სწორედამ რომ პირიქით — როგორც გერმანიაში ხალხის ყველაზე საყვარელ და ადვილად შესაძენ ავტომობილს დაარქვა ჰიტლერმა „ფოლკსვაგენი“, ანუ „სახალხო ავტომობილი“, როგორც

სტალინმა გამოიგონა „დიად საბჭოეთში“ სხვადასხვა წოდება: „სახალხო არტისტი“, „სახალხო პოეტი“, „სახალხო მასწავლებელი“, „სახალხო მესანძრე“ თუ „სახალხო ტაქსისტი“, ასეთივე სახალხო ჯილდოა ქართველებისთვის ჩვენებული ღირსების ორდენი — ისევე, როგორც ყველა გერმანელს შეუძლია დღესაც „ფოლკსვაგენის“ ყიდვა, ღირსების ორდენის მიღებაც ნებისმიერ ქართველს ხელეწიფება, საქართველოს არაქართველი მოქალაქისათვის ხომ, მთლად ადვილია — საკმარისია „ორი ღერი“ ქართული



იცოდეს და საჯაროდ განაცხადოს, რომ ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია...

თუ მთლად წყალწადებული ხარ და ვერაფრით დაიმსახურე ღირსების ორდენი თუ არა, მედალი მაინც, წახვალ და იყიდი! ვერ იშოვი თუ რა: ჩემი თვალით ვნახე „მშრალი ხიდის ბარახოლკაზე“, როგორ ევაჭრებოდა კოლექციონერი ორდენებით მოვაჭრე მოხუცს:

- რა ღირს „დრუშა ნაროდოვ“?
- ოცი ლარი... ცოტას დაგიკლებ — „პასტაიანი კლიენტი“ ხარ.
- „ღირსება“?
- „ღვა პიდისიატი“!
- ძვირია, ტო...

ერთი შეხედვით, ის მყიდველ-გამყიდველი დასაჭერი თუ არა, საცემი მაინც იყო ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსების შეურაცხყოფა-დაკინებისათვის, მაგრამ კარგად რომ დაუფიქრდე — რას ერჩი: ღირსება ადამიანის მორალურ-მატერიალური ავლადიდების უმთავრესი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი შემადგენელი „ნაწილია“ განათლებასთან, ფულთან, სახლ-კართან და ა.შ. ერთად და ეს ყველაფერი რამდენიმე წლის წინ რვა-რვა ლარად რომ შეგვიფასა სახელმწიფომ და გაუჩერის სახით რომ მოგვაჩენა თითოეულ ჩვენგანს, — დიდსა და პატარას, მკვლელსა და მღვდელს, მენაგვესა და აკადემიკოსს, — ყველას გვახსოვს. აბა, რაღას ვერჩით იმ კოლექციონერს?! — მთლიანად

თუ რვა ლარს ვფასობთ (ამდენადაც აღარ იყიდებოდა ის გაუჩერები), მარტო ღირსებისათვის „ღვა პიდისიატი“ მართლა ძვირია!..

... ამას წინათ, ერთმა ყველასაგან პატივცემულმა და მართლაც საყვარელმა სახალხო არტისტმა „სახალხო ჯილდოს“ — ღირსების ორდენის მიღებაზე უარი განაცხადა: რა დროს ღირსების ორდენია, ხალხს ღირსება დააკარგვინეთ — თქვენი ორდენი აიღეთ, მარილი უყავით და ჯანში გაიკეთეთო!

როგორ მოგწონთ?! რა ჰგონია მაგას — ვის აყენებს შეურაცხყოფას და ვის ღირსებას იცავს?! ავია თუ კარგი — შენი ქვეყნის პრეზიდენტსა და მთავრობას იმდენად მაინც უნდა სცე პატივი და შეხვიდე მათ მდგომარეობაში ინტელიგენტი (მით უმეტეს — სახალხო არტისტი) კაცი, რომ ასეთ უხერხულობაში არ ჩააგდო: მარტო ამ თვის გეგმით, კიდევ თექვსმეტი ათას ჩვიდმეტი კაცია დასაჯილდოებელთა სიაში — ეს კი თექვსმეტი ათას ჩვიდმეტ, ბედნიერ თუ არა, სულ მცირე, ორი თვით გაჩუმებულ მოქალაქეს მაინც ნიშნავს. როდესაც ყველა დაჯილდოვდება, შემდეგ მთავრობა

„მეორე კრუგზე“ წავა და მალე გვეყოლება „ორგზის კავალრები“ და „მრავალგზის ღირსეულები“...

P.S. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის „ცხოვრულ“ საბჭოთა კავშირშიც ასე იყო: კონკრეტულ ჯილდოს კონკრეტული დამსახურებისთვის იძლეოდნენ. მაგალითად, „გმირი დედის“ ორდენს ათი და მეტი შვილის გაჩენისა და გაზრდისათვის (ამ ორდენს „რაფის“ ან „ერაზის“ მიკროავტობუსსაც მიაყოლებდნენ ხოლმე „ფეშქაშად“); ორდენს „წყალწადებულის გადარჩენისათვის“ — ცხადია, რისთვისაც; „ღენინის ორდენს“ — დიდი ბელადის „განსაკუთრებული სიყვარულისათვის“ და ა.შ.

„ღირსების ორდენი“ ასეთ „კონკრეტულ“ ჯილდოთა კატეგორიას არ განეკუთვნება, მაგრამ „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“ — ნათქვამია, ჩვენს მთავრობასაც გაუჭირდა და მოიფიქრა: დასამტკიცებლად უკვე მზად არის ბრძანების პროექტი, რომლის ძალითაც: „ღირსების ორდენით დაჯილდოვდება საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც პრეტენზიას არ გამოთქვამს და უარს იტყვის საბიუჯეტო ორგანიზაციაში ექვსი თვის მიუღებელ ხელფასზე, ან თორმეტი თვის პენსიაზე.“

ესეც ასე — ექვსი თვის ხელფასი, ან თორმეტი თვის პენსია! მერე ნახონ, თუ ეღირება „ღვა პიდისიატი“!

პროპოკატორი

„სჭირდება თუ არა „კრიზა“ „კომუნიკატორს“

ნანა ქიბიშაური

სერგი გვარჯალაძე სახურავზე მარტო არ არის. მის გვერდითაა 35 უნივერსალური თანამშრომელი — ბოტასებში, ჯინსებსა და კეპებში გამოწყობილი მხიარული და საქმიანი ტიპები, რომლებმაც გუგულის ბუდეს გადაუფრინეს, ძველი სტერეოტიპებიდან გადაუხვევს და რაღაც ახლის შემოთავაზებას შეეცადნენ. სწორედ მათი გუნდური იმპროვიზაციის ნაყოფია „კომუნიკატორი“, საიდანაც ნაშუალამევს უჩვეულო ამბებს ვისმენთ.



საზღვარგარეთ მოვლილი და შოუბიზნესის „მამაძაღვობებს“ ნაზიარები სერგი გვარჯალაძე, როგორც არაორდინარული გადაცემის არაორდინარული წამყვანი, მაყურებლის ცნობიერებაში შოკური თერაპიის მეთოდით დამკვიდრდა: „ეს მეორე არხია, მე სერგი გვარჯალაძე ვარ, ეს კი პრეზერვატივია“, — გააკვირმა ერთ მშვენიერ დღეს და ეკრანიდან პრეზერვატივი დაგვანახვა. ამ სერიოზული განაცხადის შემდეგ, ჩვენი სერგი ან უნდა „ჩაბირულიყო“, ან — უფრო ზემოთ ამოტივტივებულყო. განგებამ არჩევანი მეორე ვარიანტზე გააკეთა და სერგი გვარჯალაძე სახურავზე აიყვანა. მიზანსწრაფული ვაკე-ლი ბიჭი (რომელსაც დიდხანს გაჰყვება ზრდასრული თინეიჯერის იმიჯი), ახლა ზემოდან უყურებს ცხოვრებას. სერგი მალა-მალა, აუთვისებელი სივრცეებისკენ მიზანმიმართულად მიიწევს, თუმცა, არც ისე სწყდება მიწას, რომ ხმის მიწვდენა გაგვიჭირდეს.

— სერგი, არის კონტაქტი?
— არის კონტაქტი!
— თუ შეიძლება მოგვიყვით თქვენი ცხოვრების შესახებ.

— ბავშვობიდანვე ვიყავი სერგი და არა სერგო ან სერგეი. დავამთავრე 5ნ-ე რუსული სკოლა. წყნარი და დალაგებული ბავშვობა მქონდა. სკოლა ძალიან ახლოს იყო და ამიტომ სულ მაგვიანდებოდა: ვფიქრობდი — აქვია, მაინც მოვასწრებ-მეთქი... მერე მიწვედა გზის მოსატრედალ საიდუმლო ზვრელებში გაძრომა. მაინც არაფერი მშველოდა. სკოლაში მაინცდამაინც კარგ მოსწავ-

ლედ არ ვითვლებოდი, მაგრამ შინ ამისგან ტრაგედიას არავინ ქმნიდა. მშობლები ძალიან დემოკრატიულად უყურებდნენ ჩემი სწავლა-განათლების საკითხს. თავიდანვე გამომიცხადეს — რაც მაინტერესებდა, იმ საქმისთვის მიმეხედა. მეც მარტო ლიტერატურასა და გეოგრაფიას ვსწავლობდი. ჩემი სამყარო მქონდა. თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიყავი. 10 წლისა, მარტო ჩავდიოდი ბათუმში, ვუყურებდი გემებს და მეზღვაურობაზე ვოცნებობდი. ჩემი ბიძაშვილი იყო მეზღვაური. როცა წამოვიზარდე, დამსვა და ამიხსნა, რომ ზღვის რომანტიკას მეზღვაურობასთან საერთო არაფერი აქვს... მერე სხვა ოცნებები გამიჩნდა. მუსიკამ გამიბატა. მაშინ ვერც წარმომდგინა, ოდესმე ლივერპულში თუ ჩავდიოდი და იმ ქუჩაზე გავივლიდი, სადაც ჯონ ლენონი დადიოდა. მუსიკა და ჩოგბურთი ჩემი ბავშვობის დროინდელი ჰობია. ახლაც ვხედავ ჩემს თავს ჩოგნით ხელში, ვითომ მუსიკას რომ ვუკრავდი.

— რატომღაც ვფიქრობდი, სერგი „დედიკოს ბიჭი“ იქნებოდა...
— „დედიკოს ბიჭიც“ ვიყავი და მამიკოსიც. დედა და მამა ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული აღმიაჩნია. დედა მუსიკის მასწავლებელია. თუ რამ არის ჩემში ინტელექტუალური, მისი დამსახურებაა. მამა ძველი „უბნის ბიჭი“ იყო. მამის სიყვარულით შევიყვარე ქუჩა. თუმცა, 50-60-იანი წლებისა და ჩვენი დროის ქუჩის შედარება არც შეიძლება. მამაჩემის დროინდელ ქუჩაში მხოლოდ ნამღვლილი ჯენტლმენები იყვნენ.

ჩემი მეგობრების დიდი ნაწილი ქუჩის ბიჭია და მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ქუჩის ცხოვრებას თუ არ იცნობ, სრულფასოვან კაცად ვერ ჩამოყალიბდები.

— შენ როდის იგრძენი, რომ სრულფასოვანი კაცი ხარ?

— ჯარში ვიგრძენი, როდესაც აბსოლუტურად უცხო გარემოში, ჩემი ხალხისა და მეგობრების გარეშე, სრულიად მარტო აღმოჩნდი. ჩემს მისვლამდე, ბაქოში, სადაც ვიმსახურე, 50 კაციან დანაყოფს ქართველი ბიჭი მეთაურობდა. ისე ჰქონდა საქმე აწყობილი, რომ მისი წასვლის შემდეგ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ამ ადგილას ისევ ქართველი დაენიშნა. არჩევანი ჩემზე გააკეთეს. მაშინ ვიგრძენი პასუხისმგებლობა — რომ ქართველი ვარ. თავიც მაშინ ვიგრძენი კაცად. იყო ჰაუპტვახტები, ჩხუბი, დაუმორჩილებლობა. ბევრი რამე ვისწავლე. ვისწავლე ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობა, მათი გუნდად შეკვრა. იქ მიღებულ ცოდნას დღემდე ვიყენებ ჩემი საქმიანობის ორგანიზებაში.

— როგორც ვიცი, სატელევიზიო პროექტების გაკეთებამდე პანკური მუსიკითაც იყავი გატაცებული. გრძელი თმა და საყურე როგორ ჯდება ქართულ მენტალიტეტში?

— ადრე რატომღაც ვგონათ, რომ პანკები ფაშისტები იყვნენ. არადა, პანკებზე მაგარი კომუნისტები, თვითონ კომუნისტებიც არ იყვნენ. მათ მუსიკას უუსმენდი და პანკურ ვარცხნილობასაც ვატარებდი,

მაგრამ მერე მომბეზრდა. ერთი პერიოდი, სვირინგის გაკეთების სურვილიც მქონდა, მერე გადავიფიქრე: მივხვდი, ისიც მალე მომბეზრდებოდა. სამინილეებაა, მთელი ცხოვრება ვერ გათავისუფლდე იმისგან, რაც უკვე მოგებზრდა. ყურის გახვერება არც მიფიქრია, ჩემი ძმაკაცები ვერ გამიგებდნენ. მაშინ საყურის ტარება პომოსექსუალიზმთან ასოცირდებოდა და შეიძლებოდა ის საყურისანი ყური ვინმეს მოეჭრა კიდეც. დღეს მეტი ინფორმაციის მოპოვების საშუალებაა და ყველამ გაიგო, რომ თმის სიგრძეს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. კიკინიანი და სამკაულებიანი ვაჟკაცებიც არსებობენ.

— დასავლეთის შოუბიზნესის სამყაროსთან შეჯახების პირველი შთაბეჭდილებები?

— მეორე არხზე გავაკეთეთ ერთი მომგებიანი რეკლამა და აღებული ფულით ხუთკაციანი ჯგუფი ლივერპულში გავემგზავრეთ. ძალიან გამოუცდელი ვიყავით. გვეგონა, ისეთი როკ-ჯგუფი ვიყავით, მთელ ინგლისს გავოცებდით. კომპლექსი გვქონდა, რომ როკმენებისთვის შესაფერისი ტანსაცმელი არ გვეცვა და ჩასვლისთანავე, ერთ მაღაზიაში შევედით. მგზავრობიდან მორჩენილი ფული ტანსაცმელში დავხარჯეთ. მე „კაზანოკები“ ვიყიდე. სხვებიც გამოეწყვინენ. ჩვენ მათიოზებს დავემსგავსეთ. ახლა რომ მახსენდება, მეცინება. ასე დავბოდილობდით ექვსი უცნაური კაცი ინგლისის ქუჩებში. ყველა ჩვენ გვიყურებდა. აღმოჩნდა, რომ ჩვენნაირი როკმენები იქ ყველაზე იაფფასიანი ბარებში უკრავდნენ... ასე რომ, შოუბიზნესს ცოდნა უნდა. ის პროფესიონალებმა უნდა აკეთონ.


— ახლა „კომუნიკატორს“ დავუბრუნდეთ. სახურავზე ასვლა ვისი „იდეა“ იყო? აქვს თუ არა კარლსონს ამ საქმესთან რაიმე შეხება?

— ეს იდეა გოგა ჩხეტიასა და მარიამ კანდელაკს („კომუნიკატორის“ ჯგუფის წევრები. — ავტ.) ეკუთვნით. გმირთა მოედანზეა ასეთი სახურავი, იქიდან მთელი თბილისი ხელისგულივით ჩანს. ჩვენ ძალიან მოგვწონდა ეს ადგილი. ჯერ იქ გვინდოდა სტუდიის მოწყობა. მერე ვამჯობინეთ, ზომები აგველო და ის მაკეტი გადმოგვეტანა ტელევიზიაში. ჩემი აზრით, აქ იმდენად კარლსონის გავლენა არ არის, რამდენადაც ფსიქოლოგიური მომენტის, — მარტო კაცი სახურავზე გარკვეულ ინტიმს ქმნის. ტაქსის მძღოლები ხშირად გვეკითხებიან — ზოგჯერ ისეთ რაღაცას იტყვიან, ნამდვილად „კრიშა“ გეყოლებათო. ასეთ დროს ერთ რამედ ღირს

ჩვენი პასუხი — „ჩვენ თვითონ ვართ „კრიშაზე““.

— ზარი, რომელიც დაგამახსოვრდათ?

— ეს ძალიან ტრაგიკული ამბავი იყო. თუ არ ვცდები, რიგით მეორე გადაცემაში ჩვენთან დარეკა გოგონამ, რომელმაც გვითხრა, რომ საკუთარ ძმას გაჰყვა ცოლად და შვილიც ჰყავს. ბავშვი ავადმყოფი დაიბადა. მისმა ძმამ კი, როდესაც ეს ამბავი გაიგო, თავი მოიკლა. ერთ-ერთი ამ დაძმოდან, არაკანონიერად გაჩენილს რომ ეძახიან, ისე იყო დაბადებული. ამის შესახებ მათ მაშინ გაიგეს, როდესაც მშობლებმა ერთმანეთი იცნეს. მთელი უბედურება ის არის, რომ მე ამ გოგონას არ დაუჯერე და ვიფიქრე, გამოგონილი ამბავია, მოკლედ, იფანტაზიონრა-მეთქი და ეთერიდან ვუთხარი — ეს ამბავი ინდურ ფილმს მაგონებს-მეთქი. გოგონამ ყურმილი დამიკიდა და შემდეგ ჩვენს ფსიქოლოგს დაუკავშირდა. მე არ ვიცოდი — ეს საკმაოდ გახმაურებული ამბავი ყოფილა... მას შემდეგ ჩემი მიდგომა ასეთი, ერთი შეხედვით დაუჯერებელი ზარების მიმართ შეიცვალა. არსებობს მხოლოდ ერთი სიტყვა — „მჯერა“. იყო კიდეც ასეთი შემთხვევა: ჩვენთან ხშირად რეკავდა ერთი გოგონა და თავის ამბებს გვიყვებოდა ხოლმე. მერე ვიღაც უცნობმა კაცმა დარეკა და გვითხრა, რომ ის „გოგონა“ თვითონ არის. გავოცდით, არ დაუჯერეთ და იმ კაცმა გოგონას ხმით განაგრძო ჩვენთან საუბარი. მერე ისევ კაცის ხმაზე გადავიდა. როგორც ჩანს, რაღაც ტრანსვესისტურ დარღვევასთან გვქონდა საქმე. ასე რომ, შეიძლება



ადამიანი იტყუებოდეს კიდეც, მაგრამ მის ნათქვამში არის რაღაც, რაც ნიშანდობლივია, ნებისმიერ ტყუილს აქვს თავისი ახსნა, თავისი სიმართლე...

— 100 სამუშაო ადგილით, რომელიც რეალურად შექმენით, მილიონ სამუშაო ადგილთან ხომ არ გინდოდათ პარალელის გავლენა?

— ჩვენი გადაცემის მეშვეობით, რეალურად, 135 ადამიანი დავასაქმეთ. ძალიან მწყდება გული, რომ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ერთი ორგანიზაციაც კი არ დაგვიკავშირდა. არადა, არსებობს მსგავსი პროფილის სამსახურები, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, ხელფასს იღებს. არც დაინტერესებულან — იქნებ ხალხს ვატყუებთ, იქნებ ეს მხოლოდ რეკლამა ან კომერციაა... გავოცებული ვარ, თუ აინტერესებს სახელმწიფოს ხალხის დასაქმების პრობლემა, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ასეთი გულგრილობა როგორ შეიძლება?! ხშირად გვირეკავენ — თქვენი გადაცემის „ქუდი“ აღარ მოგვწონს, იქნებ გამოცვალოთო. ამ ქუდის გამოცვლა 300-400 ლარი დაჯდება, ამ თანხით ორი-სამი ადამიანი და ორგანიზაცია რომ დავაკავშიროთ ერთმანეთს და დავასაქმოთ, ამას ვამჯობინებთ. გული მტკიავს, რომ საზღვარგარეთიდან უფრო ხშირად გვირეკავენ, ვიდრე რეგიონებიდან. არადა, სოციალური პრობლემატიკის თვალსაზრისით, იქიდან უფრო საინტერესო წინადადებებს მივიღებდით. მოკლედ, „კომუნიკატორი“ არა იმდენად გასართობი და მხიარული პროგრამაა, რამდენადაც სოციალურ-შემეცნებითი. თუმცა, ვცდილობთ, ხალხი არ გადავტვირთოთ და მსუბუქად მივაწოდოთ მასალა. მოვასმენინოთ ადამიანებს საკუთარი ხმა და ვუჩვენოთ საკუთარი სახე.

— შინ არ გირეკავენ?

— არა, მაქსიმალურად ვცდილობ, ოჯახის წევრებს ჩემი სამსახურებრივი პრობლემები არ მოვახვიო თავს.

— ზოგჯერ გოგონები აშკარად გეკვლევიან ხოლმე. მეუღლე არ ეჭვიანობს? მოგიყვებით რაიმე თქვენი ოჯახის შესახებ.

— ჩემი მეუღლე გერმანელია. ახლა სწავლობს ქართულს. ლაპარაკს უკვე ახერხებს. ის გერმანულის მასწავლებელია. შვილები ჯერჯერობით არ გვყავს. საერთოდ კი, ჭორებმა ჩემს „ნამამორობაზე“ ზღვარს დიდი ხანია გადააჭარბა. არადა, ქალებისთვის ვის სცალია, კვირაში ერთხელ ძლივს ვახერხებთ ოჯახებს მივხედოთ...

უშიშროების საბჭოს მდივანზე, ნუგზარ საჯაიამ კულუარებში ხშირად, მაგრამ ხშირად საუბრობენ. მიუხედავად მისი პიროვნების მიმართ არსებული ინტერესისა, ბატონი ნუგზარი ქართული მასმედიის ყველაზე იშვიათი სტუმარია... უშიშროების საბჭოს მდივანს ხშირად იმ „რუს კარდინალად“ ნათლავენ, ვინც ასპარეზზე ზედმეტად გამოჩენის გარეშე ახერხებს სიტუაციის მართვას. მისი მფარველობა გარანტირებულ უსაფრთხოებად ითვლება; მისი კეთილგანწყობა — წარმატებულ კარიერად. ამ საყოველთაო დაპირისპირებების პერიოდში ჯერ არ გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც საჯაიას წინააღმდეგ აშკარად გალაშქრების სურვილი გაუჩნდებოდა.

ცხოვრებაში ბატონი ნუგზარი საკმაოდ თავმდაბალი ჩანს და სასიამოვნო მოსაუბრეა. სასაუბრო კი, დამეთანხმებით, ასეთ საინტერესო რესპონდენტთან საკმაოდ ბევრია.

მაია ბაბუნია

— ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ზურგს უკან დარჩა... რას იტყვით განვიღო წლებზე?

— ბევრი წელი დაგროვდა — 59. დღევანდელი გადასახედიდან ბევრი რამ სხვანაირად ჩანს. თუმცა, ჩემი განვლილი წლებისათვის თვალის გასწორების არ მრცხვენია. სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა დროს მომიწია საქმიანობა. ძირითადი პრინციპებისთვის, რაც ჩემთვის მთავარი იყო, არ მიღალატია: ეს გახლავთ ერთგულება სიმართლისადმი და პატიოსნება. თუ ვერ შევძელი ეს, მეორე საკითხია, მაგრამ მგონია, რომ მე ამ პრინციპებისთვის არასოდეს მიღალატია. საკმაოდ დიდხანს ვმუშაობდი მაღალ თანამდებობებზე საბჭოთა კავშირის დროს — ჯერ პროფკავშირულ, შემდეგ პარტიულ სამუშაოზე. ჩამოთვლით საკმაოდ დიდი სია გამოვა. ჯერ ჩხოროწყუში ვმუშაობდი რაიკომის პირველ მდივნად, შემდეგ ფოთის რაიკომის პირველ მდივნად, ვიყავი სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე...

— სხვათა შორის, ამ კომიტეტს დღესაც შიშით იხსენებენ...

— შიშით ვერ გეტყვით, მაგრამ რიდი კომიტეტისა ნამდვილად ჰქონდათ. ეს

„რუსი კარდინალი“



გენერალ ჯონ-მალხაზ მალიკაშვილთან ერთად

რომ ვარ, ამის შესახებ გაზეთში წაიკითხავს...

ერთ-ერთი მაკონტროლებელი ორგანო იყო იმ დროს, საკმაოდ ნორმალური ფუნქციებით, თუმცა ბევრი რამ მოჩვენებითი იყო. გვყავდა უამრავი სახალხო კონტროლიერი, რომელიც შედეგს არ იძლეოდა, მაგრამ ცენტრალური აპარატი საკმაოდ კვალიფიციური იყო...

პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც მომიწია მუშაობა — ადმინისტრაციული ორგანოების გამგედ და საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, იმ წლებში, როდესაც ფაქტობრივად იშლებოდა საბჭოთა კავშირი. მერე ზვიად გამსახურდია მოვიდა არჩევნების შედეგად, საკმაოდ მძიმე პერიოდი მქონდა.

— ექსპრეზიდენტთან თუ გქონიათ ურთიერთობა?

— პირდაპირი ურთიერთობა ბატონ ზვიადთან მე არ მქონია. ის სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით მოვიდა ჩემთან, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგესთან. სასამართლოში ზოგიერთი სადავო საკითხი ჰქონდა. ეს პირადი საკითხები იყო. არ მინდა ამაზე ახლა დეტალური საუბარი, ქონებრივ დავას შეეხებოდა.

— და-ძმას შორის?

— დიანს, რაღაც ამდაგვარი. ამ საკ-

ითხებთან დაკავშირებით შევხვდი.

— დაეხმარეთ?

— შევეცადეთ, საქმეს ობიექტური მსვლელობა მისცემოდა.

— დღეს როგორ აფასებთ გამსახურდიას პიროვნებას?

— ტრაგიკული პიროვნება იყო. ყოველ შემთხვევაში, ზვიად გამსახურდიას სახელი დარჩება საქართველოს ისტორიაში. რაც მან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გააკეთა, ეროვნული მოძრაობის განვითარებისათვის, საყოველთაოდ ცნობილია და ეს დაფასებული იქნება. რაც შეეხება იმ პერიოდს, ეს საკმაოდ რთული, წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი იყო და ამის ანალიზს ახლა არ შეუძლებელია.

— ეს რაც შეეხება ექსპრეზიდენტს. ამჟამინდელ პრეზიდენტთან როდიდან თანამშრომლობთ?

— პრეზიდენტს საკმაოდ დიდი ხანია ვიცნობ, დაახლოებით 1970 წლიდან. მისი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობის დროს გამიშვეს ჯერ მცხეთაში მეორე მდივნად, მერე ჩხოროწყუში, შემდეგ ფოთში და, მისი ხელმძღვანელობით, ვიმუშავე წელი ადმინისტრაციული ორგანოების

განყოფილების გამგედ. შემდეგ ის მოსკოვში წავიდა.

— მოსკოვში მისი ყოფნისას თუ შეხვედრისხართ?

— არ შეხვედრივარ. არ მქონია მასთან არც ერთი შეხვედრა. მე თვითონ არ ვყოფილვარ მოსკოვში. ის პერიოდი ჩემთვის საკმაოდ მძიმე იყო, რადგან უმუშევარი ვიყავი, სახლში ვიჯექი...

— თავს რით ირჩენდით?

— ეს ორი მძიმე წელიწადი იყო ჩემთვის. ვითხარით, რომ უმუშევარი ვიყავი. მეუღლე მუშაობდა.

— მის კმაყოფაზე იყავით მთელი ორი წელი?

— თითქმის ასე გამოდის... მაღლობელი ვარ ბატონი ელუარდის, რომ გამიხსენა და მიმიწვია სამუშაოდ.

— პირველ შეხვედრას ხომ ვერ გაიხსენებდით?

— მან თავისთან დამიბარა „იმელის“ შენობაში. იცოდა, რომ უმუშევარი ვიყავი. პირველი წინადადება იყო თავდაცვის ფონდში, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან, მოადგილედ მემუშავა. იქ დაახლოებით ორ თვე ვიყავი. შემდეგ ბატონ ელუარდთან, აპარატში დავიწყე მუშაობა და იმ დღიდან ვარ მის გვერდით.

— გაფრცვლებულია აზრი, რომ თქვენ შევარდნაძესთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული ადამიანი ხართ ის, ვისაც, ასე ვთქვათ, თვალდახუჭული ენდობა და ვინც მისთვის შეუცვლელია...

— ჯერ ერთი, ვინც ბატონ ელუარდს იცნობს, კარგად იცის, რომ ის თვალდახუჭული არავის ენდობა. ნდობის ფაქტორი ეტყობა, მართლაც არსებობს, რადგან დღეს მის გვერდით ვმუშაობ. ეს ფაქტორი ალბათ ყველა იმ ადამიანის მიმართ არსებობს, ვინც დღეს მის გვერდითაა. ჩემთვის უხერხულია ამ თემაზე საუბარი, ხოლო რაც შეეხება შეუცვლელობას...

— ესეც პირობითია?

— აბსოლუტურად პირობითი. შეუცვლელი პიროვნება არ არსებობს და ამის პრეტენზია არასოდეს მქონია. არ მიფიქრია, რომ შეუცვლელი ვარ. პრეზიდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია, მიიღოს ის გადაწყვეტილება, რასაც ის საჭიროდ ჩათვლის.

— ჩანს, რომ საინტერესო ცხოვრება გქონდათ. ისეთ ადამიანებს თუ შეხვედრისხართ, ვისთან ურთიერთობაც დღემდე გახსოვთ — ვგულისხმობ ცნობილ ადამიანებს.

— ძველ დროში იყო ასეთი შეხვედრები. საკმაოდ დასამახსოვრებელი, მა-

გრამ არ მგონია, დღეს ეს საინტერესო იყოს.

— ბატონ ჯონ მალხაზ შალიკაშვილთან რა ურთიერთობა გქონდათ?

— ბატონი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი იყო ჩამოსული საქართველოში. მაშინ სხვებთან ერთად შეხვედი, მაგრამ შემდეგ მომიწია ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლა და იქ მქონდა მასთან საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა. სხვებთან ერთადაც და ცალკეც. მაშინ მას საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა. ბევრ საჭირობოლო საკითხზე ვისაუბრეთ. ის დიდი ყურადღებით გვისმენდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობა გვაკავშირებდა. ორი შეხვედრა გექონდა — ერთი თბილისში, საკმაოდ მოკლე და მეორე, უფრო ხანგრძლივი — ვაშინგტონში.

— თქვენ „რუხი კარდინალის“ იმიჯით სარგებლობთ. იცით ამის შესახებ?

— გაზეთში წამიკითხავს.

— ეთანხმებით?

— არა, რა თქმა უნდა. რატომ დამარქვეს, იმ ჟურნალისტებს უნდა ჰკითხოთ, რომლებმაც ეს მოიფიქრეს. მიფიქრია, სხვათა შორის, ამის შესახებ. აქ არის ერთი მომენტი — უშიშროების საბჭოს

დაც დღეს არიან. ბევრი პერსპექტიული კადრი გვყავს დღესაც — უშიშროების საბჭოს აპარატის შემადგენლობაში. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიან ხვალ თუ ზევ.

— გვარებსაც ხომ არ დაასახელებთ?

— უხერხულია. ერთი რომ დავასახელო, მეორეს ეწყენება...

უშიშროების საბჭოს მდივანი ამ ვარაუდში ნამდვილად არ უნდა ცდებოდეს. დაფრთხილებული კადრები მის იმიჯს ერთმნიშვნელოვნად დადებითად წაადგა. უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლები ძალოვანი (თუმცა არა მხოლოდ) სამინისტროების პირველი პირების ღირსეულ ცვლად ითვლებიან. მაგალითად, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის სახელის მოშველიებაც საკმარისია. ნუგზარ საჯაიას ერთნაირად ემადლიერებიან ამჟამინდელი თუ ყოფილი თანამშრომლები. სხვათა შორის, ისინიც, ვინც დაწინაურებულთა რიგებში ვერ მოხვდა.

— ამბობენ, რომ თქვენ წინაშე ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირებიც კი კრთიან...

— არა! ეს ნამდვილად გადამეტებუ-

უშიშროების საბჭოს სხდომაზე კამათი ხშირადია. ეს ჩვენი მუშაობის ჩვეულებრივი სტილია. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს კამათი დაპირისპირებაში გადადის ხოლმე. კონსენსუსს ყოველთვის ვპოულობთ.

მცირერიცხოვან აპარატში ვცდილობთ, მოვიყვანოთ ახალგაზრდა, განათლებული და პერსპექტიული კადრები. ჯერჯერობით შერჩევის მთავარი პრინციპი ეს გახლავთ. ბევრიც დაწინაურდა ამ აპარატიდან.

— ითვლება, რომ თქვენი კადრები ამართლებს.

— დიას, ბევრი დაწინაურდა და მიმაჩნია, რომ ეს სავსებით კანონზომიერი დაწინაურება იყო. შეიძლება ამის ანალიზმა ზოგს მისცა საბაბი, რომ მსგავსი რამ ეთქვა. თუმცა, ვიმეორებ, ზოგი დაწინაურდა მას შემდეგ, რაც ჩვენი აპარატიდან წავიდა, ზოგი — უშუალოდ ჩვენი აპარატიდან. მე შემიძლია მხოლოდ მივესალმო ასეთი პერსპექტიული ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას. მიმაჩნია, რომ ისინი უნარიანად მუშაობენ იქ, სა-

ლია. მათთან მე საკმაოდ ხშირად მაქვს კამათი. ისინი არ არიან ის პიროვნებები, რომ ბრმად გაიზიარონ ჩემი აზრი. თუმცა, კოლეგიალური ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ხშირად ვკამათობთ. თვით უშიშროების საბჭოსა და მისი აპარატის ფუნქცია გახლავთ, გარკვეული კოორდინაცია გაუწიოს ამ უწყებების მუშაობას. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის დავალების შესაბამისად. ჩვენ თითქმის ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობები გვაქვს, მაგრამ არ ვერ ვით ამ უწყებების ფუნქციებში — არც ერთი მინისტრის საქმიანობაში, მაგრამ როცა კოორდინირება საჭირო, ვიკრიბებით და ერთად ვმსჯელობთ.

— ნებისმიერი პარამეტრებით, ქვეყანაში უმძიმესი ვითარებაა... იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ვი-



რეფორმის მკვლევარი

ენერგია – აი მარადიული ნეტარება.

უილიამ ბლეიკი

ქალის ბუნების არსია სურვილი, რომ მოგვეწონოს და სურვილი, რომ გვიბრძანოს. ეს მეორე – პირველის მიზანია.

ალექსანდრე პოპი

თუ შენი ძალა არა გწამს, გენია არა ხარ.

ონორე დე ბალზაკი

დაცინვა მომაკვინებელ იარებს ტოვებს სულში, თუ მასში სიმართლის ნასახიცაა.

ტაციტი

უგუნური მეგობარი ჭკვიან მტერზე საშიშია.

მეფე მოკლა მაიმუნმა, ბრძენმა მტერნი დაისია.

პანჩატანტრა

თუ გსურს მითხრა შენი აზრი, ნათლად მითხარი, პრობლემები ჩემიც მეყოფა.

გოეთე

ხვეჭას უჯობს უმწიკვლობა, ჭაბუკი თუ მოხუცია!

შენც დასჯერდი, რაც შენს ბელსა და ბუნებას მოუცია.

აბუ ალი იბნ სინა (ავიცენა)

სიბრძნე – გამოცდილების ასულია.

ლეონარდო და ვინჩი

თარებას ხელისუფლება „არ იმჩნევს“...

– სიტუაცია საკმაოდ მძიმეა, ვეთანხმებით, და აქ ახალს ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ უიმედო ვითარება არ არის. უბრალოდ, რამდენიმე ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს – ენერგეტიკული კრიზისი, ეკონომიკური პრობლემები, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, დავალიანებები. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წელი უკეთესი იქნება და ეს არ გახლავთ ბრმა ოპტიმიზმი. თანდათანობით ქვეყანა გამოვა ამ მდგომარეობიდან. თავად უშიშროების საბჭოს აპარატს რაც შეეხება, აქ ამჟამად მუშავდება რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი. პირველი გახლავთ შეიარაღებული ძალების რეფორმის კონცეფცია. მეორე – დავამთავრეთ, თუმცა გაგვიჭიანურდა, – უშიშროების კონცეფციაზე მუშაობა – ქვეყნის უშიშროების კონცეფციაზე. მესამე – რეფორმა სამართალდამცავ ორგანოებში. ძირითადი წინადადებები მომზადებულია და ამის შესახებ უახლოეს პერიოდში ვიმსჯელებთ. საუბარია პროკურატურაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროზე, უშიშროების სამინისტროზე.

– ეს ყოველივე კარგი, მაგრამ, იქნებ უფრო მარტივად ვუთხრათ მოსახლეობას, თუ რას უნდა ელოდნენ ამ რეფორმებიდან. თანაც, ქვეყანაში წამოწყებული რეფორმებმა ის შედეგი ვერ მოიტანა, რომ ხალხს ცვლილებების სჯეროდეს.

– რაც შეეხება შეიარაღებული ძალების რეფორმას, ბევრი რამ გადაისინჯა. არმია რაოდენობრივად შემცირდება, გვეყოლება მობილური, კარგად მომზადებული პროფესიონალები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს უპასუხებენ და შეძლებენ ქვეყნის უსაფრთხოების ძირითადი ამოცანების შესრულებას.

– ე.ი. დაქრავებული ჯარისკენ მივდივართ?

– არა. დაქრავებულ ჯარზე საუბარი ცოტა ნაადრევია. ეს ცოტა უფრო შორეული პერსპექტივაა. ახლა მოხდება სტრუქტურული რეორგანიზაცია. რაოდენობა შემცირდება და ფინანსური უზრუნველყოფა გარანტირებული იქნება. მთავარი აქცენტი კი ჯარისკაცთა პროფესიულ მომზადებაზე უნდა გაკეთდეს.

– გვერათ, რომ ბიუჯეტში საამისო სახსრები გამოინახება...

– აუცილებლად გამოინახება.

– სამართალდამცავი ორგანოების რეფორმისაგან რას ველოდებით?

– აღსანიშნავია, რომ სამართალდამ-

ცავ ორგანოებში რეფორმა დაწყებულია. მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები ყველა იმ პრეტენზიის გათვალისწინებით, რომელიც ამ ორგანოების მისამართით არსებობს.

– თქვენ ამის გვერათ? მოსახლეობას უკვე აღარ...

– მე ოპტიმისტი ვარ და ნამდვილად მჯერა, რომ ეს რეფორმაც გატარდება და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაც გაუმჯობესდება. ჩემი ოპტიმიზმი რეფორმების რეალურობას ეფუძნება.

– ამ შედეგს როდისთვის ველოდო?

– ყოველწლიურად, კონკრეტული თარიღის დასახელება ძნელია.

– ბოლო დროს ისევ გამოვლინდა დაპირისპირება პრეზიდენტსა და მისი პარტიის ერთ ჯგუფს შორის... რამდენადაც ვიცი, მსგავსი რამ უშიშროების საბჭოს სხდომებზეც არაერთხელ გამოიკვეთა...

– უშიშროების საბჭოს სხდომაზე კამათი ხშირადაა. ეს ჩვენი მუშაობის ჩვეულებრივი სტილია. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს კამათი დაპირისპირებაში გადადის ხოლმე. კონსენსუსს ყოველთვის ვპოულობთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა. მე ვერ ვიტყვოდი, რომ არის აშკარად დაპირისპირება პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას შორის.

– მე ვთქვი – „ერთ გუნდს შორის“.

– ეს ის გუნდია, რომელსაც ყველაზე აქტიურად პრეზიდენტი უჭერს მხარს. მე მგონია, რომ აქ დაპირისპირება არ არის. შეიძლება ზოგიერთ საკითხში აზრთა სხვაობაა, მაგრამ დაპირისპირებაში გადაზრდას გამოვრიცხავ.

– ითვლება, რომ უკვე გადაიზარდა, თუმცა თქვენთვის ალბათ უსიამოვნოა ამ თემაზე საუბარი.

– არა, მთავარი ის არ არის, სასიამოვნოა თუ არა. უბრალოდ დაპირისპირებაში ეს ურთიერთობა არ გადაიზრდება.

– დაბოლოს, ლირიკული გადახვევა – ჰობი თუ საქმე და საერთოდ თუ ახერხებთ დასვენებას?

– ძალიან ცოტა დრო მრჩება დასვენებისთვის. ჩემი ჰობია პოეზია და ჭადრაკი.

– ჭადრაკს ვის ეთამაშებით ხოლმე?

– მეგობრებს, მე მოყვარულის დონეზე ეთამაშობ, მეგობრებს ვეთამაშები. ახლა ჩემი პატარა ბიჭი სწავლობს ჭადრაკის თამაშს. პოეზია კი ძირითადად ქართული მიტაცებს.

აბა თუ მიხვდებით რა საერთო აქვს „შერეკილებს“ და „თეთრ ბაირალებს“? რა და, მრავალმხრივი დანიშნულების ერთი რეცეპტი, რომელსაც თავის, კბილის, გულის, წელის ტკივილის თუ შიზოფრენიის დროს, ერთნაირი წარმატებით იყენებენ. პირველ შემთხვევაში ეს აბი გლუკოზაა, მეორეში — ლუმინალი.



ნაგლეხის

მოგებუნიანი ბიზნესი

ჩვენი ჯანმრთელობის სარჯზე

ნანა კიბიშაური

ყველა სატკივრის მომრჩენელი წამლების ბუშა წიგნებიდან და სცენარებიდან ჩვენს ყოველდღიურ რეალობაში გადმონაცვლა. ჯერ იყო და პატარა, წითელ კოლოფში მოთავსებულმა „ვიეტნამის ვარსკვლავმა“ მთელი მსოფლიო „გახსნა ცხვირში“ და თავის მწარმოებლებს ჯიბეში ოქროს ფულები ჩაუჩხრიცა. ამის მერე ამერიკელმა ფარმაცევტებმა იყოჩაღეს და თითქმის მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა უნიკალურ „იუნკაპაზე“ შესვეს. ჩვენმა თაობამ „უბსები“ ვაშიშხინეთ ჭიქებში და კუჭები დაიწყლულეთ. მომავალი თაობა კი, რომელსაც პირობითად, „პამპერსინებს“ ვუწოდებ, ბავშვობიდანვე განწირულია ბუასილისა და გინეკოლოგიური დაავადებებისათვის. თუმცა, რა დაავადების უნდა შეგვეშინდეს, როდესაც ჩვენი დედაქალაქის თითქმის ყოველი ქუჩა აფთიაქების ალყაში იმყოფება. ალყა კი თანდათან ვიწროვდება...

წამალმა, როგორც ბიზნესის საშუალებამ, საქართველოში არნახულ მასშტაბს მიაღწია. ყოველ 100 მეტრში გახსნილი აფთიაქებიდან კი, თურმე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ხმარებიდან ამოღებულ წამლებს ვყიდულობთ. ამ წამლების ნუსხაში ბავშვთა სპეციფიკური პრეპარატებიც გვხვდება.

სააფთიაქო ქსელიდან ამოღებულ წამლებზე კონტროლი, რესპუბლიკის სა-

კონტროლო ანალიზურ ლაბორატორიას ევალება, მაგრამ მისი უფლებამოსილება მხოლოდ ლიცენზირებულ აფთიაქებზე ვრცელდება. არალიცენზირებული აფთიაქებისა და წამლებით კერძო მოვაჭრეთა რიცხვი კი, იმდენად დიდია, რომ კანონის სრულყოფილად ამოქმედების შემთხვევაში, ჯანდაცვისა და საგანგებობათა სისტემაში მოკალათებულ ჩინოსნებს, საკმაოდ მსუყე ლუკმა გამოეცლებათ ხელიდან.

პროვიზორთა განცხადებით, ერთ წამალზე ლიცენზიის მოპოვება, თავისი ოფიციალური თუ არაოფიციალური გადასახადებით, 1.000 დოლარზე მეტი ჯდება. ამას ემატება საბაჟო, სატრანზიტო ხარჯები, პლუს რეკლამა — და სურათი ნათელია. ამ თანხის „ამოქაჩვის“ მიზნით, წამლების დისტრიბუტორებს, რბილად რომ ვთქვათ, ათასნაირ ლაბორინტში გაძრომა უწევთ. ზოგიერთ მათგანს ათეულობით წამალზე აქვს ლიცენზია მოპოვებული. ისინი იძულებულნი არიან, ახალი კამპანია გააჩაღონ. იწყება ნაცნობ ექიმთა ძებნა და მათთან გაყიდული წამლის მოგებიდან გარკვეულ წილზე საუბარი. ექიმი, რა თქმა უნდა, სამი არჩევანიდან სწორედ იმ წამალზე გამოწერს რეცეპტს, რომლის რეალიზებიდანაც აფთიაქის მეპატრონე ან კონკრეტულად დასახელებული წამლის ოფიციალური დისტრიბუტორი თანხას გადაუხდის. მოკლედ, ექიმი წილშია! ექიმი, რომელიც მიგითითებთ, რომელ აფთიაქში უნდა შეიძ-

ინოთ მის მიერ გამოწერილი წამალი...

ჩვენებური წამლის ბიზნესის შესახებ, ერთ-ერთი ყველაზე „სტაჟიანი“ საბაზო აფთიაქის, დირექტორს, ვაჟა შუმანიას ვესაუბრეთ, რომელმაც ინტერვიუში განაცხადა, რომ ვერც ერთი ქვეყანა, სადაც ისეთი დიდი გადასახადები და იმდენი მაკონტროლებელი ორგანოა, რამდენიც საქართველოში, კონტრაბანდისგან თავს ვერ დაცავს.

კონტრაბანდული წამლების დიდი პარტიები ჩვენთან საბაჟოს გვერდის ავლით შემოდის და სავაჭრო ქსელში უპრობლემოდ ხვდება. სახელმწიფო ვერ იცავს ვერც თავის მოსახლეობას, ამ შემთხვევაში როგორც მომხმარებელს, და ვერც ბიზნესმენს — აფთიაქის მეპატრონეს, რომელსაც არანაირი გარანტია არ აქვს, რომ ბანკიდან, რომლის მეშვეობითაც უცხოელ პარტნიორებთან ფულის გადარიცხვას აწარმოებს, შეტანილი თანხა უგზო-უკვლოდ არ დაეკარგება და სასამართლოში არ მოუწევს სირბილი. სამართლის ძებნა ჩვენთან პრინციპის საქმეა, თორემ მის ძიებაში, დაკარგულ თანხაზე ორჯერ მეტი რომ იხარჯება, ეს ყველამ კარგად იცის.

ვაჟა შუმანიას განცხადებით, მის ბაზაში შემავალი წამლების მთლიანი ასორტიმენტი 2000 ეგზემპლარს შეადგენს. ამ ფართო არჩევანის მიუხედავად, აფთიაქის დირექტორი ავად განდობის შემთხვევაში, წამლის დაღვევას ერიდება. გარდაუვალი აუცილებლობის ჟამს კი, მხოლოდ მცენარეულ კომპონენტ-

ბზე დამზადებულ მედიკამენტებს სვამს.

— მაინც რომელ პრეპარატს ანიჭებთ უპირატესობას?

— საერთოდ ვერიდები წამლის დაღვას. მათი მიღება არც პროფილაქტიკის მიზნით მიმაჩნია მიზანშეწონილად, მით უმეტეს, ქიმიური პრეპარატების. მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებულ წამლებს გვერდითი მოვლენები ნაკლებად ახასიათებს, რადგან ბალახებიც ისევეა ღმერთისგან აღმოცენებული, როგორც ადამიანი. ეს ჩემი პირადი აზრია. საერთოდ კი, ექიმთა რჩევას თუ დაუფრევრებთ, გაცივების შემთხვევაში, ყველაზე ეფექტურ საშუალებად ჯერჯერობით ისევ ტაილენოლი რჩება. ჩემი აზრით, არც ვირუსულ გრიპს შევლის წამლები. მათ მხოლოდ იმიტომ ვსვამთ, რომ პროცესი მსუბუქ ფორმებში წარიმართოს და სხვა გართულებები არ გამოიწვიოს.

— წამლებით ვაჭრობა ალბათ ძალიან მომგებიანი ბიზნესია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი კონკურენციის პირობებში ამდენი აფთიაქი ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას.

— გეთანხმებით, მომგებიანი საქმეა, მაგრამ არა იმდენად, რომ მასზე კიდევ სხვა ბიზნესი დააშენო. უფრო მეტ მოგებას სწორედ დიდი კონკურენცია უშლის ხელს. გარკვეულ ჯგუფს კი, რაოდენობრივად ბევრი ლიცენზიის გაცემა აძლევს ხელს. რაც მეტი ობიექტი იქნება, მით მეტ შემოსავალს მიიღებენ. თუმცა, ჩვენ, როგორც კონკურენტებს, პრეტენზია მხოლოდ არალიცენზირებულ აფთიაქებთან გვაქვს, რადგან, იქ არარეგისტრირებული ან ხმარებიდან ამოღებული წამლების მოხვედრის მეტი შანსია.

— ასალი პრეპარატების დასამკვიდრებლად, რეკლამა აქტიურად მუშაობს. სააფთიაქო ქსელიდან ამოღებული წამლების შესახებ კი, მოსახლეობა არანაირ ოფიციალურ ინფორმაციას არ ფლობს.

— ამის შესახებ ბოლომდე ინფორმირებულნი არც ჩვენ ვართ. რაც ვიცით, ის კი მარტივი პრინციპით რეგულირდება. თითოეულ წამალზე ლიცენზია ხუთი წლის ვადით არის განსაზღვრული. ხუთი წლის შემდეგ, თუ ხელახალი ლიცენზია არ გაიცა, წამალი არარეგისტრირებულად ითვლება და

მისი შეტანა ლიცენზირებულ აფთიაქებში დაუშვებელია. რომელიმე პრეპარატის ხმარებიდან ამოღება ხდება მისი შემადგენლობის მოძველებით ან სხვა ორგანოებზე ზემოქმედების უკუჩვენების მიზეზით. ამის შესახებ დასკვნას, შესაბამისი ექსპერტიზის საფუძველზე, კვლევითი ლაბორატორია იძლევა. ხმარებიდან ამოღებული წამლების ნუსხა, წესით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უნდა გამოქვეყნდეს.

— რამდენად შეეფერება სინამდვილეს ინფორმაცია პენიცილინის შესახებ? როგორც ამბობენ, საბჭოური წარმოების პენიცილინი, რომელსაც კანცეროგენული მოქმედება აქვს, ისევე სავაჭრო ქსელში ტრიალებს. არადა, იმასაც ამბობენ, რომ მისი აკრძალვის შესახებ დადგენილება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე მიიღეს. ვრცელდებოდა ინფორმაცია საბჭოური წარმოების ასპირინზეც, რომლის მიღებაც სისხლის გათეთრებას იწვევს.

— ჩვენს სფეროშიც, ისევე, როგორც საერთოდ ბიზნესში, რომელიმე პროდუქციის ანტირეკლამა ხშირ შემთხვევაში შეგნებულად ხდება. თუ ეს ანტირეკლამა დასაბუთებული არ არის, მაშინ ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი იგივე დანიშნულების სხვა წამლისთვის კეთდება, რომელიც ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვის. ვფიქრობ, სწორედ ასეთი ანტისარეკლამო კამპანია გაჩაღდა ანტიბიოტიკებისა და პენიცილინის წინააღმდეგ. არადა, არის შემთხვევები, როდესაც ის პრაქტიკულად შეუცვლელია.

— რომელი წამლები ითვლება ჩვენთან დეფიციტურად და რომელია მათ შორის ყველაზე ძვირად ღირებული პრეპარატები?

— ჩვენთან პრაქტიკულად არ არსებობს დეფიციტი. თუ არსებობს, ეს ხე-



გაგა შუშნია

ლოვნურად იქნება გამოწვეული. ყველაზე ძვირად ღირებული წამლები ონკოლოგიურ დაავადებებს სჭირდება. ონკოლოგიურ სფეროსთან დაკავშირებულ მედიკამენტებში ხშირია სიახლეც. ყოველი ახალშექმნილი წამალი, ხარისხით თავისი წინამორბედისაგან ბევრად გაუმჯობესებულია.

— რომელი ქვეყნები ითვლება უხარისხო მედიკამენტების მწარმოებელ ქვეყნებად? ვის პროდუქციას ვენდოთ, როდესაც ექიმის გარეშე ვაკეთებთ არჩევანს?

— შეიძლება ასეთი განცხადება ჩემი მხრიდან უცნაურად მოგჩვენოთ, მაგრამ ექიმის გარეშე არჩევანის გაკეთება, თუნდაც ყველაზე უწყინარ წამლებზე, მე მაინც გაუმართლებლად მიმაჩნია. არადა, ეს არცთუ ისე იშვიათად ხდება. ექიმის კონსულტაცია ფასიანია, ამიტომ მათი ფუნქციის შესრულებას ხშირ შემთხვევაში პროვიზორებისგან მოვლიან. წარმოდგენაც არ მინდა იმისა, რა მოხდება, რომელიმე აფთიაქში არაპროფესიონალი რომ იღვეს დახლთან.

საერთოდ, ავტორიტეტული საბითუმო ბაზები ინდური და ბულგარული წამლების შემოტანას ერიდებიან. ალბათ მოსახლეობაც უნდა მოერიდოს მათ მიერ წარმოებული წამლების შეძენას. განვითარებადი ქვეყნების წამლები მალეფუჭებადია და მდარე ხარისხისაა. ეს ნაწილობრივ ვრცელდება რუსეთის მიერ გამოშვებულ რამდენიმე დასახელების წამალზეც.

— იქნებ არასასურველი ხარისხის წამლებიც კონკრეტულად დაგვისახელოთ?

— მე თავს შევიკავებ დაკონკრეტებისგან, რადგან მათ შემოტანაზე ჩემი

კოლეგები მუშაობენ და საკმაო წარმატებითაც. მათ მიერ შემოტანილი უხარისხო წამლების ჩამოთვლას, სხვისი დაკანინების ხარჯზე საკუთარი პროდუქციის წინ წამოწევის მცდელობად ჩამოთვლიან. საბაზრო კონკურენცია ამ პროცესს თავისთავად დაარეგულირებს. მანამდე კი, მოსახლეობას ამერიკული და გერმანული წარმოების მედიკამენტებზე ვურჩევდი აქცენტის აღებას.

პროვიზორების განცხადებით, ძალიან მაღალია მოთხოვნა ისეთ ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე, რომელიც ნარკოტიკებთან ახლო მდგომ საშუალებებად ითვლება (ფენაზეპამი, დიაზეპამი, სიბაზონი, რელანიუმი და სხვ.). ამგვარ წამლებზე ლიცენზიის მოპოვებისათვის უფრო მეტი თანხებია გადასახდელი. არის კიდევ ერთი პრობლემა – ნარკოტიკების მომხმარებელთა ინტერესი ამგვარი წამლებისადმი. ამიტომ მათგან თავის დაცვის მიზნით, ურჩევიათ ასეთი პრეპარატები საერთოდ არ შეიტანონ აფთიაქში. პროვიზორებმა თავიანთი პოზიცია ტელერეკლამის წინააღმდეგაც დაფიქსირეს.

სუბტოლერტე, პიკოვიტი, ფერვექსები, ტილერი, ჯუნგლი მინერალები და სხვა – ყოველ მათგანს გარკვეული დაავადების დროს თავისი უკუჩვენებები აქვს. ხალხი ამას აღარ კითხულობს და ტელევიზიიდან კარნახის შემდეგ, ორგანიზმის თავისებურებების გათვალისწინებლად სვამს შეთავაზებულ წამლებს. ვინ უნდა უთხრას მათ, რომ ვიტამინები წნევას მაღლა სწევს და ჰიპერტონიკებისათვის მათი მიღება არ არის რეკომენდებული? ან რომ ნებისმიერი რეკლამირებული პრეპარატი, რომელიც ცხვირიდან გამონადენს ამცირებს, სისხლძარღვებს ავიწროებს და გულის პულსაციას აჩქარებს?.. რეკლამირებული წამლების ნაწილი კუჭს აღიზიანებს და აუცილებლად ჭამის შემდეგ უნდა მიიღო. ფერვექსები მხედველობაზე მოქმედებს და გლავუკომით დაავადებულებისთვის მისი გამოყენება სასურველი არ არის. ნებისმიერი ჰამპერსი კი, სწორი ნაწლავის შეისივებას და ჩირქოვანი დაავადებების გაჩენას იწვევს, რომელიც დროთა განმავლობაში, აუცილებლად იჩენს თავს.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს – წამლების ფალსი-

ფიკაცია. დღესდღეობით პრაქტიკულად ყველა სახის წამალს აყალბებენ – ტკივილგამაყუჩებლებით დაწყებული და სპეციფიკური დანიშნულების პრეპარატებით დამთავრებული. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, გაყალბების 42% ანტიბიოტიკებზე მოდის, ხოლო 18% – ფსიქოტროპულ წამლებზე. გარდა ამისა, ხდება სამკურნალო კოსმეტიკისა და ბიოაქტიური დანამატების ფალსიფიკაციაც.

სულ ოთხი ტიპის ფალსიფიკაციას ასხვავებენ: ა) „ყალბი“ პრეპარატი: მასში არანაირი ფარმაკოლოგიური შემცველობის ნივთიერება არ არსებობს; თეორიულად, მისი გამოყენება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა. თუმცა, თუ გულის შეტევის დროს, ნიტროგლიცერინის ნაცვლად, „არაფერს“ მიიღებთ, შესაძლოა ინფარქტისგან დაიღუპოთ; ბ) „პრეპარატი-იმიტაცია“: მოქმედი ფარმაკოლოგიური ნივთიერება სხვა, იაფი და ნაკლებად ეფექტური ნივთიერებით არის ჩანაცვლებული. ეს ყველაზე საშიფათო კატეგორიაა, რადგან კონკრეტული შემთხვევისთვის გამოწერილი კონკრეტული წამლის ნაცვლად, სხვა პრეპარატის მიღება სასიცოცხლო რისკს შეიცავს; გ) „სახეშეცვლილი წამლები“: რომელიც შეიცავს იმავე ნივთიერებებს, რაც ორიგინალშია, მაგრამ მეტი ან ნაკლები დოზით. ამ ტიპის წამლების მიღებაც საშიშია – თერაპიულ ეფექტზე რა მოგახსენოთ და, მისი გადაჭარბებული დოზით მიღების შემთხვევაში, უკუჩვენება კი ნამდვილად გარანტირებული გაქვთ; დ) „პრეპარატი-ასლი“: მოცულობა და პრეპარატი უცვლელია, მაგრამ უცნობია, თუ რა ინგრედიენტებზეა იგი დამზადებული.

ნაყალბევი წამლების ამოცნობის მექანიზმი 20 საუკუნის წინათ პირველად რომაელმა ექიმმა დიოსკორიდემ აღწერა. როგორც ის მიუთითებდა, ყურადღება უნდა მიექცეს წამლის გარეგნულ სახეს. წამალი უნდა იყოს „სრულყოფილი, მაგრამ მწარე“. როგორც წესი, ორიგინალური პრეპარატების მწარმოებლები პოლიგრაფიაზე, შეფუთვაზე, ბეჭდვის ხარისხზე, დამატებით დამცავ ნიშნებზე ეკონომიას არ ეწევიან. შეფუთვის ნებისმიერმა ხარვეზმა ეჭვი უნდა გაგვიჩინოს. ცხადია, წამალი კომპლექტში უნდა იყიდებოდეს – ჩანართთან, აღწერასთან, მწარმოებლის რეკვიზიტებთან და მოხმარების ვადასთან

ერთად.

ამ ცოტა ხნის წინ დაფიქსირდა პრეპარატ იანსენ-სილაგის გაყიდვის შემთხვევები, რომელიც ოფიციალურად არავის შემოაქვს დსთ-ის ზოგიერთ ქვეყანაში – ე.ი. ცხადია, რომ ის ნაყალბევაა. უცნობი ან ექიმის რეკომენდაციას მოკლებული წამლების შეტენა, მეტ-ნაკლებად სერიოზული ავადმყოფობის სამკურნალოდ ნამდვილად არ ღირს. მით უმეტეს, არ უნდა იყიდოთ პრეპარატი „ხელზე“ ან „ნაცნობობით“. აფთიაქში წამლების დეციფიტი აღარ არის და თუ ეს წამალი გამოიყენება საქართველოს სამედიცინო პრაქტიკაში, მისი ყიდვა თითქმის ყოველთვის შეიძლება ლეგალურად. ბუნებრივია, რაც უფრო სოლიდურად გამოიყურება აფთიაქი, მით უფრო ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ მისი მფლობელები ყალბისმქმნელებთან იყვნენ დაკავშირებულნი, და პირიქით – რაც უფრო საეჭვოდ გამოიყურება აფთიაქი, მით მეტია შანსი, რომ ხელში „მარცხენა პროდუქტია“ შეგრჩებათ. იგივე დიოსკორიდე გვიჩვენებს: „მოაშორეთ ავადმყოფი ექიმბაშებს და ნამდვილ ექიმებთან გააგდეთ, რომლებმაც მკურნალობის მეთოდები იციან“. და ბოლო მომენტი, რომელიც დიოსკორიდეს არ უხსენებია: ყველა წამალს თავისი ფასი აქვს. თუ რომელიმე პრეპარატი იყიდება 30%-ით იაფად, ვიდრე ის დიდ აფთიაქში ღირს, დაფიქრდით – როგორ მიიღებს გამყიდველი თავის მოგებას, თუ ამხელა შეღავათს გაგიწევთ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წამლის ფასი ჩვეულებრივზე 2-3-ჯერ ნაკლებია, წამლის ფალსიფიცირებაში ეჭვი აღარ უნდა შეგეპართ. ამ შემთხვევაში, სხვაობა ფასში თქვენს ჯანმრთელობის ფასია.

საეჭვო წარმოშობის წამლები საქართველოში დღითი დღე მატულობს და თუ ასე გაგრძელდა, მალე ნამდვილი წამლების რიცხვსაც გადააჭარბებს. ფალსიფიცირებული წამალი, საუკეთესო შემთხვევაში, არ მოგარჩენთ, უარეს შემთხვევაზე კი... სჯობს, ამაზე არც ვიფიქროთ.

ისევე, როგორც ყველგან, სადაც კორუფცია მძვინვარებს, ამ სფეროშიც ქაოსსა და დაბნეულობას აქვს ადგილი. მოკლედ, სააფთიაქო ბიზნესს საქართველოში თავად სჭირდება სამკურნალო საშუალებები.

ქართველი მაცურებელი-სათვის ცნობილი ფილმის — „უდიპლომო სასიძოს“ მთავარი როლის — ბიჭიკოს შემსრულებელი კოტე მგალობლიშვილი ან უკვე სამდიპლომიანი სიძე, სამი შვილის მამა და ოთხი შვილიშვილის ბაბუაა. ბატონი კოტე სულ ახლახან პარლამენტარად გახდა, გენერალური პროკურორის თანამდებობაზეც მუშაობდა, მოქალაქეთა კავშირში მგალობლიშვილს ხვდა წინადაც გადებულობა. ამიტომაც ამბობს ბატონი კოტე დიმილით — პარლამენტში პროკურორი შევცვალეო. სამი პროფესიის მქონე პარლამენტართან ინტერვიუ უჩვეულო სიტუაციაში შედგა: ჩემი რესპონდენტის „ფიატი“ სადამოს თბილისის ქუჩებში დაგვიდგინა და უბრალოდ ვსაუბრობდით. პირველად, ბუნებრივია, მაინც კინოში მუშაობის გახსენება ვთხოვე. ბატონი კოტეს კინოკარიერა თურმე, „უდიპლომო სასიძომდე“ ბევრად უფრო ადრე დაწყებულია...

ქვა ლომიძე

— 14 წლის ვიყავი, როცა „ჩვენი ეზოს“ გადაღება მიმდინარეობდა. აი, იქ მერგო პირველი, თუმცა ეპიზოდური როლი. შემდეგ იყო ერთ-ერთი მთავარი როლი — „უდიპლომო სასიძოში“. თუმცა სჯობს, ყველაფერი თანმიმდევრებით მოგიყვებო. 1958 წელს დავამთავრე სკოლა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სატყეო ფაკულტეტზე მოვეწვიე, მაგრამ ერთ წელიწადში არჩეულ პროფესიაზე გული ამიცრუვდა და სწავლა „გეპიში“, საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე განვაგრძე, პარალელურად კი, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე გამოცდები სარეჟისორო ფაკულტეტზე.

— სად მოგძებნათ უდიპლომო სიძის როლისთვის რეჟისორმა, ასე სწავლა-განათლებაზე გადამკვდარი კაცი?

— ეგ რაა?! მოვივინებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დავამთავრე. 18 წლისა, ერთდროულად ორი ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი და გამოცდების დამთავრებისთანავე, გავარა, მეგობრებთან ერთად წავიყვანი დასასვენებლად. ზღვაზე



ლუდუხანა წეროძე, კოტე მგალობლიშვილი, აკაკი ვასაძე

უდიპლომო სასიძოს, სამი დიპლომა და უმთავრესი გარეგანი პირობები



ვლაღობდით ბიჭები და ფული რომ თითქმის შემოგვევლია, მაშინ გაგვასწავდა თბილისი. 20 დღის შემდეგ დავრეკე სახლში და მესმის დედაჩემის გახარებული კივილი — კოტე, სასწრაფოდ დაბრუნდი თბილისში, კინოსტუდიაში ვიბარებენო.

— როგორ, სინჯის გარეშე შეგარჩიათ რეჟისორმა?

— არა, რას ამბობ?! მანამდე ექვსჯერ მაინც გამოსინჯეს სხვადასხვა ფილმისთვის, მაგრამ რად გინდა — ან ცეკა არ მოიწონებდა ან ტეკა (თბილისის კომიტეტი) იმ სცენარებს და ჩემი სინჯებიც უშედეგოდ რჩებოდა. დედაჩემის ნათქვამსაც, სიმართლე რომ ვითხრათ, სულ არ ამიქროლა გული. ვიფიქრე — დამატოვებინებენ ახლა გავარას, ზღვას, ამდენ სიხარულს და თბილისში მაცურყუტებენ კიდევ ერთი უშედეგო კინოსინჯისთვის-მეთქი. მოკლედ,

ყური არ შევიბერტყე და გავარაში დროს ტარება განვაგრძე. ჩამოვედი აკვისტოს 31-ში თბილისში. მეორე დღეს თეატრალურ ინსტიტუტში წავიყვანი და ისე, სასწავლო-მეცნიერო გამახსენდა კინოსტუდია.

— მთლად შესაფერისი ყოფილხართ ამ მხრივ უდარდელად და ზარმაცი ბიჭიკოს როლისათვის და ალბათ ამიტომაც გაგიმართლათ.

— (იცინის) მოიცა, ჯერ სად ხარ?! მივედი კინოსტუდიაში პლენაროზე. მაშინ „უდიპლომო სასიძოს“ „მოტაცება“ ერქვა. რეჟისორი ცხონებული ლელიკო ხოტივარი იყო, არაჩვეულებრივი და კოლორიტული პიროვნება. შევალე მისი ოთახის კარი და თავი წარუვდგინე. ამათვალიერ-ჩამათვალიერა, გამომკითხა ყველაფერი ჩემ შესახებ და ვილაცხვებ დაუძახა — წაიყვანეთ ეს ბიჭი, აუშვით ხეზე და ხელში გიტარა დააჭერინეთო. ავძვერი ალვის ხეზე კინოსტუდიის ეზოში და რადგან გიტარისა არაფერი გამეგებოდა, კონტრაბასივით ვატრიალებდი ხელში. ნახევარი საქართველო ჰყავდათ იმ ხეზე აყვანილი და ჩამოყვანილი, მაგრამ...

— მხოლოდ თქვენ გაგიმართლათ?

— ჰო, სინჯის გადაღებიდან მეორე დღეს გამოვეკარეო — მითხრეს, მეც მივედი. ლელიკო ხოტივარი შესასვლელში იდგა, დამინახა თუ არა, აყვირდა — აბა, აბა, ჩქარა, წაიყვანეთ ეს ყმაწვილი, ზომები აუღეთ, შეუკერეთ, ჩააცვით და წავედითო. დავიბენი — სად წავედით-მეთქი, ვკითხე. მაგას იქ გაიგებ, ზვალ დილით გავდივართო, მითხრა ბატონმა ლელიკომ. ასე მოვხვდი

გენიოს ქართველ მსახიობებთან ერთად, გურიამი. წელიწად-ნახევარი ვარსკვლავების გარემოცვაში ვიყავი და დღესაც უბედნიერესი კაცი ვარ, რომ მათთან ერთად ვაკეთებდი საქმეს.

— რადგან მათ გვერდით გინევდათ ცხოვრება, იქნებ რაღაც გაიხსენოთ აკაკი კვანტალიანზე ან ვახტანგ ნინუაზე?

— აკაკი კვანტალიანი საოცრად ენერგიული კაცი იყო. მისი გარემომცველები სულ მხიარულებაში იყვნენ, ბატონი კაკო ერთი წუთით არ მოაწყენდა არავის. არადა, საქმე სულ თავზე საყრელად ჰქონდა. „უდიპლომი სასიძოში“ მარტო მაგისტვის გადაღებული ღუბლებიდან 3 სერიიანი ფილმი გამოვიღო: ერთსა და იმავე კადრისათვის ყველა ღუბლში მსხვადსხვანაირად თამაშობდა, სულ ახალ-ახალ რამეს იგონებდა. ასეთი მომქანცველი მუშაობის შემდეგ კი, თითქმის ყოველდღე გურულებთან ჩვენს პატივსაცემად გამოიღო სუფრასთან თამაშობდა და განსაცვიფრებლად ენერგიული იყო. ერთხელაც დავაკვირდი ამ უცნაურ კაცს, რომელიც თითქმის მუდმივად ატარებდა მუქი ფერის სათვალეს. სადღეგრძელოს დამთავრებისთანავე, რომ დავდებოდა, თვალებს ხუჭავდა. განა ეძინა, არა — თვალებს ხუჭავდა, ისვენებდა და მერე რიხით განაგრძობდა ბოლომდე თავისი „როლის“ თამაშს... საოცარი კაცი იყო ვახტანგ ნინუაც, სხვებისგან განსხვავებით, მას ყოველდღე არ ჰქონდა გადაღებები, ამიტომაც ერთი-ორი დღით ჩამოდიოდა და რჩებოდა ხოლმე. ერთხელაც, რომ ჩამოვიდა, სასტუმროში თავისუფალი ნომერი არ აღმოჩნდა და ჩემთან მოუწია „სტუმრობა“. იმ საღამოსაც კარგად ვიქეიფეთ და წავედით ნომერში დასაძინებლად. ბატონი ვახტანგს ისეთი ხვრინვა სცოდნია, ვერ აღვიწერთ. ძილში პავაროტივით ასრულებდა „არიებს“. გავვიჯდი, ვერ დავიძინე ვერაფრით: ხან ვუსტვინე, ხან ხმამალა ვუძახე — ბატონო ვახტანგ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ავდექი და ეზოში ჩავედი. დამჯდარმა გვაათენე ის ღამე. მეორე დღით ლელიკო ხოტივარს მარტო ნინუა დახვდა ოთახში. გადარეული დამეძებდა... ამის შემდეგ ბატონი ლელიკო წელიწად-ნახევარი გვერდიდან არ მიცილებდა — შენ რომ რამე დაგემართოს, დავილუპე, მთელი შრომა წყალში ჩამეყრებაო: იმ ფილმის გადაღება მილიონ-ნახევარი მანეთი დაჯდა...

— ბატონო კოტე, ის თხა როგორ მიიჩვიეთ, მთელი ფილმის განმავლობაში გვერდიდან

რომ ვერ იშორებთ?

— სამწუხაროდ, ბევრი კარგი კადრია ამოჭრილი. არ ვიცი რატომ, ალბათ ასე ერჩივნათ მათ, ვინც იღებდა. იყო ასეთი ეპიზოდი: გამოცდების ჩასაბარებლად რომ მივდივარ, თხა თან მიმყავს მატარებლით, ბალახით გატენილ ტომარასაც მასთან ერთად მივათრევ, მერე ეს ტომარა და თხა თაროზე მაქვს „შემოდებული“ და ძირს გადმოვარდებიან. არის ერთი ამბავი ვაგონში... მხიარული ეპიზოდი იყო, მაგრამ ამოიღეს... ის თხა მგონი რაჭიდან ჩამოიყვანეს, სვანგებოდ შერჩეული — დიდი და ლამაზი. ბატონმა ლელიკომ მითხრა — უნდა მიიჩვიო ისე, რომ ლოგინშიც კი გიწვევოდესო. მეც ის ვიღონე, რომ ქამარში ბალახს დავიმარებდი და თხაც სულ უკან დამდევდა. ბოლოს ისე „დავმ-მაკაციდით“, მართლა მიწვევობდა ლოგინში.

— ალბათ, სამწუხაროა თქვენთვის, რომ ბიჭიკოს შემდეგ თქვენს ცხოვრებაში მოსაგონებლად სხვა როლი და ფილმი არ დარჩა?

— ნამდვილად, მაგრამ ბიჭიკოს შემდეგ დარჩა კოტიკო — „როლი“, რომელსაც დღემდე ვთამაშობ ცხოვრებაში, მრავალსერიიანი ფილმში. ეს ჩემი როლია, რომელიც „სცენარის ავტორმა“ და „დამდგმელმა რეჟისორმა“ — უფალმა დმერთმა მიბოძა და მგონი, დღემდე არ შექმლია რამე. თუ შექმალა, ისევე მან განმსაჯოს.

— ალბათ ძალიან მოგწონდათ თქვენი როლი ფილმშიც?

— მიუხედავად იმისა, რომ ბიჭიკო ზარმაცი ბიჭი იყო, მის გულკეთილობასა და უბოროტობაში ალბათ არავის შეჰპარვია ეჭვი. „მთელი ქვეყანა თუ მუშაობს, ერთი კაცი დამასვენეთ“ — ამბობდა ბიჭიკო და მანაც აკეთებდა საქმეს: გიტარის დაკვრა თუ მოლხენა, რა, საქმე არ არის?..

თანაც, ბოლოს ხომ გააკეთა ნამდვილი საქმე?! ასეა — ზარმაც კაცსაც, თუ მოეფერები, რამეს დაავალბ და პირობებს შეუქმნი, ივარგებს. თუ კაცს გამუდმებით უკიჟინებ — უვარგისი, უმაქნისი და არარაობა ხარო, უფრო წახდება.

— ე.ი. შეძახილმა ხე გაახმო, ნათქვამი რომაა, საპირისპირო დატვირთვა შეიძლება მიცეს?

— რასაკვირველია! ადამიანში უდიდესი პოტენციაა, მაგრამ გამოძვლავდება უნდა. ყველა კაცში ერთნაირად არის სინათლე და სიბნელე — საქმე ის არის, მუდმივად, დღეში მოუწვევს ცხოვრება თუ მუდმივად ღამეში. სიკეთე ყველაშია — მთავარია, დაინახო, და რომ დაინახე, იმ კაცსაც აგრძნობინო. აი, მერე კი ყველაფერი კარგად იქნება... არ მინდა გამომჩრქეს, რომ „უდიპლომო სასიძოში“ ყველაზე დიდი მოგება მოიტანა იმ დროს. „ავარასა“ და კიდევ რომელიღაც ინდური ფილმის გარდა, მხოლოდ „უდიპლომო სასიძო“ გადიოდა ორი კვირის განმავლობაში და კინოთეატრი „რუსთაველი“ მუდმივად გადატვირთილი იყო.

ბატონო კოტე ხშირად მიმართავს მოსაუბრეს სიტყვით — „მამა“. დაინტერესდი — უბრალო ჩვევაა თუ რაღაც კონკრეტულს უკავშირდება ეს მომართვა?

— მოწიფულობაში, უკვე ასაკში რომ შევედი და უფრო მეტად ჩავწვდი მამობრივ გრძნობას, ადამიანებთან ურთიერთობისას სიყვარულისა და სითბოს გამოძვლავების ნიშნად მივეჩვიე ამ სიტყვას: „მამა“ — ასე რომ გეტყვი, ე.ი. მიყვარხარ, გეფერები და შენი არსებობა მინარია.

— ბატონო კოტე, ანუ „მამა“, ვიცი, რომ თბილისში დაიბა-



ტესტი ერუდიციასზე

1. რა პროფესიის ადამიანია
გამოსახული სურათზე?



- ა) მენახშირე;
- ბ) მენახირე;
- გ) მემწვნი.

2. სწორთმინან ნიშნავს სა-
ხელი:



- ა) ხათუნა;
- ბ) ლელა;
- გ) მარეხი.

3. კავათლის როგორ კომპი-
ნაციას ვხვავს დიდი დათვის
თანავეარსკვლავად?



- ა) სევაი-დუ;
- ბ) ჩარი-დუ;
- გ) ფანჯი-სე.

4. მოკლული ხარის რა ნა-
წილს აქლავენ ჯილდოდ ტო-
რეადორს?



- ა) ყურს;
- ბ) რქებს;
- გ) ტყავს.

**დეთ, გაიზარდეთ და ჩვენი
დედაქალაქიც თქვენ თვალნი
შეიცვალა. ძველი თბილისის ნოს-
ტალგია თუ განუხვებთ?**

— ო, საოცარი იყო ჩემი სიყმაწვილისა და სიჭაბუკის დროინდელი თბილისი. „ჩვე-
ნი ეზო“ რომ გაღის ეკრანზე, ზოგჯერ
ცრემლი მომადგება ხოლმე, ალბათ ნოს-
ტალგიას ვერ ვუძლებ. ეკრანზე ვუყურებ
სინამდვილეს, რომელიც ჩემში მარადიულ
მოგონებად დარჩა. სხვა იყო მაშინ ცხოვ-
რება, კაციც სხვანაირად, მართლა კაცურად
კაცობდა და ღირსებაც ფასობდა, სითბოსა
და სიყვარულის ზეიმში შური ვერ გაიმ-
არჯვებდა. სად იყო მაშინ სროლა, დაჭრა?!
ჩხუბი იყო, მაგრამ იმასაც თავისი ღირსე-
ბა და ლაზათი ჰქონდა. მუსიკით შეერკი-
ნებოდნენ „ყოჩები“ ერთმანეთს და ვინც
მოიგებდა... მოიგებდა, რა! მერე გაიმლე-
ბოდა სუფრა, იყო ქეიფი და ჩაღურჯებუ-
ლი თვალი და გახლებილი წარბი სულ
არავის არ უშლიდა ხელს სიყვარულში.

**— თუ გიფიქრიათ, ასეთი
მკვეთრო ცვლილებები რამ გამ-
ოინვია?**

— ძალიან მომრავლდნენ არაკაცები,
თანაც, ხშირად ვერ უგებენ ადამიანები
ერთმანეთს... მე თუ დღეს შენი სინარუ-
ლი არ მიხარია, რა კაცი ვარ, რად უნდა
ვიარო მაშინ მიწაზე? თუ ჯიბრი და
შური გვკლავს, კაცობაში და კაი საქმის
კეთებაში შევეჯიბროთ ერთმანეთს.

**— ამ შეხედულებებით რომ
ცხოვრობთ, ადამიანებთან ურთ-
იერთობა არ გიჭირთ?**

— ვცდილობ, რაღაცნაირად მოვაგვარო
ურთიერთობები, ვცდილობ, ვისაც შური
და ბოლმა სტანჯავს, კაცურად დაველა-
პარაკო და შთავაგონო კაი საქმის კეთება.
ხან გამოძღის, ხან არა — რა ვქნა, მეც
კაცი ვარ. მით უფრო ვაგიხარებ, რაც

უფრო მეტი ბედნიერი ადამიანი ივლის
ამქვეყნად. მაშინ ქვეყანასაც უკეთ მიხე-
დავენ.

**— ძმაკაცს ვის ეძახით, რა
მოიაზრება ამ სიტყვაში?**

— ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად
ესმით ძმაკაცობა, მეგობრობა კაცთა შორის.
ძმა და თანაც კაცი — ეს ძალიან ბევრის
დამტყვია, ამ ორი სიტყვის სინთეზი გეუბ-
ნება უკვე ბევრს... ერთხელ, რუსთაველზე,
„ინტურისტის“ რესტორანი რომ იყო (ახლა
დანერეულია...), ქართველები ქეიფობდნენ.
დარბაზში უცხოელი სტუმრები შემოვ-
იდნენ. კარგა ხანს უყურეს, რომ სუფრასთან
მხოლოდ კაცები ისხდნენ და ერთმანეთს
ეხვეოდნენ და კოცინდნენ — შიგადაშიგ,
სადღეგრძელოებთან ერთად. ბოლოს
გაკვირვებულვებმა იკითხეს — სადა ვართ,
ჰომოსექსუალისტების კლუბში ხომ არ
მოვხვდითო?... ისინი ვერ იგებენ იმ ჯი-
გარს, რომელიც მოკეთის, მოყვარის თუნ-
დაც დღემი სამჯერ ნახვისას, ქართველში
ერთსა და იმავე გრძობას ბადებს. ჩვენ
უამრავჯერ შეგვიძლია მოვეფეროთ ერთ-
მანეთს...

**— ბატონო კოტე, პოლი-
ტიკაში და, კერძოდ, მოქალაქეთა
კავშირში როგორ მოხვდით?
ოქტომბრელობის, პიონერობის,
კომკავშირლობისა და კომუნის-
ტობის შემდეგ უპარტიოდ გაგი-
ჭირდათ?**

— ყველა ეგ საფეხური გავიარე და
დღეს აქ ვარ. ეს ყველაფერი კი ჩემთვის
ყოველთვის სამშობლოს სიყვარულთან ასო-
ცირდებოდა. მჯერა, რომ ამ ქვეყანას ეშ-
ველება და საქართველოსთვისაც ამობრწყ-
ინდება გამარჯვების მზე, თუ მოვიდომებთ
და ერთად ვიქნებით, თუ ერთმანეთს არ
ვეჭიდებებით უაზროდ.

**— ეგ უაზრო ტიდაობა კარ-
გად ჩანს იმ უმაღლეს სახელმ-
წიფო ორგანოში, სადაც თქვენც
ხართ ამჟამად. პარლამენტი
ღამის ერთმანეთის სიძულვილით
დაბრმავებულითა საჭიდაო ხალ-
ჩიად იქცა...**

— არ მინდა იარსებოს ასეთმა „პოზი-
ციამ“ და ოპოზიციამ. ჩვენ ყველანი
საქართველოს შვილები ვართ. ერთმანეთ-
თან დაპირისპირებას თავი უნდა დავანებოთ
და საერთო ენა გამოვნახოთ, ერთი საქმე
ვაკეთოთ — აი, მაშინ კი შევძლებთ გადა-
სახადის ამოღებასაც და კორუფციის დამ-
არცხებასაც. მთავარი სურვილია და ჩვენ-
ში მართლაც დაფასდება ადამიანში ყვე-
ლაზე ღირებული გრძობა — სიკეთის
ქმნის მოთხოვნილება.



პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ნადირობის მოყვარულებმა თავიანთი მონადირული ჟინი რომ დაიკმაყოფილონ, მხოლოდ მგლის მუხლი, ქორის თვალი და უღალატო თოფი არ ყოფილა საკმარისი. როგორც ირკვევა, მათ ჯიბეზეც უნდა გაიკრან ხელი და ნადირ-ფრინველით „სარგებლობისთვის“, საკმაოდ სოლიდური გადასახადიც დაფარონ.

ნანუკა არაბული



ვებტარიანი მონადირის აღსარება

მაგალითისთვის შეგასწავნებთ, რომ კანონით დადგენილი წესით, დათვზე ნადირობის ბენდიერება 2.700 ლარი ღირს, არჩეზე – 1.000; ჯიხვზე – 2.700; შველზე – 1.000; გარეულ ღორზე – 900 და ა.შ. ბუნებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში სპეციალურად შემუშავებულ ჩამონათვალთა ნუსხაში მხოლოდ 14 დასახელების ნადირ-ფრინველია შეტანილი, დანარჩენებზე გადასახადს კი, შესაბამის სამინისტროსთან არსებული საექსპერტო-სალიცენზიო საბჭო განსაზღვრავს. რამდენს განსაზღვრავს, რის მიხედვით და როგორ – ეს უკვე სხვა საუბრის თემაა. ვიტყვით მხოლოდ ერთს: გამოცდილი მონადირეების განცხადებით, სამონადირეო მეურნეობაში გამეფებული განუკითხაობა იქამდე მივყავანს, რომ საქართველოს სანადირო სავარგულებზე აბსოლუტური მონოპოლია მხოლოდ მეფური ჰობით გატაცებულ მაღალი ეშელონის წარმომადგენლებს და მათ საზღვარგარეთელ სტუმრებს ექნებათ.

მაღალი ეშელონებიდან ნადირობის ტრფიალთა შორის ყოფილა ზურაბ ჟვანია. სწორედ მას ეხება ერთი გასაიდუმლოებული ინფორმაცია, რომელიც შემთხვევით ჩავიკვარდა ხელში.

სანადირო ჩექმებსა და ბრეზენტის ქურთუკში გამოწყობილ ჩვენს პარლამენტის თავმჯდომარეს, დედოფლისწყაროს ნაკრძალში ტახზე ნადირობისას შინაური ღორი შემოაკვდა თურმე. რა მოხდა შემდეგ? – მხოლოდ ის გავიგეთ, რომ

მოკლულის პატრონთან არც მაცნე აფრინეს და არც სამძიმრის დეპეშა. დედუქციური მეთოდით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ შერცხვნილ მონადირეებს დედოფლისწყაროელი ღორი ჯერ შემოაკვდათ, შემდეგ კი, კვალის მოსპობის მიზნით... შემოეჭამათ.

მაღალი ეშელონებიდან ნადირობაში ეჭვიმტანილი სხვაც ბევრი იქნება. ეს ლოგიკურად არის: ნადირობა და პოლიტიკა ხომ იმ საერთო ღერძის გარშემო

— როგორც ამბობენ, ჩენ-ნეთ-ინგუშეთიდან ომის დროს ბევრი ნადირ-ფრინველი გადმოიხვეწა ჩვენს მხარეში. ალბათ ჯიხვებზე მონადირეებსაც ხელსაყრელი სეზონი გექნებათ.

— ბევრი გადმოიხვეწა. ხევსურეთის ჭიუხებში ჯიხვებისა და არჩეების ჯოგები დადის. ჯოგსაც გააჩნია. თითოეულში ზოგჯერ 200 სულზე მეტ ჯიხვს ითვლიან. მრავალრიცხოვანმა ჯოგმა ძირ-

მაღალი ეშელონებიდან ნადირობის ტრფიალთა შორის ყოფილა ზურაბ ჟვანია. სწორედ მას ეხება ერთი გასაიდუმლოებული ინფორმაცია, რომელიც შემთხვევით ჩავიკვარდა ხელში.

ტრიალებს, რომელსაც ტყეული ჰქვია. მონადირესა და პარლამენტარს შორის მხოლოდ ერთი არსებითი განსხვავებაა. მატყუარობაში ბრალი რომ დასდო, დეპუტატი აუცილებლად აღშფოთდება და შენი სიტყვების უკან, რუსეთის ან ამერიკის სპეცსამსახურების შეთქმულებას დაუწყებს ძებნას. მონადირე კი, თუნდაც თოფიანი, ძალიან უწყინარია. თავისთვის ულვაშებში ჩაიღიმებს, თვალებს შორეთს გაუსწორებს და სხვა, კიდევ უფრო დაუჯერებელ ამბავს მოგიყვება. აი დაახლოებით ისეთს, ჯიხვებზე მონადირემ რომ მიაბზო.

თადად, არხოტის მწვერვალებზე მოიყარა თავი. ძალიან ძნელია იქ ნადირობა. ერთ-ერთი მწვერვალი — კიდაგანა ზღვის დონიდან 4100 მეტრზეა. იქამდე ასვლას მხოლოდ გამოცდილი მონადირე თუ შეძლებს. საერთოდ, ის, ვინც ჯიხვებზე ნადირობას აპირებს, ალპინისტვით უნდა იყოს მომზადებული. კლდეზე ცოცვისას ზურგზე, მინიმუმ, 30 კილოგრამამდე ტვირთი უნდა ეკიდოს და ა.შ. ამტანობასა და მოთმინებაზე უკვე აღარ ვლაპარაკობ. ჯიხვი ძალიან ფრთხილი ცხოველია. საოცარი ყნოსვა, სმენა და მხედველობა აქვს. ამიტ-

ომ მონადირემ უნდა იცოდეს, რომელი მხრიდან მიუახლოვდეს მას. თანაც ისე, რომ ხმაური არ გამოიწვიოს. ბევრი მონადირე მონივლა ჯიხვების დევნამ. სამიოთხი დღის ძებნისა და წვალების შემდეგ, მიუვალ მწვერვალზე დალანდავ ჯოგს. მოუთმენლად უახლოვდები, მთელი ყურადღება მათზე გაქვს გადატანილი, ამ დროს, სულ პატარა შეცდომა და... ამ რისკის ფონზე, დათვი და ღორზე ნადირობა „მღერად მიჩანს“. თუმცა, იმასაც ვაღიარებ, რომ დათვი უფრო ფრთხილი და ჭკვიანია, ვიდრე ადამიანი.

— მაშ, რატომ ვართ ჩვენ უფრო ბევრი? მე ის ძალიან საშიშ ცხოველად მიჩვენება, მონადირეებს კი ადამიანზე მეტად გესიმათიურებათ.

— საოცრად არტისტული ცხოველია. არც ერთმა ადამიანმა არ იფიქროს, რომ მან დაინახა დათვი, დათვმა კი ვერ შეამჩნია. დათვი გხედავს, შეგიგრძნობს და მაშინვე იწყებს თამაშს — ვითომ ვერ გხედავს, ვითომ ვერ გაფიქსირებს და ამ თამაშში ან გაგექცევა, ან გაგაქცევს, ან თავს შემოგაკლავს ან... რა მნიშვნელობა აქვს, როგორ დამთავრდება ეს ორთაბრძოლა?! მთავარი ის არის, რომ მან იცის გამოწვევის მიღება. ბრწყინვალე მსახიობია. მე მომწონს მისი თამაში. ძუ დათვი ბელებთან ერთად ხომ საოცრებაა. დედური ინსტინქტით ძუ დათვი ყველაზე ახლოს დგას ქალთან. ალბათ ამიტომ არის, რომ ნამდვილ მონადირეს უჭირს ბელებიანი დათვის ნიშანში ამოღება. ამ დროს დათვს კი არა, დედას ესვრი. ყველანი დედის გაზრდილები ვართ... მეც მქონდა ასეთი შემთხვევა. მეც ვერ ვესროლე...

— ბელებთან ერთად იყო?

— კი, ივლისი იდგა, ამ დროს დათვებს პატარა ბელები ჰყავთ. მთაში, სადაც არავი

ქარაფს ეჯახება, სათვალთვალოდ ერთი მოხერხებული ადგილია. მე და ჩემი უფროსი ძმა, ლეთისო იქ ჩავსხედით და დათვის გამოჩენას დაველოდეთ. უცებ ვხედავთ, უზარმაზარ ძუ დათვს აქეთ-იქიდან ბელები ამოუყენებია და რაღაცას ებუტბუტება. ჭკუას არიგებს. ბელები კი მაინც არ ისვენებენ. გამოექცევიან, არაგვში ჩაპკრავენ პატარა თათს, გაიწუწებიან და ისევ უკან გარბიან. დათვმა ჯერ უთმინა, უთმინა და მერე ერთ ბელს ისე წაუთაქა, როგორც დედებმა იციან ზოლმე. მიიყვანა მდინარის პირას და ჰაერში აფართხალე-ბული, მეორე ნაპირზე ისროლა. მერე შევარდა წყალში, გაცურა, მივიდა შეშინებულ ბელთან, დაუყვავა, მიეფერა, დააწყნარა. ცოტა ხანში ისევ უკან მიბრუნდა და ნაპირზე დარჩენილი ბელიც გამოიყვანა. ორივე ისევ გვერდზე ამოიყვანა და დედაშვილური ლაპარაკით გააგრძელეს გზა. ცხვირწინ ჩავატარეთ. ვიდრე ერთი თოფზე ხელედაყრდნობილი და გავცქეროდით, სანამ თვალს არ მიეფარნენ.

— რომ არა დანდობის ასეთი შემთხვევები, მონადირე ალბათ ცივისსილიანი მკვლელი იქნებოდა, ნადირობა კი, ნინასწარი განზრახვით ჩადენილი მკვლელობის აქტი.

— ნადირობა სწორედ დანდობა-არდანდობის ხელოვნებაა და მასთან ლეშის მოპოვების მიზნით კვლას, არაფერი საერთო არა აქვს. გინახავთ სადმე ჩასუქებული მონადირე? მეღეშე კაცი მთაში სირცხვილია. პირადად მე გვეტარებინელი ვარ და რომანტიკოს მონადირედ ვითვლები. დიდი მონადირე უნცრუა წიკლაურია, რომელსაც დაულახავ მწვერვალზე ოთხი ჯიხვის მოკვლის შემდეგ, მეხუთისა და მეექვსის მოკვლაც შეეძლო... და აღარ ესროლა. თავის შეკავება გაუჭირდა, ამიტომ

თოფი გულზე მიიკრა და ზურგით შებრუნდა. ასე, ზურგშექცევით იდგა, სანამ ჯოგი ბოლომდე არ გაიფანტა... მონადირის რაობა იმით არ იზომება, რამდენს მონადირებ. მთავარი ის არის — როგორ! ერთხელ, ჩემმა ძმამ ლეომ, რომელიც კარგ მონადირედ ითვლებოდა, ერთ ნადირობაზე 11 ჯიხვი ჩამოიტანა. ეს სახ-

ციცქა ჯაბუშანური მომინაურებულ ჯიხვთან



ნადირობა დანდობა-არდანდობის ხელოვნებაა

ელი ეგონა. მოიტანა და მამაჩემს, ციცქა ჯაბუშანურს ფეხებთან დაუწყო. არ დამავიწყდება მამაჩემის საყვედურიანი მზერა: ნადირ-მენადირეთ წესი არსებობს, ის დაგირღვევია, როგორ შეიძლება ამდენი, მაგათაც ხომ თავისი პატრონი ჰყავთო. მერამდენზე უნდა გავჩერებულიყავიო? — იკითხა ლეომ. თუ მონადირე ხარ, შენით უნდა მიმხვდარიყავიო, — უპასუხა მამამ, რომელსაც 14 შვილი ვყავდით — თორმეტი ვაჟი და ორი ქალი. ცალ-ცალკე ხომ არ დაგვარიგებდა. ამიტომ ერთისთვის ნათქვამი, ყველასათვის გასაგები იყო.

ნადირობის შემდეგ, თუ სინანულმა არ დაგრია ხელი, არც მონადირე ხარ და არც კაცი. უნდა განიცადო, როგორ დგას კლდეზე ჯიხვი, ნიავს მიშვერილი შუბლით და როგორ ელოდება შენს ტყვიას. უნდა უცქირო გასროლის შემდეგ, როგორ შეტოკდება მისი სხეული და როგორ დაეშვება კლდიდან, როგორ ხმას და ექოს გამოსცემს ქარაფებში ჩაჩენილი მისი რქები. უნდა უცქირო, განიცადო და უნდა გეტკინოს. ძალიან უნდა გეტკინოს და სანამ გტკივა, არასოდეს არ გადახვალ იმ ზღვარს, მონადირესა და მკვლელს შორის რომ დევს.

ერთხელ, დარევის პერიოდში, როდესაც მამალ და დედალ ჯიხვთა ჯოგები ერთიანდებიან, ერთ-ერთ ჩემს ძმას გავეყვი სანადიროდ. ასეთ დროს მთლიანი ჯოგიდან მონადირე ყველაზე დიდს აირჩევს და იმას უმიზნებს. ჩვენც გადავაველეთ თვალი ჯოგს



და გავოცდით: ერთი ისეთი ჯიხვი იყო, რომლის მსგავსიც ჩვენს მხარეში დიდი ხანია არ გვინახავს — ძალიან დიდი და ძალიან ლამაზი. ღირდა ამდენი ხნის წვალებად. ჯიხვთა ძებნაში ხომ უმაღლესი ჭიუხები დაეგაღეთ ფეხით. ჩემმა ძმამ მთხრა ვაითუ, ერთ-ერთმა ავაციდინოთ, მოდი და ორივემ იმ ერთს ვესროლოთო. ამის თქმა იყო და ჯიხვი ჯოჯს გამოიყო, კლდეზე გადადგა და გაშეშდა. მეც გავშეშდი, მისით მოხიბლული. ვუყურებდი ბუნების ულამაზეს ქმნილებას, რომელიც ორივეს უნდა მოგვეკლა. ჩემმა ძმამ ესროლა. მოარტყა. დღემდე მტკიავა.

— მაგრამ სანადიროდ მაინც დადინართ...

— თუ მარტო გრძნობებს აჰყევი, პოეტი ხარ და არა მონადირე. ნადირობა რიტუალია. ამ დროს გრძნობ, როგორ ზეიმობს შენს არსებაში კაცი, როგორ პოულობ შენ თავს და უბრუნდები პირველსაწყისს. აკეთებ ზუსტად იმას, რასაც შენი უძველესი წინაპარი აკეთებდა...

„ბრუნდები სახლში და ზურვით მოგაქვს ამ დილაძდელი სევდა და ხორცი, გზადაგზა აცხობ უცნაურ იგავს თუ როგორ შეხვდი დეკების ქორწილს...“

— ფრინველზე არ ნადირობთ?

— არა, ჩვენთან ეს სირცხვილად ითვლება. ფრინველებზე მონადირეს არხოტში „მეყვავ-ჩიტეს“ ეძახიან.

— ნადირობიდან ნადირობამდე რას საქმიანობთ?

— დავაფუძნეთ შპს, რომელიც კომპლექსურ ტურიზმსა და სამონადირეო მეურნეობას აერთიანებს. ამ ბაზამ უკვე დაიწყო ფუნქციონირება და ნადირობით თუ ალპური და სუბალპური ბუნებით

დაინტერესებულ ყველა პირს მოემსახურება. ძირითადად, ყაზბეგისა და არხოტის მთიანეთში ვიმუშავებთ. ვნახოთ, როგორ ავაწყობთ საქმეს.

— ეს ალბათ საზღვარგარეთელ სტუმრებზეა გათვლილი, თორემ აქაურ მონადირეს რად უნდა თქვენი მეტაზურობა? დაადებს თავს და ავა ქიუხებში.

— არა, ასე აღარ არის. იქ არსებული სანადირო სავარგულები — 50.000 ჰა, შპს-ს თავის მფლობელობაში აქვს. ჩვენ ეს უფლება ტენდერში გამარჯვების საფუძველზე მოვიპოვეთ. ჩვენს ტერიტორიაზე მონადირეები ჩვენივე მეგზურის თანხლებით ინადირებენ და დაიცავენ ყველა წესს, რაც საქართველოს კანონებითა და ჩვენი წესდებით არის გათვალისწინებული. უცხოელი ინვესტორებისგან გვაქვს ბევრი წინადადება, მაგრამ ჯერჯერობით, საბოლოო პასუხისგან თავს ვიკავებთ. არ გვინდა, ეს ყველაფერი სხვის ხელში ჩავაგლით. ამიტომ, იქამდე, სანამ არხოტს უცხოელთათვის ვითმდა საშიშ ზონად თვლიან, ვსარგებლობთ პაუზით და მოლაპარაკებებს ვაჭიანურებთ. ეგებ გამოჩნდეს ვინმე, მხოლოდ ფულადი კი არა, ჭკვიანი და პატრიოტი ბიზნესმენი, ვინც დაინახავს, რომ ტურიზმს, როგორც შემოსავლის წყაროს, საქართველოში დიდი მომავალი აქვს. როდესაც ამაში დარწმუნდებიან, ვშიშობ, ის უკვე რომელიმე უცხოელის ხელში არ იყოს. ასე რომ, ნადირობიდან ნადირობამდე ვზივარ და ქართველ ინვესტორზე ვოცნებობ.

ერთი მოხუცი „ტყის მეელი“ მიმტკიცებდა, არსებობს მონადირული სიზმარი, რომელსაც ჩვენ სიმბოლურ მნიშვნელობას ვანიჭებთო. ჰოდა, გულდარდინი ჰყვებოდა: მესიზმრა, ხარჯიხვი მოკვალი და როდესაც მივუახლოვდი, ყურზე ლურჯ-ვარსკვლავიანი დამლა შეენიშნეო. კიდევ მივუახლოვდი და დამლაზე წარწერაც წავიკითხე: „ჯორჯის სანადირო მეურნეობიდან „№XXX“. დავჯექი და ვტირიე, არა, ხარჯიხვს კი არ ვტიროდი — საქართველოს დავტიროდიო...


სიზმარი იმიტომ არის კარგი, გაგვღვიძება და გაქრებაო!



პრობლემატიკური კითხვები

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირებთ პასუხის ვაცემა...

1. სად დაიბადა ნათო ვაჩაძე?



- ა) ვარშავაში;
- ბ) თბილისში;
- გ) თელავში.

2. ვინ არის ქართული „სამხმარევილო ჰიზნის“ ავტორი?

„მე ჰიზნის ქართული ვარსკვლავის მკვლევარი ვარ და ვარსკვლავთმცოდნეობის ინსტიტუტში ვმუშავებ...“

- ა) ზვიად გურული;
- ბ) დუტუ მეგრელი;
- გ) ქართლოს კასრაძე.

3. გერმანიის მილიარდერის არისტოკრატიული ონასინის ქალიშვილის კრისტინას მირამდენა ძმარი იყო სსრკ-ის ფირმა „სოფრახტის“ თანამშრომელი სერგეი კაპუზოვი?



- ა) ისინი არ შეუღლებულან;
- ბ) მესამე;
- გ) პირველი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

როცა ქუჩაში მიდინარ და ადამიანებს შენს დანახვაზე ეცინებათ, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში აღმოჩნდები. მაგრამ თუ მსახიობი ხარ, თანაც გიორგი შენგელაიას ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა“ მეველე გივილოს როლი გაქვს შესრულებული, ყველაფერი ძალიან ბუნებრივი და ნათელი ხდება. ამას პოპულარობა ჰქვია... ბატონი ტრისტან სალარიძე ამბობს:



სცნობენ, იცინიან — ესე იგი, მკაცრად უნდა ჩივდეს!

ლელა ჭიყაშვილი

— მეკითხებიან, პოპულარობა გნებლავთო? თუ მსახიობი ამბობს — არა, არ მხიბლავსო, არ დაუჯეროთ. მაშინ რატომ აირჩია ეს პროფესია? მსახიობის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ხომ პოპულარობაა...

ბავშვობიდან გინდობათ მსახიობობა?

— სურვილი მქონდა, მაგრამ მეშინოდა — ჩემთვის უცნობი სამყარო იყო, არავინ არ მყავდა ნაცნობი ამ სფეროში.

— არადა, როცა თქვენ თეატრალურ ინსტიტუტში მოენწყვეთ, ისეთი აზრი იყო გავრცელებული, რომ იმ დროს ენ. „პატრონის“ გარეშე ამ „პრესტიჟულ“ ინსტიტუტში ვერაგინ მოხვდებოდა.

— აბა, საიდუმლოდ გეტყვით — შეიძლება, კურიოზადაც მოგჩვენოთ, — პირველ წელიწადს, თბილისში რომ ჩამოვედი, თეატრალურ ინსტიტუტს ვერ მივაგენი. დავდიოდი, დავდიოდი და საბუთები, სად უნდა შემეტანა, ვერ დავადგინე. მე რომ ბატონი მყოლოდა ვინმე, საბუთებს მაინც შემატანინებდა იქ და პირველი წელი არ გამიცდებოდა...

— ოჯახში როგორ შეხედნენ თქვენს არჩევანს? ხომ არ შეიცხადეს — დედა, მრავალცოლიანი გინდა გამოსვიდეო?!

— მსგავსი რამ არ ყოფილა. ერთი მეუღლე მყავს დღემდე. სამწუხაროდ, ხალხს ჰკონია, რომ ჩვენ ასე ვცხოვრობთ,

თითქოს მსახიობებმა ერთგულება არ ვიცით. არადა, სხვაგან უარესი ხდება, ვიდრე მსახიობებში...

— მე მშობლების რეაქციაზე შეგაკითხეთ, მეუღლეების რაოდენობაზე კი არა.

— დედაჩემი თვლიდა, რომ არასერიოზული პროფესია ავირჩიე. ერთი შვილი მყავხარ და ძალიან გთხოვ, სხვაგან ჩაბარეო. სხვათა შორის, მას ეკონომისტი უნდოდა, გამოვსულიყავი. უნივერსიტეტშიც ჩამაბარებინეს, მაგრამ სპეციალურად არ ჩავაბარე. მერე მთელი ის წელი თეატრებში დავდიოდი. თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდები ადრე იწყებოდა. გავედი და ჩავაბარე. მერე „მოწყობის ფურცლით“ ხელში ჩავედი სოფელში, გაგიჟდა დედაჩემი — ეს რა ჩამოიტანე, ეს მინდოდა მეო?! ზოგჯერ დღესაც არის ჩვენ შორის ამაზე კამათი...

— რომელია თქვენი მშობლიური სოფელი?

— დავიბადე და გავიზარდე ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში. დედა ახლაც იქ ცხოვრობს, არაფრით არ მომყვება აქეთ. ვგიჟდები, ისე მიყვარს ეს კუთხე. სკოლა იქ დავამთავრე. მამა ადრე გარდაემეცვალა, ორი წლისა ვიყავი. მე და დედა დავრჩით ოჯახში... მოუსვენარი ვიყავი. არ შემიძლო, გაკვეთილზე წინარად ვმჯდარიყავი. ერთი სკოლა იყო, თორემ, ალბათ ათს გამოვიცვლიდი, იმდენჯერ გამრიცხავდნენ, მაგრამ იმ ერთადერთი სკოლიდან რომ გამომავდებდნენ, მივიდოდნენ ბიძაჩემი, დედაჩემი და ისევ აღმადგენდნენ. სხვათა შორის, მასწავლე-

ბლებს ვუყვარდი ძალიან, მიუხედავად სიცელქისა. ძალიან თავგადასავლების მოყვარული ბავშვები ვიყავით. შეგვეძლო, ტყეში წავსულიყავით ღამის გასათევად. რაღაც ილუზიებს წარმოვისახავდით. ერთხელ, ფილმში ვნახეთ — მანქანის საბურავებში ჩამსხდარი ბავშვები მოცურავდნენ საიდანლაც და მღეროდნენ. აველით ჩვენც კამერებით მტკვარზე და ბორჯომიდან წამოვყვეით მდინარეს...

— სტუდენტობა როგორი გქონდათ?

— 1972 წელს დავამთავრე სკოლა. დედაჩემმა რამდენიმე მანეთი მომცა და იმის ანაბარა წამოვედი თბილისში. სტუდენტობის წლები დადგა. სტიპენდია მქონდა, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი... 10-12 წელი ასე ვიყავი. რეზო ჩხიკვიშვილთან ვმეგობრობდი, მის ოჯახში დავდიოდი ხშირად. დედამისი საოცრად გულთბილად გვიმასპინძლებოდა. უკვე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, კინოსტუდიაში ბინა მომცა, დაახლოებით 10 კვ.მ. გავგიჟდი სიხარულით, ჩემი რომ ერქვა. ამას წინათ ვფიქრობდი: გასტროლებზე რომ მივიღვართ, „ვარიონი კალბასს“ ვყიდულობ და „კილკას“ ტომატში — რატომ? ნოსტალგია მაქვს — სულ იმას მივირთმევედი ხოლმე იმ წლებში. ახლაც მასწოვს მათი გემო. ძეხვს ვიყიდდი, კვერცხს შევიწვავდი... მერე სულ გამოსული ვიყავი სახლიდან: დილით რეპეტიცია მქონდა, შუადღეს გადაღება, საღამოს ინდივიდუალური მეცადინეობა... მერე უკეთესობისაკენ შეიცვალა ჩემი მდგომარეობა. წელიწადში ორ ფილმში მიღებდნენ, ანაზღაურება სოლიდური იყო. იმ ფულით მანქანის ყიდვა შეიძლებოდა, ბინა ვერ ვიყიდე, მაგრამ სხვა პრობლემები არ მქონია.

ერთი თაობა ვიყავით — მე, გოდერძი ჩოხელი, თემურ ბაბლუანი, გაია მატარაძე, ნანა ჯორჯაძე... გაია მატარაძეს ფილმი არა აქვს გადაღებული, მე რომ მონაწილეობა არ მიმეძლო. ერთადერთი ფილმი — „მოკვეთილი“, სადაც არ მითამაშია, ალბათ გასტროლებზე ვიყავი სადმე...

— ყველაზე იღბლიანი მაინც მეველის როლია, ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა“.

— მე ამ ფილმით არ მოვსულვარ კინოში, მაგრამ პოპულარობა მაინც ამ როლმა მომიტანა. მანამდე მქონდა კინოროლები — „ბელურების გადაფრენაში“, „იმედის მწვანე კუნძულში“. „სიყვარული ყველას უნდას“ პრემიერის დროს

მოსკოვში ვიყავი გადაღებაზე. ჩამოვედი. ტაქსის ფულიც არ მქონდა, ავტობუსში ავედი, ვხედავ — მიყურებს ხალხი, იცინის... ახლა მეტროში ჩავედი — ისევ იცინის ყველა. გამოვიარე „რუსთაველის“ კინოთეატრის წინ, უშველებელი ჩემი პლაკატი გამოკრული. მივხვდი, რაც ხდებოდა — ე.ი. პრემიერა შედგა.

ამ ფილმმა დროს გაუძლო: რამდენმა წელმა ჩაიარა და დღესაც მხვდებიან ადამიანები, ეს ფილმი რომ უყვართ. არ ვიცი, რამდენად კანონიერია, მაგრამ კასეტები იყიდება და თითქმის ყველა ოჯახში არის. ამ ფილმს არანაირი პრეტენზია არ აქვს: უბრალოდ, არის ფილმი სიყვარულზე, მასობრივი მაყურებლისათვის. ჩვენს კრიტიკოსებს ჰგონიათ, თუ მაყურებელი იცინის, ფილმი არ ვარგა. არადა, არის ფილმები, რომლებზეც კრიტიკოსი ამბობს — კარგიაო, მე ვზივარ და ვერაფერს ვგებულობ. რომ გელიძება და გეცინება, ის არის სწორედ კარგი.

ამ სურათის გადაღების დრო საუკეთესოა ჩემთვის. მასხენდება: იყო გაუთავებელი მიწვევები, პურმარილები. გიორგი შენგელაიამ ერთხელ იყვირა კიდეც: რა ნახეთ, კაცო, ამდენი სიარული გაგონილა?! კინო დამამთავრებინეთ, გაღამალებინეთო.

რომ ვიღებდით, სპექტაკლივით იყო — 20-30 მაყურებელი ყოველთვის მყავდა. იყო ერთი სიცილი და ზორზოცი. სპექტაკლივით ვითამაშეთ მთელი ფილმი. ამ ხალხის თვალწინ იბადებოდა იუმორი. ჩვენ რომ მანქანიდან „ჩამოგვცლიან“ წყალში, მერე როგორ უნდა მოვქცეულიყავით, ეს სცენარში არ არის... ეპიზოდი უშუალოდ გადაღებისას დაიბადა — ოპერატორის, მხატვრების, მაყურებლის თვალწინ. ხალხი რომ იცინოდა, ჩვენ ცოტა ვლიზიანდებოდით. თეატრში რეპეტიციები გაქვს გავლილი და მაყურებელს რომ ეცინება, ამისთვის შემზადებული ხარ, კინოს გადაღებისას კი ეს სტიქიურად ხდება და მაყურებლის რეაქცია ხელს გიშლის.

— დედათქვენს როგორ მოეწონა „სიყვარული ყველას უნდა“?

— ფილმის ჩვენებისას, დედაჩემი საბჭოს თავმჯდომარემ საუკეთესო ადგილზე დასვა: მობრძანდით, ქალბატონო ციალა, თქვენი შვილი თამაშობს, აქ დაბრძანდითო. მაშინ მიხვდა: ეტყობა, ტრისტანმა რაღაც კარგი საქმე გააკეთაო... რომ ჩავედი, მითხრა: ასე არ სჯობს, დედაო?! თითქოს

სულ იმას მიჩინებდა, მსახიობი გახდილი... მიხვდა, არც ისე ცუდი პროფესია მქონია. თანაც, ჩემთან ოჯახში ისეთი ადამიანები შეკრებილან, რომელთა სტუმრობას ყველა ინატრებდა. ისეთი საღამოები გვაქვს სუფრასთან გატარებული: მე, კახი კაკაძეს, გურამ სალარაძეს, ეროსი მანჯგალაძეს... ნელ-ნელა ირწმუნა ამ პროფესიისა დედამაც.

— თანაც, სუფრა მეორე ადგილია სცენისა და გადასაღები მოედნის შემდეგ, სადაც მსახიობი რეალიზდება. სხვათა შორის, არც სანახაობრივად ჩამოუყვარდება კინოსა და სპექტაკლს, არა?

— მე ეს „საქმე“ (სუფრასთან მოღვაწეობა) ძალიან მიყვარს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. მსახიობს ერთი უბედურება სჭირს და თუ ეს არ გააცნობიერა, ცუდ დღეში აღმოჩნდება. ასეა პოპულარობის საქმე: რესტორანში რომ შევდივართ, ვიდრე ჩემს მაგიდასთან დავჯდები, უკვე რვა მაგიდა მაქვს მოვლილი. ყველა მეპატიჟება — მობრძანდით, ერთი ჭიქა დავგილიეთო. უარს ვერ ეტყვი, ეს შეურაცხყოფაა. ამიტომ რაღაც უნდა მოახერხო, სიტყვით ბევრი მოეფერო და ცოტა დალიო.

— იღბლიანი ბრძანდებით, ისეთ რეჟისორებთან გიმუშავიათ...

— თემურ ბაბლუანს თავიდანვე ძალიან საინტერესო კაცად ვიცნობდი. ფილმი რომ გადაიღო, ჩამოყალიბდა აზრი, რომ საინტერესო ხელოვანიცაა. კინორეჟისორობა მარტო შემოქმედებითი სამუშაო

არ არის — ყველაფერს უნდა ფლობდე და აკონტროლებდე, ამის უბაღლო ოსტატია თემური.

გოდერძი ჩოხელი — კაცი-ზღაპარია. რას გიმზადებს, ვერ მიხვდები. როგორც ის ფიქრობს და აზროვნებს შიგნით, იმისი ეკრანზე რეალიზება შეუძლებელია. მისი საოცარი ფანტაზიის ვიზუალური ხორცშესხმა წარმოუდგენელია. მასთან მუშაობა ჩემთვის ბედნიერება იყო...

თეატრში რობერტ სტურუას მოსვლა, ერთი მხრივ, უნიკალური და კარგი, მეორე მხრივ, დამანგრეველიც იყო. ეს ერთ-ერთ სუფრაზე სადღეგრძელოშიც ვუთხარი ბატონ რობერტს. მინდა ავხსნა, რას ვგულისხმობდი: რობერტ სტურუა მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებაში უდიდესი მოვლენაა. როცა ამხელა მოვლენა ხდება პატარა ქვეყანაში, დამანგრეველია, იმიტომ, რომ ზღვარივითაა — იმის იქით რომ გაკეთდეს რამე ან დაინახო ახლებურად რაღაც, შეუძლებელია. ბატონ რობერტთან მუშაობა არ შეიძლება, ღირებული არ იყოს.

— თქვენ, როგორც რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი, ამ ერთიანი ორგანიზმის ნაწილად თუ გრძნობთ თავს?

— 20 წლის მოვედი თეატრში. ახლა 46 წლისა ვარ. ძალიან დიდმა დრომ განვლო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამდენი წელიწადი რომ იქნები თეატრში, იმდენად ეჩვევი ყველაფერს — ადამიანებს, თვითონ შენობას... გოგუცა გვყავს ჩამცმელი: მას რომ არ დაველაპარაკო, არ გავეშაყირო, არ შემიძლია. გოგუცა სად არის, გოგუცა სად არისო — ყველა იმას





ბრძენ უცვის ღარიგებენი

● გაითვალისწინეთ, რომ დროებითი დათმობა ხშირად დიდი გამარჯვების საწინდარია.

● მხიარულ წვეულებაზე თქვენც უნდა იმხიარულოთ, და თუ არ გემხიარულებათ, სჯობს იქაურობას გაეცალოთ.

● ნუ შეეცდებით გამოფენაზე ყველა ნამუშევრის შეფასებას: გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ სჯობს, მხოლოდ ცქერით დატკბეთ.

● მიმინარე ბავშვი ხმამაღალი შეძახილით არ გააღვიძოთ.

● კომპიუტერთან თუ დიდი ხნით გიწევთ მუშაობა, შეძლებისდაგვარად ხშირად გადაიტანეთ მზერა ეკრანიდან სხვა საგნებზე ან, უბრალოდ, თვალები გაავარჯიშეთ.

● თანამშრომლებთან, განსაკუთრებით კი ხელქვეითებთან იყავით მომთმენი და ტაქტიანი, მცირე პრობლემას დიდი უთანხმოების საგნად ნუ გადააქცევთ.

● თუ გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ, პრობლემის მოსაგვარებლად უახლოეს ადამიანებს მიმართეთ.

● სამსახურში მოსაწყობად გასაუბრებაზე ყოფნისას, ნუ იჩქარებთ განსაკუთრებული ცოდნის გამომჟღავნებას და გაითვალისწინეთ, რომ „კარგად გამოზომილი“ პაუზა ხშირად საკმაოდ „წონად“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ექებს. რაღაც ძალიან მშობლიურია, არა? ძალიან გვიყვარს სასადილოში ყოფნა, თითქმის სულ იქა ვართ, იმიტომ, რომ იქა თბილა, ორივე გავებით – ოჯახური სიტუაციაა. თუ დღეს ფული არ გაქვს, ეტყვი: ჩამწერე და მერე მოგცემო...

— აბა, მსახიობებს გვენებათ ნისიების ნუსხა...

— არა, ეს ჩვენთან ძალიან მოწესრიგებულია: ხელფასი რომ მოდის, ჩვენ პატიოსნად ვიხდით ვალებს. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოს პენსიების ვალებს არ ჰგავს ჩვენი ნისიები.

სახელმწიფოს სსენებაზე... ზოგჯერ მეკითხებიან, სახელმწიფოს როლი როგორი უნდა იყოს საზოგადოების ცხოვრებაში? სახელმწიფო უნდა იყოს ჩემი „კრიშა“. როგორც კი ვიღაც მოვა ჩემთან, რომ საქმე გამიფუჭოს, სახელმწიფომ უნდა უთხრას: შენ ამას თავი დაანებე, ეს მე პურს მაჭმევსო. როგორც კი სახელმწიფო და კანონი გახდება ჩემი „კრიშა“, ვერავინ ვერაფერს დააშავებს. ჩვენს მთავრობას კი ხალხის „კრიშობა“ არ უნდა – მარტო ცალკეულ პიროვნებებს უნდა „უკრიშოს“. ეგრე კიდევ, რა მდგომარეობაა, გაიხედეთ და დაინახავთ.

— საოცარი პროფესიაა მსახიობობა: ნყალში თქვენ გვრინან, თავზე კრამიტს გამტკრივენ, ზამთარში შიშველს დაგარბენინებენ...

— მე და თემურ ბაბლუანი „ბელურების გადაფრენაზე“ ვფიქრობდით. მაშინ ფინეთში ახალი ნამყოფი ვიყავი. იქიდან „მაიკა“ ჩამოვიტანე, ამერიკის დროშით გულზე. ვუთხარი თემურს: ამ „მაიკით“ რომ გადამიღო, ხომ კაი იქნება-მეთქი? კიო, გაეხარდა. მე რას ვცდილობდი, იცით? ზაფხულში ვიღებდით, ცხელოდა. კუპეში ამხელა პროექტორები... ვიფიქრე, გრილად ვიქნებოდი. გადავიღეთ ნაწილი, გაჩერდა გადაღებები და... ლეკემბერში გაგრძელდა. რა უნდა მექნა?! დავეჯექი ამ ჩემი აშშ-ის დროშიანი „მაიკით“ შუა ლეკემბერში და გადამიღეს. ძინდოდა, გრილად ვყოფილიყავი და მთელი კინო ცივად კი გადამიღეს.

ზოგი მეუბნება – არ მსიამოვნებს, არტისტებზე რომ ჭორაობენო. თუ მსახიობზე ჭორი არ აგორდა, მითქმა-მოთქმა თუ არ ატყდა, მისი საქმე ცუდადაა, თავის საქმიანობას უნდა გადახედოს – გამოდის, რომ ინტერესების ობიექტი არ არის...

— თქვენზე რა ჭორი აუგორებიათ?

— რა ვიცი, ბევრი რამ გამიგია, ზოგჯერ ტყუილიც, მაგრამ ყურადღებას

არ ვაქცევ. პირველად მაღიზიანებდა კიდევ. „სიყვარული ყველას უნდა“ რომ გამოვიდა, ჩემზე თქვეს – მაგას არც თეატრალური აქვს დამთავრებული, არც არაფერი, დილომში ცხოვრობს, გიორგი შენგელაიამ მოიყვანა კინოშიო. ყველამ ჩათვალა, რომ მე თვითნაბადი ნიჭი მაქვს და არა პროფესიული მომზადება.

— ისეთი პროფესია გაქვთ, მთლიანად ითხოვს დროსაც და ენერჯიასაც და მაინც, თუ ცოტაოდენი თავისუფლება გრჩებათ, სცენის მიღმა როგორ ცხოვრობთ?

— ერთმა მკითხა – თქვენი ჰობი რა არისო? უკაცრავად, არ მცალია მაგ საქმისთვის-მეთქი... იმდენი საქმე დაგროვდა თეატრის გარეთაც, რომ შევხვდავ, ადამიანს უჭირს, არ შემიძლია გულგრილად ჩავეუარო. უამრავ ადამიანს ვიცნობ თბილისში. მივდივარ და ჩუმი ვფიქროვ: ეგება, მე დამეხმაროთ-მეთქი. მერე იმ გაჭირვებულს ვეხმარები... ეს რაღაც ქველმოქმედებაში არ ჩამითვალთ – უბრალოდ, სხვანაირად არ შემიძლია. თქვენ რომ შეხვედრისთვის დამირეკეთ, გითხარით, პატარა საქმე მაქვს-მეთქი. რესპუბლიკის „გაიში“ ვიყავი. ისე ვუყვარვარ ინსპექტორებს, გიჟდებიან. არასოდეს მართვის უფლება არ ჩამოუერთმევიათ ჩემთვის – იმ დღესაც სხვისთვის მივდიოდი, რაღაც პრობლემა გაუჩნდა...

ძალიან მიყვარს მეგობრების წრეში ყოფნა, ერთი ბოთლი ღვინის დაღვევა. არის უამრავი მი პატივება, შეხვედრა.

და – ყველაზე მთავარი: ჩემი შვილები – გიორგი და ლევანი. ისინი არიან მისაყვანები, მოსაყვანები. ერთი 14 წლისაა, მეორე – 5-ის. პატარას მატარებლის მემანქანეობა უნდა, უფროსს ფეხბურთი უყვარს – ვიჟდება. ბურთის გარდა, არაფრის დანახვა არ უნდა. მათთან ვატარებ დროს... ასეთია ჩემი თეატრისგარეთა ცხოვრება.

ბატონი ტრისტანი, დღესაც, თუკი თეატრისკენ ფეხით გაივლის, ღიმილიან მზერას გაიყოლებს აუცილებლად. პატარა ბავშვებმაც კი იციან, რომ ეს გვიილოა – ის მეველე, ცოლის შერთვა რომ უნდოდა და თავზე კრამიტი რომ დაამტკრიეს... მანქანით წუმპეში რომ „ჩამოცალეს“, შესანიშნავად რომ იმღერა – „რა ვუყოთ, რომ შავი ვარ“... ცნობენ, იცინიან, შეიძლება ჭორაობენ კიდევ, მერე რა... ესე იგი, ყველაფერი რიგზეა!

„ასე გგონია, ჩვეულებრივი ვეყავით ჩვენი ვყავლი დაკარგონებულნი...“

დღუშეთის ერთ-ერთ უბანს ნელ-ნელა შევუყვები. ძალიან მიყვარს შორიდან სახლების თვალიერება. ეზო-კარი თითქოს მის პატრონს ახასიათებს... აი, ის სახლიც, რომლის სტუმრობაც მაქვს გადაწყვეტილი. პატარა ეზო და კოსტა, ერთ-სართულიანი. კრამიტით გადახურულ სახლს მამაპაპური იერი დაჰკრავს, სიძველე დასტყობია ქვეთკირის ლობესაც. უსიამოვნო თემის მიუხედავად, რომელსაც აქ უნდა შევებო, ეს ყველაფერი მაინც დადებითად განგანვობს.

უცებ კარი გაიღო და ბავშვი ბურთივით გამოვარდა გარეთ. ძალღი ყეფით გამოედევნა. ჭიშკრიდანვე შევძახე. ბავშვი გაჩერდა. ძალღი კი ჩემკენ გამოქანდა. პატარა ბიჭმა დედას დაუძახა. შინიდან თავნაკრული ქალი გამოვიდა. ეტყობა, მელოდა, მაგრამ მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ სწორედ ბზობაზე ვესტუმრებოდი. ღიმილით შემიპატიჟა, მერე კი დაბნეულად ჩამეკითხა — დიდხანს ხომ არ იძახდით, ხომ არ გალოდინეთო. დაჯამშვიდე, არა-მეთქი და დაინტერესებული მზერა მოვაგლე იქაურობას.



მარინა ბაბუნაშვილი

— ... თქვენი ჭირიბე, ლეილამ (ჩემი ნათესავია, რომელმაც დაგვაკავშირა. — ავტ.) უკვე მითხრა, რაც გაინტერესებთ; თუ გინდათ, რომ გულახდილად გესაუბროთ და არაფერი დაგიმალოთ, ვინაობის გამხელას ნუ მომთხოვთ, სამხეოზე ნუ გამომაჭენებთ, მე ჩემი კვნესა-ტკივილიც მეყოფა. პირობითად წოწკოლაური დამიძახეთ (დედაჩემის გვარია და აქ აღარც ახსოვთ), სახელს კი გეტყვით — რუსულანი მქვია.

გარეთ უფრო თბილა, ვიდრე შიგნით, ამიტომაც რუსულანი შესის ღუმელთან მიჩენს ადვილს. რუსულანმა უფროს გოგონას (ასე — 16 წლისა იქნება) გასძახა — რამე გამოგვიტანეო. ცოტა ხანში და-ძმა გამოჩნდა ტაბლით ხელში. ზედ ელაგა ჩურჩხელები, კაკალი, დუშური ქადა და არყიანი ბოთლიც შემოდგეს. ბიჭი დასთან შედარებით ძალიან პატარაა, 5-ის არ არის ჯერ.

— რატომ ამხელა სხვაობა?

— გოგოს მერე ერთი ბიჭი გავაჩინე და ორი წლისა მომიკვდა. ეპ, ჩემს ცხოვრებაზე წიგნი დაიწერება. თქვენ, როგორც ვიცო, ჩემი გაიელოვლება გაინტერესებთ, არა?

სანამ მანდამდე მივიდოდეთ, ჯერ ჩემი ცხოვრების ადრეული პერიო-

დი უნდა მოგიყვებო. ადამიანის გამტყუნება და გაკილევა ერთი შეხედვით ადვილია, ამიტომ ჯერ მისი ტკივილი უნდა გაიგოთ და მერე შეაჩვენოთ!

— სულაც არ ვაპირებ თქვენს გაკილევას, მე აქ უბრალოდ თქვენს მოსასმენად მოვდი! — გჯაღე მისი დამშვიდება, რადგან შევატყვე — რუსულანი ძალიან ღელავდა.

— ... მამაჩემი შეძლებული კაცი იყო. დედაჩემი მცხეთაში გაიცნო და ერთ თვეში მოიყვანა კიდეც — 14 წლით უფროსი იყო დედაზე. დედა ძალიან ლამაზი ქალი გახლდათ და ერთი დღეც არ უმუშავია, ჩაჯდა და ჩაჯდა სახლში, თუმცა მამა კარგი მეოჯახე იყო და არც მას, არც ჩვენ, არაფერს გვაკლებდა. მე ცხრა წლის ვიყავი, როცა დედამ ტყუპი ბიჭი გააჩინა. მამის სინარულს საზღვარი არ ჰქონდა... მეც უზომოდ ბედნიერი ვიყავი და დედას ყველაფერში ვეხმარებოდი. 18 წლამდე უდარდელად ვცხოვრობდი. ჩემს მშობლებს პირველი ტკივილი მე მივაყენე: ადრე გავთხოვდი. ჩემი ქმარი ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ სმა უყვარდა ძალიან. ხშირად ამის გამო უსიამოვნება გვქონდა ხოლმე. ამიტომაც თონას მერე შვილი აღარ მინდოდა. მისმა სმამ ოჯახი უკან დასწია. ისევ მამაჩემი გვეხმარებოდა. ჩემთან სტუმრად მყოფი

მამისთვის ხშირად შემომჩნევია თვალზე მომდგარი ცრემლი, რომლის დამალვასაც საგულდაგულოდ ცდილობდა. მე აღარ ვიყავი ის ნებიერა გოგო, რომლის სურვილის შესრულებაც ოჯახში ყველასთვის კანონი იყო — მის თვალში უღელში შებებული, ტკივილით სავსე ქალი ვიყავი, რომელსაც მომავალში ბედნიერება აღარ ელოდა. მაგრამ მაინც არ მახსოვს, მამას სიძისთვის საყვედურის მაგვარი რამ ეთქვას, — უხმოდ იტანდა ყველაფერს. საუბედუროდ, ქართველი ქალების უმრავლესობას გვგონია, რომ ოჯახის „შესანარჩუნებლად“ ყველაფერი უნდა მოითმინო, არადა, ამით ჩვენს თავსაც ვვნებთ და ბავშვების ფსიქიკასაც ვაზიანებთ. გამუდმებულ ჩხუბს და აყალმაყალს, ცალკე ცხოვრება (თუნდაც, უფრო გაჭირვებულად) სჯობს...

თონას მერე, ჩემი ქმრის დაჟინებული თხოვნით, ბიჭი გავაჩინე. თვე მართლაც სამაგალითოდ იქცეოდა — აღარ სვამდა, ბავშვების აღზრდაში მეხმარებოდა, მერე კი ისევ მიეძალა სასმელს... თავზარი დამცა მამაჩემის უეცარმა სიკვდილმა. ასე მეგონა, ცხოვრებას წერტილი დაესვა, მაგრამ როცა ქალი დედა ხდება, მას უსასრულოდ გლოვის უფლება არა აქვს...

სამოქალაქო ომის მერე გან-

ინფორმაციული-შეხვედრითი კონკრეტი

ეორა დვალის უბის ნივნაკიდან:

- 1. კვებეკი კანადის ყველაზე დიდი პროვინციაა.
- 2. ტერმინი „მერიტოკრატია“ ყველაზე ნიჭიერთა ძალაუფლებას ნიშნავს.
- 3. პანამის არხი ოფიციალურად 1920 წელს გაიხსნა. მისი სიგრძე დაახლოებით 82 კილომეტრია.
- 4. ყველაზე გრძელი სარკინიგზო გვირაბი იაპონიაშია.



5. ქმური არაღი სამხედრო მიზნებისათვის პირველად ბულგარიაში გამოიყენეს.

6. „ფორმულა-1“-ის ლეგენდარული პილოტი, ნიკი ლაუდა, საკუთარი ავიაკომპანიის მფლობელია.

7. ქერუბიმები, სერაფიმები და საყდარნი ექსტრათანი ანგელოზები არიან და ანგელოზთა იერარქიაში ყველაზე მაღალი ადგილი უჭირავთ. P.S. მთავარანგელოზები შედარებით დაბალ საფეხურზე დგანან.

8. „ბალიში – უატომო ზონა“, „მტვრიანი სხივი“, „თაფლობის საუკუნე“, „ლექსპერიმენტი“, „სარკასტი სარკესთან“, „ბოლთა“, „აუწყობელი ვიტარები“, „დაწყვეტილი სერპანტინი“ – ეს სია ტარეელ ჭანტურას ლექსების ციკლთა სათაურების ჩამონათვა-ლია.

9. მიმინო წაშში ოთხჯერ ასწრებს ფრთების დაქნევას.

10. პეტრე იბერი იბერიის მეფის, ბაკურ დიდის, შვილიშვილი იყო.

11. გვარჯილის ომი პერუში მოხდა, ლუდის პუტი – გერმანიაში, მარილის ლაშქრობა – ინდოეთში, ბორძის აჯანყება – რუსეთში.

12. „აკოე ნება ვალუბოე, მი ნე სტარონ-ნიკი რაზბოია,

ნა ზვასტუნა ნე ნუჟენ ნოჟ, ეჟუ ნენნოკო პადაპაიომ,

ი დელაი ს ნიმ შტო ზომ!“

ამ სიმღერას ფილმში „ბურატინოს თავგადასავალი“ მელა აღისა და კატა ბაზილო მღეროდნენ. P.S. ნება იმ ქართველ პოლიტიკოსებს თუ აქვთ მოსმენილი ეს სიმღერა, დღემდე რუსეთთან ურთიერთობები რომ ვერ მოუგვარებიათ?!

13. განსოვთ როგორ იწყება მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“? – „ტომ! – პასუხი არ არის. – ტომ! – პასუხი არ არის. – სად დაიკარგა ეს საძა-

საკუთრებულად მომრავლდნენ იელოვ-ელები. თურმე მათ ასე სცოდნიათ – გაჭირვებული ქვეყნისა ან კუთხის ხალხს „პროპაგანდა-აგიტაციას“ უწევენ, რომ რაც შეიძლება მეტი და მეტი მათგანი გადაიბირონ. როცა ჩემი ბიძაშვილი ციცო მესტუმრა (ისიც მოტყუებული აღმოჩნდა), კარგა ხანს მელაპარაკა „დიდ“ ღმერთ იელოვაზე, იელოველების სასწაულსა და ქველმოქმედებზე. კარგა ხანს პირდაღებული ვუსმენდი, ბოლოს გადავწყვიტე, „ბედი მეცადა“: მამის სიკვდილის შერე ისე გამიჭირდა, შვილების საკეთილდღეოდ ეშმაკს მივეყიდი სულს... გავხდი იელოველი. თვეში ორჯერ დახმარება ხელფასივით მომიღოდა. ჩემს ქმარს ქოქოლას ვაყრიდი: შენ მაგივრად იელოველები მარჩენენ-მეთქი.

აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, დუშეთის ბატალიონში ჩემი ძმებიც ჩაეწერნენ. მუხლმოდრეკილი ვევედრებოდი – არ წახვიდეთ, დედა თქვენზე დარდს გადაჰყვება-მეთქი. ასე მითხრეს: პირტიტველა ბიჭები მიდიან და 32 წლის კაცებმა აქ „ვებიარამოთ“, ეგ რაღა ნაშუსიაო?! წავიღინენ. ალბათ იცით, იმ ბატალიონიდან ცოცხალი თითქმის არავინ დაბრუნებულა. მთელი დუშეთი გლოვობდა, ბიჭები რომ ჩამოასვენეს. დედაჩემმა ამხელა

ტკივილს ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა. „გვერდით“ ისევ იელოველები დამიდგნენ: ფულიც შემაწიეს და საჭმელ-სასმელიც. გულში ვფიქრობდი – ეს რა მაღლიანი ხალხი ყოფილა, გაჭირვებაში როგორი თანადგომა სცოდნიათ-მეთქი!.. ძმებისა და დედის სიკვდილმა, ჩემი ქმრის უთავბოლო სმამ ყველაფრის მიმართ ინტერესი გამიქრო. პატარა ბიჭი მთლად თეონას იმედად დავტოვე: ის უვლიდა, აცმევედა, აჭმევედა და აძინებდა. ამიტომაც, როცა რამე უნდოდა, ბავშვი თეონასთან გარბოდა და მას სთხოვდა, მას შესჩიოდა, არადა, თვითონ თეონაც ბავშვი იყო. ერთხელაც, ღამით გამაღვიძა და

ტირილით მითხრა: გოგი ცუდად არის, მაღალი სიცხე აქვსო. დილაზე როგორც იქნა, მივატანეთ. მეორე დღეს ექიმმა რომ გასინჯა, გრიპი აქვსო – მითხრა და წამლებიც დაუნიშნა. ჩემი ქმრის „შეწუხებას“ აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც ისევ იელოველებს მივმართე. ორ საათში „გამიჩინეს“ წამლები, მაგრამ უკეთესობა არც მეორე და მესამე დღეს დაეტყო ჩემს პატარას. გადავწყვიტე, თბილისში წამომეყვანა. ინფექციურ საავადმყოფოში ბავშვს მენინგიტი დაუდგინეს. ვეღარაფერი უშველეს – სამ დღეში გარდაიცვალა...

კრიჭა შემეკრა, დარდისგან ვერც ვტიროდი, პირში წყალი რომ წყალია, ისიც კი აღარ გადამდიოდა. იგივე სჭირდა საწყალ გოგოს – ის ზომ „პატარა დედა“ იყო გოგისთვის. არც ჩემი ქმარი იყო კარგ დღეში... თანდათან მივხვდი, რომ თეონასთვის მარტო ყოფნა არაფრით შეიძლებოდა – დედამიშვილი – და ან ძმა სჭირდებოდა ძალიან... გადავწყვიტე, ბავშვი გამეჩინა. დაიბადა დიტო (დემიტრი) – ჩვენი ოჯახის მხსნელი და გადამრჩენი... დიტოს დაბადებიდან ზუთი თვის თავზე ახალი უბედურება დამატყდა თავს. ვილაცის ქელეხ-



იდან წამოსულმა ჩემმა ქმარმა არ დაიშალა და მთვრალი მიუჯდა მანქანის საჭეს, ავარიაში მოყვა და სამი თვე საავადმყოფოში სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა. ამ დროს ყველა მხარში ამომიდგა: სამ-ეზობლოც და სანათესაოც, მართლმადიდებელი ქრისტიანიც და... იელოველიც. გადარჩა ჩემი „მეუღლე“, ბავშვები დაიფიცა, რომ სასმელს აღარ მიეკარებოდა, მაგრამ ავარიის შედეგად, ერთი ფილტვი დაუზიანდა და ტუბის-პანსერის პაციენტი გახდა. ჩემი ორი წლის დიტოც ავად გამიხდა. დავფეთდი. იმდენად შეშინებული ვიყავი, რომ ავადმყოფი ბავშვი, დღე და ღამე სულ ხელში აყვანილი დამყავდა. მეზობლები მამშვიდებდნენ: ხან ავად იქნება ბავშვი, ხან – კარგად, რა მოგივიდა, თავს უნდა მოერიო, ქმარ-შვილი ნუ დაზაფერო, მაგრამ მე სხვა რამ მაშფოთებდა: ნეტავ, ღმერთი ხომ არ მსჯის რწმენის უარყოფისთვის-მეთქი? გოგოც ხომ ორი წლის იყო, რომ მომიკვდა... დიტოს მუცლის არე-ში ტკივილები დაეწყო. მთლად გადავედი ჭკუიდან. ისევ თბილისი... ისევ ინფექციური საავადმყოფო... ბავშვს დიზენტერია აღმოაჩნდა. თვალს არ ვაშორებდი მის სახეს: მძინარეს თვალებს, შუბლს, თმას და ხელებს ვუკოცნიდი. მეჩვენებოდა, რომ ბავშვი დღითი დღე სუსტდებოდა...

პეტრე-პავლობის მარხვის დღეები იდგა. ჩვენს სანახავად ჩემი ბავშვობის მეგობარი მოვიდა საავადმყოფოში. შემომაპარა: თუ მარხულობო? ვფიქრობ, რომ გავებული ჰქონდა ჩემი გაიელოველობა. ცალყბად ვუპასუხე: ნერვიულობისგან პირში არაფერი ჩამდის, ძალის მოსაცემად მხოლოდ ჩაის ვსვამ და ხანდახან პურს ვაყოლებ-მეთქი (არ მომიტყუებია, მართლაც ასე იყო). გაეხარდა და მითხრა: დიდუბის მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიაში ჩემი ნათესავია მღვდლად და მიდი, მიაკითხე, აღსარებაც უთხარი, ნურაფერს დაუშალავ – იქნებ გაზიაროს კიდევ და შენი ცხოვრებაც უკეთესობისკენ წავიდესო. კარგი, მოვიფიქრებ-მეთქი, ვუთხარი. როცა სამი

დღის მერე კვლავ მესტუმრა, დავთანხმდი, დიტო მას დავუტოვე და დიდუბის ეკლესიაში წავედი. ყველაფერი მოუყვავი მოძღვარს, პატიება ვთხოვე. მან გულისყურით მომიხმინა და მიჩრია, წავსულიყავი მცხეთის დედათა მონასტერში, იქ მამა გაბრიელის საფლავთან მუხლი მომეყარა, იქაც აღსარება მეთქვა, საფლავთან დანთებული კანდელიდან სასწაულმოქმედი ზეთი გამომიქსნა და დიტოსთვის წამომედლო. ასეც მოვიქეცი. ის ზეთი მუცელზე, შუბლზე, ყვრიმალებსა და გულისპირზე ვაცხე და სასწაულს დაველოდე... სასწაულმაც არ დაახანა. საღამო ხანს, დაღლილ-დაქანცულს ჩამეძინა. დამესიზმრა თეთრ-სამოსიანი კაცი, რომელიც მინდორში მოდიოდა, ზემოდან გალობა ისმოდა, თავზე კი შარავანდედი ედგა... დიტოს სიცილმა გამაღვიძა. პალატაში მამამისი და თეონა შემოსულიყვნენ და სათამაშოებით ართობდნენ. ბავშვი აშკარად მომჯობინდა...

მარხვის დამთავრებისას, მღვდელმა კიდევ ერთხელ ჩაიბარა ჩემი აღსარება, შემდეგ მაზიარა და დამლოცა. მას მერე ორ წელიწადზე მეტი გავიდა. ასეთი მშვიდი პერიოდი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში არ მქონია. ჩემთვის აწ და მარადის სალოცავი მხოლოდ სამეზობაა: მამადმერთი, იესო ქრისტე – ძე ღვთისა და სულიწმინდა. ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს ვმარხულობ, მარხვის დღეებში ხომ – თავისთავად, მარხვას მკაცრად ვინახავ. ღმერთმა სასტიკად დამსჯა, მაგრამ ჩემი ცოდვებიც მაპატია და ღვთის წყალობით, ცოტათი გავიმართეთ წელში.

— რუსუდან, იელოველები აღარ ყოფილან თქვენთან?

— იყვნენ, მაგრამ ძალიან შეუვალი გავხდი. თავისუფლად ამოვიხუნთქე. ასე მგონია, მაჯლაჯუნას და ეშმაკს ვყავდი დაპატრონებული... აი, გარეთ ბურთს რომ თამაშობს, იმ ბიჭის დამსახურებაა და ჩემი მეგობრის ხელშეწყობით არის, რომ მე კვლავ მართლმადიდებლობას ვეზიარე და ჩემი ერის ქრისტიანულ რწმენას დავუბრუნდი.

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეორა ღვალის უბის წიგნაკედან:

გელი ბიჭვი?! – ეს დასაწყისი სომხურად დასწლოებით ასე ჟღერს: „ტომ! – პატასხან ჩკა. – ტომ! – პატასხან ჩკა. – ვორდელა ტომ“. P.S. ვახუშტი კოტეტიშვილი კუჭის შეკრულობას ხუმრობით „პატასხან ჩკას“ ეძახის.

14. კონსტანტინე გამსახურდია ლენინის ორდენით ორჯერ იყო დაჯილდოებული.

15. ნაჯახით თავის მოჭრა ძველი რომაული წესია.

16. რადომისლსკი ზინოვიევის ნამდვილი გვარი იყო.

17. ალებარდა ერთ-ერთი უძველესი იარაღია. იგი გრძელ შუბზე წამოცმულ ნაჯახს წარმოადგენს.

18. ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალი ქალაქ სტოკჰოლმში იმართება.

19. როდესაც ჩეხოვს თურქეთ-საბერძენეთის ომის შესახებ რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს, მწერალმა საოცარი გულგრილობა გამოიჩინა. ბოლოს პირდაპირ ჰკითხეს, ვინ უფრო ვიყვარო, ბერძენი თუ თურქები, – მე მარბელადი მიყვარსო! – უპასუხა მწერალმა.

20. „ხოჩა ლადელუ ჯვარ“ (კარგი დღემცა გაქვს) – ასე ესალმებიან ერთმანეთს სვანები.



21. ტყვია არასოდეს მიფრინავს სწორხაზოვნად. იგი ყოველთვის თვალთ შეუმჩნევლ რკალს შემოწერს.

22. ტიგრან გულიოანი ციხეში 23041 ნომრით იყო აღნიშნული.

23. ანა მარია გროშო მადამ ტიუსოს ნამდვილი სახელი და გვარია.

24. ჩიჩილაკს თხილის ტოტისგან ამზადებენ.

25. ცხონებულმა შოთა ნიშნანიძემ ერთ დროს ვერლიბრისტებს შეუტია. ამ ამბავს ალექსი ჭინჭარაულის გარეშე არ ჩაუვლია: „შოთამან ნიშნანიძემ შემოგთავალათ შარია,

რითიან ლექსში ურითიო, რომელმან ბრიყმან შარია?!“

მე ყველა კარგად გავსინჯე, ერთმანეთს შავადარი,

ვერლიბრის საქმე „ვერ ლავეს“, თეთრისაც შავად არა“.

მსჯავრდებულები:
ლოლიშვილი (მარცხნივ)
და კუტალაძე



„რუსუდან თბილელს თაჲი არ მოუკლავს — იგი მოკლავს“

ანდრო ჭანტურიას სადისტური მკვლელობის დაფარვისთვის ორ ბრალდებულს ასამართლებენ

მეზი სანავა

1999 წლის ზამთარში თბილისში ჩადენილი გახმაურებული, სერიული მკვლელობების ამბები, რომლებიც 52 წლის ქალის – რუსუდან თბილელის სახელს უკავშირდება, საზოგადოების ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა. თუმცა, ამჯერად, ამ საშინელ ფაქტებზე ატეხილი ხმაური სულ სხვა კუთხით გაისმის, დანაშაულებზე ადრე გავრცელებული ცნობები თანდათან ქარწყლდება და მათ ადგილს უფრო არგუმენტირებული, რეალობასა და ლოგიკასთან გაცილებით მიახლოებული ვერსიები იკავებს... ამჟამად, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ერთ-ერთ მკვლელობაში თბილელთან თანამონაწილეობაში ბრალდებულ ზურაბ ლოლიშვილსა და დავით კუტალაძეს ასამართლებენ (ცნობილია, რომ თავად თბილელმა ციხეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა). თუმცა, სადისტური მკვლელობების მიზეზი ამ სახელებსაც სცილდება...

თბილისში, დიდმის მასივის მე-6 კვარტლის №19 კორპუსში მცხოვრები მარტოხელა დედის (მას ერთი არასრულწლოვანი ვაჟი – დათო ჰყავდა) – რუსუდან თბილელის შესახებ 1999 წლის 13 დეკემბერს გახდა ცნობილი. ამ დღეს ეს ქალი, მისივე მეზობლების შეტყობინების შედეგად, პოლიციამ დააკავა. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, რუსუდან თბილელმა მის მეზობლად მცხოვრები მოხუცი ქალი – ვალენტინა ბელევა მოკლა. თბილელი დაუძლურებულ, მარტოხელა მოხუცს უვლიდა, რომ-

ლისგან მადლიერების ნიშნად, თურმე, ანდერძიც კი მიუღია. ვალენტინა ბელევა მას, თავისი სიკვდილის შემდეგ, საკუთარ ბინას უტოვებდა.

1999 წლის 12 დეკემბერს თბილელის მიერ ჩადენილი მკვლელობა ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თუმცა, ფაქტი ფაქტად დარჩა... სამართალდამცავებმა სრული კატეგორიულობით განაცხადეს, რომ ბელევა პისტოლეტიდან გასროლის შედეგად იქნა მოკლული. დანაშაული თავად თბილელმაც აღიარა და დასძინა, რომ მოხუც ქალს მან „ერმას“ სისტემის პისტოლეტიდან ესროლა. პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნული იარაღი თბილელს თავის სახელზე კანონიერად ჰქონდა გაფორმებული. გამოძიების მასალებში მკვლელობის მიზეზი დაკონკრეტებული არ იყო. მის შესახებ ვერსიები (მხოლოდ ძიების გარეთ) ორი თვის შემდეგ გაჩნდა, როცა თბილელის კუთვნილ ავტოფარეხში, მიწაში ჩამარხული მამაკაცის გვამის ნაწილები იპოვეს...

სამართალდამცავებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ აღნიშნული გვამი თბილისში მცხოვრებ, 29 წლის, ცოლიან, პროფესიით ექიმს – ანდრო ჭანტურიას ეკუთვნოდა, რომელიც 26 ოქტომბერს მოულოდნელად და უცნაურად გაუჩინარდა. დიდუბის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები, რომლებიც რუსუდან თბილელის საქმეს იძიებდნენ, თებერვალში აცხადებდნენ, რომ ეჭვმიტანილისგან მათ მეორე აღიარებითი ჩვენება მიიღეს. ამ ჩვენებაში როგორც თბილელი აღნიშნავს, ანდრო ჭანტურია მან საკუთარ ბინაში მოკლა. მაშინ, როცა მათ სუფრასთან შელაპარაკება მოუვიდათ,

იგი ადგა და ზურგიდან, მიპარვით, საკუთარი პისტოლეტიდან ტყვია ესროლა. გარდაცვლილი დაანაწევრა, დახერხა და პარკში გამოხვეული ნაწილები მის კუთვნილ ავტოფარეხში დამარხა...

საქმის მასალების მიხედვით, ჭანტურია თბილელმა 1999 წლის 26 ოქტომბერს მოკლა. აქედან გამომდინარე, დაზარალებულებს (მოკლულის ახლობლებს) და არა მარტო მათ, გაუჩნდათ ეჭვი, რომ თბილელს დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ, მოხუცი მეზობლის მოკვლა იმიტომ დასჭირდა, რომ ალბათ, ამ უკანასკნელმა პირველი მკვლელობის შესახებ რაღაც იცოდა, რაღაცას თვალი მოჰკრა, რის შესახებაც მასთან დაახლოებულ თბილელს უთხრა, რომელსაც შეეშინდა და არასასურველი მოწმის მოშორება გადაწყვიტა. თუმცა, საინტერესო ის გახლავთ, რომ რუსუდან თბილელის მსხვერპლთა სია მხოლოდ ამ ორი ადამიანით არ ამოიწურება. საქმის მასალების მიხედვით, ჯერ კიდევ ანდრო ჭანტურიას მკვლელობამდე, მან ვინმე ლევან გიორგაძე გამოსაღმა სიცოცხლეს. ოფიციალური ვერსიით, თერჯოლის რაიონიდან თბილისში ჩამოსული ხელოსანი, 70 წლის გიორგაძე თბილელის საყვარელი იყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ ურთიერთობა დაეძაბათ და უთანხმოების საფუძველზე, შურისძიების მიზნით, თბილელმა იგი მოკლა. მოკლულის სხეული საკუთარ ავტოფარეხში დაწვა, ნარჩენები პოლითილენის პარკებში მოათავსა და ნაკვის მანქანას გაატანა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მკვლელობის სცენები მას ფურცლებზე დაწვრილებით ჰქონდა აღწერილი, ეს ჩანაწერები კი ავტოფარეხში მდებარე პატარა ყუთში ჰქონდა. პოლიციელებს თბილელმა ეს ყუთი თავად უჩვენა... ოპერატიულმა მუშაკებმა იქვე მიწაში ჩაფლული ტანსაცმლის ნაწილები იპოვეს, რომელიც გიორგაძის ახლობლებმა ამოიცნეს.

რაც შეეხება ანდრო ჭანტურიას, მისი მკვლელობის შესახებ საკმაოდ უცნაური გარემოების წყალობით გახდა ცნობილი. ვალენტინა ბელევას მკვლელობის ფაქტზე თბილელის დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პროკურატურაში გამოცხადდა თბილელის დედა – ქრისტინე ბაიაშვილი და გამოძიებლებს ქალაქის პატარა ნაგლეჯების შესახებ აუწყა. „... ვალაგებდი რუსუდანის წიგნებს, რომლებიც წამოვიღე მისი სახლიდან, ერთ-ერთი წიგნიდან გადმოვარდა წერილი, სადაც ეწერა – მე მოვკალი კაცი, რომელიც დავმარხე ვარაყში... მე მოვკალი ვლია, მის შენახვაში

დამხარჯვა 1.000 ლარი, მე თუ ციხიდან ვერ გამოვალ, ჩემს დათუნას მოვკლავ და წყალში გადავაგდებ“... – წერს ჩვენებაში ბაიაშვილი. თბილელის ეს ჩანაწერები საქმის მასალებში ფიზიკურად არ არსებობს. დედის გამოცხადების შემდეგ, იმავე დღეს, პროკურატურაში მივიდა რუსუდან თბილელის ძმაც – ჰამლეტ თბილელი და თანამშრომლებს აუწყა, რომ დის ავტოფარეხში მან უცხოური მარკის უცნობი ავტომანქანა იპოვა და სამართალდამცავებს მისი მფლობელის ვინაობის დადგენა სთხოვა. მანქანის პატრონი ანდრო ჭანტურია აღმოჩნდა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, პოლიციელების მიერ საკუთარ ავტოფარეხში მიყვანილმა თბილელმა თავად მიუთითა იმ ადგილებზე, სადაც გვამის ნაწილები იყო დამარხული.

აღიარებისას თბილელმა ვინმე ზურაბ ლოლიშვილიც დაასახელა. მისი თქმით, ლოლიშვილი ჭანტურიას მკვლელობაში მონაწილეობდა, იმ დღეს ბინაში მასთან ისიც იმყოფებოდა, ერთი ტყვია მანაც ესროლა, მერე კი გვამის დახერხვასა და დამარხვაში დაეხმარა. სამართალდამცავებმა ლოლიშვილი მეორე დღესვე დააკავეს და მისგან ასეთი შინაარსის ჩვენება მიიღეს: ჭანტურიასთვის ტყვია არ მისვრია, გვამის დახერხვასა და დამარხვაში კი დავეხმარეო. იგივე გაიმეორა ლოლიშვილმა თბილელთან დაპირისპირების დროს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი კვლავ ეუბნებოდა – ტყვია მას შენც ესროლოო.

რამდენიმე თვის შემდეგ გამოძიების მასალებში მესამე გვარიც – კუტალაძე გაჩნდა. სამართალდამცავთა თქმით, მკვლელობის შემდეგ, თბილელმა ვინმე – დავით კუტალაძეს დაურეკა, იგი მასთან მივიდა და ლოლიშვილსა და თბილელს ავტოფარეხში დაყენებული ჭანტურიას კუთვნილი ავტომანქანის დაშლასა და ნაწილების რეალიზაციაში დაეხმარა. პროკურატურამ ამის დამადასტურებელი ჩვენება კუტალაძისგანაც მიიღო.

საქმის მასალების მიხედვით, სამივე – ლევან გიორგაძეც, ზურაბ ლოლიშვილიც და დავით კუტალაძეც რუსუდან თბილელის საყვარლები იყვნენ. იგივე ითქვა ანდრო ჭანტურიაზეც, თუმცა ამ უკანასკნელის ნათესავები ამას კატეგორიულად უარყოფენ. ამ ეჭვს საფუძვლად მკვლელობის საქმის ძიებისას მოულოდნელად გამოჩენილი დავით კუტალაძის ჩვენება დაედო. მისი თქმით, რუსუდან თბილელი მას უყვებოდა, რომ რამდენიმე წლის წინ ანდრო ჭანტურია იგი მივარდნილ ადგილას მი-

იყვანა და გააუპატიურა, თბილელმა მისი მანქანა დაიმხსოვრა და იმ დღიდან ეძებდა მას, რათა შური ეძია. 1999 წლის 26 ოქტომბერს შეხვდა კიდეც და თავისთან სახლში წაიყვანა, საკუთარ ბინაში კი მასთან ანგარიში გაასწორა და მოკლა.

ალსანიშნავია, რომ ფაქტის გამოამკარავებიდან დავით კუტალაძის გამოჩენამდე, საქმის მასალებში მკვლელობის სხვა მოტივი ფიგურირებდა. თავდაპირველი ვერსიით, ყველაფრის მიზეზი ვალი იყო: თითქოს ანდრო ჭანტურიას ზურაბ ლოლიშვილისგან 4.000 დოლარი ჰქონდა ნასესხები, რომელიც დროულად ვერ გადაუხადა და მრავალგზისი მოთხოვნის მიუხედავად, ვერც მერე ახერხებდა მის გადახდას. სწორედ ამის გამო, ლოლიშვილმა და მისმა საყვარელმა – თბილელმა ჭანტურიას საქმე გაურჩიეს, რაც საბოლოოდ, მკვლელობით დასრულდა. მის ავტომანქანას კი, რომელიც თბილელის ავტოფარეხში შეიყვანეს, ნაწილ-ნაწილ ყიდდნენ, ხოლო თანხას ინაწილებდნენ. ამ ვერსიას დაზარალებულები იმთავითვე უარყოფდნენ და ჭანტურიას მიერ რაიმე თანხის სესხებას კატეგორიულად გამორიცხავდნენ. ამის დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა თბილელისა და ლოლიშვილის ჩვენებისა, გამოძიებას არც გააჩნდა. საბოლოოდ კი, ის კუტალაძის ზემოთ ხსენებული ჩვენებით გაქარწყლდა.

ჭანტურიას ახლობლები მკვლელობის როგორც პირველ, ასევე მეორე მოტივსაც კატეგორიულად უარყოფენ.

ჭანტურია და დედა, გულიკო ჭანტურია:

„1999 წლის 26 ოქტომბერს ანდროს ცოლისდას დაბადების დღე ჰქონდა. მას ღვინო და სურსათი უნდა მოეტანა, თუმცა დაახლოებით დღის 2-ის ნახევრისთვის მოულოდნელად დაურეკეს – თურმე, მისი მეგობრის სიღვდრი საავადმყოფოში მოუთავსებიათ და სასწრაფო ოპერაციას უკეთებდნენ. ანდროს, როგორც ექიმს, დახმარება სთხოვეს. მან, რა თქმა უნდა, ყველა საქმე გადადო და მეგობრის დასახმარებლად თავისივე ავტომანქანით დაუყოვნებლივ ჰოსპიტლისკენ გაემართა. საავადმყოფოში მართლაც მისულა, ეს იქ მყოფმა მისმა მეგობრებმაც დაადასტურეს,



ლევან გიორგაძე



ანდრო ჭანტურია

და იქიდან წამოსულა, მაგრამ ჩვენამდე აღარ მოსულა... სად წავიდა, ვის შეხვდა ან როგორ მოხვდა თბილელის ბინაში, წარმოდგენა არა გვაქვს. მისგან იმ ქალის ვინაობის ან მისი არსებობის შესახებ არასდროს გვსმენია და არც შეიძლება გვსმენოდა, რადგან მას ასეთ ქალთან რაიმე ურთიერთობა არ ექნებოდა. ანდრო ვლიტარული წრის მამაკაცი გახლდათ (ამას ბევრი დაგიდასტურებთ) და რუსუდან თბილელთან იგი კავშირს არ დაამყარებდა. არც ის შეიძლებოდა, რომ მისგან ან რომელიმე მისი ნაცნობისგან ფული ესესხებინა. ასეთ ფაქტს მართლაც რომ ჰქონოდა ადგილი, ნუთუ არაფერს დარეკავდა სახლში, ერთხელ მაინც არ მოიკითხავდა კუთვნილ თანხას, მითუმეტეს, თუ ანდრო ვალს ვერ იხდიდა? არაფერს სატელეფონო ზარს ან სხვა შეტყობინებას ვალის შესახებ ადგილი არ ჰქონია... ხოლო რაც შეეხება კუტალაძის ჩვენებას, იმ პერიოდში, როცა, მისი თქმით, ანდრომ თბილელი გააუპატიურა, ჩემი შვილი თბილელისში არ იმყოფებოდა – მოსკოვში იყო და, უფრო მეტიც – იმ დროს მას მანქანა საერთოდ არ ჰყავდა...“

რუსუდან თბილელისა და ლევან გიორგაძის სასიყვარულო ურთიერთობის შესაძლებლობას გამორიცხავენ ამ უკანასკნელის ნათესავებიც.

ინგა გიორგაძე:

„70 წლის მამაკაცი, რომელიც რაიონიდან იძულებით იყო თბილისში სამუშაოდ წამოსული, რათა პურის ფული ემოვა და ოჯახი ერჩინა, ვილაც ქალს ინტიმური ურთიერთობის დასამყარებლად არ დაუკავშირდებოდა. ეს მამაჩემის ბუნებრივად გამოძინარე, წარმოდგენელია. ის ყველასთვის მოულოდნელად დაიკარგა, სად არ ვეძებთ, ვერსად კვალს ვერ მივაგენით. მერე შევიტყვევით, რომ თბილელს მოუკლავს. ამის შესახებ მისი ჩანაწერებიდან ვახსენებ ცნობილი, სადაც მამაჩემის სახელს და გვარს მიუთითებს და წერს

– ვეძებდი მსხვერპლს და წავედი კოლმურერობის მოედანზე, საიდანაც სახლში მოტყუებით ხელოსანი წამოვიყვანო... მერე ისიც დაწერა ჩვენებაში – ჩემთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდაო. საერთოდ, აბნეული და გაუგებარი ჩვენებები აქვს და დღემდე ვერ გამოვიცხადე, როგორ მოხვდა მამაჩემი ამ ქალის სახლში და რისთვის მოკლა, მერე კი ასე სადისტურად დაწერა იგი...”

„ჩვენ საქმე შეკვეთილ მკვლელობასთან გვაქვს. რუსუდან თბილელი, ზურაბ ლოლიშვილი და დავით კუტალაძე მეორეხარისხოვანი პირები არიან. ისინი, უბრალოდ, საქმის შემსრულებლები არიან, ხოლო მათ უკან სხვა ადამიანები დგანან. ჩემი აზრით და, სამწუხაროდ, ღრმა რწმენით, პროკურატურის თანამშრომლებმა ეს იციან და ხელს აფარებენ“ – განაცხადა ჩვენთან საუბრისას მოკლულის – ანდრო ჭანტურიას დედამ. ყველაფერთან ერთად, ის რუსუდან თბილელის ციხეში თვითმკვლელობასაც ეჭვქვეშ აყენებს:

„თბილელს თავი არ მოუკლავს – ის მოკლეს. ციხიდან ჩვენ მოვედიოდა ინფორმაცია, რომ თბილელი, ვიდრე დაპატიმრებული იყო, თურმე, მანიკიურებს იკეთებდა და თმის ვარცხნილობებს იცვლიდა, იპრანჭებოდა და ოცნებობდა, როგორმე იქიდან გაპარულიყო, რასაც, როგორც ჩანს, პპირდებოდნენ კიდევ, თორემ ისეთ კარგ გუნებაზე ვერ იქნებოდა. მერე, არ ვიცი – ვისი დარიგებით, მშრალი შიმშილობა გამოაცხადა, გათავისუფლებას ითხოვდა. შიმშილობის შედეგად, ძალიან ცუდად გახდა და, როგორც ამბობენ, წვეთოვნად კი დასჭირდა. საავადმყოფოში, თურმე, საკაცით მოუყვანიათ, განძრევის თავი არ ჰქონდაო. იმავე დამით ის ფეხზე ვერ დადგებოდა და, მით უმეტეს, თავის ჩამოხრჩობას ვერ შეძლებდა. ზეწრის ვაგლეჯას, მის ჩამოკიდებას, მარწყვის ვაკეთებას და მერე თავის ჩამოხრჩობას რა, ძალა არ უნდოდა? გამოირცხვლია, რომ ისეთ მღვთმარებაში მას ეს შესძლებოდა“.

დაზარალებულების — ჭანტურიების ადვოკატი, მაია მახარაშვილი:

„გამოძიების მასალებში უამრავი უზუსტობაა. წინააღმდეგობებია, როგორც ლოლიშვილისა და კუტალაძის, ასევე თავად თბილელის ჩვენებებში. თავად ფაქტი ანდრო ჭანტურიას მკვლელობის საქმის მასალებში ისეა წარმოდგენილი, რომ ბევრ შეკითხვასა და ეჭვს ბადებს. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი დეტალი – ცნობილია, რომ ანდრო ჭანტურიას მკვლელობა, ფაქტობრივად, თბილელის დედამ და ძმამ განხორციელეს. ძმა – ჰამლეტ თბილელი მივიდა პროკურატურაში (ეს ხდება თბილელის დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ) და გამოძიებლებს უცნობი ავტომანქანის შესახებ აუწყა. არადა, ვიდრე ის გააღებდა ავტოფარების კარს, მანამდე იქაურობა პოლიციელებმა – ოპერატიულმა მუშაკებმა მოინახულეს. დაინახეს უნომრო, ნახევრად გაძარცვული ავტომანქანა, მაგრამ მას ყურადღება არ მიაქცევს. როგორც ეს გამოძიების მასალებიდან ჩანს, ისინი არც დაინტერესდნენ, რა მანქანა იყო ის, ან რა კავშირი შეიძლება ჰქონოდა მას თბილელთან... აღსანიშნავია ერთი დეტალიც: 26 ოქტომბერს, სახლიდან გასვლის წინ, როცა ანდრო ჭანტურია მეგობრის სიდერის ოპერაციასთან დაკავშირებით საავადმყოფოში მიდიოდა, მას მეუღლესთან ასეთი საუბარი ჰქონდა: „მანქანაში ძალიან ცოტა ბენზინი მაქვს, მაგრამ იმისთვის მეყოფა, რომ საავადმყოფოში მივიდე და იქიდან შინ დავბრუნდე“. მერე ეზოში გასვლისას დააფიქსირა, რომ მხოლოდ 50 თეთრი ჰქონია და ცოლს უთხრა: „ეს ფული ბენზინის ჩასახმელად არც მეყოფა, ამიტომ მოვალ, მერე ჩავსხამ და ჩვენც წავალთ (ცოლისთვის დაბადების დღეზე წასვლას გულისხმობდა). შენ კი, ვიდრე მე დავბრუნდები, აბაზანა მომიშადა, 2 საათისთვის სახლში ვიქნები...“ ბენზინის რაოდენობას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ პოლიციელებმა თბილელის ავტოფარებში ჭანტურიას მანქანის დათვალიერებისას ის 50 თეთრიც იპოვეს და თან ბენზინით თითქმის სავსე ავზი დააფიქსირეს. მეგობრები დაიკითხნენ, ფული ანდროს არავისთვის გამოუერთმევი, რომ ბენზინი ჩაესხა... ეს დეტალიც გამოძიებამ რატომღაც ყურადღების მიღმა დატოვა...“

„საინტერესოა, რა დაიბრალა ლოლიშვილმა? მან პირველსავე დაკითხვის დროს გარკვევით თქვა, რომ ტყვია არ უსვრია. თუკი პროკურატურის თანამშრომლებს მისთვის რაიმეს დაბრალება უნდოდათ, სცემდნენ და აწამებდნენ მას. ცხადია, მკვლელობაში თანამონაწილეობის აღიარებას მოსთხოვდნენ და არა დანაშაულის დაფარვის აღიარებას. თუკი, როგორც თავად ამბობს, იძულებული გახდა, ყველაფერზე ხელი ბრმად მოეწერა, მაშინ მკვლელობას აიღებდა თავზე. ის კი წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ყველა ჩვენებაში, ისევე, როგორც თბილელთან დაპირისპირების დროს, კატეგორიულად უარყოფს – ტყვია არ მისვრიაო“...

ადვოკატი მაია მახარაშვილი: „ჭანტურიას მკვლელობის განხორციელება რუსუდან თბილელი ციხეში ორი თვის განმავლობაში იჯდა და მას ლოლიშვილის სახელი არ უხსენებია. მისი გვარი მან მხოლოდ მაშინ დაასახელა, როცა იძულებული გახდა, აღნიშნული მკვლელობა ელიარებინა. დღეს ლოლიშვილის დამცველი ადვოკატები ავითარებენ იმ აზრს, თითქოს თბილელი ლოლიშვილისადმი მტრულად იყო განწყობილი და მხოლოდ შურისძიების მიზნით „გასვარა“ იგი ამ საქმეში. საინტერესოა – თუკი შურისძიება უნდოდა, ორი თვე რას ელოდებოდა? მას ლოლიშვილის თანამონაწილედ გამოცხადება ბელეგას მკვლელობის გამოაშკარავების დროსაც შეეძლო“...

შორენა ძინძიბაძე, ზურაბ ლოლიშვილის ადვოკატი: „ეს არ შეიძლება არგუმენტად ჩაითვალოს. თუკი ლოლიშვილი მართლაც დამნაშავე იყო, მას თავისუფლად შეეძლო თბილელის „ჩავარდნის“ შემდეგ, გაქცეულიყო და დამალულიყო, საამისოდ მას სრული ორი თვე ჰქონდა, მაგრამ აღნიშნული ბრალდება მისთვის იმდენად მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო, რომ მას გაქცევის სურვილი არათუ მანამდე, არამედ პოლიციელთა მიერ მისი მოკითხვის დროსაც კი არ გასჩენია“.

მაია მახარაშვილი:

„საინტერესოა, რა დაიბრალა ლოლიშვილმა? მან პირველსავე დაკითხვის დროს გარკვევით თქვა, რომ ტყვია არ უსვრია. თუკი პროკურატურის თანამშრომლებს მისთვის რაიმეს დაბრალება უნდოდათ, სცემდნენ და აწამებდნენ მას. ცხადია, მკვლელობაში თანამონაწილეობის აღიარებას მოსთხოვდნენ და არა დანაშაულის დაფარვის აღიარებას. თუკი, როგორც თავად ამბობს, იძულებული გახდა, ყველაფერზე ხელი ბრმად მოეწერა, მაშინ მკვლელობას აიღებდა თავზე. ის კი წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ყველა ჩვენებაში, ისევე, როგორც თბილელთან დაპირისპირების დროს, კატეგორიულად უარყოფს – ტყვია არ მისვრიაო“...

ვინ აგზავნის სიბერეებს?

**„გამომიყვანა თქვა:
ის სპულენგები
წითელკლოვიანი
მოკლე და
მეხ ასე ღაწიანი...“**



განსასჯელი მურაბ ლომაძე

მეხი სანავა

უზენაეს სასამართლოში ზურაბ ლომაძის მეგობრები დაჰკითხეს (ამ პროცესის შესახებ იხ. „გზა“ №10. №14 2001 წ.). მათ 10 წლის წინ მიმხდარი მკვლელობების დეტალები გაიხსენეს, თუმცა, ვერჯერობით არც ერთი მათგანი განსასჯელს ხელს არ ადებს. ამ მოწმეთა თქმით, დანა, რომელმაც 19 წლის ბიჭების – დათო ჯორბენაძისა და ზაზა როინიშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა, მათ ლომაძის ხელში არ დაუნახავთ.

ზურაბ ლომაძის ხელში დანის არსებობა სასამართლოში დაკითხული მისი მეგობრებიდან მხოლოდ ერთმა – კობა ბელიძემ დააფიქსირა. „ჩხუბის დროს ზურამ ასფალტიდან რაღაც დანის მაგვარი აიღო“, – აღნიშნა ბელიძემ, თუმცა, მისი თქმით, დაჭრის მომენტი მას არ დაუნახავს. მანვე უარყო ჯორბენაძეზე ქურთუკის გახდის მიზნით თავდასხმის ფაქტი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ჩვენებების მიცემა, გამოძიების მასალების მიხედვით, შემთხვევის ადგილას ლომაძესა და ბელიძესთან ერთად მყოფ, ჩხუბში მონაწილე ორ ძირითად მოწმეს – ჩხუტიაშვილსა და მარდალეიშვილს შეეძლო. დათო მარდალეიშვილმა წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში დათო ჯორბენაძეზე ქურთუკის გამო თავდასხმის ფაქტი დააფიქსირა, თუმცა უზენაეს სასამართლოში მან ყველაფერი უარყო და განაცხადა: „მე და ზურა ლომაძემ შევნიშნეთ, რომ კობა ბელიძეს ვიდაც ბიჭები (მათ შორის ჯორბენაძე) ეჩხუბებოდნენ და მათთან გასაშველებლად მივედით. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ჩხუბი გოგონას გამო მოხდა“.

ადრინდელი ჩვენება კი მარდალეიშვილმა იმით ახსნა, რომ გამოძიებელი მას დაჰპირდა – ასე დაწერე, შენ მაინც ამინსტია შეგეხებაო. „მე თავის დასხნა მინდოდა, ამიტომაც დავწერე მეგობრის საწინააღმდეგო ჩვენება“ – თქვა მან. რაც შეეხება გურამ ჩხუტიაშვილს მრავალგზის დაბარების მიუხედავად, ის უზენაეს სასამართლოში არ ცხადდება. ბელიძის თქმით, მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩხუტიაშვილი თბილისში არ იმყოფება.

საქმის მასალებში მომხდარ ფაქტს, რომელიც ჩხუბის ორი ეპიზოდისაგან შედგება, 40-მდე მოწმე ჰყავს. მათგან სასამართლომ დას-

ლოებით 10 უკვე დაჰკითხა. დაზარალებულთა მხარის წარმომადგენელთა უმრავლესობამ ზურაბ ლომაძე ამოიცნო. ისინი მას მკვლელად აცხადებენ. განსასჯელის მხრიდან მოსული მოწმეები კი, ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხს ვერ იძლევიან.

გიორგი ქავთარაძე და კოტე ბარძელაშვილი ის ადამიანები არიან, რომლებიც 1991 წლის 19 აპრილს თბილისის უნივერსიტეტთან ლომაძეს, მის მეგობრებსა და ჟურნალისტების ფაქულტეტის სტუდენტებს შორის ატეხილი ჩხუბის მომსწრენი და თვითმხილველები იყვნენ.

სასამართლო კოლეგას მათ ჩვენება მისცეს. გიორგი ქავთარაძე:

„ზურაბ ლომაძეს ბავშვობიდან ვიცნობ, სკოლაში ერთად – ერთ ვეგუფში ვსწავლობდით. მასთან განსაკუთრებული მეგობრობა არ მაკავშირებდა, მაგრამ იმის გამო, რომ კლასელები ვიყავით და თან ორივე ვავახიშვილის უნივერსიტეტში ვსწავლობდით, ერთმანეთთან კარგი ნაცნობობა გვქონდა, ხშირადაც ვხვდებოდით ერთმეორეს. იმ დღეს (1991 წ. 19 აპრილს) უნივერსიტეტში ვიყავი, ლექციების დამთავრების შემდეგ I კორპუსის მეორე სართულზე მე და ჩემი მეგობარი – კოტე ბარძელაშვილი ფანჯრის რაფაზე ვისხედით. რაღაც წუთში ფანჯრიდან გადავიხედე და დავინახე, რომ კორპუსთან ახლოს ხალხი მოგროვდნენ. იქვე ზურა ლომაძე და კობა (გვარი არ მახსოვს, მას, უბრალოდ, „გამარჯობით“ ვიცნობდი) შევნიშნე (საქმის მასალების მიხედვით, ქავთარაძის მიერ დასახელებული კობა – კობა ბელიძე უნდა იყოს. – ავტ.). ზურას ირგვლივ 8 კაცი მაინც იდგა, მათგან სამი თუ ოთხი მას სცემდა. ზურა ცდილობდა, თავი დაეცვა. მის ხელში რაიმე იარაღი არ შემინიშნავს. ამ დროს კოტეს, რომელიც ლომაძეს არ იცნობდა, ვუთხარი – ჩემს ნაცნობს სცემენ-მეთქი და ქვემოთ ჩასვლა გადავწყვიტე დასახმარებლად. კოტეც გამოძვია. ძირს ჩასასვლელად ერთი წუთი დაგვეჭირებოდა, თუმცა როცა ჩავედით, ჩხუბი უკვე დამთავრებული იყო. მოჩხუბრებაც მიმოფანტული იყვნენ, ვერც ზურა დავინახე. მე ნაცნობებს შევეკითხე – რა მოხდა-მეთქი? მთხზრეს – ჯორბენაძე და როინიშვილი დაჭრეს. ეს გვარები ჩემთვის უცნობი იყო, ამიტომაც შემთხვევის ადგილას

დღისანს აღარ გაეჩერებულვარ“.

გამოძიების მასალებით, ზურაბ ლომაძეს იმ დღეს წითელი პულკოვი ეცვა. არაერთი მოწმის ჩვენებით, დანაც სწორედ წითელკლოვიანი ეჭირა. გიორგი ქავთარაძის თქმით, მას არ ახსოვს, მაშინ ზურაბ ლომაძეს რა ეცვა. თუმცა, სასამართლო პროცესზე დაკითხვულმა მისმა მეგობარმა – კოტე ბარძელაშვილმა აღნიშნა, რომ ქავთარაძემ ფანჯრიდან მას წითელკლოვიანი მუითითა – ჩემი ნაცნობა და სცემენო. ბარძელაშვილისა და ქავთარაძის ჩვენებებში მხოლოდ ეს ერთი, თუმცა არსებითი წინააღმდეგობა აღმოჩნდა.

დაღუპულთა თანაკურსელების ჩვენებების მიხედვით, 1991 წლის 19 აპრილს დათო ჯორბენაძესა და დათო ბაკურაძესთან მომხდარი პირველი ჩხუბის შემდეგ (როცა, საქმის მასალების თანახმად, ჯორბენაძეს ქურთუკის წართმევის მიზნით თავს ორი ახალგაზრდა დაესხა), ჯორბენაძეს შუბლზე ბასრი იარაღის შედეგად მიღებული განაკაწრი ჰქონდა. სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ერთ-ერთმა მოწმემ – მიხეილ სტურუამ, რომელიც იმ დღეს ორივე ინციდენტს შეესწრო, განაცხადა, რომ პირველი ჩხუბის დროს დანის ხმარებას ადგილი არ ჰქონია.

მიხეილ სტურა:

„იმ პერიოდში ვავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, თუმცა არც დაღუპულებს – ჯორბენაძესა და როინიშვილს, არც განსასჯელს და მათ მეგობრებს არ ვიცნობდი. 1991 წლის 19 აპრილს ორივე ჩხუბს სრულად შემთხვევით შევესწარი. ლექციების დამთავრების შემდეგ ჩემს მეგობართან – ვლადიმერ ბარჯანიასთან ერთად კორპუსიდან გამოვედი და I-სა და II კორპუსებს შორის რაღაც ჩხუბის მაგვარს მოგვარი თვალი. ჩხუბი კი არა, გაწვევამოწვევა იყო. გასაშველებლად მივედით, მაგრამ მოჩხუბრები მალე დაიმალნენ. ჩვენც იქიდან წავუდით და იქვე მდებარე ბარში შევედით. ბარიდან რომ გამოვედით, გზის მეორე მხარეს კვლავ ჩხუბს მოვკარით თვალი. პირველი ჩხუბის დროს წითელკლოვიანი ბიჭი დამამსხვრდა, რომელიც მოჩხუბრებს შორის მაშინაც შევნიშნე. მეორე, შედარებით დაბალი, მაგქურთუკიანი ბიჭიც იქ იყო. რასხან ვიცოდი, რომ ჩემი ნაცნობი არავინ იყო, შემთხვევის ადგილას არ მივსულვარ, ჩხუბს შორიდან ვუყურებდი“.

აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიების მიცემულ ჩვენებაში მიხეილ სტურუას გარკვევით უწერია – დანა ხელში წითელკლოვიანი ეჭირაო. პროცესზე მან ეს დეტალი უარყო და დასძინა, რომ მას ეს შემთხვევითი მოუვიდა. „გამომიძიებელი მამიაშვილისგან არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ, მან თქვა, ჯორბენაძე და როინიშვილი, წითელი რომ ეცვა, იმ ბიჭმა მოკლაო. მეც ამიტომ დავწერე, რომ დანა მას ჰქონდა“ – ასე უცნაურად ახსნა სტურუამ თავისი შეცდომა.

გვიან გურული

ამბობენ, ფეხბურთი უკვე დიდი ხანია, თამაში არ არისო — იგი პოლიტიკის რანგშია ასული და მას ასეც უყურებენ ბევრ ნორმალურ ქვეყანაში. ქართველებსაც, შესაძლოა, ამ მიზეზის გამოც განსაკუთრებით გვიყვარდა ფეხბურთი ყოველთვის და მას ჩვენი ეროვნული თვითგამოხატვის საშუალებად მივიჩნევდით და მივიჩნევთ ახლაც. სწორედ ამიტომ ვთვლით ქართული ფეხბურთის დიდ გამარჯვებას მთელი ერის ზეიმად, ხოლო მის მარცხს — მთელი ქვეყნის მარცხად. სამწუხაროდ, რუმინეთის ნაკრებთან ბოლოს ჩატარებული სამარცხვინო თამაშის გამო, სწორედ ასეთი დიდი მარცხის შემდგომი პერიოდი გვიდგას და იმ ურთიერთრადღებებისა და კრიტიკის ფონზე, რომლითაც საესეა ქართული პრესა, ალბათ აუცილებელია ისეთ კაცს მოვუსმინოთ, რომელიც შეუღალავი ავტორიტეტით სარგებლობს ხალხში და თავისი სპორტული მიღწევების გარდა (ასეთი ბევრი გვყავს), ადამიანური, კაცური თვისებებითაც შეაყვარა ხალხს თავი.

სწორედ ასეთთა არცთუ ისე მრავალრიცხოვან კატეგორიას განეკუთვნება მანუჩარ მაჩაიძე — „დიდი მანუჩარი“, როგორც მას უწოდებდნენ, ჩვენი „დინამოს“ გუნდისთვის ყველაზე „ხვადიანი“ პერიოდის უცვლელი კაპიტანი.

მიუხედავად იმისა, რომ მისი თაობის ბევრი ფეხბურთელი დღეს ფეხბურთის ფედერაციის სათავეშია, ბატონი მანუჩარი არასოდეს ყოფილა სპორტული ფუნქციონერი. თუმცა, ნინა მონვევის პარლამენტში ფიზკულტურისა და სპორტის ქვეკომიტეტს ხელმძღვანელობდა...

ამ ყველაფრისა და მისი მდიდარი საფეხბურთო წარსულის შესახებ ვესაუბრეთ ყოფილ დიდ ფეხბურთელს, ამჟამად ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატსა და კერძო მენარმეს, თუმცა ქართულ ფეხბურთზე კვლავაც ფანატიკურად შეყვარებულ და მის მომავალზე დაფიქრებულ ადამიანს.



„დინამოსა“ და „პაბურგის“ კაპიტნები: მაჩაიძე და კალგცი. შეხვედრა ტყეწის შემდეგ

«ფეხბურთი ეროვნულობის გამოვლინების ერთადერთი საშუალება იყო»

— ბატონო მანუჩარ, თქვენ ისეთ დროს მოგიხდათ „დინამოში“ თამაში, როდესაც ფეხბურთელები პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდნენ. თქვენი თაობის ოსტატები დღესაც კარგად ახსოვს ყველას და, დარწმუნებული ვარ, რომ თუნდაც ქუჩაში თქვენ უფრო გიცნობთ ნებისმიერი გამგლევი, ვიდრე ჩვენი ნაკრების რომელიმე მოქმედ ფეხბურთელს. ხომ არ დავგლაღათ ამ პოპულარობამ?

— სწორედ წამიკითხავს სპორტსმენები-სა თუ მსახიობების ინტერვიუები, სადაც ისინი ამბობენ, რომ მოსწონდათ პოპულარობა, აღიზიანებთ გამგლელთა დიმილიც კი, არათუ თაყვანისმცემელთა სატელეფონო ზარები, დაიღალნენ ზედმეტი ყურადღებისგან... ვფიქრობ, ეს ყველაფერი ტყუილია. ყოველ შემთხვევაში, არ მგონია, რომ ნორმალურ ადამიანს პოპულარობა არ სიამოვნებდეს. ცხადია, ძალიან გვიხაროდა ყველას და ახლაც მსიამოვნებს, როდესაც მცნობენ და ძველი დამსახურებისთვის სიყვარულსა და პატივიცემას გამოხატავენ.

მაგრამ ერთიც არის — პოპულარობა მძიმე ტვირთია. როდესაც შენი ყველა სიტყვა თუ საქციელი გამოძეურებულია, აიმაგი პასუხისმგებლობა გმართებს და პოპულარობითა და ხალხის სიყვარულით სარგებლობა და ყველაფრის კადრებაც უსინდისობა.

— პოპულარობა ტვირთიაო — თქვით. პასუხისმგებლობის ტვირთის გარდა, ისიც სათქმელია ალბათ, რომ ამ „ჯილდოს“ მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევა და დაუღალავი შრომა დაგჭირდათ.

— უბრალოდ, ძალისხმევა კი არა, საყვარელ საქმეში მთელი სულისა და გულის ჩაღება, წაქცევაძღე ვარჯიში და საკუთარ კეთილდღეობასა და მეტოქის დამარცხებასთან

ერთად, უფრო მეტად იმაზე მუდმივი ფიქრი, რომ შენ ათასობით ადამიანისთვის თუნდაც მცირედი სიხარულის მინიჭება შეგიძლია და გვეკლება.

მე არასოდეს მიფიქრია ძალების დაზოგვაზე — მოედანზე იმისთვის გამოვდიოდი, რომ ბოლომდე დაგხარჯულიყავი და როდესაც გუნდიც მხარს მიბამდა, შედეგიც ყოველთვის იყო.

— ბატონო მანუჩარ, როგორ ფიქრობთ — წარმატებული იყო თქვენი კარიერა? ყველაფერს მიაღწიეთ, რაც გასურდათ?

— ერთი მხრივ, ცხადია, ბედს ვერ დავემღურები: მას შემდეგ, რაც გუნდის კაპიტანი გახვდი, „დინამო“ უტიტულოდ არ დარჩენილა: 1976 (ვაზაფხული) — ბრინჯაოს მედელები, 1976 (შემოდგომა) — ისევ ბრინჯაო, იმავე წელს — პირველად გუნდის ისტორიაში საბჭოთა კავშირის თასი, 1977-ში ვერცხლის მედელები, 1978-ში ჩემპიონობა, 1979-ში ისევ თასი და სპარტაკიადის ვერცხლი... ასეთი წარმატებებისთვის, არც მანამდე და არც მას შემდეგ, „დინამოს“ არც ერთ თაობას არ მიუღწევია. ასეთი გუნდის კაპიტნობა კაპიტნობად და, „კერძო“ რეკორდებიც მაქვს: 432 თამაში ჩავატარე „დინამოს“ მაისურით, აქედან 296 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე, ხოლო 80 — საერთაშორისო შეხვედრა. 200-მდე მატჩი კი ზედით შეუცვლელად ვითამაშე — არც ერთ მწვრთნელს (ასეთი კი, ბევრი იყო ჩემს კარიერაში) ჩემთვის შეცვლა არ „უკადრებია“... (ერთადერთხელ — ალმა-ათაში ნეკნი ვიტკინე და მეორე ტაიმში შემცვალეს). სტატისტიკას რომ თავი დავანებოთ: „ლივერპული“, „ინტერი“, „ნაპოლი“, „ბოკა ხუნიორსი“, „კრუსეირი“, „პორტა“... — მდიდ და ახლა მოუგე, თუ ბიჭი ხარ! მაგრამ, მეორე მხრივ, გულანაკლებლობის გრძობა მაინც არის — 31 წლისა

წაველი „დინამოდან“, მაშინ, როდესაც კიდევ შემდეგლო რაღაცის გაკეთება.

— მაშინ, რადგან ამ თემამდე ბუნებრივად მივდივით, აქვე გკითხავთ: შარშან ერთ-ერთ გაზეთში ნოდარ ახალკაცის პირადი მეგობრის ინტერვიუ წავიკითხე, რომელშიც ამბობს, რომ თქვენ „შეთქმულება“ მოგიწვევს. ბატონო მანუჩარ, ცხადია, არ გსიამოვნებთ ამ თემაზე საუბარო, მაგრამ იმდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „დინამოდან“ თქვენმა მოულოდნელმა წასვლამ... მაინც, რა მოხდა სინამდვილეში?!


— ის ინტერვიუ მეც მასსოვს — ღურმიშხან ცინცაძე ის კაცია, ვინც ძალიან ახლოს იცნობდა გუნდის „სამხარეულოს“ და თუმცა იმ ინტერვიუში არ ამბობს, რომ ამ „შეთქმულების“ მონაწილე, მთავარი მწვრთნელიც იყო, მაგრამ უსინდისოდ რომ გამწირეს, ამას არ უარყოფს.

მართალი ხართ — ნამდვილად მიმიძის, მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ითქვას. მით უმეტეს, რომ აი, თქვენც ამბობთ: მოულოდნელად წახვედიო. არადა, ეს ყველაფერი დიდი ხნით ადრე დაიწყო. თანაც, მიზანმიმართულად ვრცელდებოდა „კომპეტენტური აზრი“: მაჩაიძე გუნდის ბალანსტა, მანუჩარი და გონა ახალკაცის ტაქტიკურ სქემაში ვერ ვდებო-ანო... ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ფეხბურთელთა ერთმა ჯგუფმა სპეციალურად დათმო თამაში თბილისში, მოსკოვის „სპარტაკთან“, რათა ყველაფერი მე დამბრალებოდა... თითქოს არალოგიკურია, რასაც ვამბობ, მაგრამ აქ იმ თამაშის წინასიტორია უნდა გავითვალისწინოთ: ამ მატჩამდე რამ-

დენიმე ტურით ადრე გასვლითი შეხვედრა გვქონდა როსტოვში. მატჩი დამთავრდა, არაფერი „დამიშავებია“, მაგრამ გასახდელში მსაჯი შემოვიდა და... წითელი ბარათი მიჩვენა! იყო ასეთი იდიოტური წესი — მატჩის შემდეგ გაბეგება, უხეში ან ე.წ. „არასპორტული“ საქციელისთვის. ამ სასჯელის მიუღი „მარილი“ იმაში იყო, რომ თუმცა დამთავრებული თამაშის შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა, სამაგიეროდ მომდევნო ორ თამაშს გამოგატოვებინებდნენ. პოდა, წარმოიდგინეთ: ამის შემდეგ გუნდმა ორი თამაში ჩაატარა უჩემოდ და ორივე მოიგო (არაფერია საოცარი — კარგი გუნდი იყო და მოიგო). ხოლო შემდეგი მატჩი თბილისში ჰქონდა „სპარტაკთან“ და წააგო — „იმიტომ, რომ მაჩაიძემ ითამაშა“. ისიც გაითვალისწინეთ, რომ თითქოს ერთი წაგება არაფერია, მით უმეტეს „სპარტაკთან“, მაგრამ მანამდე, ხუთი წლის განმავლობაში „დინამოს“ თბილისში ასი (!) წაუგებელი თამაში ჰქონდა ჩატარებული! და უცებ — „მაჩაიძემ „სპარტაკთან“ — „დაუძინებელ მტერთან“ წააგო!“ ამას კიდევ ორი დამარცხება მოჰყვა: „ტორპედოსთან“ და „ნეფთისთან“, ორივე 0:2 და ორივე ამკარად „მიცემული“.

განსჯილი, როგორი დრო იყო — პირდაპირ არ დაწვრილდნენ პრესაში, მაგრამ „ჭორების გაფრცხვლების სამსახური“ კარგად მუშაობდა. ჩემგან რაიმეს თქმა პრესის საშუალებით ხომ, საერთოდ გამორიცხული იყო. ეგ კი არა, წასვლის საშუალებაც არ მომცეს: დამიბარეს „სადაც ვერ არს“ და ქუთაისში უნდა წახვიდო — მიბრძანეს. „არ მინდა“ და „არ შემძლია“ იქნებ გაკვრიდა კიდევ, მაგრამ ესეც ისეთი ფორმით იქნა „შემოთავაზებული“, რომ უარი არ გამოვიდოდა: „აბა, თუ მაგარი ხარ — წადი და ქუთაისი უმაღლეს ლიგაში გადმოიყვანე“. მერე რა, წავედი და გადმოვიყვანე, მაგრამ ამითან ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. მანამდე, ვერ „ფახთაქორში“ და შემდეგ მოსკოვის „სპარტაკში“ სწორედ იმის დასამტკიცებლად წავედი, რომ ვერ არ ვიყავი გადასავადები, მაგრამ ვინ გაცალა: ერთხელ მოდის სტაროსტინი და მეუბნება: **Слушай, кто такой Гурам Энукидзе? (ეუკას მდივანია-მეთქი. Что он от тебя хочет — каждый день тебя ругает...** აი, ასე იყო — რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ჩემს სალანდავად „ეცალა“. რა მექნა — „ჩამოვკიდე ბუცები ლურსმანზე“. მეც დავისვენე და „იმათაც“.

— მოდი, უფრო სასიამოვნო თემაზე — თქვენი საფეხბურთო კარიერის განსაკუთრე-



ეს თასი ორჯერ აღმართა „დიდმა კაპიტანმა“

ბულ ეპიზოდებზე, გოლებსა და სისარულზე გვესაუბრეთ...

— ასეთი, განსაკუთრებით ორიგინალური ან მნიშვნელოვანი გოლებთან დაკავშირებული ეპიზოდები თითქმის ყველა ფეხბურთელს აქვს (ცხადია, მეკარის გარდა). მეც ორი გოლი „მიყვარს“ ყველაზე მეტად: 1972 წელს პარიზის ცნობილი „პარკ დე პრენსის“ სტადიონი გაიხსნა საზეიმოდ მასპინძლებისა და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრებების ოფიციალური შესარჩევი მატჩით. ის შეხვედრა 3:0 მოვიგეთ და ერთი ბურთი მეც გავიტანე: ბურთი ცენტრალურ ნიშნულთან მივიღე, მარცხენადაც მარჯვენა ფეხზე გადმოტანით ჩემი მეურვე „მოვტეხე“ და კარში დავარტყი — 50 მეტრზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნებოდა. მაღალ კუთხეში შევარდა ბურთი. სხვათა შორის, წლების შემდეგ ჩემი მეგობრისთვის, საფრანგეთში ყოფნისას, ერთ-ერთ თანამოსუფრეს უკითხავს — მაჩაიძეს თუ იცნობო. როცა უპასუხია — ჩემი მეგობარიაო, თან გადაჰყოლია. ამას უფიქრია, ალბათ მანუჩარსაც დიდი პატივი აქვს ნაცემო, მაგრამ წამოსვლისას უთქვამს მასპინძელს, რომ სწორედ ის გაბითურებული ჩემი „მეურვე“ იყო ოცი წლის წინანდელ თამაშში...

მეორე გოლი კი, ერევანში გავიტანე — „რაზდანის“ ულამაზესი სტადიონის — სომხების სიამაყის, გახსნის მატჩში. ეტყობა, „პარკ დე პრენსზე“, გახსნის „ლენტის გაჭრა“ და მებედა: იმ წელს „არარატი“ ძალიან ძლიერი გუნდი იყო და თბილისში 4:0 მოგვიგო. ეს ის პერიოდი, როდესაც „დინამოში“ ჩვენი თაობა მოდიოდა. ჩვენი გუნდი დასუსტებული იყო და სომხებსაც კარგი შემთხვევა მიეცათ — სტადიონის საზეიმო გახსნის მატჩს მოიგებდნენ და თანაც ქართველებთან! პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, წინასწარ ასეთ ანგარიშებს ასახელებდნენ: 4:0, 5:0, 5:1... ზოგიერთი 7:0-საც „არ ეპუებოდა“.

ეტყობა, ჩვენს ბიჭებზე ამაზე იმოქმედა



ბურთი ყოველთვის „უჯერებდა“ მანუჩარ მაჩაიძეს

და გასაქანი არ მივეცი ძლიერ მეტოქეს. „გასხნის გოლი“ კი მე გავიტანე, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში, მაგრამ რად გინდა – სომხებმა ტაბლოზე არ შეცვალეს ანგარიში – გაფუჭებულია, არადა, რამ გაფუჭა – პირველი თამაში იყო!

„უფრო სასაცილო კი ის იყო, რომ მერე „გასხნისდა“: მანამდე „არარატს“ საწვრთნელი მატჩი მოუგია სომხეთის რომელიღაც მესამელიგელი გუნდისათვის და „რაზდანიზე“ გატანილი პირველი გოლის ავტორადაც მისი ფეხბურთელი დაფიქსირდა.

— **მაშინ ფეხბურთელებზე ამბობდნენ — მდიდარი ხალხიაო. საზღვარგარეთიდან საქონელი ჩამოაქვთ და ყიდნიან...**

— 180 მანეთი მქონდა ხელფასი. საჭმელად არ მყოფინდა — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. რაც შეეხება „საქონლის ჩამოტანას“, — როგორც ამბობენ: „კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს“ და არც უმაგისობა იყო, მაგრამ მგონი ჩემზე არავის უთქვამს ასეთი რამ. თუმცა, რა არის, იცით? ნამდვილად არავის ვამტყუნებ, სწორედ იმ 180-მანეთიანი ხელფასის გამო... საერთაშორისო ტურნებებისას თუ გადმოვივლებდნენ 50 დოლარს.

— **ასეთი ტურნებები ხშირი იყო?**

— საკმაოდ... ერთხელ ინდონეზიაში ვიყავით, ჯაკარტაში ბრაზილიურ „კრუსეიროს“ ვეთამაშეთ. თამაშის შემდეგ კაჩალინი შემოვიდა ჩემს ნომერში და მოზრდილი ჩემოდანი გადმოცა — შენ მათემატიკა კარგად იცი და მალე დაითვლიო (!?). 300.000 დოლარი იყო, ერთდოლარიანები და ხუთდოლარიანები. თურმე, პირადად პრეზიდენტ სუხარტოს „დაუჯვლილობებივართ“ კარგი თამაშისთვის და პირდაპირ სტადიონის საღაროდან ამოუტანიათ ბილეთებში გადახდილი ფული. მიეღვი დღე ვთვალე ის ფული და... 50-50 დოლარი შეგვხვდა — აი, ეს იყო ჩვენი „მდიდრული ცხოვრება“.

სახელმწიფოს ყოველ წელიწადს 4 მილიონ მანეთს და 1 მილიონ დოლარს ვმატებდით, გუნდის შენახვა კი — მთელი თავისი ხარჯებით, 250.000 მანეთი უჯდებოდა. მართლა ისე კი არ იყო საქმე, რომ ამბობენ — კომუნისტები ფეხბურთის თავს ევლებოდნენო. თავს კი არ ევლებოდნენ — თავზე ივლებდნენ და მისი შემოტანილი ფულით ააშენეს სტადიონიც და სპორტის სხვა სახეობებსაც ინახავდნენ.

— **პარტიული ფუნქციონერები ვროდნენ გუნდის საქმეებში?**

— ეს მათი „პირდაპირი მოვალეობა“ იყო. ერთხელ ცეკაში დამიბარეს, როგორც გუნდის კაპიტანი — „პროფილაქტიკის მიზნით“! ფეხბურთელებს ქება „თავში აუვარდათო“, „როგორ იქცევინაო“... მოკლედ — „გვტუქსავენ“. რა უნდა ვქნა — ვზივარ და ვისმენ. მასსოვს, ცეკას ერთი ინსტრუქტორი იყო, კახეთის რომელიღაც რაიკომიდან ახ-

ალგადმოყვანილი — ბურთს სახამორსოგან რომ ვერ გაარჩევდა, ისეთი... ჰოდა, ადგა ეს კაცი, ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და თქვა: მე სულ ჩაწერილი მატჩს, ბოლო თამაშში რა შეცდომები დაუშვა მანამდე, და ჩამოთვალა — კარგად გავერთე. ავდექი — აწი ჭკვიანად ვიქნებით-მეთქი და წამოვედი. სხვათა შორის, დღევანდელი ფეხბურთის მდგომარეობაც ძალიან ჰგავს მაშინდელს... ისიც არ იფიქროთ, რომ კომუნისტებს ძალიან უხაროდათ 80.000-იანი სტადიონის ხალხით შევსება. ეს ეროვნულობის გამოვლინებისა და ქართველების ერთად დგომის ერთადერთი საშუალება იყო მაშინ — საბჭოთა ჩემპიონატის ყველა მატჩი ხომ, ფაქტობრივად, საერთაშორისო შეხვედრა იყო.

— **და ამ „საერთაშორისო ჩემპიონატში“ ქართველებს ყოველმხრივ გენგრავენდნენ?**

— თავად განსაკუთრებით: 1975-ის შემოდგომიდან 1980-ის გაზაფხულამდე, „სპარტაკთან“ იმ ავღსახსენებელ მატჩამდე, თბილისში 100 მატჩი ჩავატარეთ წაუგებლად. ცხადია, იყო მაყურებლის ფაქტორიც, მაგრამ ხომ არ შეიძლება ამხელა სხვაობა ყოფილიყო? უბრალოდ, რუსეთში რუსი მსაჯეები „უშუბლისმარდლოდ“ გამოდიოდნენ მოედანზე. ყველას გვასსოვს, რომ არც აქ გვემზობოდნენ, მაგრამ დაჩაგვრასაც ვერ გვიტყავდნენ. ხომ გახსოვთ, თუშკამ გაბედა „ზარიასთან“ მატჩისას და რაც მიიღო...

— **რა მოხდა მაშინ?**

— მილიციამ გაამწვავა მდგომარეობა. მასსოვს, სულ რამდენიმე ასალგაზრდა გადმოიჭრა მოედანზე და მსაჯეს გაეკიდნენ. მილიციამ გზა გადაუღობა. მათ შორის პატარა ბიჭი იყო — თორმეტობლე წლის, გრძელი თმა ჰქონდა. იმ თმით დაითრია მილიციელმა. მე დამინახა და — ბიბია მანუჩარ, მიშველეო, დამიძახა. ხელი კი გავაშვებინე, მაგრამ წინა რიგებში მსხლობებმა დაინახეს და აბოიქვდნენ. შემდეგ კი ტალღა აგორდა...

— **ბატონო მანუჩარ, წელან ბრძანებით — არც დღეს არის ქართულ**

ფეხბურთში უკეთესი მდგომარეობაო. რა ხდება, რა ეშველება ქართულ ფეხბურთს?

— ცხადია, „რეცეპტის გამოწერა“ შეუძლებელია. ჩვენს დროსთან ყველაფერში პარალელის გავლებაც მთლად სწორი არ იქნება — მაშინ მხოლოდ ერთი გუნდი, თბილისის „დინამო“, იგივე საქართველოს ნაკრები იყო. დღეს კი, ნაკრები საქართველოს კლუბებისგან უნდა შეივსოს, რომლებიც „სულს ლაფავენ“. თუ კორუფცია ყველაფრის მიზეზი, ეს კრიმინალი და შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ. მაგრამ თუ კაცს ფეხბურთის თამაში არ შეუძლია, რა გინდა, რომ უშველო. ფეხბურთის კარგად თამაშს კი, მარტო ნიჭი არ უშველის — პრაქტიკა უნდა, რაც დღევანდელ საქართველოს პირველობაზე დეფიციტია.


როდესაც პარლამენტში სპორტის ქვეკომიტეტს ვხვდებოდნენ, სწორედ იმ დროს, როდესაც „დინამოსთვის“ საგადასახადო შეღავათებზე და ერთი სიტყვით — სახელმწიფო ხელშეწყობაზე იყო საუბარი, მე შევარდნაძეს ვთხოვე — ყველა გუნდს დავხმარებოდით: 150-150 ათასი ლარი მიგვეცა გუნდებისთვის, თანაც მხოლოდ სესხად. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასე თუ ისე, ჰქონდათ კლუბებს და თუ ეს ფული მხოლოდ ხელფასებს მოხმარდებოდა, თითოეული მოთამაშე დახლოებით 1.500 ლარს მიიღებდა თვეში, რაც იმის გარანტია გახდებოდა, რომ მოთამაშეთა დონეც ამაღლდებოდა და საზღვარგარეთის „მესამეხარისხოვან“ ქვეყნებში გაქცევაზეც აღარ ექნებოდათ თვალის. სესხს კი თავისუფლად გაისტუმრებდნენ გუნდები, თუნდაც ერთი არცთუ ისე მაღალი კლასის, თანაც ასაკოვანი მოთამაშის ტრანსფერით — ამის მექანიზმის შემუშავება შეიძლებოდა.

თუმცა, უმთავრესი მაინც ერთი რამ არის: ფეხბურთში „ჩემი კაცის გაქაჩვის“ პოლიტიკა დაუშვებელია. საერთოდ, დიდი ჭირია პროტექციონიზმი, მაგრამ ქარხანაში რომ ერთი ინჟინერი მააწყო საშუალოდ, მასზე უკეთესის მაგივრად, — ეს კიდევ სხვა არის, შეიძლება დიდი სხვაობაც არ იყოს. მაგრამ ფეხბურთში?! — თუ კაცს არ შეუძლია თამაში, როგორ უნდა ათამაშო — ვერ წარმომიდგენია...

ასეთია იგი — „დიდი კაპიტანი“. ქართულ ფეხბურთზე და ქვეყნის ბედზე დაფიქრებული მანუჩარ მანაძე, რომელიც არათუ ახლა, არამედ აქტიური სპორტული კარიერის წლებშიც, მრავალთაგან განსხვავებით, არ ყოფილა „მხოლოდ“ ფეხბურთელი — თანროგოსანი მოჭადრაკე, პოეზიისა და ხელოვნების მცოდნე და მოყვარული თავადაც თვითმყოფადი მხატვარი, ყოველთვის ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა და ახლაც ასეა...

კიდევ დიდხანს ყოფილიყოს!





ხასიათის „მარცხენა“ და „მარჯვენა“ შივი

თითოეულ ტისტში ახსუსი პირობითად აღნიშნეთ — „მარჯვენა“ (მჯ) და „მარცხენა“ (მც).

1) წამყვანი ხელი

გადაავარდინეთ ორივე ხელის თითები და დააკვირდით, რომელი ცერა თითი მოექცა ზემოდან. თუ მარცხენა — თქვენ ემოციური ადამიანი ხართ, თუ მარჯვენა — ანალიტიკური აზროვნებით გამოირჩევით.

2) წამყვანი თვალი:

ამოირჩიეთ რაიმე წერტილი და დააკვირდით მას. სამიზნის დასაფიქსირებლად გამოიყენეთ კალამი ან ფანქარი.

რიგრიგობით დახუჭეთ თვალები. წამყვანი თვალის დახუჭვისას სამიზნე თითქოს გადაადგილდება. მარცხენა წამყვანი თვალი რბილ და ღამთობს ხასიათზე მეტყველებს, მარჯვენა წამყვანი კი — მყარ, უფრო აგრესიულ ხასიათზე.

3) ნაპოლეთონის პოზა:

გადაავარდინეთ გულზე ხელები და დააკვირდით, რომელი ხელი აღმოჩნდება ზემოდან, თუ მარცხენა — გაპრანჭული

ადამიანი ხართ, თუ მარჯვენა — უბრალო და სათნო ადამიანი ბრძანდებით.

4) აპლოდირება:

თუ ტაშის დაკრისას უფრო მოხერხებულად ზემოდან მარჯვენა ხელი განლაგდება — მკაცრი ხასიათით გამოირჩევით, თუ მარცხენა — ნშირად გიყვართ ყოყმანი, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდეთ.

ცალკეული ტესტი თქვენი ხასიათის რაიმე ნიშნის დადგენაში გეხმარებათ, მათი კომბინაციით კი ხასიათის 16 ტიპი განისაზღვრება.

1) (მჯ მჯ მჯ მჯ) ასეთი ადამიანებისთვის დამახასიათებელია კონსერვატიზმი,ორიენტაცია სტერეოტიპებზე (საზოგადოებაში მიღებულ აზრზე). მათ არ უყვართ კონფლიქტი და ჩხუბი.

2) (მჯ მჯ მჯ მც) ამ ტიპის ადამიანებისთვის მკაფიოდ არის დამახასიათებელი საკუთარ თავში დაურწმუნებლობა და ყოყმანი გადაწყვეტილების მიღებისას.

3) (მჯ მჯ მც მჯ) იუმორის გრძობა, არტიზტიზმი, ასეთ ადამიანებთან ურთიერთობისას საჭიროა იუმორი და გამბედაობა. ხასიათით ძალიან კონტაქტური ტიპია და უმეტესად ქალებში გვხვდება.

4) (მჯ მც მჯ მჯ) ხასიათით, რომელშიც გაერთიანებულია სირბილე და ანალიტიკური აზროვნება. უმეტესად გვხვდება საქმიან ქალებში. ისინი მძიმედ ეგუებიან უცხო გარემოს, არიან ფრთხილი, მოთმენნი და ოღნავ ცივები.

5) (მჯ მჯ მც მც) ხასიათის იშვიათი ტიპია. აღნიშნება გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობები გაუბედაობასა და ხასიათის სიმტკიცეს შორის.

6) (მჯ მც მჯ მც) ხასიათის ყველაზე სუსტი და იშვიათი ტიპია. ასეთი ხასიათის მქონე ადამიანები დაუცველი არიან და ნშირად ექცევიან სხვისი გავლენის ქვეშ.

7) (მც მჯ მჯ მჯ) საკმაოდ გავრცელებული ხასიათის ტიპია. ძირითადი შტრიხებია — ემოციურობა, სხვისი აზრის გა-

ზიარების სურვილი, რაც საშუალებას აძლევს ამ ტიპის ადამიანებს, სწრაფი ადაპტაცია განიცადონ ცხოვრების პირობების ცვლის შესაბამისად. კარგი ურთიერთობა აქვთ მეგობრებთან, ადვილად ამყარებენ ურთიერთობებს.

8) (მც მჯ მჯ მც) საკმაოდ ჰგავს ხასიათის მე-7 ტიპს. უფრო რბილი ხასიათით გამოირჩევიან, უფრო მიმდობნი არიან, საკუთარი თავის მიმართ ითხოვენ გამორჩეულ და განსაკუთრებულ მიდგომას.

9) (მც მც მჯ მჯ) კაცთმოყვარეობა და უბრალოება, ინტერესების გაზიარება, თვითანალიზის კარგი უნარი.

10) (მც მც მც მჯ) ემოციური, ენერგიული და გამბედავი ადამიანის ტიპია, მაგრამ ნშირად ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილებებით ზარალდებიან. ასეთი ხასიათის მქონე ადამიანები ნაკლებად ემოციურები არიან.

11) (მც მც მც მც) ხასიათის ანტიკონსერვატიული ტიპია. ყველაფერი ძველის ასლებურად აღიქმის უნარი აქვთ. გამორჩეული არიან ემოციურობით, ინდივიდუალობით, არიან ეგოისტები და ჯიუტები.

12) (მც მჯ მც მჯ) ხასიათის ყველაზე ძლიერი ტიპია. ასეთი ადამიანების რაიმეში დაურწმუნება ძალიან ძნელია, ისინი შეხედულებებს ძნელად იცვლიან. ამავე დროს ენერგიული არიან, ჯიუტად ცდილობენ დასახული მიზნის მიღწევას.

13) (მც მჯ მც მც) ძალიან ჰგავს

ხასიათის მე-12 ტიპს. გამოირჩევიან ისეთივე დარწმუნებულობით და მიზნის მისაღწევად გამოჩენილი სიჯიუტით. არ იცვლიან აზრს რაიმე მოვლენის შესახებ, უჭირთ ახალი მეგობრების შექმნა.


14) (მც მც მჯ მც) ასეთი ტიპის ადამიანები დამყოლი, რბილი ხასიათისანი არიან, განსაკუთრებით უბრალოება და სათნოება მოსწონთ. გადაწყვეტილების მიღებისას ნშირად ყოყმანობენ, რადგან თავიდანვე ემოციურად განიცდიან, თუ რა შეიძლება მოჰყვეს არასწორ საქციელს.

15) (მჯ მც მც მჯ) რბილი ხასიათის ადამიანები არიან და ძალიან უყვართ მოგზაურობა. ადვილად იძენენ ახალ მეგობრებს, ნშირად იცვლიან ინტერესთა და გატაცების სფეროს.

16) (მჯ მც მც მც) დამოუკიდებლობა, ყველაფრის თავად მოგვარების სურვილი ამ ადამიანებს ახასიათებს. ანალიზის უნარი რთული სიტუაციებიდან გამოსავლის მოძებნაში ეხმარებათ. ერთი შეხედვით რბილი ხასიათის მქონენი ნშირად ძალიან მომთხოვნი და მკაცრები ხდებიან.

ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისას არ უნდა დაგვიწყობთ, რომ ყოველი ადამიანი განსხვავებულია სტერეოტიპისგან, ყოველი ჩვენგანი ინდივიდუალური და გამორჩეულია.

მეზანია კაცის ქარნავალი



1997 წლის ივლისში ამერიკელებმა ახალი ზეიმი ჩაატარეს. ილინოისის მცხოვრებლები იმედოვნებენ, რომ ამგვარი კარნავალი ყოველწლიური გახდება და ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად ეწვევა სამდვილი უცხოპლანეტელი.

ზეიმის მიზეზად 1947 წლის 2 ივლისი იქცა, როცა უილიამ ბრეიზელმა საფრენი აპარატის ნაწილები და სამი მოზრდილი ჰუმანოიდის ნეშტი იპოვა. ზოგიერთი ცნობის თანახმად, უცხოპლანეტელები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როცა ფერმერმა ისინი იპოვა. სამხედრო დაზვერვამ კვალის წაშლა განიზრახა და ნაპოვნი, ჩამოვარდნილი მეტეოზონდის ნაწილებად გაასაღა. თავად უილიამისთვის ეს ამბავი ტრაგიკულად დასრულდა – ის შემლილად შერაცხეს და კლინიკაში მოათავსეს. ამავე დროს, მფრინავი თეფშის ნაწილები და პათოლოგანატომების მიერ ჰუმანოიდების გაკვეთის პროცესი ფირზე აისახა და გასაიდუმლოვდა. ეს საბუთები საზოგადოებისთვის პირველად 1996 წელს გახდა ხელმისაწვდომი. სწორედ მაშინ

იქნა ნაჩვენები თითქმის ორმოცდაათი წლის წინანდელი მოვლენების ამსახველი ფილმი, რომელმაც დიდი დავა გამოიწვია.

სხვადასხვა კონსტრუქციის მფრინავი აპარატების და რობოტების ჩვენს ერამდე XXVI საუკუნეში დედაქალაქ სტუმრობის ფაქტებს უძველეს ჩინურ ხელნაწერებში ვხვდებით. ერთ-ერთი ამ ჩამოსულთაგანი – ხუან-დი გარკვეული დროით იმპერატორიც გამხდარა, ჩინელებს თურმე ჭის გათხრა, მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება, ნემსის ჩველეთით მკურნალობა და ბევრი სხვა სასარგებლო რამ ასწავლა. შემდეგ კი, თავის 70 თანატომელთან ერთად „დრაკონზე ამხედრებული, სიუანიუანის თანავარსკლავებზე გაფრინდა“.

დღეს ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან შეხვედრაზე მხოლოდ ზარმაცები არ საუბრობენ. ზოგიერთი ფაქტის მიხედვით, XX საუკუნეში უცხოპლანეტელთა ხომალდების ჩამოვლას ტყვიამფრქვევებითა და რაკეტებით ცდილობდნენ. საკ-

მაოდ ცნობილია ბრძოლა, რომელიც ლოს-ანჯელესის მახლობლად 1942 წლის 25 თებერვალს გაიმართა, როცა ამერიკელებმა უცხოპლანეტელთა ორი ათეული ხომალდისგან შემდგარი ჯგუფი იაპონელთა თვითმფრინავებზე მიიღეს, მათ 1430 ჭურვი დაუშინეს, მაგრამ ამ სროლის შედეგად იღუმალი ესკადრილიის მწყობრივ კი ვერ დაშალეს.

1942 წლის 24 ივლისს ამერიკელმა მფრინავმა, არნოლდ კენეტმა, მთებზე გადაფრენისას შეამჩნია, რომ მის თვითმფრინავს ცხრა დისკოსმაგვარმა ობიექტმა გაუსწრო. კენეტმა რამდენიმე კარგი სურათი გადაიღო და ფოტოები ჟურნალისტებს მიჰყიდა, რომელთაც ამ დისკოებს მფრინავი ტაფები და თეფშები უწოდეს. ეს უკანასკნელი დასახელება ყველას მოეწონა. ის ყოფასა და ლექსიკონებში დამკვიდრდა. მფრინავი თეფში თვით მოხუცებულმა ჰენრი ფორდმაც იხილა, როცა კალიფორნიაში მიფრინავდა: თვითმფრინავის კუდს მფრინავი თეფში აეკიდა და ერთი საათის

ყველაზე პატარა ფრინველი	სხეულის ნაწილი	ელგარ კი	კრომეული	მას აბრელებენ მოცარტის სიკედილს	მეფე ...-ი თავდადებული												
ხმლი	შინი	ხუნი	ის	ეს	ნო	ნი	ვი	რის	სას	რე	რე	ი	ი	დ	მე	ნი	ე
შტგლანდიური ნაგავი	კაპიტან გრანგის გემი	სრუნე მენში	ათვლის საწყისი ციფრი	ფრანგ მეფეთა სასახლე	მხ/ე	მიმართვა	ალვოკაცი-სადმი										

ინაზის ქალი



განსვლობაში მგზავრები უჩვეულო აძლას ადვენებდნენ თვალყურს.

იმავე წლის ოქტომბერში იაპონიის თვზე გამანადგურებლები ექვსჯერ ეცადნენ, დასწოდნენ ამოუცნობ ობიექტს, მაგრამ ყოველ ჯერზე ის საათში 12 ათას კილომეტრ სიჩქარეს ავითარებდა და უკვალოდ ქრებოდა.

1974 წლის 8 მარტს კირტლენდის ავიაბაზის რაიონში ერთბაშად სამი ამოუცნობი ობიექტი დაფიქსირდა. სამხედრო მფრინავები ირწმუნებოდნენ, რომ მწვანე სკაფანდრებში შემოსილი პილოტ-ჰუმანოიდებიც კი გაარჩიეს.

და აი, მწვანე კაცუნებთან შეხვედრიდან 50 წლის შემდეგ ამერიკელებმა შეიგნეს, რომ ამოუცნობ ობიექტებთან საბრძოლო მოქმედებებს აზრი არ აქვს და გადაწყვიტეს, მოეწყოთ გრანდიოზული ზეიმი, მიძღვნილი უცხო ცივილიზაციასთან ახლო კავშირის 50 წლის იუბილისადმი. საზეიმო შოუსთვის სპეციალური სცენარი დაიწერა, რომელიც უცხოპლანეტელებზე შექმნილი ცნობილი



საშეარო



ფილმების ფრაგმენტებს შეიცავდა. რამდენიმე სამკერვალო ფაბრიკა კი ყველა მსურველისთვის „არამიწიერი“ კოსტიუმების შეკერვით იყო დაკავებული. კარნავალში მონაწილეობა უცხოპლანეტელებთან მშვიდობიანი დიალოგის მომხრე 17 ათასმა ადამიანმა და 100 ათასზე მეტმა სტუმარმა მიიღო. ყველაზე დიდი პოპულარობით კეთილი ჰუმანოიდის — იტის კოსტიუმი სარგებლობდა. ეს კოსტიუმი ერთბაშად 911-მა ადამიანმა შეუკვთა. განსაკუთრებული ხელმარჯვეობა და გამოძვინებლობა მკერავებმა „სამხედრო-

ბათა“ პერსონაჟების სამოსის დამზადებისას გამოავლინეს.

შტატის ქუჩებს დღე და ღამე უცხო გალაქტიკიდან ჩამოსული „კოსმოსური ხომალდები“ მოუყვებოდნენ. გზაზე გამოფენილი პლაკატები კი „იქაურ სტუმრებს“ ადგილობრივ კაფეებსა და ბარებში ეპატივებოდა და საუცხოო მიწიერ ღროს ტარებას ჰპირდებოდა.

ეს ყველაფერი კი მხოლოდ ამერიკაში შეიძლება მოხდეს: იქ ხომ სერიოზულიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

ესაბ რო ბირო	... ჰკუსა- გან	ჰაგანური მოსაწევი	ვალერი ... დესტენი	... გაგარინი	ხელი ან ფეხი მოგადად	მელიკაშენტი	ფრინ ველი
ე	ვ	ა	ი	ს	ი	ს	ი
ადკური ყვაილი	ავტოფარები	ფუგკრის სახლი	ივანე მრისხანეს გვარი	იაქე	გბა აფს- აბეთში	„მაშველების“ კლავი	



აკი ფილოსოფოსი, რიტორი“, ამავე დროს „ლექსთა გამოთქმელი“ და „მოღუაწე ბათა შინა განთქმული“ –

ამგვარად მოიხსენიებს იოანე შავთელს „ქართლის ცხოვრება“. იოანე შავთელის შესახებ შოთა რუსთველიც გვაწვდის ინფორმაციას თავის „ვეფხისტყაოსანში“, რომლის ლექსსაც რუსთველის თანამედროვე საზოგადოებაში დიდი მოწონება ხვდომია წილად: „აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“. 14 აპრილს (ანუ აღდგომის წინა დღეს) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სწორედ წმინდა იოანე შავთელის ხსენებას დღესასწაულობს.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შედგენილი ბიოგრაფიის მიხედვით, იოანე შავთელს უსწავლია ჯერ შიომღვიმეში, მერე ათენში და ათონის აკადემიაში, ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ უმოგზაურია ეგვიპტე-ფინიკიაში და ბოლოს სამშობლოში დაბრუნებულია. სხვა ავტორთა მიერ მოწოდებული ცნობით კი, იოანემ უმაღლესი განათლება გელათის მონასტერთან არსებულ აკადემიაში მიიღო, სადაც მან შეისწავლა წმინდა მამათა თხზულებები, ანტიკური და არაბული ისტორია, ფილოსოფია, ლიტერატურა, შემდეგ ბერად აღიკვეცა და მოღვაწეობდა ვარძიის მონასტერში. სახელი „შავთელი“ კი, როგორც ვარაუდობენ, უნდა იყოს შემოკლებული „შავშეთელი“. როგორც გვაუწყებს პლატონ იოსელიანი, იოანე შავთელი იყო მდივანი თამარ მეფისა. 1206 წელს ის თამართან ყოფილა ბოლოსტიკის ომის დაწყება-გათავებისას. ხოლო როდესაც ქართველთა სპა, დავით სოსლანის წინამძღოლობით, ბასიანისკენ გაეშურა იკონიის სულთნის, რუქნადინის წინააღმდეგ საბრძოლველად, წმინდა კეთილმსახური მეფე თამარი სალოცავად წავიდა. მას თან ახლდა ქართლის კათოლიკოსი თეოდორე, კაცი წმინდა და სახიერი. მრავალ ეპისკოპოსთან და მონაზონთან ერთად, რომელთა შორის ბრწყინავდა იოანე შავთელი – „კაცი საკვირველი“.

აქ ერთი სასწაული აღსრულდა: ღვთისგან წინასწარმცნობელობის მადლით დაჯილდოებული ევლოგი (მის ხსენებასაც მართლმადიდებლური ეკლესია 14 აპრილს ზეიმობს) სალოსი წირვის დროს სამგზის დაეცა მიწაზე, შემდეგ ხელები ალაპყრო და დაიძახა: „აჰა დიდება ღმერთსა! ქრისტე ძლიერ არს. ხელნი ევლოგისანო, სპარსთაგან არა გემინით, განუტყვეო, რათა ვიდოდის მშვიდობით. წყალობა ღვთისა



«ლექსი მას უქეს რომელსა»

14 აპრილი: ღირსი იოანე შავთელ-გეგათელისა და ევლოგი წინასწარმეტყველი სალოსის ხსენების დღე

სახლსა ზედა თამარისსა მოიწია“. იქ მყოფნი მიხვდნენ, რომ ევლოგიმ საღვთო გამოცხადება მიიღო. ღირსმა იოანე შავთელმა მეფეს უთხრა: „უწყოდე, მეფეო, რომელ ჩვენება იხილა სულელსაგონებულმან, გარნა ჩვენებასა კეთილსა ვჰკონებ“ (ცნობისათვის: სალოსებად იწოდებოდნენ „ქრისტესთვის სულელნი“. ესენი ის მორწმუნე ადამიანები იყვნენ, რომელნიც ღვთისთვის განსაკუთრებულ ღვაწლს აღასრულებდნენ. სალოსები ხშირად საჯაროდ, პირუთვნელად ამხელდნენ მეფეთა და დიდებულთა მანკიერებებს. თუმცა „სულელობის“ გამო არ, ან ნაკლებად ისჯებოდნენ. მეორე მხრივ, სალოსები საკუთარი ნებით იმდაბლებდნენ თავს, რათა მალულად და გაუხმაურებლად აღესრულებინათ ღვთისთვის სათნო საქმეები). წმინდა იოანე შავთელმა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვების სამადლობელი დაწერა „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისა“, რომელიც წარმოადგენს სამადლობელ იამბიკოს. იოანე

შავთელის ნაწარმოებებიდან უფრო საინტერესოა ცნობილი ოდა „აბდულმესია“ (აბდულმასიჰ), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ქრისტეს მონას“ და ეს უნდა იყოს თხზულებაში შექმნილი პირის ზედწოდება. თუმცა, დღემდე აზრთა სხვაობაა იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება ვიგულისხმობთ ასეთ პირად. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „აბდულმესიანში“ შექმნილია ერთადერთი პიროვნება, სახელოვანი მეფე მამაკაცი და ეს არის დავით აღმაშენებელი. სხვათა აზრით კი, „აბდულმესიანის“ ქების საგანია ორი პირი – ერთი მამაკაცი და ერთი მანდილოსანი. ამ მანდილოსნად მიჩნეულია თამარ მეფე, ქების საგანი მამაკაცის ვინაობა კი, კვლავ დაუდგენელია და კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მას დავით აღმაშენებლად მიიჩნევს, კრიტიკოსთა მეორე ნაწილი – დავით სოსლანად.

რაგინდ მაღალი გემოვნების მქონე შემფასებელი ყოფილიყო ნებისმიერი საუკუნისა, უთუოდ მოხიბლავდა იოანე შავთელის პოეზიის სინატიფე, სიმსუბუქე და ფერადოვნება, რომელზე მცირე წარმოდგენა ამ პატარა ნაწყვეტმაც შეიძლება შეგვიქნას:

„შენ, გონიერო, გულისხმიერო, თვით მეცნიერო, მეფე ძლიერო! მიუხდომელო, მიუწვდომელო, მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო! განათლებულო, განახლებულო, განბრწყინებულო მზეო ციერო! გალაღებულო, გალომებულო, კვლავ გოლიათო გულმობიერო!“

სამწუხაროდ, იოანე შავთელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თანამედროვე მეცნიერებას ისევე მწირად მოეპოვება, როგორც მის სახელოვან თანამედროვეთა. თუმცა, სავარაუდოა, რომ ის ინახებოდეს იმ ქართულ ხელნაწერებში, რომელზეც თანამედროვე ქართულ საზოგადოებას ხელი ნაკლებად მიუწვდება და არც მკვლევარი ჩანს მრავლად...

მოძიებული ცნობების მიხედვით კი, ბერად აღკვეცილი იოანე შავთელი ღრმა სიბერეში გარდაცვლილა და გარდაცვალებისთანავე შეურაცხავთ წმინდანთა დასში.

„ჰოი, ყოვლად საწადელო წმინდაო მღვდელმთავარო იოანე შავთელო და ღმერთშემოსილო მამაო ევლოგი სალოსო, ევედრენით ღმერთსა, რათა მოგვმადლოს სულთ და ხორციით მშვიდობა და სიმრთელე და ვადიდებდეთ სახიერებასა მისსა!“

უახსოვთ, ალბათ, ისააკის მსხვერპლად შეწირვის ამბავი, ღმერთმა რომ აბრაამი აკურთხა და აღუთქვა, შენი შთამომავლობისაგან ქვეყანას მსხნელი მოევლინებაო. მაშინ ეს მოასწავებდა ქრისტეს ჯვარცმას, სიკვდილსა და აღდგომას. შემდეგ, როცა ისააკის შვილმა იაკობმა იხილა იღუმალი კიბე, ესეც მოასწავებდა იმას, რომ ღვთისმშობლისაგან იშვებოდა ქრისტე. ის შეაერთებდა ცასა და ქვეყანას, ე.ი. შეარიგებდა კაცს ღმერთთან... და დადგა ის ღმერთს, როდესაც იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ადამიანთა ცოდვებისა და უკეთურობის გამო ჯვარს აცვეს. წამებისას კი ისევ ადამიანთა მფარველობას ევედრებოდა უფალს: „მამაო! მიუტევე ამათ: რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“

იესომ იცოდა და ამბობდა კიდევ, ჯვარცმიდან სამი დღის შემდეგ მკვდრეთით აღვდგებიო. მისი ნეტის ჯვრიდან გარდამოხსნა იოსებ არიმათიელმა სთხოვა პილატეს. მან ნება დართო. იოსებმა ქრისტე თავისი ბაღის აკლდამაში დაასვენა. შაბათ დილას კი საფლავის კართან ფარისევლებმა ლოდი მიაგორებინეს და დააბეჭდვინეს, რამდენიმე რომელი ლეგიონერიც დაუყენეს მცველად.

და აი, ჯვარცმიდან მესამე დღეს, კვირა დილას, ძლიერი მიწისძვრის შემდეგ ანგელოზი უფლისა ჩამოვიდა ციდან და საფლავის მძიმე ლოდი გადააკორა. შეძრწუნებული მცველები ძირს განერთხნენ. შემდეგ თავქუდმოკლეჯილები გაიქცნენ ქალაქში. იმავე დღით მარიამ მაგდალინელს, მარიამ იაკობისას და სალომეს აკლდამა გახსნილი დახვდათ. მარიამ მაგდალინელს ეგონა, ნეტები მოიპარესო და უკან გაბრუნდა პეტრესთან და იოანესთან, დანარჩენები კი აკლდამაში შევიდნენ. იქ მათ ანგელოზი დახვდათ. „ნუ გეშინიათ! ქრისტე აღსდგა! მოწაფეები გალილეაში იხილავენ მას!“ აღდგომის შემდეგ მაცხოვარი პირველად მარიამ მაგდალინელს გამოეცხადა. იმ დღესვე ეჩვენა თავის მოწაფეებს და უჩვენა მათ თავისი ნამსჭვალევი ხელები. შემდეგ მოსთხოვა მათ საჭმელი, რათა სიმართლეში დაერწმუნებინა ისინი. მხოლოდ თომამ არ ირწმუნა იესოს აღდგომა. რვა დღის შემდეგ კვლავ გამოეცხადა თავის მოწაფეებს. ამჯერად თომაც იქ იყო. „თომა! შემახე თითები ნაჭრილობებზე“. თომამაც



„აღდგომას შენსა, ქრისტე მაცხოვარ!“

ირწმუნა. მაშინ უთხრა იესომ: „შენ ირწმუნე, რადგან მიხილე: ნეტარ არიან ისინი, რომელთაც არ უუნახივარ და მაინც მრწმენეს“. ამის შემდეგ იესო კვლავ გამოეცხადა მოწაფეებს გალილეის ტბის ნაპირზე. ერთხელ ეჩვენა ხუთასზე მეტ მორწმუნეს. ის ეცხადებოდა მოციქულებს ორმოცი დღის განმავლობაში და ესაუბრებოდა მათ ღვთის სასუფეველზე, ამზადებდა დიდი მსახურებისათვის, ვიდრე ზეცად ამაღლდებოდა.

ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ პირველად განიხსნა სამოთხის კარი, ქრისტე ჩავიდა ჯოჯოხეთში, ამოიყვანა იქიდან ნათელთა სულები, ისინი, ვინც მანამდე ღმერთს ვერ ხედავდნენ. ამიერიდან კი ის ხალხი, ვინც ქრისტესთან ერთობაში შედიან, ჯვარცმის თანახიარნი ხდებიან, ანუ ინათლებიან, საშუალება ეძლევათ სასუფეველში შესვლისა. ამიტომ ივნო იესომ თავისი ნებით ჯვარზე. მაშინ, როცა სერობის შემდეგ, ხუთშაბათს,

მოვიდნენ მაცხოვრის შესაპყრობად, პეტრემ ამოიღო მახვილი და ყური მოათავსა ერთ-ერთ მომხდურს. მაცხოვარი ეუბნება: „ჩააგე, პეტრე, ეგ მახვილი. როგორ ფიქრობ შენ, მე რომ მინდოდეს, ერთ სიტყვას ვიტყვი და თორმეტი ლეგიონი ჩამოვა ანგელოზებისა ზეციდან, რომელნიც დამიცავენ მე“.

... მკითხველისთვის უსათუოდ საინტერესო იქნება იმის ცოდნა, თუ რა ხდება აღდგომის დღეს იერუსალიმში.

ყოველი აღდგომის წინა შაბათს ხდება უდიდესი სასწაული: ზეციდან გადმოდის ქრისტეს საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლი. აღდგომის ტაძრის გუმბათიდან რკალებივით მოედინება ცეცხლის წვიმა. ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მართლმადიდებლები აღნიშნავენ აღდგომას. კათოლიკეებსაც აქვთ აღდგომა, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება და არც მომხდარა 2000 წლის განმავლობაში. ორი ათასი წელია,

ქრისტეს საფლავზე გადმოდის ზეციური ცეცხლი და ეს ემთხვევა ზუსტად იმ გამოთვლებს, რომლითაც ითვლიან მართლმადიდებელი ეკლესიის მამები. ამ გამოთვლის აღნიშვნა დადგენილ იქნა ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაზე. აი, ეს კიდევ უტყუარი ბეჭედი იმისა, რომ მსოფლიო კრებათა გადაწყვეტილებების შეცვლა არაფრით არ შეიძლება. რაც მიიღეს ერთხელ მამებმა მე-4 საუკუნეში, ის არის უცვლელი და ეს ცეცხლის გადმოსვლაც ამის დასტურია. თვითმხილველნი ჰყვებიან: წარმოდგინეთ ოთხი სვეტიცხოვლისხელა ტადარი (ის ძალიან ჰგავს სვეტიცხოველს), რომელიც გადაჭედებულია ათასობით ადამიანით. ყველაფერი უყურებენ გუმბათს და ელოდებიან ზეციურ სასწაულს. აღდგომის დღესასწაული ხომ მოძრავი არის, აი ეს სასწაულიც ასეთივე მოძრავია. ეს წინასწარი იციან. ვთქვათ, წელს ეს მოხდება 14 აპრილს: ღამის პირველიდან ორ საათამდე, როდესაც შედის ქრისტეს საფლავზე იერუსალიმის პატრიარქი ან ის პიროვნება, ვისაც იერუსალიმის პატრიარქი მისცემს ლოცვა-კურთხევას. მაშინ მისი ლოცვით ზეციდან ცეცხლი დაიწყებს გადმოსვლას და სანთელი აინთება მხოლოდ და მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქის ხელში. ეს განსაკუთრებით იმისა, თუ რას ნიშნავს პატრიარქობა, რას ნიშნავს იერარქია და რამდენად დიდია მღვდელმსახურება. თურმე როცა ბიზანტიის იმპერია დაემხო, სელჩუკებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და სტამბული დაარქვეს, მაშინ სომხებმა მოისყიდეს ოსმალები, რათა ტადარში არ შეეშვათ მართლმადიდებელი პატრიარქი.

ქრისტეს საფლავზე გადმოდის ზეციური ცეცხლი და ეს ემთხვევა ზუსტად იმ გამოთვლებს, რომლითაც ითვლიან მართლმადიდებელი ეკლესიის მამები. ამ გამოთვლის აღნიშვნა დადგენილ იქნა ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაზე. აი, ეს კიდევ უტყუარი ბეჭედი იმისა, რომ მსოფლიო კრებათა გადაწყვეტილებების შეცვლა არაფრით არ შეიძლება. რაც მიიღეს ერთხელ მამებმა მე-4 საუკუნეში, ის არის უცვლელი და ეს ცეცხლის გადმოსვლაც ამის დასტურია. თვითმხილველნი ჰყვებიან: წარმოდგინეთ ოთხი სვეტიცხოვლისხელა ტადარი (ის ძალიან ჰგავს სვეტიცხოველს), რომელიც გადაჭედებულია ათასობით ადამიანით. ყველაფერი უყურებენ გუმბათს და ელოდებიან ზეციურ სასწაულს. აღდგომის დღესასწაული ხომ მოძრავი არის, აი ეს სასწაულიც ასეთივე მოძრავია. ეს წინასწარი იციან. ვთქვათ, წელს ეს მოხდება 14 აპრილს: ღამის პირველიდან ორ საათამდე, როდესაც შედის ქრისტეს საფლავზე იერუსალიმის პატრიარქი ან ის პიროვნება, ვისაც იერუსალიმის პატრიარქი მისცემს ლოცვა-კურთხევას. მაშინ მისი ლოცვით ზეციდან ცეცხლი დაიწყებს გადმოსვლას და სანთელი აინთება მხოლოდ და მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქის ხელში. ეს განსაკუთრებით იმისა, თუ რას ნიშნავს პატრიარქობა, რას ნიშნავს იერარქია და რამდენად დიდია მღვდელმსახურება. თურმე როცა ბიზანტიის იმპერია დაემხო, სელჩუკებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და სტამბული დაარქვეს, მაშინ სომხებმა მოისყიდეს ოსმალები, რათა ტადარში არ შეეშვათ მართლმადიდებელი პატრიარქი.

ქრისტეს საფლავი ორი ნაწილისგან შედგება: ერთია თვითონ საფლავი და მეორე – ანგელოზის ქვა, სადაც მოცოქილებს ანგელოზი გამოეცხადათ, როდესაც ქრისტე აღსდგა. სწორედ იესოს საფლავთან შედის იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი და იწყებს ლოცვას, ხოლო სომეხი პატრიარქი, როგორც „მეთვალყურე“ ელოდება ანგელოზის ქვასთან. ლოცვის შემდეგ იწყება სწორედ ის სასწაული, რომლის შესახებაც ზემოთ ვთქვით და გამოდის მართლმადიდებელი პატრიარქი ხელში პირველად ანთებული ცეცხლით. წარმოდგინეთ, რა ხდება ამ დროს ტადარში: ისმის შეძახილები, ულოცავენ ერთმანეთს. ერთი გამოუთქმელი, ღვთიური და უდიდესი სიხარულის მოწმეა ყველა იქ მყოფი. ცეცხლის გადმოსვლა ქრისტეს საფლავზე 15 წთ-მდე გრძელდება. სასწაულია ის, რომ ამ წუთების განმავლობაში, შეგიძლია ცეცხლი თავზე, თმაზე, სახეზე, მთელ ტანზე შემოიტარო და არ დაგწვავს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი, ცეცხლი ბუნებრივად განაგრძობს წვას. თვითმხილველთა ყურადღებას იპყრობენ მართლმადიდებელი არაბები, რომელთაც გულზე ძალიან დიდი ჯვრები ჰკიდიათ. ცეცხლმოკიდებული კელაბტრებით მუსლიმანებისა და ებრაელების უბნებში დარბიან და ჰყვირიან – ნახეთ, რა გვიჭირავს ხელში, ჩვენ ვართ მართლებიო!.. შეუძლებელია, ამას ყველაფერს უყუროს კაცმა და არ ირწმუნოს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და მის ეკლესიებში არსებული ღვთის მადლი. აღდგომის საუფლო ღვინისწავლას წინ უსწრებს დიდი წითელი პარასკევი, იესოს წამებისა და ჯვარცმის დღე. როცა ხალხმა ბარაბას გათავისუფლება სთხოვა პილატეს. ურიასტანის მმართველი არ იყო დარწმუნებული ქრისტეს დანაშაულში, მაგრამ ხალხის შფოთს მოერიდა, თასი მოატანინა, ხელი დაიბანა და თქვა: ამ საქმეში მე უბრალო ვარო (აქედან მოდის „ხელის დაბანა“). ხალხმა იქნა: „სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და შეილთა ჩვენთა ზედა“.

წითელ პარასკევს ქრისტიანები ვლენ ბავთ კვერცხებს, როგორც სიმბოლოს ქრისტეს მიერ დაღვრილი სისხლისა, ნიშნად იმისა, რომ კაცობრიობას მუდამ ახსოვდეს მისი წამებისა და აღდგომის დღე. კვერცხიდან ცოცხალი არსების გამოსვლა მარადიული საიდუმლოება იყო და ქრისტიანულ სიმბოლიკაშიც ასე შევიდა. სააღდგომო წითელ კვერცხს მარიამ მაგდლინელსაც უკავშირებენ, რომელიც ქრისტეს აღდგომის შემდეგ, იმპერატორ ტიბერიუსთან შესულა და უთქვამს: „ქრისტე აღსდგა!“ პასუხი კი ასეთი გახლდათ: „ქრისტე ისე აღსდგებოდა მკვდრეთით, როგორც ეს კვერცხი გაწითლდება, ხელში რომ გიჭირავს“. ამის თქმა იყო და მარიამის ხელში კვერცხი გაწითლებულა. რაც შეეხება პასქას, ეს ძველებრაული სიტყვაა და მოდის პასექიდან – „ურიათა დღესასწაულიდან“. შემდეგ ქრისტიანებმა ეს დღესასწაული ქრისტეს აღდგომას დაუკავშირეს. პასქას აქვს სამსხვერპლო კრავის მნიშვნელობაც: „სადა პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა ვჭამო“ (მარკ. 14,14); „შეჭამონ პასექი იგი“, „შევიდეს ტადარად“ (იოანე 18,28).

... დღეს, უკვე 21-ე საუკუნის ადამიანები ვდღესასწაულობთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას და ვამბობთ: „ქრისტე აღსდგა სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი!“ – „ჭეშმარიტად აღსდგა!“ ვიმეორებთ საუფლო ლოცვას – „მამაო ჩვენო“, რათა შეგვეწიოს, ვიყოთ ჭეშმარიტი შვილნი მისი სუფევისა ქვეყანაზე, ე.ი. ვიყოთ ქრისტიანნი არა მარტო სახელწოდებით, არამედ ცხოვრებითაც.

6060 შივარდნაძე



ღათო სილაგაძე

ანგარიშია 2:0. ანტონსონი ჩოქჯენში დგას, ზეზე ადგომას არ ცდილობს, გაისმის გონგის ხმა... 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილია.

იგი იდგა საპატიო კვარცხლბეკზე და იღიმებოდა. რაზე ფიქრობდა მაშინ? ბევრ რამეზე... მშობლიურ საქართველოზე, თავის შეილებზე, მეგობრებზე. ალბათ იმაზეც ფიქრობდა, თუ როგორ შეეცდებოდა მშობლიური გიორგიწმინდა, იმაზეც – დილით შევალ ვენახში, მოვწყვეტ დიდ მტევანს, შევებით ამოვისუნთქავ, როცა, ხელისგულზე ყურძნის სიმძიმეს ვიგრძნობო.

... საპატიო კვარცხლბეკზე იდგა ძლიერი, თამაშვერცხლილი ვაჟკაცი, დარბაზში მისი გამარჯვების მაუწყებელი – საბჭოთა კავშირის ჰიმნი უღერდა. ეს იყო ორმოცდაცხრა წლის წინ...

ვინ იყო არსენ მეკოკიშვილი? როგორ მივიდა იგი ტრიუმფად? რამ შეაძლებინა ორმოცდარეტი წლის ვაჟკაცს ის, რაც ბევრი ახალგაზრდისთვის აუხდენელი ოცნებაა?

... იოსებ მეკოკიშვილს ხუთი ვაჟი ჰყავდა – გიორგი, ნიკო, სოლომონი, მიხეილი და ფრიდონი. გიორგიწმინდაში არ გამართულა არც ერთი შეჯიბრება ჭიდაობაში, ამ გოლიათებს რომ არ მიეღოთ მონაწილეობა.

იოსების ერთ-ერთი ვაჟის, ფრიდონის ფეხისგულები არასოდეს დაუნახავთ არც ადამიანებს და არც შუეს. ძლიერი იყო, მხარბეჭვამილი. საბერველით გულმკერდი ჰქონდა. ზურგს კი, რომ იტყვიან, თვალით ვერ გასწვდებოდი. როგორც მოჭიდავეს, ორი ნაკლი ანასიათებდა – უზომოდ გულკეთილი და დინჯი იყო. შეიძლება სწორედ ამიტომაც უყვარდათ თანასოფლელებს ასე ძალიან თავიანთი ფალავანი.

1911 წელს ფილო, მამა გახდა. მის ბიჭს არსენი დაარქვეს. თავის წიგნში „ფალავანების მწიგნობრივი“, არსენ მეკოკიშვილი წერს: „პირადად მე არასოდეს მინახავს, როგორ ჭიდაობდა მამაჩენი უბნის მოჭიდავეებთან. ხუთი წლის ვიყავი, ის რომ მოკვდა, 1917 წელს“.

მამაზე არსენს პაპა იოსება უამბობდა. ხმა ეხლიჩებოდა მოხუცს, თავს ქინდრავდა, შვილის მწარე ბედზე ლაპარაკის დროს. პაპა იოსებამ არსენს, მამის მავირობა გაუწვია. ძველ მეცხვარეს ბიჭი მთაში დაჰყავდა. მკაცრად და უბრალოდ ზრდიდა. იშვიათად გადაუსვამდა ხოლმე თავზე ხელს და ეუბნებოდა: „მამას ჰგევხარ, არსენ, მამას“.

ცხრაშეტი წლის ასაკში, მეგნახეობის კოლმეურნობა „საამური ცხოვრების“ ბრიგადირი არსენ მეკოკიშვილი ოთხმოცდაათ კილოგრამს იწონინდა და დამარცხებული



**უკლებელი
ფალავანი
პრესე
მეკოკიშვილი**

ჰყავდა ბევრი ცნობილი მოჭიდავე. მათ შორის იყო მისი მეგობარი და თანასოფელი შალვა გზირიშვილი – პროფესიით მჭედელი, ჭიდაობის დიდი მცოდნე და მოტრფიალე. სოფლის მჭედელს უბადლო ორგანიზატორული უნარი ჰქონდა. ხშირად მართავდა სოფლებში შეჯიბრებებს. თვითონ განსვლდათ მსაჯიც, ინფორმატორიც, კომენდანტიც. ყველაფერს სწვდებოდა და, ცხადია, არც მთავარს ივიწყებდა: მუშაობდა სამჭედლოში, მეთვალყურეობდა არსენს, მისი მუდმივი სპარინგ-პარტნიორი იყო.

განა შეიძლება, გზირიშვილის გარჯა ნამდვილი წარმატებით არ დაგვირგვინებულა? მისი დაჯინებული თხოვნით არსენა 1932 წელს ჩამოვიდა თბილისში, დაამარცხა ყველა უძლიერესი მოჭიდავე და საქართველოს ჩემპიონი გახდა. სწორედ თბილისში გაიცნო ორი ადამიანი, რომელმაც მის შემდგომ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა.

ნამდვილი მწვრთნელი არსენ მეკოკიშვილს მანამდე არც ჰყოლია. ნიჭიერ ყმაწვილს ასწავლიდნენ მასავით თვითნასწავლი სოფლელები. თბილისში არსენი მიხვდა, რომ „სკოლა“ უნდა გაეგო, მაგრამ სად იპოვიდა ნამდვილ მწვრთნელს? თუმცა ძებნა არ დასჭირვებია. არსენმა წერილი მიიღო: „მოელ ჩემს გამოცდილებას, რაც მოჭიდავის ხანგრძლივ ცხოვრებაში შემი-

ძენია, სიამოვნებით გაგიზიარებ შენ...“ ამას წერდა აკაკი ადგიშვილი, ძველი მოჭიდავე, სპორტის დიდი მცოდნე, რომელიც თბილისის ღებოში უფროს ოსტატად მუშაობდა.

ადგიშვილი კვანტებისა და სარმების ცოცხალი ენციკლოპედია იყო. ადგიშვილს ენმარებოდა მისი მეგობარი ილო თომაშვილი (სვანელი), ძველი პროფესიონალი მოჭიდავე, რომელიც რვეულარულად ესწრებოდა მეკოკიშვილის ვარჯიშებს: „არსენ, იცოდე, ტაქტიკა მოჭიდავის იარაღია. მძიმე წონისა ხარ (სიმაღლე – 190 სმ; წონა – 120 კგ – ავტ.). სისწრაფეს შენგან არავინ ელის, სწორედ ამიტომ, სწრაფი უნდა იყო და ვერავინ დაგამარცხებს.“

... ქართული ჭიდაობა მეკოკიშვილის პირველი სპორტული აკადემია იყო. იგი საქართველოს ოთხგზის აბსოლუტური ჩემპიონი განსვლდა, მაგრამ, მეორე აკადემიაც გაიარა – საკავშირო ასპარეზობებზე. ეს საოცარი ათლეტი ჭიდაობის სამ (!) სახეობაში გამოდიოდა: თავისუფალში, კლასიკურსა და სამბოში. „კლასიკოსთა“ საკავშირო ჩემპიონატებში მეკოკიშვილი ორჯერ – მეორე და ოთხჯერ – მესამე იყო. რა თქმა უნდა, ასეთი მოჭიდავე პირველობას ესწრაფოდა და განსვლდა კიდევ. სამბოში 1940 წელს მან პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მეკოკიშვილი საბჭოთა კავშირის უცვლელი ჩემპიონი იყო სამბოში – რვაჯერ მიიღო ოქროს მედალი.

მაგრამ არსენ მეკოკიშვილის ნამდვილი აღზევება, საბჭოთა კავშირში თავისუფალი ჭიდაობის დამკვიდრებასთან ერთად დაიწყო. 1945 წლიდან მან ცხრაჯერ (!) მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი. რამდენიმე თავით ძალიან იდგა მეტოქეებზე, ხალხი მიეჩვია იმ აზრს, რომ ვინც კი შეერკინებოდა გიორგიწმინდად მეგნახეს, უსათუოდ უნდა დამარცხებულიყო.

1954 წელს, მეკოკიშვილმა ქართველ სპორტსმენებს შორის პირველმა მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ტოკიოს ხალიჩაზეც არავინ აღმოჩნდა 43 წლის კახელი გლეხის სწორი. მარდი ფინელი ტიოსტო კანგასნიემი და ფრთხილად უნგრელი ნოტნი ნეენი შოთი პურებივით გააკრა ხალიჩაზე. ახალგაზრდა ირანელმა ვაფალარმა და შეუპოვარმა თურქმა ირფან ათანმა ქულებით წააგეს მასთან. ათანთან ორთაბრძოლის დროს მოხდა შემთხვევა, რომელიც მეკოკიშვილს მთელი ცხოვრება ახსოვდა. თურქი ღონიერი მოჭიდავე იყო, ამტანი, გაბედული. მისი სპორტული ვარსკვლავი უკვე აღარ კიაფობდა, მაგრამ ვაჟკაცურად შეეგება მეკოკიშვილსაც, ანტონსონსაც და ჯილდოდ ბრინჯაოს მედა-

ლი ერგო. დანარჩენი მეტოქეები დაამარცხა. ორთაბრძოლის ბოლოს მეკოკიშვილმა ირფან ათან მორივ ჩოქვავენში გადაიყვანა, ხელები კისერში ჩასჭიდა, „ნახევარნელსონს“ უტარებდა. ათანს უჭირდა, ძალა ელეოდა, გონგამდე წამებიდა რჩებოდა. მეკოკიშვილი დაწოლას აძლიერებდა და უცებ, ყრუ ჩურჩული მოესმა: „ნულარ მანქები, არსენ, ნუ წამაქცევ!“ თურქი მოწინააღმდეგე დანდობას სუფთა ქართულით სთხოვდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მეკოკიშვილი შედრკა კიდევ, დაწოლა შეანეღა. გონგს ჩამოჰკრეს, ათანის ბეჭები გადაარჩა.

როცა მსაჯმა, გამარჯვების ნიშნად, ქართველის ხელი ასწია, ათან თაყნაღუნული იდგა, მაგრამ ტრადიციული გამოსამშვილობებელი ხელის ჩამორთმევისას, ხანგრძლივი მზერით გააცილა მეკოკიშვილი. ათანის თვალები მაღლიერებას გამოხატავდა.

სტამბოლში, 1956 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაზე ანტონსონი აღარ ჩავიდა. ხალიჩა დატოვა ირფან ათანმა. სტამბოლში იგი მეკოკიშვილთან მივიდა, სველიანად გაუღიმა და ხელები გამალა: „აღარ ვჭიდაობ, არ შემეცვანეს გუნდში... შენ კი, სახეს გაუფრთხილდი!“ – უთხრა ქართულად. მხოლოდ თურქული ჭიდაობის ახალ ვარსკვლავთან, ჰამიდ ქაფლანთან შერკინების დროს ჩასწვდა მეკოკიშვილი ამ გაფრთხილების აზრს.

ქაფლანი ქართველ მოჭიდავეზე ორჯერ ახალგაზრდა იყო. გრძელმკლავება, ამტანი, ფიზიკურად ძალზე ღონიერი, ხალიჩაზე კი არ დადიოდა, დაქორდა. მეკოკიშვილის ყოველ ცდაზე – როგორმე კონტაქტში შესულიყო მასთან, ქაფლანი უკან სტებოდა, ხშირად ხალიჩიდანაც გარბოდა.

მსაჯები შენიშვნას არ აძლევდნენ. სტამ-

ბოლში საშიშია, შენიშვნა მისცე თურქ მოჭიდავეს: ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი, შეიძლება „შემთხვევით“ თავში მოხვდეს ასეთ მსაჯს...

ბრძოლის მეორე ნახევარში ქაფლანი გააქტიურდა, ცდილობდა, ხელში ჩაეგლო მეტოქის მკლავი, მაგრამ ვერ ახერხებდა. მეკოკიშვილის ერთ-ერთი იერიშის დროს ქაფლანმა სწრაფად თავური დაჰკრა პირდაპირ სახეში. ეს საშიშელი დარტყმა. მეკოკიშვილი, რომელსაც მთელი თავისი კარიერის მანძილზე შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია, არც ერთი მეტოქე არ დაუძვირებია, გაოცდა.

თურქი საძაგლად მოიქცა. რისი იმედი ჰქონდა? იქნებ იმისი, რომ ჭალარა ვეტერანი უკან დაიხევდა? ვიდრე მსაჯი გააფრთხილებდა, მან გულზე ხელი დაიდო, მოიბოდიშა, შემთხვევით მომიხდაო.

შემთხვევით? ერთი წუთის შემდეგ ქაფლანმა მეორედ დაარტყა. მსაჯმა ესეც „ვერ შეაჩინა“. ამას მალე მესამე დარტყმაც მოჰყვა. მსაჯებმა თითქოს დააპირეს თურქის გაფრთხილება, მაგრამ ტრიბუნები მუქარით აუგუგუნდნენ და მსაჯიც „მკაცრ“ შეგონებას დასჯერდა.

... რეგოლუციამდე საქართველოში იყო ასეთი მოჭიდავე – დავით ხიზამბარელი, ღონიერი, გულკეთილი კაცი. არასოდეს არავისთვის უწყენინებია და არასოდეს დაუკარგავს სიღარბისლე. ერთხელ ჩამოსულ მოჭიდავეს განზრახ მუშტი უთხლეშა დათასთვის სახეში. ხიზამბარელი შემუმუშულა და უკითხავს: – „ბიჭო, კრივში ხომ არ გამოვსულვარ, რომ იცემები?“ ეს უთქვამს და ზურგზე მოუგდია, ხალიჩაზე კი არ დაუდია, არამედ ქვა-ღორღის გროვასთან მიუტანია და უთქვამს, ამ ქვებზე უნდა დაგასრისო. მაგრამ შიშით გულშემოყრილი მეტოქე დათას ფრთხილად დაუწვევინა ფიცარნაგზე, ამხანაგისთვის დაუძახა – ერთი, თავზე წყალი დაასხი, მოაბრუნეო.

... სტამბოლის ფიცარნაგის ახლოს ქვა-ღორღი არ ეყარა, არც არსენ მეკოკიშვილს დაუკარგავს სიღინჯე. დასდევდა მეტოქეს მთელ ხალიჩაზე, ბოლოს მაინც მისწვდა, დაიჭირა. ასეთი ძალით არსენს ოლიმპიადაზეც არ გამოუღვია სარმა. ქაფლანმა ჩაიჩოქა, ხელები ხალიჩას შეახო და გავიდა. უბრალოდ რომ ვთქვა, ხალიჩიდან გაიქცა. ქულა მეკოკიშვილმა მოიგო. გონგს ჩამოჰკრეს.

მსაჯებმა ქართველ მოჭიდავეს ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება. დარბაზი აბობოქრდა, შეშინებული პოლიციელები ფიცარნაგზე აცვივდნენ, იქ კი ამაყად იდგა ჭალარა ფალავანი და მშვიდად უყურებდა თავის კუთხეში აწრილებულ ჰამიდ ქაფლანს.

ბრძომ გაარღვია პოლიციის პირველი კორდონი – ველური ღმუილით ძირბოდა ფიცარნაგისკენ. ხალიჩასთან ახლო მდგომი პოლიციელები რამდენიმე რკალად შემოერთნენ მსაჯებს, საბჭოთა მწვერთნელებს, მსოფლიო თასის მფლობელ მეკოკიშვილს და ისინი გასახდელში გაიყვანეს. გამპინვარებული გულშემატკივრებმა ალყაში მოაქციეს მთავარ მსაჯთა კოლეგია და გვიან ღამემდე ფეხი არ მოაცვლევინეს. დილით მეკოკიშვილმა შეიტყო, რომ ოქროს ჯილდო ქაფლანისთვის მიეცათ. ამჟამად წართვეს გამარჯვება.

... 1954-55 წლები. ახლოვდებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და მელბურნის ოლიმპიური თამაშები. შეეძლო თუ არა არსენ მეკოკიშვილს წამოეყენებინა თავისი, როგორც ფალავნის პრეტენზიები?

წამოაყენა კიდევ. 44 წლის ვეტერანმა დაამარცხა ყველა თავისი ახალგაზრდა კონკურენტი და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. არასოდეს, არც ერთ საბჭოთა მოჭიდავეს ამ ასაკში არ მოუპოვებია ქვეყნის უმაღლესი სპორტული წოდება. ეს აბსოლუტური საკავშირო რეკორდი ხელმეუხეხელი დარჩა.

არსენ მეკოკიშვილმა უფლება მოიპოვა, მეორედ გამოსულიყო ოლიმპიურ ხალიჩაზე – მელბურნში, 1956 წელს. მაგრამ ოლიმპიური საგზური მას არ არგუნეს. მწვერთნელები არ ენდნენ ძველ მოჭიდავეს და 22 წლის კიეველი იური ვიხრისტიუკი აირჩიეს.

მელბურნში ვიხრისტიუკი ჩავიდა. მწვერთნელები შემდეგ დიდხანს მორცხვად ღუმდნენ, როცა მათ ეკითხებოდნენ, რატომ არ წაიყვანეს მელბურნში არსენი. ვიხრისტიუკმა სულ სამი წრე იბრძოლა და მეექვსე ადგილს დასჯერდა.


ოლიმპიური ჩემპიონი კი ჰამიდ ქაფლანი გახდა. მელბურნში არსენი აღარ იყო – არ იყო მოჭიდავე, რომელსაც შეეძლო, ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია თურქი მძიმეწონისთვის.

არსენ მეკოკიშვილი ჭიდაობიდან დაუმარცხებელი წავიდა. ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონაში ყოველთვის პირველი იყო.

... ბორცვის ფერდობზე სოფლის სასაფლაოა. იქ მეკოკიშვილის ძველი ღვას – ლეგენდარულ არსენს ძლიერი მკერდით თითქოს გაურღვევია უზამზარნი ქვის ლოდი. აქ დასაფლავებული ფალავანი ჩვიდმეტჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, იყო მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური ასპარეზობის გამარჯვებული.

ამ საფლავზე ხშირად მოდიან ადამიანები, ამკობენ ყვაილებით და პატვიისცემის ნიშნად წუთით ღუმდებიან...

P.S. წელს არსენ მეკოკიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. ■



საინგილოს საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში სამაჩაბლოსთან, აფხაზეთთან, მესხეთთან, აჭარასთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემას წარმოადგენდა. დიდი ხნის მანძილზე ის დავის საგნად იყო ქცეული დამოუკიდებელი საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის. დე იურე საქართველომ იგი მხოლოდ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით შემოიერთა. მაგრამ საბოლოოდ, ოკუპაციის შემდგომ, ქართველი რენეგატების — ფილიპე მახარაძისა და ბუდუ მდივანის წყალობით მაინც აზერბაიჯანის კუთვნილებად იქცა.



პირველი რესპუბლიკის

მხარე გაემოსვლიდა

საინგილოს საკითხი 1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოში

საინგილოს უმთავრესი პირველი ცდა

სამოქალაქო ომი კახეთში

საინგილო ისტორიულად ძირძველი ქართული პროვინციის — ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენდა და ძველი ქართული ტომებით — ჰერებით იყო დასახლებული. მხარეში მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები მე-17 საუკუნიდან შაჰ-აბას I-ის ცნობილი შემოსევებიდან დაიწყო და მე-18 საუკუნის მიწურულისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი თუ წახურელი დაღესტნელი კოლონიზაციის დასახლებით. მე-19 საუკუნის დასაწყისში იგი ზაქათალის ოლქის სახით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და ათეული წლების მანძილზე თბილისის გუბერნიის ექვემდებარებოდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდისათვის, მხარის მთელ ტერიტორიაზე ქართველობას, მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილში — კახის რაიონში განსახლებული ინგილები წარმოადგენდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამართლიანობა და კანონზომიერება მოითხოვდა, ოლქი მის ნამდვილ ისტორიულ სამშობლოს — დედასაქართველოს შეერთებოდა. აღსანიშნავია, რომ ამაზე ოცნებობდნენ რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლებული იქ განსახლებული მცირერიცხოვანი ქართველები — ინგილოებიც (სიტყვა „ინგილო“ წარმოდგება თურქმანული სიტყვიდან „ენგილ“ და „სხლადგამაკმადიანებულს“ ნიშნავს), მაგრამ იმხანად აზერბაიჯანის მიერ საქართველოსთვის წამოყენებული ტერიტორიული პრეტენ-

ზიის გამო, ამ საშვილიშვილო მისიის განხორციელება ვერ მოხერხდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობას ისე ჩაეყარა საფუძველი, რომ ოლქი საქართველოს გარეთ დარჩა. მასზე, ფაქტობრივად, კონტროლი აზერბაიჯანის რესპუბლიკამ დააწესა.

მაგრამ საქართველოს მმართველი წრეებიც მოქმედებდნენ. ბაქოს მოთხოვნას — აღიარებული ყოფილიყო აზერბაიჯანის უფლებები ზაქათალის ოლქის ტერიტორიაზე, თბილისმა სრული იგნორირებით უპასუხა. როცა საკითხის გადაწყვეტის ყოველგვარი მშვიდობიანი ცდა ჩიხში მოექცა, საქართველოს მთავრობაში აქცენტი საბოლოოდ, ოლქის ძალიანძვირი საშუალებით დაბრუნებაზე გადაიტანეს. 1918 წლის ნოემბერში გადაწყდა — საინგილო სამხედრო ძალის გამოყენებით დაბრუნებულიყო. ამ მისიის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა თბილისის (აღმ. საქართველო) გენერალ-გუბერნატორს შალვა მადლაკელიძეს. მის განკარგულებაში იქნა გადაცემული საგანგებო სპეცდანიშნულების ორი ასეული, რომელსაც თელავში განლაგებული ეროვნული ჯარის მე-9 პოლკთან და სახალხო გვარდიის კახეთის ბატალიონთან ერთობლივად უნდა მიეტანა მტერზე იერიში.

აღსანიშნავია, რომ საინგილოს დაბრუნებას საქართველოს მთავრობა, არა მარტო სამხედრო დონეზე ითვალისწინებდა. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმდროინდელი ქართული სამხედრო დაზვერვა და დიპლომატიაც.

მაგალითად, როგორც გენერალ შალვა მადლაკელიძის მოგონებებიდან ჩანს,

მაშინ მათ საინგილოში ჰყავდათ საკმაოდ მძლავრი საიდუმლო აგენტურა, ადგილობრივი ლეკებისა და ინგილოების სახით, რომლებიც მზად იყვნენ, ოლქში ქართული ჯარების პირველი შესვლისთანავე, ისინი მხარის მთავარ ქალაქებში: ბელაქანში, ზაქათალაში, კახში ზურნითა და მუსიკით საზეიმოდ მიეცილებინათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, დასახული გეგმა ვერ განხორციელდა. ამის მთავარი მიზეზი, კახეთის რეგიონზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის დაკარგვა გახდა. თელავი, სიღნაღი და სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები ანარქიით, ყაჩაღობითა და ძარცვა-გლეჯით იყო მოცული. იქ დანიშნული მთავრობის მოხელეები ამის წინააღმდეგ არაფერი ილაშქრებდნენ, არამედ თვით ედგნენ ყოველივე ამას სათავეში. ამას დაემატა ისიც, რომ მალე განუკითხაობა გავრცელდა მხარეში დაბანაკებული ეროვნული ჯარისა და გვარდიის ნაწილებზეც, რის შედეგადაც იქ განლაგებული არმიის მე-9 პოლკი და სახალხო გვარდიის კახეთის ბატალიონი მთლიანად დაშლილი და დემორალიზებული იქნა. ჯარისკაცები სახლებში გაიქცნენ, ხოლო სამხედრო ნაწილების მთელმა შეიარაღებამ მმართველი სამოქალაქო და სამხედრო კლანების ხელში მოიყარა თავი. არსებული ვითარება მათ წინააღმდეგ საგანგებო-სამხედრო კონტროლის გატარებას მოითხოვდა. საინგილოს ოპერაციის ჩაშლის შემდეგ, გენერალმა შალვა მადლაკელიძემ, მთავარი ძალები სწორედ მათ წინააღმდეგ გადაისროლა. თავდაპირველად ალყა შემოეჭრა თელავს. ქალაქი და განსაკუთრებით მისი ცენტრი მთავრო-

ბის გააბრაგებული მოხელების მიერ არტილერიით საგანგებოდ იყო გამაგრებული.

აქტიური შეტევის შედეგად, მაღლაკელიძის ნაწილები მალე თელავში შევიდნენ. დაატყვევეს ამ განუკითხაობისა და ძალმომრეობის ყველა აქტიური მონაწილე. დაინიშნა საგანგებო, სამხედრო-საველე სასამართლო, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა გაესამართლებინა და დაეხვერიტა დანაშაულში მხილებული პირები.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მცდარ, არასარწმუნო ცნობებზე დაყრდნობით, მთავრობაში მიიჩნიეს, რომ შალვა მაღლაკელიძემ თავის უფლებამოსილებას გადაჰკარბა. აპარატის წარმომადგენლები და ის, უმაღლესი დონის იქნენ „სამშობლოს მოღალატეებად“ და მათ წინააღმდეგ დაძრეს სახალხო გვარდიის სამხედრო ნაწილები შაქრო ჯაფარიძის მეთაურობით. მთავრობის ამ ზომას გენერალმა მაღლაკელიძემ კონტრზომითვე უპასუხა. მან თვითნებურად გამოაცხადა თავი თელავისა და სიღნაღის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და მთელ კახეთში საგანგებო სამხედრო წესები შემოიღო. მასინდელი დამოუკიდებელი საქართველო მორიგი „ბაზალეთის“ რეალური სამიშროების წინაშე იდგა. მაგრამ კრიტიკულ მომენტში ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. სახალხო გვარდიამ მაღლაკელიძის ნაწილებთან ბრძოლაზე უარი განაცხადა და თავის მეთაურ, შაქრო ჯაფარიძესთან ერთად, მათ ტყვედ ჩაჰპარდა. კონფლიქტი საბოლოოდ, 1918 წლის დეკემბერში სომხეთ-საქართველოს ომმა დააცხრო. ნოე ჟორდანიას იძულებული გახდა, მაღლაკელიძეს შერიგებოდა, მისთვის მოღალატის დამდა მოეხსნა და მთელი მისი შესაძლებლობები საერთო მტრის – სომხური ჯარების წინააღმდეგ მიემართა. ამრიგად, იმხანად საინგილოს დედასამშობლოსთან შეერთების პირველი ცდა, მარცხით დასრულდა.

საინგილოს შიმშირთების შიორი ცდა

ლაგოდეხის გარნიზონის აჯანყება

საქართველოსთან საინგილოს შემოერთების მეორე ცდა იმდროინდელმა საქართველოს მთავრობამ ერთი წლის შემდგომ წამოიწყო. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1920 წლის აპრილის მიწურულს საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ოკუპაციამაც: თბილისში ჩათვალეს, რომ ეს ყველაზე ხელსაყრელი მომენტი იყო დასახული მიზნის მისაღწევად.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობას საინგილოში ჯარების შეყვანისთვის იმ დროისათვის წმინდა სამხედრო საბაბიც ჰქონდა. კერძოდ, სწორედ იმ ხანებში, მის წინააღმდეგ, სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდა აზერბაიჯანის დამპყრობი რუსეთის საოკუპაციო ჯარები. ამიტომ თბილისის სრული მორალური, იურიდიული და სამხედრო უფლება ჰქონდა, თავისი ჯარები ბელაქანში, ზაქათალასა და კახში შეეყვანა. საამისოდ ყველაფერი გაკეთდა კიდევ. ქართული ჯარების მთავარ-სარდალ, გენერალ ვიორგი კვინიტაძის ბრძანებით, 1920 წლის მაისის დასაწყისში საინგილოს საზღვარზე, ლაგოდეხის რაიონში ჩამოყალიბდა მძლავრი სამხედრო დაჯგუფება გენერალ სუმბათაშვილის სარდლობით, რომელშიც გაერთიანდა კახეთში განლაგებული, რეორგანიზებული მე-6 პოლკისა და სახალხო გვარდიის სამხედრო ნაწილები. ჯარისკაცების საომარი განწყობა საუცხოო იყო. ისინი, განსაკუთრებით კი კახელი მოხალისეები აქტიურად ემზადებოდნენ საზღვრის გადასალახავად, როცა 1920 წლის 18 მაისს გაიცა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას საბედისწერო ბრძანება – აზერბაიჯანში განლაგებული რუსულ ჯარებთან საომარი ოპერაციების შეწყვეტისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვის შესახებ. ამ ფაქტმა ძირეულად შემოაბრუნა საინგილოს შემოერთების ბედი. გენერალი სუმბათაშვილი, როგორც ამ მიმართულებით განლაგებული საგანგებო ქართული სამხედრო დაჯგუფების სარდალი, ვალდებული იყო ამ ბრძანებას დამორჩილებოდა და ერთხანს დაემორჩილა კიდევ, მაგრამ, როგორც ჩანს, საინგილოში შეჭრას იგი კვლავ აპირებდა და ამ მხრივ ჯარებში სერიოზულ ზომებს იღებდა კიდევ. სწორედ ამ დროს თავი იჩინა იმ უდისციპლინობამ, დეზორგანიზებულობამ, რაც ტიპური გახლდათ იმდროინდელი ქართული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სახეობის – სახალხო გვარდიისათვის. მათ საინგილოში შეჭრასა და რუსთა წინააღმდეგ ბრძოლაზე სარდალს კატეგორიული უარი განუცხადეს და აჯანყდნენ. მალე აჯანყება მოედო სუმბათაშვილის სამხედრო დაჯგუფების დანარჩენ ნაწილებსაც, მთელ ლაგოდეხის გარნიზონს, ეროვნული ჯარების ჩათვლით, რომლებიც გვარდიელების მიმბაძველობით იძულებით აღმოჩნდნენ ამ აჯანყებაში ჩათრეულნი. მდგომარეობა კრიტიკული იყო. გენერალი სუმბათაშვილი და მისი შტაბი ამბოხებულთა ალყაში მოექცა და მათ სრული განადგურება

დაემუქრა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში შესაძლებელი გახდა მდგომარეობის ნეიტრალიზება, რამაც მთავარი როლი იმ ფაქტორმაც ითამაშა, რომ მეამბოხეებს დაავიწყდათ გენერალურ შტაბსა და სუმბათაშვილის შტაბებს შორის სატელეგრაფო ხაზის განადგურება. ამან საშუალება მისცა მთავარსარდალ კვინიტაძეს, მაშველი ძალები ლაგოდეხისკენ გადაესროლა. ამჯერადაც ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ოპერაციაში მონაწილე სამხედრო სკოლის – იუნკერთა საგანგებო სამხედრო აქტიური მოქმედების წყალობით, აჯანყებულებმა იარაღი დაყარეს. გენერალი სუმბათაშვილი და მისი შტაბი განადგურებას გადაურჩა. ოპერაციის დასრულების უმაღლესი შედეგია საგანგებო-სამხედრო სასამართლო, რომელმაც აჯანყების მოთავე 9 ჯარისკაცს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. დანარჩენი არასაიმედო სამხედრო ნაწილებიც დაშალეს და სხვადასხვა პოლკში გადაანაწილეს. აჯანყება, მართალია, ლიკვიდირებულ იქნა, მაგრამ მან თავისი უარყოფითი კვალიც დატოვა. სამხედრო გზით საინგილოს დედასამშობლოსთან შეერთების მეორე ცდაც განუხორციელებელი დარჩა.

საინგილოს შიმშირთების დიპლომატიური ვედელოვა

დე იურე შემოერთება

საინგილოს შემოერთების დიპლომატიური მცდელობა მთავრობამ რუსეთიდან სამშვიდობო მოლაპარაკებების გზით გადაწყვიტა. ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა 1920 წლის აპრილში, გრიგოლ ურატაძის მოსკოვში ვიზიტის დროს დაიწყო. ცნობილია, რომ ეს სტუმრობა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის ძალითაც რუსეთმა უპირობოდ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ პარადოქსი ის იყო, რომ საინგილოს ამ დროისათვის ქართული ჯარი და ადმინისტრაცია ვერ აკონტროლებდა, რუსეთი კი ხელშეკრულებით მას საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებდა. მოლაპარაკებები კრემლში, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარ ვიორგი ჩიჩერინსა და საქართველოს წარმომადგენელს გრიგოლ ურატაძეს შორის წარმოებდა, მთელი რიგი სხვა კურიოზებითაც აღინიშნებოდა.

ცნობილია, რომ გრიგოლ ურატაძეს ამ მოლაპარაკებამდე, არავითარი სპეციალური დიპლომატიური განათლება და გამოცდილება არ გააჩნდა. ის ნოე ჟორდანიამ მოსკოვში ამ მისიით მხოლოდ

იმ მოტივით გააგზავნა, რომ იგი კარგად იცნობდა ლენინს, დამთავრებული ჰქონდა ჟენევაში ლენინის მიერ დაარსებული ლონჟიუმის პარტიული სკოლა და იმედოვნებდა, რომ ეს ნაცნობობა რუსეთის პირველ პირთან საქართველოს დიდად წაადგებოდა. მაგრამ უამრავი თვალსაზრისით, გრიგოლ ურატაძე აშკარად შეუფერებელი ფიგურა იყო ამ ლენინის მოლაპარაკებისთვის. თანაც, მას არ ახლდა დიპლომატიური კორპუსი. აი, რას მოგვითხრობს თავის მოგონებებში იმდროინდელი დამფუძნებელი კრების წევრი გერონტი ქიქოძე:

„რკინიგზები რუსეთში დანგრეული იყო სამოქალაქო ომის წყალობით და გრიგოლ ურატაძეს მოძრაობა ისევე გასჭირვებოდა, როგორც მე-18 საუკუნეში გაუჭირდა მის წინამორბედს დიპლომატიის დარგში საბა-სულხან ორბელიანს. ურატაძე ტალახიანი ჩექმებით შესულიყო კრემლის დარბაზში, სადაც მას ჩიჩერინი დახვედროდა თავის მრჩეველებითურთ. მათ შორის ყოფილიყო ძველი ბოლშევიკი აბელ ენუქიძე, რომელიც ალბათ მოწვეული იყო, როგორც საქართველოს საქმეების კარგი მცოდნე. ჩიჩერინს ურატაძე თავდაპირველად შეიკრიკად მიეღო. ის წარმომდგარიყო დიდი მაგიდიდან, რომელზეც თურქე ქალღიღობი და ფანქრები ეწყო და ეკითხა, სად არიან საქართველოს დელეგაციის წევრებიო – საქართველოდან თქვენთან მოსალაპარაკებლად მარტო მე ჩამოვედი – უპასუხია ურატაძემ.

– ძალიან კარგი, ეთქვა ცოტა არ იყოს გაოცებულ ჩიჩერინს, მამ დაბრძანდით და ამხანაგურად ვისაუბროთ.

ამ დროს აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებული იყო, ამიტომ მოსკოვის მთავრობის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს და აზერბაიჯანის გამიჯვნის საქმეში. სადავო ტერიტორიას ზაქათალის ოლქი ანუ საინგილო წარმოადგენდა. ჩიჩერინი დიდ კედლის რუკასთან მისულიყო, დაახლოებით შემოეხაზა საინგილოს საზღვრები და ეთქვა: მგონია თქვენ ამ ტერიტორიას უნდა ედავებოდეთ აზერბაიჯანსო. გრიგოლ ურატაძეს არ სცოდნია საინგილოს საზღვრები, მაგრამ ერთგან გაგონილი ჰქონდა, დიპლომატმა ყოველთვის მეტი უნდა მოითხოვოს, ვიდრე მას მოწინააღმდეგე მხარე სთავაზობსო. საბჭოთა მინისტრისათვის პროტესტი განუცხადებია იმის გამო, რომ მან თავისი სალოკი თითი სადავო ტერიტორიას მეტად ვიწროდ შემოავლო. მაშინ აბელ ენუქიძეს მისთვის ქართულად ჩაეწერა: ბიჭო დათანხმდი, იმაზე მეტს გაძღვევენ, რასაც საქართველოს მთავრობა მოითხოვს.




შალვა მალაკველიძე

ოვსო. ამ მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა აღიარა. ჩვენ შემადგენლობაში რჩებოდა საინგილოც, მაგრამ ოკუპაციის შემდეგ მაინც აზერბაიჯანს დარჩა“.

მართალია, ხელშეკრულებით რუსეთმა საინგილო საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარა, მაგრამ ამის შემდგომ მოვლენები არც ისე სახარბიელოდ განვითარდა, როგორც ჩანდა. ყველაფერი კრემლში დაწერილი სცენარის მიხედვით წარიმართა. როგორც კი ხელშეკრულების დადების ცნობა მივიდა ბაქოში, იქაურმა რუსეთის მარიონეტმა მმართველმა, აზერბაიჯანის რეკომის თავმჯდომარემ მირიმანოვმა ფორმალური პროტესტი გამოუცხადა მოსკოვს, ზაქათალის ოლქის საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარების გამო, რომელიც თითქმის „საუკუნოებით ეკუთვნოდა აზერბაიჯანს“.

ამ პროტესტის გამო ურატაძე ხელმეორედ მიიწვიეს რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატში და კატეგორიულად მოსთხოვეს, არსებული უთანხმოება აზერბაიჯანთან სამშვიდობო მოლაპარაკებებით გადაეწყვიტათ. მართლაც, 12 მაისს აიძულეს ხელი მოეწერა კაბალური შეთანხმებისათვის, რომელიც საინგილოს საკითხის გადაწყვეტის ინტერნაციონალიზაციას ითვალისწინებდა: უნდა შექმნილიყო ე.წ. „შერეული კომისია“, რომლის გადაწყვეტილებამდე არც საქართველოსა და არც აზერბაიჯანს არ უნდა შეეყვანა ოლქში ახალი ჯარები, გარდა იმისა, რომელიც იქ შეთანხმების პერიოდში იდგა. შეთანხმების პერიოდისათვის კი საინგილოში ქართული ჯარები არ იდგა, მხარე მთლიანად ოკუპირებული იყო.



გრიგოლ ურატაძე

ბული იყო ფორმალურად საბჭოთა აზერბაიჯანის, ფაქტობრივად კი რუსული ჯარების მიერ.

მიუხედავად ამისა, ოლქის თუნდაც ფორმალურად შემოერთებას იმდროინდელ საქართველოსთან, მაინც გარკვეული პოზიტიური მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოდ, 7 მაისის ხელშეკრულების დადების უშუალო, თბილისში ჩამოვიდა საინგილოს მთელი მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი საგანგებო დელეგაცია ა. კორდამევის მეთაურობით. დელეგაციამ ასეთი წერილობითი თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას:

„7 მაისის ხელშეკრულებით მთელი ზაქათალის ოლქი აღიარებულია საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ამით აღდგენილია უდიდესი ისტორიული მიმენტი – შეერთება საერთო ჩვენი სამშობლოსი – საქართველოსთან, ხელშეკრულებით მოგლეჯილი მისი ნაწილი – ზაქათალის ოლქის. მოგმართავთ ბატონო თავმჯდომარე, დააჩქაროთ ქართული ჯარების შემოყვანა ოლქში მომპეხალხის უფლებების დასაცავად.“

მაგრამ, სამწუხაროდ, ნოე ჟორდანიამ, რუსეთთან დადებული 12 მაისის ზემოთხსენებული კაბალური შეთანხმების გამო, ოლქში ჯარების შეყვანა ვერ გაბედა. 1921 წლის თებერვალ-მარტში კი ისე დაემხო, რომ საინგილო დე ფაქტო საქართველოს გარეთ დარჩა. ამას დაემატა ისიც, რომ ოკუპაციის შემდგომ, საქართველოს დე იურე კუთვნილება საინგილოზეც ანულირებულ იქნა. 1921 წელს ივლისსა და ნოემბერში, ქართველმა რენეგატებმა ფილიპე მახარაძემ და ბუღუ მდივანმა ეს ძირძველი ქართული კუთხე აზერბაიჯანს ოფიციალურადაც გაუფორმეს.

კონსტანტინე გამსახურდია



მერმე ის იყო, დედაი მოუკვდა
ჟამიანობისას გოგოს და დედი-
ნაცვალი მოჰკვარა მამამ, ორშვილ-
იანი ქვრივი ცოქალაი, თევზის-
ფერი პროხა.

ფიქრობდა მამა, შვილების მოვ-
ლას ნაჩვევი დიაცი მოხედავსო
ჩემს ქალსაც, მაგრამ მოტყუვდა:
გერი შეიძულა დედინაცვალმა ფრი-
ად. ანებივრებდა თავის ქალებს
ცოქალაი და გერისათვის მათი
გამონაცვალი კონკებილა ემეტე-
ბოდა. კონკია შეარქვეს უბედურ
გოგოს მად.

გარე-გარე დალაყუნობდა მამა და
ვერ ხედავდა გულბოროტობას ამა-
რი დიაცისას. ერთი ძველი საომარი
ტაიჭი მეგობრობდა კონკიასთან
მხოლოდ. ნუ გეშინიაო, ამშვიდებ-
და, მე გიშველიო უეჭველ.

გულმხეცი იყო მეფე ქვეყნისა,
მაგრამ ხანი შემატებოდა და ცული
ამბები მოჰქონდათ მსტოვრებს: შენს
სიკვლილს ელოდებო ხალხი, ამბობენ,
უფლისწულს აქამდე ცოლი მად არა
ჰყავს, არცა სჭირდებაო ქალი. მაგ-
ისთანა მეფეს გვიტოვებსო გულბორო-
ტი მბრძანებელი ჩვენი, მაგრამ იოლად
მოვიშორებთო მაგისთანა მეფეს.
ხმლებს ლესავენო ერისთავები.

გაწყრა მეფე და უფლისწულს
ცოლის მოყვანა უბრძანა. რა შე-
იძყო, მამა მიბრძანებსო ამას, გაეცი-
ნა უფლისწულს, ვინ შევიერთო, ისიც
მიბრძანოსო ბარემ. მთელ სამეფოს
გვარიშვილ ქალთა წვევა ბრძანა
მეფემ. ცოქალაიც გაეკაზმა თავისი
შვილებით. წაყვანა სთხოვა კონკიამ,
მასხარად აიგლო დედინაცვალმა: მაგ
კონკებში დიახაც მოეწონებო
უფლისწულს ჩვენსას.

ცრემლმა იწვიმა კონკიას თვალთ-
აგან. წავიდა დედინაცვალი სასახ-
ლეში და დატოვა ატირებული გერი.
ამ დროს მიეახლა ბებური ტაიჭი და
უთხრა, შემიდევრიო ერთ ყურში და
გამოძევრიო მეორედან, ქალო. შეძ-
ვრა კონკია და მეორე ყურიდან დი-
ახაც სადედოფლო ქალი გამოვიდა.



შეაჯდა ბებურ ტაიჭსა და წავიდა
წვეულებაზე. ბროლის ხამლები ეცვა
ფეხთ, დედაის ნაქონი.

სასახლეში კი ათოთხმეტი წლიდან
მოყოლებული, ყველა გასათხოვი ქალი
მიეყვანათ. დაეღურს უვლიდნენ ქალები.
უჭვრეტდა უფლისწული ატროკე-
ბულ დიაცთ და ოვსთა მეფის ნასას-
არი ახსენდებოდა, შარშან ხატობაში
რომ გაინაპირა და საკინძე ჩაუნსნა,
მაგრამ ოფლის სუნი ეცა, ძმრის სუნის
მინამსგავსი.

სასახლესთან მიეყვანა ტაიჭმა კონკ-
ია და უთხრა, ათორმეტ საათამდე
გაქვსო დრო, ისევე კონკიად გადა-
იქცევიო მერე. შედი დარბაზში და
ტახტისკენ წადიო პირდაპირ,
უფლისწულს იხილავო მანდ.

წამოიმართა უფლისწული, თვალი
ჰკიდა ბროლის ხამლებს უცნობი
ასულისას. ენიშნა: ჭაობისფერი საწ-
მერთული ეცვა დიაცს. საცეკვაოდ
გაიწვია უფლისწულმა. სახელს
ჰკითხავდა უმაღ. ჩემი სახელი რად
გინდაო, უფლისწულო ბატონო, უდი-
მოდა კონკია.

ბიზანტიის კეისრის ნაჩუქარი
საათი ჰქონდა მეფეს ერთი, ლუს-
კუმიტგან გამოღებული ეღვა დარ-
ბაზში. ათორმეტის დაკვრა დაი-
წყო საათმა და შეერთა ქალი.
ხელები გამოსტაცა უფლისწულს
და კიბეზე დაეშვა. უკან გასდია
უფლისწულმა და მოსძახოდა, სად
გარბიხარო, ჩემო. ცალი ხამლი
წასძვრა კიბეზე კონკიას, მაგრამ
ალარ მოუხედა, ცალფეხშიშველა
მოახტა ტაიჭს. რა ცნა, ვეღარ
ვეწვიო ნანდაურს, ხამლი
შემოიტანა უფლისწულმა და მეფეს
ამცნო, ამ ქალის გარდა მე ცო-
ლად არავინ მსურსო, მამა. წამოხტა
მეფე და აღკაზმვა ბრძანა ქალის
საძებრად.

ჯერ კიდევ ვაჟკაცურად ებრძო-
და მამალი ხოხობი ღამეს, მეფე
და უფლისწული რომ გზას გაუდ-
გნენ. იმედს არ ჰკარგავდა
უფლისწული. იცოდა: ბროლის
ხამლი უნდა მორგებოდა იმ ასულს
კარგად, ასეც აძახებინებდა შულტ-
ებს.

სახლში მობრუნდა ცოქალაი თავისი
შვილებით და ჩამინებულ კონკიას
დაუნახა ბროლის ხამლი. ლოყა ჩამ-
ოიხოკა თევზისფერმა ძროხამ:

– უიმე, უიმე, ეს მახინჯი უნდა
გახდეს მომავალი დედოფალი?

გამოიღვიძა კონკიამ. ეცა დედი-
ნაცვალი და წაჰკლიჯა ბროლის
ხამლი. თვით გერი ხურსისეულ
კოშკში ჩაკეტა, ვიდრე უფლისწული
ჩაივლიდეს, იყავიო მანდ. არ მოერ-
გო ხამლი მის შვილებს. უფროსს,
მწითურ ვარდისხარს ჩამოაცვა მანც
მაჯაგანით.

მოვიდნენ მეფე და უფლისწული და
ნახეს: ცოქალაის შვილს ეცვა ცალი
ხამლი ფეხზე. წამუყო მეფემ ჩოფურ-
რა მონასპას და ისიც მიეახლა
გათქვირულ დიაცს, მაგრამ მეორე
ფეხზე ვერ ჩამოაცვა ხამლი. ცხვირ-
პირში შეაქარა ამდენ ქანკასა და
ჭიფხვაში ვარდისხარმა ჩოფურას.
ეცა ცოქალაი, გამოჰკლიჯა მონასპას

ხამლი და ვარდისახარს ჩამოაცვა მაინც.

აღიღო მაშინ თავი ეზოსმოძღვარმა და თქვა:

– მე კი ასე მგონია, მეფევე ბატონო, რომ ამოდ შეაღია ძალაი ხამლის ჩაცმას ამ დღეცმა. თუ ეს ისაა, მაშინ ამ ხამლებით ახლაც უნდა იცეკვოს, როგორც წუხელ, ხომა?

ვერ იცეკვა ვარდისახარმა და უკუიხმო ხამლი უფლისწულმა. მუხლებზე დახოხავდა ცოქალაი. ანამუსებდა: ეგ არისო მეფის სიტყვა, მეფევე ბატონო? ხომ მოერგოთ ხამ-

ლი ჩემს ქალს. ოდეს გითქვამთო შენ და უფლისწულს, ვინც ამ ხამლებით იცეკვებს, ის მოიყვანოსო უფლისწულმა ცოლად?

ხურსისეული კოშკის სარკმელში მოჰკრა თვალი ეზოსმოძღვარმა კონკიას და თქვა:

– მხოლოდ სიმართლისათვის მატარებენ, მეფევე ბატონო, ჩემი ბებერი იოგები. მე ასე მანსოვს, რომ ყველა ქალი უნდა შევამოწმოთ, ხომა? იმ სარკმელში რომ იყურება, ისიც ქალია, ხომა?

თავს იკლავდა დედინაცვალი,

ძალით მოაყვანინეს კონკია. შეხედა უფლისწულმა. ენიშნა: ჭაობისფერი საწმერთული ეცვა ქალს. მიეახლა და თავად ჩამოაცვა ფეხზე ხამლი.

ქოსსა ჰკრეს სამეფო სასახლეში. არაგვის კალმახები ამშვენებდა საქორწილო სუფრას, შემებარნი კეთილად ფრიად. მოიღო ჯიხვის ყანწები მეფემ, დიდი დავით კუროპალატის ნაქონნი, ნეფე-დელოფლის სადღეგრძელო შეასვა ერისთავთ.

ღვინოს იპარავდნენ სტუმრები ჩუმაღ.

victor hiugo

ნახსპარქმშია

რა არის დევი? ზღაპრის გმირია ასეთი. თვით სიტყვა სანსკრიტიდან უნდა მოდიოდეს და ქართულში იყოს შემოსული. ქართველების ენაა ქართული. ქართველები საქართველოში ცხოვრობენ, საქართველო ქვეყანაა კავკასიაში, ევროპისა და აზიის საზღვარზე. ბევრსა ჰგონია, ევროპა და აზია კონტინენტებიაო. არა და არა! ქვეყნის ნაწილებია ესენი და ევრაზიის კონტინენტსა ქმნიან. კიდევ ხუთი კონტინენტია დედამიწაზე ევრაზიის გარდა.

ჰოდა, რა არის დევი? ილუზია, მოჩვენება, ფანტომი, იტყვიოთ თქვენ. იქნებ ასეცაა, მაგრამ იქნებ არცაა ასე. თუ ფანტომია, წყალი როგორღა მოსწყურდა? წყალი სწყუროდა დევსა. სწყუროდა და მდინარეზე ჩავიდა. მთებში თოვლი დნება ხოლმე, წყალი მოდის და კალაპოტს თხრის. ასეთ წყალს მდინარეს ეძახიან. მოდის ეს მდინარე და ზღვაში ჩადის. ზოგჯერ საოცარი მოდიდება იცის ხოლმე მდინარემ. 1631 წ. სენა მოდიდა და მთელი ილ-დე-ფრანსი დატბორა. ვერსალელი გლეხი ჟაკ პუასე დაიხრჩო მაგ დროს. ვერსალში კი არა, პარიზის ახლოს, სენ-მანდემი. ჰოდა, მოდის ეს მდინარე და ზღვაში ჩადის. საოცარი კია – მდინარეში

მტკნარი წყალია, ზღვაში კი მარილიანი. არადა, ზღვა მდინარეებით ივსება. ზღვის ნაპირზე რომ ყოფილიყო დევი, ვერ დალევდა წყალს, იმიტომ რომ მარილიანია ზღვის წყალი, მდინარის წყალს კი სვამდა დევი და ამ დროს მერე ნაპირს ერთი კაცი მოადგა.

სხედან და წვავენ. რას? შეშას, ნახშირს, ტორფს. იწვის, მაგალითიად, შეშა და ნაცარი რჩება მისგან. წვეტიანი ღეროა რკინის ერთგვარი, ბოლოში ხის ტარი აქვს, სადგისი ჰქვია. იჯდა ეს კაცი და ნაცარსა ქექავდა სადგისით. არ მუშაობდა, არაფერს აკეთებდა. მისი ძმები მუშაობდნენ. თვითონ არა. მუშაობს ერთი კაცი, წელებზე ფეხს იდგამს და მერე თავის ნამუშევარში ფულს იღებს. გადახდის საშუალებაა ფული. რას არ იყენებდნენ ფულად – ზოდებს, ტყავის ნაჭრებს, საქონელს... მონეტები პირველად ლიდიაში მოჭრეს, ლიდია ქვეყანა იყო ასეთი მცირე აზიაში. ახლა ვეძახით მცირეს,



თორემ მაშინ აზიას მხოლოდ მაგ მხარეს უწოდებდნენ. თვით სიტყვა მონეტა კი ლათინურია, გამაფრთხილებელს ნიშნავს. იუნონა მონეტას ტაძრის ეზოში ედგათ რომაელებს ზარაფხანა. ზარაფხანა ფულის მოსაჭრელი ადგილია.

ჰოდა, ამიტომ შერჩა მერე ლითონის ფულს სახელად მონეტა. მოაქვს ამ კაცსა მონეტებით ნაყიდი საჭმელი სახლში და აქ მეორე ხვდება. ამ მეორეს მთელი დღე ნაცარში ქექვის მეტი არაფერი უკეთებია, მოტანილ საჭმელს კი ჭამს. ბრაზობს მშრომელი. მისი ძმაა ის უსაქმური, მაგრამ ბოლოს მაინც აგდებს სახლიდან. ერთ გულა ნაცარსა და სადგისს აძლევს გზაში რომ მოექექინოს და ყველსაც ატანს. ატანს და უშვებს. მიდის კაცი გზაზე და ისე ხდება ზოლმე, რომ მოულოდნელობას აწყდება. აბა განა ნაცარქექია ელოდა, რომ დევს შეხვდებოდა? იმას დევი იქნებ ნანახიც არ ჰყავდა მანამდე. იქნებ მასაც ფანტომი ეგონა დევი, მაგრამ აგერა, ნახა. ნახა და დაუბახა, მოდი, გადამიყვანო. საოცრად სველია წყალი. შიგ რომ შეხვალ, ფეხს დაგისველებს. თუ წყალგაუმტარი ფეხსაცმელი და შარვალი და ფეხის დასველება არ უნდოდა. ვინ იცის, იქნებ იფიქრა, ეს დევი თუ მოჩვენება არ არის, მართლა გადამიყვანსო და თუ მოჩვენებაა, ვერ გადამიყვანსო. ისე, მოჩვენებასაც შეუძლია იქნებ მდინარეზე გადაყვანა, ვინ იცის.

გაუკვირდა დევს. ძალიან დიდა დევი, დიდი და ღონიერი. ყველას ეშინია დევისა. ყველას ეშინია და ნაცარქექიას არ შეეშინდა. ჰოდა, გაუკვირდა დევსა, ამას რატომ არ შეეშინდაო ჩემი. ჰკითხა, ვინა ხარო. ვინა და ბუმბერაზიო, ნაცარქექიამ უთხრა.

იცრუა კაცმა. ტყუილი თქვა. ასეთია ცხოვრება, ზოგჯერ ტყუილსაც გათქმევენებს. მაგრამ დევმა რად დაიჯერა? არ იცოდა ტყუილი და იმიტომ. ცხრა ძმანი იყვნენ დევები, მაგრამ ერთად თებოდნენ ცეცხლთან, ერთმანეთი გაჰქონდათ. ნაცარქექიას კი, ვინ იცის, ძმები ცეცხლთანაც არ უშვებდნენ და

მხოლოდ ნაცარსა ქექავდა, იქნებ სითბო შერჩაო. ბევრი ტყუილი თქვა ნაცარქექიამ, ბევრი.

ცრუობს და ცრუობს ერთი. იჯერებს და იჯერებს მეორე. რომელი უფრო ცოლოა, ვინ იცის? ვინც იტყუება, თუ ვისაც ატყუებენ? ან იქნებ ორივე ერთნაირად?

აიღებენ დიდ ქვას, ამოაფულურებენ და შიგ პურს აცხობენ. კეცი ჰქვია ასეთ ქვასა. მჭადსაც აცხობენ კეცში, მაგრამ ნაცარქექიას დროს ქართველებს სიმინდი არ ჰქონდათ. 1492 წ. კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა. არ ეგონა, თუ ამერიკას აღმოაჩენდა და აღმოაჩინა კი. მერე იქიდან შემოიტანეს ევროპაში სიმინდი. ლობიოც შემოიტანეს, თამბაქოც, პომიდორიც. მერე ევროპიდან საქართველოში შემოვიდა ეს ყველაფერი, მაგრამ სიმინდის შემოტანამდე ქართველებმა ერთი მცენარე იცოდნენ, „მჭადს“ ეძახდნენ, ამ „მჭადისგან“ „მჭადის მჭადს“ აცხობდნენ, მერე კი მჭადის გამოცხობა სიმინდის ფქვილისაგან ისწავლეს. ვინ იცის, იმ კეცში დევი „მჭადის მჭადსაც“ აცხობდა, მაგრამ ახლა პური დააცხო და სანადიროდ წავიდა, ნაცარქექიას კი დაუბარა, გადმოაბრუნეო. დიდა დევი. დიდა დევის კეცი. როგორ გადმოაბრუნოს დიდი კეცი პატარა კაცმა? აკი ვერც გადმოაბრუნა, ზემოდან დაეცა. გაუძლო ნაცარქექიამ. გაუძლო და მობრუნებულ დევს უთხრა, მუცელი ამტკივდა და დავიდეო.

დევი თავის ძმებთან ერთად მოვიდა. ნანადირევიც მოიტანა. სუფრა გაშალეს. ხალხია ასეთი, მეთუნეებს ეძახიან. მოზიდავს მეთუნე თიხასა და ჩარხზე დადებს. დაპკრავს ფეხს და ატრიალებს ამ ჩარხსა. ასე ტრიალ-ტრიალით ხან დოქს გააკეთებს მეთუნე, ხან ქოთანს, ხანაც სურას. ასეთი დოქი ედგათ სუფრაზე დევებს და ნაცარქექიას უთხრეს, წადი, ღვინო ამოიტანეო.

დიდა დევის დოქი. კიდევ უფრო დიდა დევის ქვევრი. ისევ ნაცარქექიამ იმარჯვა, დევებს უთხრა, ამ ქვევრს ამოვთხრიო და შეაშინა დევები. ამოიყვანეს ნაცარქექია უკან.

წყალში ფეხის დასველება საშიშია-მეთქი, ვთქვი. არ იფიქრა ამაზე დევმა, დაისველა მდინარეში ფეხი და გაცივდა. გაცივდა და დააცემინა. დიდი ჰაერის ტალღა აქვს დევის დაცემინებულს. დიდი წნევით მოდის ჰაერი დევის პირიდან, იმიტომ რომ დიდა დევი, დიდა და ძლიერი. მოხვდა ეს ტალღა ნაცარქექიას და ააგლო ჭერში.

აი, აქ კი გაჯავრდა ნაცარქექია. დირეს ეჭიდებოდა და თავში ჩაგცხებო, დევს ეუბნებოდა. შეშინდნენ დევები. ადგნენ და გაიქცნენ. ძალღისებრთა ოჯახის წარმომადგენელია ერთი, მელას ეძახიან. ეს მელა შეხვდა ერთ დევსა და უთხრა, ნუ გეშინია, ეგ მატყუარაა, წამომყვიო. მივიდნენ დევების სახლთანა და ნაცარქექიამ მელას ასე მიმართა:

— ჰე, მელავ, რად მოგყავს ეგ დევი აქეთ! მატყუარააო, შენ ამბობ, ორი დღეა, საჭმელი არ მიჭამია, მაშ, მატყუარა ვყოფილვარ! წესიერად არ გავმთხარვარ ცეცხლთან, მარტო ნაცრის ქექვადა იყო ჩემი ხვედრი. მაშ, მატყუარა ვყოფილვარ! მატყუარა მე კი არა, შენა ხარ. ცხრა დევის მოყვანა დაგავალე და მარტო ერთი მოგყავს!

ისევ შეშინდა დევი, გაიქცა და ზედ გამობმული მელაც გაიყოლა. იმდენი ათრია, სულიც გააფრთხობინა.

ნაცარქექია წავიდა და ძმები მოიყვანა გადახვეწილი დევების სახლში. ოღონდ უთხრა:

— ნუ, ნუ მეტყვიოთ მაღლობას, რადგან არ მოვიქეცი კარგად. თქვენთვის სამადლობელი არაფერი გამიკეთებია, ძმა ისედაც უნდა ზრუნავდეს ძმებზე, მაგრამ სამაგიეროდ წავართვი სახლი ჩემზე სუსტსა. დიან, სუსტს, რადგან ცხრა დევს მოვერიე, ისინი ჩემზე სუსტები ყოფილან. არ ამცდება სამაგიერო ამისათვის!

თავი ჩაკიდა ნაცარქექიამ.

და მეორე დიდას, როდესაც ძმები სახნავად გასასვლელად ადგნენ, ჭიშკარზე ჩამოხრჩობილი ნაცარქექია ნახეს. თავი ჩამოიხრჩო ნაცარქექიამ, რადგან თავადვე განსაჯა საკუთარი თავი.

თენგიზ თხილაკა



ტუბინტასესი სტუდელი

კლაუდია შიფერი კვლავ მსოფლიოს ყველაზე მდიდარ მოდელად რჩება. ამას აქონალ FORBES-ის ბოლოდროინდელი გამოკვლევები ადასტურებს, რომლის მიხედვით, გერმანელმა თოვ-მოდელმა შარშან 9 მლნ დოლარი გამოიმუშავა. მისი ძირითადი შემოსავალი კოსმეტიკური კომპანიების – REVLON-ის და L'OREAL-ის, ასევე CITROEN-ის ავტომობილების რეკლამირებიდან მოდის. სიაში მეორე ადგილზეა კრისტი ტარლინგტონი. ექვსი წელია, რაც ის პოდუმოდან ჩამოვიდა, მაგრამ კვლავ კლანის ტანსაცმლისა და MOY-BELLINE-ის კოსმეტიკური ნაწარმის რეკლამირებას დღემდე აქტიურად განაგრძობს. ამას წინათ კი მისი კოსმეტიკური ხაზი – SUNDARY-იც გამოჩნდა. ტარლინგტონის შარშანდელმა შემოსავალმა სულ 8,5 მლნ დოლარი შეადგინა. მესამე ადგილზე 8 მლნ დოლარიანი შემოსავლით, 20 წლის ბრაზილიელი მოდელი – ჟიზელ ბოუნდშენი, ლეონარდო დი კაპრიოს საცოლავა. PEPSI-COLA-ს პროდუქციისა და OMEGA-ს საათების რეკლამირებამ სინდი კროუფორდი შარშან 6,5 მლნ დოლარით მეოთხე პოზიციაზე გაიყვანა. პირველი სუთუელის ბოლო ადგილზეა ტაირა ბენქსი, რომელმაც ეს ადგილი, ყველაზე ძვირად ღირებულ შავკანიან მოდელ ნაომი კემბელს ჩამოართვა. 2000 წელს ტაირამ ფირმა VICTORIA'S SECRET-ის თეთრეულის რეკლამირებითა და რამდენიმე კინოროლით, 3,5 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

მეფეთი გზათი მიტქაზე „ღაიწვა“

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოვანმა შტეფე გრაფმა ფინანსური წარუმატებლობა განიცადა. სუთი წლის წინ შტეფემ, ახლობლების რჩევით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის აქციებში ჩალო ფული და ახლა აქციების ფასების ვარდნის გამო 600.000 დოლარით იზარალა. ყოფილი ჩოვბურთელი ამბობს, რომ მომხდარში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებს, რადგან ახლობლების საეჭვო რჩევას, სწრაფი მოგების შესახებ, დაუფიქრებლად დაუჯერა. თუმცა, თანხების დაბანდების პრობლემა მისთვის დღესაც აქტუალურია. შტეფე გრაფი – პირველი ქალია, რომელმაც სპორტული კარიერით მრავალმილიონიანი ქონება დააგროვა. ის იმ დროს მოღვაწეობდა სპორტში, როცა ჩოვბურთელთა პირველი ათეულის პონორები რამდენჯერმე გაიზარდა. და ახლა იგი, 20 მლნ დოლარით, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი პენსიონერი ჩოვბურთელი ქალია. ამასთან, მას ყველა სარეკლამო კონტრაქტი დაუშთავრდა, ახალს კი აღარავინ სთავაზობს. ალბათ, ამიტომაც მოჰკიდა ხელი რისკიან კაპიტალდაბანდებას.



მბიფნი სპინსი დედის საჩუქარს ყიდის

პოპ-ვარსკვლავი ბრიტნი სპირსი არა მარტო სიმღერით, არამედ ლიტერატურული მოღვაწეობითაც საკმაოდ დიდ ფულს შოულობს. ამას წინათ მან დიდ ინგლისურ გამოცემლობასთან – BOXTREE-სთან დადო ხელშეკრულება თავისი რომანის – A MOTHER'S GIFT („დედის საჩუქარი“) გამოცემასთან დაკავშირებით. ეს არის მოზარდი გოგონას ამბავი, რომელიც ოცნებობს, გახდეს ვარსკვლავი. სპირსის ლიტერატურული დებიუტი მაშინ შედგა, როდესაც ის ჯერ კიდევ 18 წლის იყო. მაშინ მისი რომანი HEART TO HEART („გულიდან გულისკენ“) 150 ათასიანი ტირაჟით გაიყიდა და ამერიკული ბესოსელერების სიაში შევიდა. იმასაც ამბობენ, რომ სპირსის ასეთ წარმატებას დედამისის ჟურნალისტურმა გამოცდილებამ დიდად შეუწყო ხელი.



განდტწინებამ სახელი გაუთქვა

ტომ კრუზი 2000 წლის 100 ყველაზე პოპულარული ადამიანის სათავეში მოექცა. ჟურნალი „ფორბსი“ რეიტინგის შედგენისას ხელმძღვანელობდა ისეთი ფაქტორებით, როგორცაა შემოსავლების დონე და პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში, ინტერნეტის საიტებზე სახელის ხსენების სიხშირე. მსახიობი, რომელმაც შარშან 43 მლნ დოლარი გამოიმუშავა, ამ მაჩვენებლით ბევრ სახელგანთქმულ ადამიანს ჩამორჩა, მაგრამ მისი სახელი სხვებზე ხშირად (11-ჯერ) აღმოჩნდა ფერადი ჟურნალების „სათაო“ სტატიებში და ეს, ძირითადად, ნიკოლ კიდმანთან მისი განქორწინების მიზეზით მოხდა.

რეიტინგში მეორე ადგილი დაიკავა გოლფის ვარსკვლავმა ტაივერ ვუდსმა, ლეგენდარული „ბითლები“ მესამე ადგილს დასჯერდნენ (1,5 მლნ-ჯერ ხსენება ინტერნეტში), მეოთხეზე კი მომღერალი ბრიტნი სპირსი გავიდა. სუთუელს ასრულებს ბრიუს უილისი, რომელსაც მიჰყვებიან „ფორმულა-1“-ის მრბოლელი მიხაელ შუმასერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი და მწერალი სტივენ კინგი.



ნელს შოთა მანაგაძეს დაბადებიდან 100 წლისთავი შეუსრულდა. ეს ერთ-ერთი იმ რეჟისორთაგანია, ვინც მაყურებელს ქართული კინო შეაყვარა. მალე ნახევარი საუკუნე შეუსრულდება მის ფილმებს. მსახიობები, რომლებიც გადაღებებისას სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, გაჭაღარავდნენ. აღარც ბატონი შოთაა ცოცხალი, მაგრამ მის კინოს მიზიდულობის ძალა არ დაუქარგავს, ისევ დიდი ხიბლი შემორჩენია და დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ კინოს მოყვარულთა წრეში.

სახეები, რომლებიც შოთა მანაგაძის ფილმებში შეიქმნა, ბევრი მსახიობისათვის იქცა აღიარებისაყენ მიმავალ გზამკვლევადა. სიმღერები – დახვეწილი გემოვნებით შერჩეული მეთოდები, რომელიც კინოსურათებში გამოიყენა ბატონმა შოთამ, იმდენად სიცოცხლისუნარიანია, რომ დღესაც სიამოვნებით მტერიან ახალგაზრდები. ამ ყველაფერმა ერთად წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ხელოვნებაში – კვალი, რომელსაც შოთა მანაგაძისეული კინო ჰქვია.



24 წლის შოთა მანაგაძე

მისი ფილმის ჩვენებისას სტალინს

დაჩბაზი დაუბოვებია...

ლელა ღიყაშვილი

1901 წლის 19 მარტს დაიბადა ბატონი შოთა. მამამისი – ილია მანაგაძე კალატონი იყო. ქუთაისში, ბაგრატიის ტაძრის გალავანი მისი ხელით იყო აშენებული. 1918 წელს, დიდი პოლიტიკური არეულობის პერიოდში, ილია მანაგაძე ტყვეში უპოვით მოკლული. სახლში მოსვენებით. მეორე დღეს შოთა მანაგაძის დედაც – ქალბატონი ბაისოც გარდაცვლილა. ასე რომ, ორივე მშობელი ერთ დღეს დაუსაფლავებიათ შვილებს. შემთხვევითი არ არის, რომ მათი საფლავი წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოშია, მამია გურიელის საფლავის გვერდით.

მანაგაძეები წარმოშობით ლეჩხუმიდან იყვნენ, ისე ქუთაისში ცხოვრობდნენ. როცა პროფესიის არჩევის დრო დადგა, შოთა მანაგაძეს ოურიდიულ ფაკულტეტზე ჩაუბარებია. მალე, ეტყობა, მიხვდა, მისი ნამდვილი მოწოდება სრულიად სხვა რომ იყო და სამსახიობო კურსებზე გადავიდა, სადაც აკაკი

ხორავასთან ერთად სწავლობდა. მუშაობა პირველად თეატრში დაიწყო. უსაზღვროდ მონდომებულმა და თავის საქმეზე შეყვარებულმა ახალგაზრდამ თურმე საკუთარი სახლი გაყიდა, რომ თავისი პირველი სპექტაკლი – „ბეთლემი“ დაედგა.

1936 წელს კი მოსკოვის კინოაკადემიაში ჩააბარა.

პირველი მხატვრული ფილმი, რომელიც შოთა მანაგაძემ გადაიღო, „ჭირვეული მეზობლები“ იყო. ომის წლები იდგა. რა იყო ამ ფილმში ანტისახელმწიფოებრივი, ვერ გეტყვით, მაგრამ მაშინ ხმა გაგარდა, ბელადმა ფილმის ჩვენებისას დაჩბაზი დატოვა... ეს კი ხელოვანისათვის უკვე განაჩი იყო. შოთა მანაგაძეს სასტიკად აუკრძალეს ფილმების გადაღება. 1955 წლამდე კინოსურათებს ახმოვანებდა რუსულიდან ქართულად, იღებდა კინოჟურნალებს. გაუძლო ზეწოლასა და სამხილ უმოქმედობას, 1956 წლიდან კი ერთბაშად, მოზღვავებული ენერჯით დაიწყო ფილმების გადაღება. სულ რაღაც ოც წელიწადში 10 თუ 11 ფილმის შექმნა მოასწრო.

საოცრად უყვარდა ბუნება. გადაღების დროს, ობიექტებს რომ მოამზადებდნენ, აუცილებლად მართლა დათესავდა რამეს. გადაღებების დასრულების შემდეგ ხეს არ დატოვებდა შემოუბარავს გადასაღებ მოედანზე.

სულ ცდილობდა, რაიმე სასარგებლო გაეკეთებინა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. სადაც

ფილმს იღებდა, აუცილებლად დატოვებდა რამეს აშენებულს ან დათესილს... ორბეთისკენ, ერთხელ, წყაროც კი მოძებნა და გამოიყვანა.

ნაკვეთი ჰქონდათ გულრიფშში. ყოველ შაბათ-კვირას მატარებლით მიდიოდა იქ. დაულაგად შრომობდა, თავისი ხელით აშენებდა მიწას. ისეთი დაღლილი და ქანცაწყვეტილი ბრუნდებოდა, ოჯახის წევრებს სერიოზული შიში გაუჩნდათ მისი ჯანმრთელობის გამო. მეუღლემ დაატოვებინა ის ნაკვეთი, როგორც იქნა, დიდი ხვეწნითა და მუდართით. ამის შემდეგ მთელი ცხოვრება მიწაზე ოცნებობდა. უნდოდა სადმე, სამანქანო გზისაგან მოშორებით, პატარა ნაკვეთი ჰქონოდა... იმდროინდელ სოფლის მეურნეობის მინისტრს, ჭანუყვაძესაც სთხოვა თურმე ამ საქმეში დახმარება, რომელმაც აღუთქვა: თუ ადგილი არ დაგკარგე, აუცილებლად დაგეხმარები. მალე ჭანუყვაძე მოხსნეს და ბატონი შოთას ოცნებაც აუხდენელი დარჩა...

ზღვაზე დადიოდა დასასვენებლად. იქიდან დაბრუნებული, ყოველთვის კენჭებით სავსე ერთ დიდ ჩემოდანს ჩამოიტანდა, თურმე. უყვარდა სხვადასხვა ფერისა და ფორმის ქვები, ნიჟარები...

ბატონი იმედა კახიანი იხსენებს იმ საოცარ დამოკიდებულებას, მამობრივ ზრუნვას, რაც ბატონმა შოთა მანაგაძემ მის მიმართ გამოიჩინა. „საბუღარულ ჭაბუკს“ იღებდნენ. იმედა პატარა ბიჭი იყო და საოცრად უყვარდა დილის ძილი. ჯგუფი მომზადებოდა გადასაღებად, მოკითხავდნენ მსახიობს, მას კი ამ დროს გულის ძილით ეძინა. ზოგი ღიზიანდებოდა, ზოგი საყვედურს ამბობდა. რეჟისორი კი მშვიდად

რეჟისორები, მამა-შვილი შოთა და ნოდარ მანაგაძეები



იტყვოდა: გაუშვით, ეძინოსო. ჩვენ რომ არც ერთი არ ვიყოთ, სურათი მანც გაკეთდება, ეგ რომ არ იყოს, არაფერი გამოვაო.

„ხევსურული ბალადის“ გადაღება არ ნდომებია შოთა მანაგაძეს. დიდხანს გაიძახოდა თურმე: არ მინდა, კაცო, და მაძულებენ, გადაიღეო... ხევსურეთში იყვნენ გადაღებებზე. ცხენებით შემოუვლიათ იქაური მიდამო. ერთხელ კი ქალბატონ სოფიკო ჭიაურელს, რომელიც ცელქი და დაუდგრომელი გოგონა იყო იმ წლებში, ცხენით ჯირითშიც კი შეჯიბრებია 6 წლის რეჟისორი. არავენ ელოდა ალბათ, რომ „ხევსურული ბალადა“ ასეთი კარგი გამოვიდოდა. ისეთი სცენარი ჰქონდათ, წარმატება ნაკლებსავარაუდო იყო. როცა ფილმი წარმატებული გამოვიდა, ნოდარ დუმბაძეს უხუმრია კიდევ: „არ მინდოდა, არ მინდოდა, არ მინდოდა, არა და, გამოვიდა ხევსურული ბალადა“.

შოთა მანაგაძე იმ წლებში მოღვაწეობდა, როცა რუსულად მეტყველება ლამისაა ელიტის მეტყველების სინონიმი იყო. ის კი დაუღალავად იღვწოდა ქართული ენის დასაცავად. ხუმრობდნენ, ზოგჯერ ამის გამო აქტიუკბდნენ კიდევ, მაგრამ ჯიუტად თავისას იმეორებდა: „საგრიძორო“ კი არა „საკაზმულო“, შვილო, „საკაზმულო“, **ГРУЗИЯ-ФИЛЬМ**-ი კი არა – „ქართული ფილმი“ დააწერეთო...

მშვიდი და აუნქარებელი იყო საერთოდ. ხშირად ამბობდა: „მამაჩემი იტყვოდა, სიჩქარე მხოლოდ ერთ დროს არის კარგი, ტახტს რომ ნაკვანის ყუას დაარტყამ, რწყილები რომ გამოხტებიან და შენ რომ უნდა დახოცო“. დინჯად მუშაობდა. რასაც ფიქრობდა და აკეთებდა, ყველას უმურველად უხიარებდა. ფილმის გადაღების დასრულებისას, ცოტათი უფრო აგზნებული იყო ზოლომე...

ერთი უსიამოვნო ინციდენტი მომხდარა „ხევსურული ბალადის“ გადაღებისას. ნასვამ ჯგუფის წევრებს უჩხუბიათ. ბატონ შოთას კატეგორიულად აუკრძალავს ალკოჰოლური სასმელები გადაღებების დროს. ერთხელაც, მის ახალგაზრდა შვილიან ყაზბეგელი სტუმარი მისულა ახალდაჭერილი თევზით ხელდამშვენებული. ბიჭები ჩუმად დამსხდარან ოთახში და შეხვედრა აღუნიშნავთ კონიაკით. ჯგუფის სხვა წევრები სადილობდნენ. შოთა მანაგაძეს შვილი მოუკითხავს. ვიღაცას უთქვამს: ნოდარმა მიუღი რესტორნის კონიაკი თავისთან აიტანა ოთახში და იქ არისო... განრისხებული მამა, შვილის სასაყვედუროდ გაემართა. როცა ნოდარმა კარი გაუღო, მთელი რისხვა დაატეხა თურმე თავს... მერე მიხვდა, სტუმრის წინ ასეთი საქციელი მთლად კარგი და გამართლებული რომ არ იყო... ბატონი ნოდარ მანაგაძე იხსენებს: „მთელი დღე იწვა



მამა-შვილი ნაკურის შერჩევისას

ამის შემდეგ, ვითომ გული სტკიოდა... ცუდად იყო, ვიდრე არ შემირიგდა“.

საოცრად გულისხმიერი და მგრძობიარე იყო. შვილის პირველი ფილმის – „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“ განხილვაზე ვერ წავიდა, იმდენად ნერვიულობდა და განიცდიდა. თეატრის კანონებზე აღზრდილი, ტრადიციული რეჟისორი იყო. როცა ნოდარ მანაგაძის „ამაღლების“ ირგვლივ მოთქამოთქმა ატყდა, შოთა მანაგაძემ, ერლომ ახვლედიანმა და ღათო ჯავახიშვილმა (მამამ და ფილმის სცენარის ავტორებმა), სურათი ხელახლა დაამონტაჟეს. გაბრაზებული ბატონი ნოდარი, როცა ეს ახალი ვარიანტი უნახავს, და პრინციპულად, ისევ თავისებურად გადმოუმიონტაჟებია თავისი სურათი...

შოთა მანაგაძე აღნიშნავდა თურმე: ორ რამეს ვერ შეველევი ცხოვრებაში: მონტაჟს და ბავშვის დაბანასო... როცა პატარა ქლიშვილი – მანანა დაუბანა პირველად, თავისი დიდი ხელებით კინაღამ მოუხრჩვია ჩვილი. ამის შემდეგ, მუდღე კატეგორიულად უკრძალავდა ბავშვების დაბანაში მონაწილეობას... ძალიან უყვარდა ბავშვებთან ურთიერთობა, უყვარდა შვილებისათვის ფოტოსურათების გადაღება. ეს მისთვის ჰობივით ყოფილა...

სახლში რემონტს აკეთებდნენ. ბატონი შოთა ამყობდა: მთელი ელექტროგაყვანილობა ჩემი ხელით ვაკაკეთეო. როცა კედლები გალესეს, მერეა აღმოჩნდა, ბატონ შოთას შტეფსელის დაყენება სულ დავიწყებოდა. კედლების გამონგრევა დაენანათ, რეჟისორმაც გამოსავალი მოძებნა: სადენით ზემოდან ჩამოუშვა ის დავიწყებული და ასე აუცილებელი შტეფსელი.

მოყლის ოსტატი იყო. კინოსტუდიის

ეზოში ხშირად დაინახავდით მსმენელებით გარშემორტყმულს. ზოგჯერ კი, სტუდიის შენობის ვიწრო ფანჯრიდან ძლივს გამოატყვედა ფართო მხრებს და ზემოდანვე უამბობდა „ქართულფილმებს“ ნაირ-ნაირ ამბავს...

მუდამ მოხდენილად დადიოდა. ბოლოს ავადმყოფობამ შეუტია: გახდა, ისე ვეღარ გამოიყურებოდა, როგორც საერთოდ. მისი ოთახის კართან, შემოსასვლელში სარკე იყო. ყოველთვის შუქს აქრობდნენ სარკესთან, რომ ბატონ შოთას არ ჩაეხვდა, გული არ სტკენოდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე გამოსულა ოთახიდან, შუქი აუნთია, ჩაუხედავს სარკეში და ხელი ჩაუქნევია... მართალია, არ უმხელდნენ, მაგრამ მშვენივრად გრძობდა თავისი მდგომარეობის უიმედობას. სურათიც კი ჰქონია გადაღებული და წინასწარ მოზადებული...

გარდაიცვალა 76 წლის ასაკში და დიდი სიყვარული დატოვა ყველა ნაცნობის გულში. როცა ბატონ ერლომ ახვლედიანს ვკითხე: მანც, რა ნიშნით ვიყვარდათ ბატონი შოთა ასე ძალიან-მთქმა, მიპასუხა: მას ჰქონდა ძალიან იშვიათი, თავმდაბლობით ამაღლებული სიკეთე, უბრალოდ – სიკეთე.



დასაწყისი იხ. „გზა“ №13-14

დილით ადრე გამოეღვიძა, ოფლში ცურავდა. საწოლზე წამოჯდა, სახეზე ხელი გადაისვა, თვალები მოიფშვნიტა:

– დედა, – გასძახა გვერდით ოთახში მოფუსფუსე მშობელს.

– დილა მშვიდობისა, – საწოლზე ჩამოუჯდა ნონა.

– საშინელი სიზმარი

ვნახე, – შეწუხებული სახით შესცქეროდა ზურა დედამისს.

– რა, შვილო, რა დაგესიზმრა?

– უზარმაზარი გალია, რომელიც უამრავი გისოსით შემოვლობათ. შიგნით დი

დი მგელი იჯდა და იცი, იმ მგელს ჩემი სახე ჰქონდა.


დაძრწოდა კუთხი-

დან კუთხეში, ყმუოდა, არ ჩერდებოდა. გალიის ირგვლივ ბევრი გოგონა იდგა, ზოგი დიდი, ზოგიც – პატარა და ყველა ეკა იყო. სისხლიანი ზორცის ნაჭრებს მიყრიდნენ, მიღიმოდნენ, მამაო – მეძახდნენ. მე კი ვერ ვპასუხობდი, უფრო და უფრო ვუმატებდი ყმუილს. მერე ვიდაც მოვიდა, ბავშვები წაიყვანა და მე მარტო დავრჩი. საშინლად დაბნეულა ირგვლივ, – ზურამ სიგარეტს მოუკიდა, ბოლი ხარბად ჩაყლაპა, – რას უნდა ნიშნავდეს? – იკითხა შეშფოთებულმა.

– დედა მოგიკვდეს, შვილი გენატრება. ნუ გეშინია, არაფერსაც არ ნიშნავს, – წამოდგა ქალი. სასტუმრო ოთახში წმინდა გიორგის ხატთან მივიდა, სანთელი დაანთო.

ზურამ ტანთ გადაიცვა, სამზარეულოში გავიდა. ყავა დაისხა და მაგიდას მიუჯდა. რადიოში როზენბაუმი „უტკის“ მღეროდა, ხმას აუწია. მისი ფიქრი სიმღერას შეეზარდა და ერთ მთლიანობად იქცა.

„ყველაფერი დაბრუნდება, არადა, ასეთ ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია. თავისუფლებაში ბობღვა არ შემიძლია, თითქოს წყალში ვარ ჩაძირული და ვიზრჩობი, ფანგბადი არ მყოფნის. ამქვეყნად მომკვდარა თავისუფლება, უხილავ მონობაში გარდაქმნილა. ზონაში ვიცოდი, რისი უფლება და მოვალეობა მქონდა, სად იწყებოდა ჩემი და სად სხვისი. აქ



ბენიკ კეკელიძე

მეზნალოებელი მეზნალოება

რა ხდება? არაფერი, უბრალოდ დიდი ზონაა, სადაც არც უფლება გაქვს და არც მოვალეობა. ცხოველებად აქციეს ხალხი და როგორც საქონელს, ისე ეპყრობიან“, – გამწარებულია კოვხე ჭიქაში ჩაახეთქა. ფანჯარასთან მივიდა, სიგარეტს მოუკიდა, რამდენიმე ნაფაზში ფილტრამდე დაიყვანა. შემდეგ საწოლ ოთახში შებრუნდა, ვაჟა-ფშაველას ლექსების კრებული აიღო, საწოლზე წამოწვა. რამდენიმე საათი თვალი ვერ მოსწყვიტა:

– რა ღონიერი ხარ, – ჩაიბუტბუტა. იგრძნო, ძილი ქურდულად რომ მიეპარა. ის იყო, თვალი მილულა, დათოს მანქანის სიგნალი შემოესმა. მომენტალურად გამოფხიზლდა:

– მოვდივარ, დათო, – გადასძახა ფანჯრიდან. სახელდახელოდ გადაიცვა და კიბეზე შურდულივით დაემშვა.

სახელმწიფო კანცელარიის მისაღებში ისევ ბევრი ხალხი ირეოდა. ზურამ ნაცნობ სარკმელში თავი შეეყო:

– ქალბატონო, არაბულზე საშვი დაშვებულია?

ქალმა სიას თვალი გადაავლო, შემდეგ უჯრა გამოსხნა და ქალაღლის ბლანკი გაუწოდა:

– ბატონი თენგიზი გელოდებათ. დატოვეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, როცა ჩამოსვალთ,

დაგიბრუნებთ.

ზურამ ჯიბიდან გათავისუფლების ცნობა ამოიღო:

– აი, ეს არის ჩემი პირადობის მოწმობა, – ქალს გადასცა და საშვი გამოართვა, – რომელ სართულზე ზის?

– მეხუთეზე, ხუთასოცდამეთერთმეტე ოთახში.

– გმადლობთ, – მიუგო ზურამ და დათოსთან მივიდა, – დაუშვია საშვი, აველი.

– იქ არაფერი ებაზრო, „სტრელი“ მიეცი და ნუ ნერვიულობ, – დაამშვიდა მეგობარმა.

– ვიცი, – უპასუხა ზურამ და ლიფტებისკენ წავიდა. დაცვამ საშვი ადნიშვნა გააკეთა. მეხუთე სართულის დერეფანში ადვილად მიაგნო თენგოს კაბინეტს. კარი გააღო, მოსაცდელში მდივანი იჯდა:

– ბიწაძე აქ ზის?

– თქვენი გვარი? – დი-

მილით ჰკითხა ქალმა.

– არაბული, – ძალაუნებურად გაეღიმა ზურას.

მდივანმა ტელეფონის ყურმილი აიღო:

– ბატონო თენგიზ, არაბულია მოსული. გასაგებია, – ყურმილი დაკიდა, – შებრძანდით, – მიმართა ზურას.

ზურამ კაბინეტის კარი გააღო და საქმიანად შეაბიჯა. გრძელი ოთახის ბოლოში, მაგიდასთან თენგიზი იჯდა. ჩასუქებულ სახეზე მიტკლისფერი ეღო. წამოდგა, შესახვედრად ნაბიჯის გადადგმა უნდოდა, მაგრამ ყოფილი ჯგუფუელის მრისხანე მზერამ მოჯადოებულებით ადგილზე გააქვავა.

– ზურა, როგორ ხარ? როდის გათავისუფლდი? – ძლივს გასაგონად წაილულულა.

– არ ვიცი, რითი დავიწყო ლაპარაკი, – სიგარეტს მოუკიდა ზურამ. მაგიდასთან მივიდა, სკამი გამოსწია და ჩამოჯდა, – თუმცა, შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, არაკაცი ხარ, კაცუნა ხარ, შე ჩემა!

თენგიზმა ხელის სწრაფი მოძრაობით საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა – ჩუმაღო, შემდეგ ოთახს მოატარა, ყურთან მიიღო და აგრძობინა – გვისმენენო. მოსასვენებელი ოთახის კართან მივიდა, გამოაღო და ხელი დაუქნია – შემოიღო.

ზურა ოთახში შეჰყვა:
 - რა, საკუთარი ჩრდილის გე-
 შინია?!

- არა, აქ არ გამოვა ლაპარაკი.
 სადმე შევხვდეთ.

- ისე, მოგხდომია თავისუფლე-
 ბა, საახალწლო ღორივით ჩასუქე-
 ბულხარ, - ზიზღით შეჰყურებდა
 ზურა მევალეს, - თითოეულ წელ-
 ში ათი ათას ღოლარს გადამიხდი!

- რამდენი გამოდის?

- ას ოცდახუთი, გაიგე?! შენთვის
 ეგ არაფერია, ჩემი დანგრეული ცხო-
 ვრება მეტი ღირს.

- კარგი, - სახეზე შეება და-
 ეტყო თენგიზს, - დღეს მეუღლის
 დაბადების დღე მაქვს, საღამოს გამო-
 დი ჩემთან სახლში...

- ვასია, „ტარა-ტურა ბაზარი“
 არ გვინდა! - ისეთი სახით ელა-
 პარაკებოდა, თითქოს შეფურთხებას
 აპირებოდა, - შენთან ჭიქის ამწევი
 ვარ?!

- არა, შენ გამოიარე და ნახე-
 ვარს გაგისტუმრებ, დანარჩენს - ერთ
 კვირაში მოგცემ, - ჯიბეში ხელი
 ჩაიყო და სავიზიტო ბარათი გაუწო-
 და, - ცხრისთვის გელოდები.

- ცხრაზე შენთან ვიქნები, -
 ზურამ ბარათი გამოართვა და კა-
 რისკენ გააბიჯა.

ქვემოთ დერეფანში დათო შეე-
 გება:

- რაო?

- ას ოცდახუთის ნახევარს დღეს
 გადაიხდის, დანარჩენს ერთ კვირა-
 ში, - კმაყოფილი სახით ჰყვებოდა
 ზურა, - აი, აქ უნდა მივიდეთ ცხრა
 საათზე, - გაუწოდა სავიზიტო ბა-
 რათი.

დათომ მისამართს დახედა:

- ეგ ახვარი, ჭვავჭავაძის გამ-
 ზირზე, მაღაზია „დავითის“ თავზე
 ცხოვრობს, ეტყობა, დიდი ფული
 უშოვია.

მეგობრებმა მანქანისკენ გასწიეს.
 - ბიჭო, იარაღი ხომ არ წამოვ-
 ილო? - ჩაფიქრებულმა იკითხა და-
 თომ.

- არა, შე ჩემა, კურდღელთან
 იარაღი რაში მჭირდება. რამე არ
 შეეშალოს, თორემ შევასრამუნებ, -
 სიმწრით ჩაილაპარაკა ზურამ.

ცხრა სრულდებოდა, როდესაც
 თენგოს სახლთან მივიდნენ. ტრო-
 ტუარის გასწვრივ ბევრი მანქანა
 იდგა. დათომ ძლივს მონახა ადგ-
 ილი და შვინდისფერი „ბე-ემ-ვე“-ს
 წინ გაჩერდა.

- ღმერთმა ხელი მოგიმართოს,
 - გაულიმა მეგობარს.

- მალე ჩამოვალ, - გადავიდა
 მანქანიდან ზურა.

სადარბაზოს შესასვლელში და-
 ცვის ჯიხური იდგა. ავტომატმო-
 მარჯვებული პოლიციელი კარებში
 ჩაეხირა:

- ვისთან მიბრძანდებით?

- ბიწაძესთან.

- დაპატიჟებული ხართ?

- კი, ცოლის დაბადების დღეზე
 ვარ დაპატიჟებული.

- მიბრძანდით, - გზა დაუთმო
 დაცვის თანამშრომელმა.

ზურა მეოთხე სართულზე ავი-
 და. ზარი დარეკა. ბინიდან მუსიკისა
 და სიცილ-ხარხარის ხმა გამოდიო-
 და. კარი ქალმა გააღო. მის დან-
 ახვაზე ზურა დაიბნა:

- მალვინა? - ჩაიბუტბუტა და
 წინსაფარაფარებული ქალი შეათვა-
 ლიერა.

ამ დროს თენგოს ხმა გაისმა:

- მოხვედი, ზურა? - შეეგება
 მასპინძელი, - გაიცანი, ჩემი მეუღლე,
 მარინა, - ხელი გადაჰხვია უხერხ-
 ულ მდგომარეობაში ჩავარდნილ დი-
 ასასხლისს.

- ძალიან სასიამოვნოა, - ჩაე-
 ღიმა ზურას.

- ეს ჩემი ჯგუფელი, ზურა არ-
 აბულია, - წარუდგინა მეუღლეს.

- მობრძანდით, - შეიპატიჟა დი-
 ასასხლისმა.

ზურამ ერთი წამით თვალი მოავ-
 ლო მდიდრულად მორთულ-მოკა-
 ზმულ ბინას. უზარმაზარ სასტუმ-
 რო ოთახში დიდ მაგიდას სტუმრე-
 ბი მისხლომოდნენ. ლოჯიაში კი -
 შედარებით პატარა მაგიდასთან,
 ქალები ბავშვებთან ერთად ისხდ-
 ნენ.

- რა, ქორწილია, შე ჩემა? -
 გადაულაპარაკა ზურამ შედგინიანე-
 ულ თენგოს.

- არა, ესენი ჩემები არიან, ისი-
 ნი კი, - ხელი გაიშვირა პატარა
 მაგილისკენ, - მოსამსახურე ქალე-
 ბი არიან, სტუმრებმა ბავშვების მო-
 სავლელად მოიყვანეს.

- სალოლ ძმაო, თქვენთვის გაუს-
 ვრია „ავრორას“, - გამოცრა ზურამ,
 - მეჩქარება, მომეცი, უნდა წავიდე!
 თენგომ კაბინეტში გაიყვანა.

- ბიჭო, ამდენი წიგნი წაკითხ-
 ული გაქვს, თუ სილამაზისთვის ჩა-
 გიწვიკვიკებია თაროებზე? - ირო-
 ნიულად ჩაილაპარაკა.

- მე ვხვდები, რომ შენ ჩემზე
 ნაწყენი ხარ, მაგრამ ხომ იცი, თან-

ამდებობის პირი ვარ, მე იქ ვერ
 მოვიდოდი და ვერ გინახულებდი, -
 თავის მართლება დაიწყო ჯგუფელმა.

- ე, ვასია, ჯერ კაცი უნდა იყო
 და მერე უნდა გქონდეს პრეტენზია
 ამ ცხოვრებაზე. რა ნაგავიც ხარ,
 იგივე იქნები მაგ შენს თანამდე-
 ბობაზეც, - ზურას სახე შეეცვალა
 და ალბათ, ზიზღს რომ შესძლებო-
 და ანთება, როგორც ნათურას, იქაუ-
 რობას პროექტორივით გააჩანჩახ-
 ებდა, - მე აქ საბაზროდ არ მოვ-
 სულვარ. მომეცი, თუ მამლეგ.

თენგომ საწერი მაგიდის უჯრა
 გამოაღო, ასდოლარიანების ექვსი
 შეკვრა ამოიღო და წინ დაულო:

- აქ სამოცია, დანარჩენს ერთ
 კვირაში გაგისტუმრებ.

- რამე პარკი მომეცი, რომ ჩავ-
 დო, - კმაყოფილება დაეტყო ხმაში
 ზურას. ფული პარკში დააბინავა,
 ამოიღლიავა, - წავედი, დღეის
 სწორს მოვალ და დანარჩენს გა-
 მოგართმევ, - კაბინეტიდან გავიდა
 და კარისკენ ნაჩქარევად გააბიჯა.
 თენგოს არც გაუცილებია. დერე-
 ფანში დიასახლისი შეეგება:

- მიბრძანდებით? - თვალებში
 შესციცილებდა ზურას.

- ჰო, მალვინ, მიგვივარ, - კარი
 გააღო და კიბეზე სირბილით დაემშ-
 ვა. მანქანაში ჩაჯდა.

- ბიჭოა? - სინარულით იკითხა
 დათომ და ხელი გაუწოდა.

- ყვერებიანი ბიჭია, - ჩამოარ-
 ტყა ხელის გული ზურამ, - წავედით
 სახლში, - ისეთი შვებით წარმოთქვა,
 თითქოს ზურგიდან დიდი ღოლი მო-
 ეხსნათ.

მანქანა დაიძრა. არაყიშვილის ქუ-
 ჩიდან ბარნოვზე გავიდნენ. დათომ
 სარკეში ჩაიხედა:

- ბიჭო, ის შვინდისფერი „ბე-
 ემ-ვე“ ჩვენ მოგვსდევს, თან ნომრე-
 ბიც არა აქვს! - შეშფოთებულმა
 წამოიძახა და სინჯარეს უმატა.

ზურამ უკან მიიხედა:

- გადი ცენტრალურ ქუჩაზე, -
 დაიყვირა დაბნეულმა.

მრგვალ ბალთან მისულებს სრო-
 ლის ხმა შემოესმათ. ავტომატის
 კაკანმა გააყრუა იქაურობა.

- ვაი, დედა, - დაიყვირა დათომ
 და საჭეზე დაემხო.

ზურა თვალნათლივ ხედავდა,
 როგორ ავარდა მანქანა ბორდიურზე
 და ხეს შეასკდა. იგრძნო, რომ მთე-
 ლი სხეული ცხელ სითხეში უბუ-
 ჟბუჟებდა, დაიხედა - სისხლში ცუ-
 რავდა, საშინელი ტკივილი თანდა-
 თან სასიამოვნო გრძობაში გადაუ-

ვიდა, გონება დაკარგა...

როდესაც თვალი გაახილა, თავთან ნონა ეჯდა.

- დედა, სად ვარ? - ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა.

- საავადმყოფოში ხარ, შვილო, დამშვიდდი. ახლა უკვე არაფერი გიჭირს. ბევრი სისხლი გქონდა დაკარგული, - თავზე ხელი გადაუსვა მშობელმა.

- დათო სად არის?

- დათო კარგად არის, სახლშია, იქ წევს. ისიც დაჭრილი იყო, - ქალი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა. საწოლთან ზურგიით დადგა და თვალები ცხვირსახოცით შეიმშრალა.

ზურა იმდენად იყო დასუსტებული, რომ თვალის გახელის თავიცი კი არ ჰქონდა. ძალა მოიკრიბა:

- დედა, ფული სად არის?

- რა ფული, შვილო? ფული კი არა, შენ ძლივს გადაგარჩინე. ვინ იყვნენ ის ნაძირალები, რა უნდოდათ თქვენგან?

- არ ვიცი, არა, - ჩურჩულებდა ზურა.

ორი კვირის თავზე საავადმყოფოდან გაწერეს. დასუსტებული ორგანიზმი ნელ-ნელა ძალას იკრებდა. დღეში რამდენჯერმე გამოძიებელი აკითხავდა. ზურა ერთი და იმავე პასუხით ისტუმრებდა:

- მე დუმილის უფლებას ვირჩევ, არავითარ ჩვენებას არ ვიძლევი.

როდესაც დათოს გარდაცვალების ამბავი შეიტყო, სამი დღე საწოლიდან ვერ ადგა.

- დედა, - დაუძახა ნონას.

- გისმენ, შვილო, - ოთახში შევიდა მშობელი.

- სად დაკრძალეს დათო?

- მამამისის გვერდით, საბურთალოზე, - ცრემლი წასკდა ქალს.

- ხვალვე წავალ.

- მეც წამოვალ.

- არა, დედა, მარტო უნდა წავიდე.

მეორე დღეს ზურა წამოდგა. პირი გაიპარსა, შხაპი გადაივლო. თავის საუკეთესო ტანსაცმელში გამოეწყო და დათოს საფლავზე წავიდა. მთელი დღე იქ დაყო. ბნელდებოდა, როცა ტაქსი გააჩერა და ჭავჭავაძის გამზირზე, მაღაზია „დავითთან“ ჩამოვიდა. ერთი საათის ლოდინის შემდეგ სახლთან შავი ფერის „შეგროლეტი“ გაჩერდა. იქიდან თენგო გადმოვიდა. ზურა საქმიანი ნაბიჯით მიუახლოვდა.



მარცხენა ხელზე თენგოს ჰალსტუხი დაიხვია, მარჯვენაში ბებუთი დაიხელა და მსუქან მუცელში ტარამდე ჩასცხო:

- ეს დათოსგან! - პირიდან არაადამიანური ხმა ამოუშვა, - ეს ჩემგან! - ხელმეორედ ჩასცხო დანა, - ეს ჩემი შვილისგან! - აზროვნება გადაეკეტა, იგრძნო, რომ სიკვდილის მანქანად იქცა. მექანიკურად მოქმედებდა.

მოულოდნელად თვალთ დაუბნელდა. მიხვდა, რომ თავში რაღაც ჩაართყეს, თენგოს გასისხლიანებულ, უსულო სხეულს ზედ გადაემხო და გონება დაკარგა.

დღეს თბილისში საზარელი მკვლელობა მოხდა, - ტელევიზორში აცხადებდა ჟურნალისტი პატარა გოგონა, - თავის სახლთან არაადამიანური სისასტიკით მოკლეს სახელმწიფო კანცელარიის განყოფილების გამგე ბატონი თენგიზ ბიწაძე. მკვლეელი აღმოჩნდა პრეზიდენტის მიერ ერთი თვის წინ შეწყალებული მსჯავრდებული ზურაბ არაბული. წინასწარი მონაცემებით მას სამუდამო პატიმრობა ელის.

საგამოძიებო იზოლატორის ერთ-ერთ საკანში ზურა მარტო მოათავსეს. დღეში რამდენჯერმე დაკითხვაზე გაჰყავდათ, მაგრამ იგი ჩვენებას არ იძლეოდა. უსახსრობის გამო ადვოკატი ვერ დაიქირავა. სახელმწიფომ კი, იმ წელს უმაღლესდამთავრებული, ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელი ვეჟილი მიუჩინა, რომელსაც ზურა მხოლოდ ეცოდებოდა, თორემ დახმარებით ვე-

რაფერს ეხმარებოდა.

გარე სამყაროს მოწყვეტილი, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, გამწარებული ჩაილაპარაკებდა ზოლმე:

- ჩემი თავი ჯანდაბას, დედა, დედა მეცოდება. რა დააშავა იმ უბედურმა. რა უსამართლოდ აეწყო ჩემი ცხოვრება.

საკნის კარი გაიღო:

- არაბული, დაკითხვაზე! - ცივი, სისინა ხმით დაუძახა ზედამხედველმა.

ზურა „ნარიდან“ წამოდგა. ორი თვის მანძილზე ეს პროცედურა ჩვეულებაში გადაეზარდა. სადღაც სიამოვნებდა კიდევ, რადგან, თავისი საკნის ჩანესტილ-ჩაობებულ კედლებს რამდენიმე საათით შორდებოდა და საზიზღარ, მაგრამ განსხვავებულ ატმოსფეროში ხვდებოდა. მეორე სართულზე, ოთახში შეიყვანეს. ნაცნობი გამოძიებლის ნაცვლად, სამი, ზორბა ტანის მამაკაცი მაგიდას მისჯდომოდა.

- დაჯექი, - უბრძანა ერთ-ერთმა და სკამზე მიუთითა.

ზურა მათ პირდაპირ ჩამოჯდა. ოთახში სიგარეტის ისეთი ბულიდგა, რომ სუნთქვა გაუჭირდა.

- მოწვევ? - დამცინავად გაუწოდა სიგარეტის კოლოფი იმავე მამაკაცმა.

- ოპერაციის შემდეგ აღარ ვეწვევი.

- შე ახვარო, დიდხანს გინდა იცოცხლო? - ახლა მეორე ჩაერთო საუბარში.

ზურამ ზიზღით შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ერთ-ერთი წამოდგა და ცხვირწინ, მაგიდაზე ჩამოუჯდა:

- ჩვენებას რატომ არ იძლევი, შე ბოზო?! ერთ თვეში სასამართ-

ლო უნდა დაიწყო, ჩვენ კი საქმე ვერ დაგვიხურავს.

— ეგ ჩემი უფლებაა, — პატიმარმა ერთი წამით შეხედა მის წინ, მაგიდაზე ჩამომჯდარ გამომძიებელს. სახე ისეთი ოთხკუთხედი ჰქონდა, ქვიდან გამოთლილს ჰგავდა. თმა ნულზე გადაეპარსა, დიდი, ჩასისხლიანებული თვალებით სიძულვილით შეჭყურებდა, ყურები ისე ჰქონდა გაბრტყელებული, გეგონებოდა, ვიდაცას უთოთი დაუუთობიაო. თავში თითქოს ურო ჩაართყესო — კისერი მუცელში ჰქონდა ჩავარდნილი.

— რა არის შენი უფლება?! კაცის კვლა?! შენი დედა... — შეაგინა და მთელი ძალით ხელუკუდმა სახეში გაართყა.

ზურას სიმწრისგან თვალთ დაუბნელდა, კბილები ერთმანეთს დააჭირა, ორივე მუშტი მოკუმა და გამწარებულმა დაიღრიალა:

— დედას რატომ მაგინებ?! — სკამიდან წამოხტა და სახეში ისეთი სთხლიშა, რომ „ამბალი“ მაგიდიდან გადავარდა.

გონების დაკარგვამდე სცემეს. გონს თავის „ნარზე“ მოვიდა. მთელი გულმკერდი და თირკმლები სტკეოდა. ის ღამე თერთად გაატარა. დილით ისევ დაკითხვაზე გაიყვანეს. ოთახში იგივე სამი მამაკაცი ელოდა.

— დაჯექი, — ისეთი ტონით მიმართა ერთ-ერთმა, თითქოს ზურას მისი ვალი ჰქონდა, — მოაწერე ჩვენებას ხელი და მოვრჩეთ.

— რომელ ჩვენებას, რომელიც არ მიმიცია?

— ბიჭო, მთელი ცხოვრება მაინც ციხეში ამოლპები, — დამცინავად გადაულაპარაკა ოთხკუთხედსახიანმა, — შენთვის უკეთესია, მოაწერე.

— რა გინდოდა კაბინეტში ბიწაძესთან, ფულს სძალავდი? ჰა, ვასია? — მესამემ მაგნიტოფონი ჩართო და თენგოს კაბინეტში მათი დიალოგი მოასმენინა.

ზურას ჩაეღიმა, თენგოს დამფრთხალი სახე გაახსენდა, თუ როგორ ანიშნებდა, ჩუმაღ, გვისმენენო.

— მე არაფერზე ხელს არ მოვაწერ, — ჩაფიქრებულმა გადაულაპარაკა „ორგანოს“ თანამშრომლებს.

— ერთი ამ პიდარასტს შეხედე! — დაიღრიალა ზურასთან ახლოს მჯდომმა და მუშტი მოუქნია.

ზურამ მარცხენათი დარტყმა აიცდინა და მარჯვენა მთელი ძალით

ყბაში სდრუხა. პატიმარი ფეხქვეშ გაიგდეს, უმოწყალოდ სცემეს, საკნამდე მიათრიეს და იატაკზე დააგდეს. რის ვაი-ვაგლახით „ნარზე“ აძვრა. მთელი სხეული სტკეოდა. გამთენიისას ჩაეძინა.

საკნის კარის ჭრიალის ხმამ გამოაღვიძა. ზედამხედველი შემოვიდა: — როგორ ხარ?

ზურამ თვალი გაახილა, პასუხის გაცემის თავიც არ ჰქონდა.

— დედაშენისგან წერილია, — გულზე დაადო ქაღალდის ნაგლეჯი და საკნიდან გავიდა.

დაკეცილი ფურცელი გაშალა. მშობლის ნაცნობი კალიგრაფიის დანახვისას ცრემლი მოაწვა, წერილი ტურნეტთან მიიტანა და რამდენჯერმე აკოცა. ისე ეამბორა, თითქოს დედას ეფერებოდა, შემდეგ მჭუტავი ნათურის მიმართულებით დაიჭირა და კითხვას შეუდგა:

„გამარჯობა, შვილო! როგორ ხარ? იმედია, ღვთის წყალობით კარგად იქნები. ჩემზე არ ინერვიულო, მე არა მიშავს. შენმა კლასელმა, მერაბმა — ტვერელის ეკლესიის მღვდელი რომ არის, კარგი ადვოკატი დაგიქირავა, ლადო მაცაბერიძე. დღეს მოვა შენთან და აბა, შენ იცი. ამბობს, მუდმივ პატიმრობას გადავარჩენო.“

შვილო, ერთ თვეში სასამართლო დაიწყება. იქ გნახავ. მერე, ზონასთან ახლოს დავსახლდები და მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით. ჩემო ერთადერთო იმედო, გკოცნი, შენი დედა“.

ზურამ უამრავჯერ გადაიკითხა წერილი, შემდეგ გაშლილი ქაღალდი სახეზე დაიდო და პატარა ბავშვივით აქვითინდა.

შუადღისას ადვოკატთან შესახვედრად გაიყვანეს. ასაკოვანი მამაკაცი, რომელიც ოთახში ბოლთას სცემდა, ზურას დანახვაზე მისკენ შემობრუნდა, გაუღიმა და ხელი ჩამოართვა:

— ლადო მაცაბერიძე, — გაეცნო პატიმარს.

— ზურა არაბული, — ჩაიბუტბუტა ზურამ.

სკამებზე ჩამოსხდნენ. ვეკილმა საქალაქადე გახსნა და პატიმარი გამომცდელი თვალთ შეათვალიერა.

— ნაცემი ხარ?

— არა, უბრალოდ გადავიღალე.

— ზურა, ჩემთან არაფრის დამალვა არ შეიძლება. მე შენს მხარეს წარმოვადგენ და შენი ინტერესების დამცველი ვარ. იცოდე,

საქმისთვის სულ პატარა დეტალსაც მნიშვნელობა აქვს. თუ ნაცემი ხარ, ექსპერტიზას მოვითხოვ და შენს მდგომარეობას შეეშველება.

— არ არის საჭირო.

— მე ხომ მენდობი?

— დიას.

— მაშინ, დავიწყოთ თავიდან და ყველაფერი დაწვრილებით მომიყვიე, — ლადომ სიგარეტს მოუკიდა და სმენად იქცა.

ზურამ იგუმანა, რომ მის წინ საკმაოდ მცოდნე და დიდი გამოცდილების მქონე ადვოკატი იჯდა. ძალიან უჭირდა თხრობის დაწყება. მას ეზიზღებოდა საკუთარი განვლილი ცხოვრება, რომელმაც ბედის ირონიით ნაგავში ისე მოისროლა, როგორც კატის ცინდლებს იშორებენ ხოლმე. რის ვაი-ვაგლახით აზრი მოიკრიბა და მოყოლა დაიწყო. ლადო მის თითოეულ სიტყვას ყურადღებით უსმენდა. ნერვიულობისგან სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს გული ერეოდა. როდესაც პატიმარმა საკუთარი ისტორია დაამთავრა, ვეკილმა იატაკზე დააფურთხა და ზიზღით ჩაილაპარაკა:

— ფუ, მაგის არაკაცი დედა... მოსაკლავი ყოფილა. ზურა, ეს ყველაფერი ჩვენებაში უნდა დაფიქსირდეს, აუცილებლად უნდა მისცე ჩვენება. მერაბი მპირდება, რომ მოსამართლეს მოქრთამავს და მაქსიმალურად ჩვენს მხარეს გადმოიბირებს. ასე რომ, დამეხმარე ძმაო, ხელ-ფეხი რომ გამეხსნას და არეალი გამიფართოვდეს.

ზურა ჩაფიქრდა. გრძნობდა, რომ ადვოკატის მიმართ დიდი ნდობით განიმსჭვალა და შედარებით უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდა:

— თქვენი აზრით, რამდენს მომიხჯიან?

— ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მე თხუთმეტიდან — ოც წლამდე ვვარაუდობ. მუდმივი პატიმრობა, ჩათვალე, რომ გამორიცხულია, — იმედის მომცემად მხარზე ხელი წაუბარტყუნა ვეკილმა.

იმ დღიდან დაწყებული, ზურას დაკითხვა ლადოს თანდასწრებით მიმდინარეობდა. ადვოკატი კმაყოფილი იყო საქმის მსვლელობით. ერთი თვის თავზე, ზურას საბრალოდ ბო დასკვნა გააცნეს და სასამართლოს დაწყების თარიღი ამცნეს.

გაგრძელება იქნება



ყველაზე ეკონომიუხი მანქანა

კონცერნმა „ფოლკსვაგენმა“ ახალი ავტომობილის – AUDI A2 1,2 TDI-ს გაყიდვა დაიწყო. მისი უპირველესი ღირსება, საწვავის უმცირესი ხარჯვაა – სულ 3 ლიტრი (უფრო ზუსტად – 2,99ლ) ღიზელის საწვავი 100 კმ-ზე. იმისათვის, რათა მთელი მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა ეს საუცხოო მიღწევა, „ფოლკსვაგენმა“ სპეციალური პრეზენტაციაც კი მოაწყო ესპანეთში, სადაც თავისებური შეჯიბრება გამართა: ევროპის მასშედიის სხვადასხვა კომპანიის 193 წარმომადგენელს გარკვეული დროის მანძილზე უნდა ევლო ჩვეულებრივი გზებით და საწვავის მინიმალური ოდენობა დაეხარჯა.

შეჯიბრების დაწყებამდე „ფოლკსვაგენის“ წარმომადგენლები არც იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ჟურნალისტები დასახულ ამოცანას წარმატებით გაართმევდნენ თავს – ტრასა ხომ ჩვეულებრივ გზებზე, ჩვეულებრივი მოძრაობის პირობებში უნდა გაეელოთ. მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: საშუალო ხარჯვა 2,64 ლიტრზე დაფიქსირდა, ერთ-ერთმა მონაწილემ კი თავის 100კმ-იან მოგზაურობას სულ 2,12ლ მოანდომა! ეს მსოფლიო რეკორდია სერიული ავტომობილებისთვის!

AUDI A2 უკვე მესამე „სამლიტრიანი“ მანქანაა კონცერნ „ფოლკსვაგენისთვის“. პირველი ორი, რომელიც 100 კმ-ზე 3 ლიტრზე ნაკლებ საწვავს ხარჯავდა, იყო VOLKSWAGEN LUPO და SEAT AROSA, მაგრამ A2 გაცილებით მაღალი კლასის ავტომობილია.

ეკონომიურობის რეკორდსმენი აღჭურვილია 1,2ლ 3 ცილინდრიანი ტურბოდიზელის ძრავით,

რომელიც 61 ცხ.ბ. ავითარებს. აღსანიშნავია, რომ ის სულ 100 კგ-ს იწონის – ე.ი. ყველაზე მსუბუქია მსოფლიოში. ძრავას ახლავს ავტომატური ტრანსმისია, რომელსაც მექანიკურ რეჟიმშიც შეუძლია მუშაობა. გადაცემათა კოლოფის მთავარი თავისებურება ის არის, რომ გაჩერებისას ძრავა ავტომატურად გამოირთვება, მისი ჩართვა კი, მუხრუჭის პედლიდან ფეხის ალბის უმაღხდება.

ტრანსმისიის გარდა, სარეკორდო ეკონომიურობის მიღწევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა აეროდინამიკამ: ე.წ. CX კოეფიციენტი 0,25-ს უდრის, რაც ამ კლასის ავტომობილისთვის აბსოლუტურ რეკორდს წარმოადგენს. ამის მისაღწევად კონსტრუქტორებმა რამდენადმე შეცვალეს წინა ბამპერისა და ფრთების ფორმა, განაახლეს უკანა სპოილერი და მანქანა ოდნავ უფრო

ვიწრო ბორბლებით აღჭურვეს, იატაკის ქვეშ კი სპეციალური დამცავი ეკრანი დააყენეს, რომელიც ფსკერის იდეალურ სისწორეს უზრუნველყოფს.

ამ ვერსიას უკანა სავარძელიც 19კგ-ით მსუბუქი აქვს, უკანა საკიდარიც 80კგ-ით მსუბუქი, ვიდრე ჩვეულებრივ A2-ს. წონის შესამსუბუქებლად გაწეული სამუშაოს შედეგად, ავტომობილის მასა სულ 855კგ-მდე შემცირდა (შედარებისთვის ვიტყვი, რომ 5 კარიანი „ფოლკსვაგენ გოლფი“ 1125კგ-ს იწონის). ამასთან, დასახელებულმა ცვლილებებმა არანაირი ზიანი არ მიაყენა მანქანის შინამოწყობილობას: საბაზო აღჭურვილობაში შედის ტყავით დაფარული საჭის ბორბალი, აუდიოსისტემა, კონდიციონერი, ელექტროპაკეტი, უსაფრთხოების ბალიშები და უამრავი სხვა წვრილმანი.

ერთ თვეში – 12 მაისს ახალი, ყველაზე სწრაფი სერიული „შკოდის“ გაყიდვა დაიწყება. OCTAVIA RS 1,8ლ-იანი, 20 სარკველიანი ძრავით არის აღჭურვილი, რომელ-

Octavia RS

იც 180 ცხ.ბ. ავითარებს. სიმძლავრის გარდა, ამ აგრეგატს შესაშური საბრუნო მომენ-



Peugeot-ის ბუენსემა

2002 წელს სამზეოზე გამოვა ავტომობილი PEUGEOT 307 CC, რომელიც ამჟამად პოპულარული 206CC-ს საუცხოო გაგრძელება იქნება. მანქანის დასახელების ორი ბოლო CC იშიფრება, როგორც COUPE-CABRIOLET, თუმცა მწარმოებლები ამბობენ, რომ სხვაგვარი ვერსიაც არსებობს – COUP DE COEUR, რაც „გულისცემას“ ნიშნავს. მართლაც, სპეციალისტების აზრით, ამ მანქანებს ასეთი განსაზღვრება უფრო შეესაბამება.

206-ე ვერსიისგან განსხვავებით, 307-ე მოდელის ღია ვერსიას მეტი სიხალვათის მქონე უკანა სავარძელი აქვს, რაც მანქანაში ოთხი



მოზრდილი ადამიანის მოთავსების საშუალებას იძლევა (206-ეში უკან მგზავრისთვის ადგილი, პრაქტიკულად, არც არის).

ძირითადი აგრეგატი ამ მანქანაში, 2,0 ლ 16 სარქველიანი ძრავა იქნება, რომელიც 138 ცხ.ბ. განავითარებს, ტრანსმისია კი ექვსსაფეხურიანი ექნე-

ბა. საბაზო კომპლექტაციაში მანქანას უახლესი ელექტრონული სისტემები ექნება, რაც ნებისმიერი სიჩქარით მგზავრობისას დიდად ზრდის უსაფრთხოების ხარისხს.

სავარაუდოა, რომ PEUGEOT 307 CC-ს გაყიდვა 2002 წელს დაიწყება და 25-27 ათასი დოლარი ელირება.

Volkswagen-ი აუპეს უბუნდება

„გოლფ-კლასის“ ბაზაზე „ფოლქსვაგენი“ ორკარიანი კუპეს აღორძინებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ამგვარი ძარის მქონე ავტომობილი

კომპანიამ 1996 წელს გამოუშვა – ეს იყო COLORADO. ახლა კი, გერმანული კონცერნის კალიფორნიულ დიზაინ-სტუდიაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი კუპის დაპროექტება, რომლის საფუძველსაც GOLF-ის მე-5 მოდელის პლატფორმა წარმოადგენს.

პროექტი ჯერჯერობით A-5-ის სახელით არის ცნობილი, მაგრამ კონკრეტულად

მიღწევამდე ის შეიძლება კიდევ რამდენჯერმე გამოიცვალოს. როგორც ვარაუდობენ, მას რამდენიმე პრინციპულად ახალი ძრავით აღჭურვავენ, თოფ-პოდელი კი, სრულამძრავიანი V6 იქნება, რომელიც 204 ცხ.ბ. განავითარებს. ეს „გოლფის“ ახალი ვერსიის ბაზაზე შექმნილი საავტომობილო სერიის უკანასკნელი ნიმუში იქნება. თავდაპირველად, 2002 წელს კლასიკური ჰენბეკი გამოვა, მას მოჰყვება ერთმოცულობიანი ვარიანტი, შემდეგ სე-დანი, უნივერსალი და კაბრიოლეტი.



— უსნხაფესი Skoda

ტი აქვს, რომლის ბრუნის დიაპაზონი წუთში 1950-დან 5000-მდეა.

გარეგნულად, ჩვეულებრივისგან „ოქტავის“ ამ ვერსიას განიერი წინა ბამპერით, გვერდითი „დანამატებით“, უკანა სპოილერითა და განიერი საბორბლე დისკებით განასხვავებ. სალონის გაფორმებაც ასევე გამუდმებით შეახსენებს მძღოლს, რომ ის მთლად ჩვეულებრივ მანქანაში არ ზის: პერფორირებული პედლები, „ალუმინის სტილში“ შესრულებული გადაცემათა გადართვის სახელური, სამსპიციანი ტყავის საჭე – ეს

ყოველივე გაფიქრებინებთ, რომ SKODA OCTAVIA RS შეგიძლიათ პირდაპირ სარბოლო ტრასაზე გაიყვანოთ.

ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარეა 232 კმ/სთ. როგორც მძღოლი-გამომცდელები ამბობენ, მანქანა თავის უფლად ავითარებს მას და, რაც მთავარია, ამ დროს არ იბადება შევრ-

ძნება, თითქოს ის ახლა „აფრინდება“, რაც, ვთქვათ, „ჟიგულს“ 120 კმ/სთ სიჩქარის დროს ახასიათებს და, ამდენად, ბევრი ჩვენი ავტომოყვარულისთვის კარგად ნაცნობი გრძნობაა.



რენე რუსო გადასაღებ მოედანზე ყველაზე ლამაზ, სახელგანთქმულ და ნიჭიერ მამაკაცებთან ერთად მოღვაწეობდა. „თუნუქის თასში“ მისი პარტნიორი კევინ კოსტნერი იყო, „თომას ქრაუნის აფიორაში“ — პირს ბროსნანი, ახლახან კი ის დენიროსთან ერთად გადაიღეს „როკის და ბულვინკლის თავგადასავლებში“, მაგრამ არც ერთ ამ მსახიობთაგანს არ გამოუწვევია მასში ისეთი დიდი აღტაცება, როგორსაც რენე ერთ დროს „როლინგ სთოუნზის“ სოლისტის მიმართ განიცდიდა.

რენე რუსო: „უანს პენ ვისჟვი ტრავოლტასთან ლობინში ჩანოლაზე“



რენე რუსოს თითქოს მარმარილოსგან გამოკვეთილი ტანი აქვს, მისი ლურჯი თვალების მომხიბვლელობამ კი რენეს მოღვრი ქურნალების VOGUE, GLAMOUR, COSMOPOLITAN-ის გარეკანისკენ გაუხსნა გზა. კინოში მსახიობი უმეტესად ჭკვიანი და ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალების როლებს ასრულებს.

რენე დარწმუნებულია, რომ ცხოვრებაში სრულიად არ ჰგავს თავის განსახიერებულ ვიზუალს. თითხმეტი წლის რენეს მიკ ჯაგერი დისკოს გარეკანზე ნანახი ფოტოსურათიდან შეუფერდა. გოგონა ხშირად ოცნებობდა, როგორ მოეხვეოდა მას მიკი, ის კი საქორწილო კაბაში იქნებოდა გამოწყობილი. თუმცა თვითონაც ენძოდა, რამდენად არარეალური იყო მისი ოცნებები.

რენეს ბავშვობამ ლოს-ანჯელესის გარეუბანში, ბერბენკის კვარტალში ჩაიარა. ამ კვარტალში რენე იმხანად ალბათ ყველაზე შეუხედავი გოგონა იყო. ის სქელმინიან სათვალეს ატარებდა, კბილებზე რკინის ფირფიტები ჰქონდა დამაგრებული და რაც მთავარია, 10 წლისას სქოლიოზისგან განსაკურნავად უზარმაზარი კორსეტის ტარება მოუხდა მთელი 5 წლის განმავლობაში. კორსეტის დასაფარად რენე ფარ-

თო ტანსაცმელს იცვამდა და მოუქნელ დათვის ჰგავდა.

მამამისმა, სიცილიაზე დაბადებულმა მოქანდაკემ ოჯახი მამის მიატოვა, როცა რენე სულ ორი წლის იყო, მისი დაიკო ტონი კი — ოთხის. მათი დედა — შირლი ორ ადგილას მუშაობდა, რათა ბავშვები გამოეკვება.

თექვსმეტი წლის რენემ ცხოვრების მშვენიერება მხოლოდ მაშინ შეიგრძნო, როცა საბოლოოდ გათავისუფლდა შემოტყვევლი კორსეტისგან, მოიხსნა სათვალე და მოიძრო კბილების გასასწორებელი ფირფიტები.

რენემ თავისი პირველი საშუალო მიიღო — ადგილობრივი თეატრის სალაროში ბილეთების გამყიდველად მოეწყო. ის კვირაში ოცდაათ დოლარს იღებდა და თავი საკმაოდ ბედნიერად მიაჩნდა — „როლინგ სთოუნზის“ კონცერტზე დასასწრები ბილეთის საყიდლად ფულს აგროვებდა, თან მუშაობის დროს ბევრს ლაპარაკობდა, ხუმრობდა და კლიენტებს ფცქენდა.

სამუშაოდან რენე, რა თქმა უნდა, დაითხოვეს, მაგრამ კონცერტის ბილეთი მაინც მოიპოვა, გამომწვევად გამოეწყო და მიკ ჯაგერის სანახავად გაემართა.

შინ დაბრუნებისას რომელიღაც მანქანა აეღვენა და უცებ გააჩერა. შეშინებული

რენე მოულოდნელობისგან წაიქცა. მანქანიდან რესპექტაბელური გარეგნობის მამაკაცი გადამოვიდა, რენე წამოაყენა და მაშინვე უთხრა: „იცით, თქვენი შეშინება არ მინდოდა, დიდი ხანია უკან მოგსდევთ, თქვენნაირი ლამაზი გოგონა არც კი მინახავს, მითხარით, მოდელი ხართ თუ მსახიობი? მე ჯონ კროსბი ვარ და ნიუ-იორკის უმსხვილესი სამოდელი სააგენტოებისთვის ვმუშაობ, აი ჩემი სავიზიტო ბარათი, თქვენ აუცილებლად უნდა გახდეთ მოდელი!“ „ნამდვილი მანიაკია“ — შეშინდა რენე და სახლში გაიქცა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი რენემ არ დაიჯერა, ის ხომ თავს ისევე მახინჯად თვლიდა, მაგრამ ჯონი არ მოეშვა. ერთი თვის შემდეგ, დედის ნებართვით, გოგონა ნიუ-იორკში გაემგზავრა. სამოდელი ბიზნესში კარგად ცნობილ ფოტოგრაფს რიჩარდ აველონს ის ჟურნალ VOGUE-სთვის უნდა გადაეღო. რენემ პირველად გადალახა ბერბენკის სახლები და ასეთი ჟურნალის არსებობაც კი არ იცოდა.

რენეს ფოტოები მალე თითქმის ყველა ჟურნალში გამოჩნდა. 70-იან წლებში ის ერთ-ერთი ყველაზე დაკავებული მოდელი იყო, დღეში 2 ათას დოლარს იღებდა და კომპანია „რეგლონის“ ტელერეკლამებშიც ხშირად მონაწილეობდა. რენემ შეიძინა სახლი თავისთვის, დედისთვის, იყიდა ძვირფასი მანქანები და გააბა რამდენიმე რომანი. „ფულმა ბედნიერება არ მომიტანა, — ამბობდა მოდელი, — ისევე როგორც გარემომყოფთა გადაჭარბებულმა ყურადღებამ. მე როგორც რობოტი, ისე ვმუშაობდი, ვოცნებობდი, მიმეღწია სახლამდე და თავი უსაფრთხოდ მეგრძნო“.

რენე რუსო და პირს ბროსნანი ფილმში „თომას ქრაუნის აფერა“



30 წლის ასაკში რენე რუსოს სამუშაო საგრძნობლად შეუმცირდა, მას შეეძლო ებრძოლა, შეეცვალა იმიჯი, ეძებნა რაღაც ახალი, მაგრამ მან მოდელის პროფესიის შეცვლა განიზრახა. ბავშვობიდან მოყოლილი „მოუქნელი დათვის“ კომპლექსი რენემ ვერ დაძლია, ის მხოლოდ გარეგნულად შეიცვალა, სულიერად კი, კვლავ კორსეტში „გამოწყობილი“ სათვალისანი შეუხედავი გოგონა იყო.

თავისი შემდგომი ცხოვრების მოწყობის მიზნით რენე, 29 წლის ასაკში ცოლად პირველსავე შემხვედრს გაჰყვა, მისივე სიტყვებით, ეს ქორწინება სულ რაღაც ორიოდე წუთი გაგრძელდა... მას არ უმართლებდა მამაკაცების არჩევაში. „მშობლების მაგალითზე, ბავშვობიდან ის აზრი ჩამენერგა, რომ კაცს ერთ ქალთან ცხოვრება მხოლოდ ორი წელი თუ შეუძლია, შემდეგ კი აუცილებლად მიატოვებს, – ამბობდა რუსო. – მე იმდენად მეშინია მიტოვების, რომ ყოველთვის თავად ვტოვებ მამაკაცებს, როგორც კი ურთიერთობებში მცირე ბზარი განჩნდება“.

ოთხი წლის განმავლობაში რენე ღვთისმეტყველებას სწავლობდა. სწორედ რელიგია დაეხმარა, ახალი ძალით ერწმუნა თავისი შესაძლებლობები. ალბათ სწორედ რწმენამ მიიყვანა რენე ჰოლივუდში. თუმცა მის მსახიობად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ისევ ჯონ კროსბიმ შეასრულა. მან ურჩია რენეს, მსახიობობა ეცადა.

თავიდან იყო სინჯები, მცირე როლი ტელევიზორულ „სეიბლში“, თუმცა რენე რუსო საკმაოდ სწრაფად შენიშნეს. რენე იდეალური პარტნიორი აღმოჩნდა. ის არ არის ჭირვეული, არ ცდილობს პირველ პლანზე „გადრომას“, ძალიან ფოტოგენურია და საკმაოდ ნიჭიერიც. ეს ყველაფერი იმდენად თვალში საცემია, რომ რენე თავისი თავის ეკრანზე ნახვისას დარწმუნდა: მისი შიში, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

ნამდვილ წარმატებას რუსომ ბეისბოლის შესახებ გადაღებული ფილმის – „უმაღლესი ლიგის“ შემდეგ მიაღწია. სუ-

რათში მისი პარტნიორი ტომ ბერენჯერი იყო, მაშინ რენე რუსო უკვე 34 წლის გახლდათ.


კინოს ნამდვილად ძალუქს საოცრების მოხდენა, რენემ ეს რეალურად 1992 წელს შეიგრძნო. ის მიიწვიეს ფილმში „იმ ქვენიდან გამოქცეული“. მთავარი საქმე კი ის იყო, რომ ფილმში რუსოს თვით მიკ ჯაგერთან ერთად უნდა ეთამაშა. მსახიობმა აღიარა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე არ შეხვედრია მიკ ჯაგერისნაირი მამაკაცი. იქნებ რენეს სურვილი გაუჩნდა, ბავშვობის დროინდელი ოცნება ახლომდებოდა და მიკ ჯაგერს ის შეეყვარებინა.

თუმცა გადაღებების დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ, რენე პროდიუსერის კაბინეტში შეიჭრა და ფილმიდან წასვლის სურვილი გამოთქვა, მიზეზად კი უვარგისი სცენარი დაასახელა. სინამდვილეში მიზეზი სულ სხვა იყო: 38 წლის რენეს ჯერ კიდევ სჯეროდა უფლისწულის შესახებ ზღაპრისა და არ უნდოდა ელიარებინა, რომ მისი ზღაპრული გმირი რეალურ ცხოვრებაში უბრალო გარეწარი აღმოჩნდა.

რენე რუსოსთვის მიკ ჯაგერის პიროვნებამ ხიბლი დაკარგა. მიკი საკუთარ თავზე შეყვარებული, სკანდალური, უჭკუო და ნაკლებად მიშიბდევილი ადამიანი აღმოჩნდა. გადაღების დაწყებიდან ერთ საათში მან შეძლო მთელი კოლექტივის მოთმინებიდან გამოყვანა, მათ შორის რენესიც. ეს ილუზიების კრახი იყო, ოცნებების დასასრული. რენეს ფილმის მიტოვება სურდა, პროდიუსერი კი უმტკიცებდა, რომ სცენარი კარგი იყო და მსახიობს გადაღებებში მონაწილეობა უნდა გაეგრძელებინა.

აღელვებული რენე გარეთ გამოვარდა და გასასვლელში სცენარისტს დენ გილროის შეეჩენა – ის პროდიუსერთან რამდენიმე საკითხის შესათანხმებლად შედიოდა... ერთი წლის შემდეგ გილროის და რუსოს, გოგონა – როუზი შეეძინათ.

ახლა როუზი უკვე შვიდი წლისაა. „როდესაც მის თამაშს ვუყურებ, თავიდან განვიციდი ჩემს ბავშვობას, უფრო სწორად, ვხვდები, როგორი უნდა ყოფილიყო იგი.



მეუღლე დენტან და ქალიშვილ როუზთან ერთად


როუზმა ჩემთვის ის გააკეთა, რასაც ვერც ერთი ფსიქოანალიტიკოსი ვერ შეძლებდა: როგორც იქნა, სიმშვიდე მოვიპოვე, ჩემი ოცნებაც ახლა“. დღეს ორმოცდაშვიდი წლის რენე დარწმუნებულია: ქვეყნად ნამდვილი სიყვარული არსებობს და სანდო, დიდსულოვანი, ჭკვიანი მამაკაცებიც არსებობენ. ყოველ შემთხვევაში, რენეს მეუღლე სწორედ ასეთია.

მსახიობი ამჟამად თითოეულ ფილმში 1-2 მილიონ დოლარს იღებს. კინოკრიტიკოსებმა ერთხელ სიტყვა გადაუკრეს რენეს – მუდამ მთავარი გმირის მეგობარი გოგონების როლებს ასრულებო... რუსოს პასუხმა არ დააყოვნა: „კინოსაყვარლად ყოფნა ძალიან სასიამოვნოა. ძნელია უარის თქმა, როცა გთავაზობენ, აკოცო ისტუელს ან ჰოფმანს, უარს ვერ ვიტყვი ჯონ ტრავოლტასა და ჯინ ჰექმენტთან ლოგინში ჩაწოლაზე“.

ოჯახი რენესთვის წმინდა რამ არის. „დედისა და მეუღლის მოვალეობას ძალიან სერიოზულად ვუდგები. ერთია, იმეორი – „მე შენ მიყვარხარ“, და სულ სხვა – ამტკიცო ეს ქმართან და შვილთან ყოველდღიური დამოკიდებულებით, – აცხადებს მსახიობი. – გადაღებების შემდეგ თავს მოვალედ ვივლი, როუზთან ყოველდღიურად ოთხი საათი გავატარო. დედამჩემს ეს არ შეეძლო. მესმის, რომ ეს მისი ბრალი არ იყო, მაგრამ ჩვენ, მისი შვილები ამას ძალიან განვიციდით. ხანდახან მეც ვგრძნობ თავს დამნაშავედ როუზის მიმართ და ვფიქრობ, ხომ არ მივატოვო სამუშაო“.

მიკ ჯაგერს რენე გადაღებების შემდეგ აღარ შეხვედრია. მიკის შესახებ კი საბოლოო ჯამში ცუდი მოგონებები არ დარჩენია. „მე ჯაგერის მადლობელი უნდა ვიყო, – ამბობს რუსო, – სწორედ მისი წყალობით მოვხვდი შოუბიზნესში. ოცი წლის ასაკში მის კონცერტზე რომ არ წავსულიყავი, ყველაფერი შეიძლება სხვაგვარად წარმართულიყო“. თუ იმასაც დაეკუთვნება, რომ თავისი სიყვარულიც რენემ ჯაგერის წყალობით იპოვა, შეიძლება ვაღიაროთ, რომ მუსიკოსებსაც შეუძლიათ ხანდახან სასწაულების მოხდენა.

კლინგი ისგველთან ერთად ფილმში „ცეცხლის ხაზზე“



გაზაფხული – ალერგია

გაზაფხულის მოსვლას ყველა მოუთმენელი სინარულით ეგებება გარდა მცენარეული ალერგიით დაავადებული ადამიანებისა: ბუნების საყოველთაო განახლება-აყვავება, მათთვის მძიმე სიმპტომებთან არის დაკავშირებული. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მანია მითუბა გვირჩევის, რა მოვიმოქმედოთ ალერგიით გამოწვეულ უსიამოვნებათაგან თუ თავის დასალწევად არა, შესამსუბუქებლად მაინც.



თამაზ ქორქოლიანი

— ქალბატონო მაია, გთხოვთ, მოკლედ, პოპულარული ენით მოუთხროთ ჩვენს მკითხველს ზოგადად ალერგიის არსის შესახებ და კონკრეტულად — ყველაზე გავრცელებულ მცენარეულ ალერგიაზე.

— ალერგია ზოგადად წარმოადგენს ორგანიზმის მომეტებულ მგრძობიანობას გარეცხელებული ალერგენების მიმართ. ადამიანის იმუნური სისტემა იმისთვის არსებობს, რომ დაეცეს უცხო ნივთიერებათა შემოჭრისაგან. იმუნური სისტემის დაკვითი საშუალებანი რთული და მრავალფეროვანია. მათგან ერთ-ერთი უმთავრესია ანტიბიოტიკების გამოუმუშავება, რომელიც ორგანიზმის დამცველებს წარმოადგის, მათი დანიშნულებაა, უცხო ნივთიერებების ანუ ეწ. ანტიგენების განეიტრალება, მაგრამ ზოგჯერ ჩვენი იმუნური სისტემა აჭარბებს თავის „უფლებამოსილებას“ და იწყებს გაძლიერებულ რეაგირებას მაშინ, როცა შემოჭრილი ანტიგენი ორგანიზმისთვის სასიფათო არცაა. კონტროლის ასეთი დაკარგვა იმუნური სისტე-

მის ნაწილზე იწყებს ორგანიზმისთვის საზიანო გადაჭარბებულ რეაქციებს, რომელიც ცნობილია ალერგიის სახელით. ანტიგენს, რომელიც იწყებს ალერგიულ რეაქციებს „ალერგენი“ ჰქვია.

— რა შეიძლება იყოს ალერგენი?

— ალერგენი შეიძლება იყოს მცენარეული ან საყოფაცხოვრებო მტვერი, სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება, საკვები და ა.შ. ამის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, გენეტიკური განწყობა, რომელსაც ატობია ეწოდება. ეს არ არის დაავადება, ატობია არის განწყობა, რომლის ფონზეც ვლინდება სხვადასხვა პათოლოგიური მოვლენა. არსებობს სამი კლასიკური ტიპის ატობიური დაავადება: ატობიური დერმატიტი (ეგზემა), პოლინოზი (რინიტი და კონიუქტივიტი) და ალერგიული ასთმა. ყველაზე ხშირად ადამიანები ალერგიას მცენარეული მტვრის მიმართ ავლენენ. დედამიწის მცენარეული საფარი, როგორც ვიცით, მრავალფეროვანია. სამედიცინო პრაქტიკაში მცენარეები დაჯგუფებულია: არსე-

ბობს ალერგია ხე-მცენარეების მტვრის მიმართ, ბალახოვანი კულტურული მცენარეების მიმართ და სარეველა ბალახების მტვრის მიმართ. დაჯგუფება, ძირითადად, ხდება მათი ყვავილობის პერიოდის მიხედვით, ადამიანს, რომელსაც აქვს ალერგია კონკრეტულად რომელიმე მცენარის მიმართ, წლის გარკვეულ დროს უვითარდება ავადმყოფობის დამახასიათებელი ნიშნები, რომელსაც ჩვენ პოლინოზს ვეძახით. ე.ი. პოლინოზი არის ადამიანის ზემოქმედებლობა მცენარეული მტვრის მიმართ. მისი გამოცნობა ადვილია, რადგან მას ახასიათებს სეზონურობა — ავადმყოფობის მახასიათებელი ნიშნები ადამიანს წლის ერთსა და იმავე დროის მონაკვეთში უვითარდება. პოლინოზი შეიძლება მიმდინარეობდეს ალერგიული სურდოს სახით, ან ალერგიული კონიუქტივიტის სახით, ან ორივე ერთად ჰქონდეს.

— კონიუქტივიტი რას ნიშნავს?

— კონიუქტივიტი არის თვალის კონიუქტივის ანთება — თვალის სიწითლე, წვა ცრემლდენა. არსებობს მცენარეული ალერგიით გამოწვეული კანის დაავადების ფორმა, რომლის დროსაც ავადმყოფს კანზე გამოაყრის ხოლმე. ეს უკანასკნელი იწყებს ქავილს. მესამე სიმპტომი კი არის ასთმური მოვლენები. ეს სამი ძირითადი ფორმა შეიძლება გვხვდებოდეს ცალ-ცალკე ან ერთმანეთთან კომპლექსში. ალერგიის დაავადებას ახასიათებს მკაფიო ნიშნები, რომელიც ყველაზე მეტად შესაძრწევია ქარიან ამინდში. ამ დროს ჰაერში იმატებს ყვავილის მტვრის კონცენტრაცია, რომელსაც შორ მანძილზე გადაადგილება შეუძლია, ეს უკანასკნელი კი იწყებს ავადმყოფური სიმპტომების გაძლიერებას. წვიმიან ამინდში ხდება მცენარეული მტვრის მიწაზე დალექვა, შესაბამისად, ჰაერიც სუფთადება და ალერგიული სიმპტომებიც სუსტდება. ამიტომ ყვავილის მტვრის ალერგიით დაავადებულ ადამიანებს ვურჩევთ, რომ ქარიან ამინდში, თუ აუცილებლობა არ მოითხ-

მცენარეთა ყვავილობის კალენდარი ქ. თბილისის მიდამოებისთვის (თვეების მიხედვით)

	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										
10										
11										
12										

ადენოვირუსული ინფექცია!

გამომწვევი – ადენოვირუსი
თამარ მამასაშვილი

ინფექციის წყარო – დაავადებული ადამიანი, რომელიც გამოყოფს ვირუსებს ცხვირ-სახის ლორწოთი და განავლით.

გავრცელება – არ ავადდებათ ნ თვემდე ასაკის ბავშვები თანდაყოლილი იმუნიტეტის გამო, ყველაზე ხშირია დაავადება ნ თვიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვებში, მოზრდილთა 95%-ს აქვს ანტისხეულები ვირუსის წინააღმდეგ ბავშვობაში გადატანილი ინფექციის გამო და ისინი ინფექციას შედარებით მსუბუქი ფორმით გადაიტანენ.

ფარული პერიოდი – 4-12 დღე.

დაავადება იწყება: შემცივნებით, მაღალი ტემპერატურით, ინტოქსიკაციის (მოშხამვის) ნიშნებით – თავის ტკივილი, უმადობა, სისუსტე. ბავშვებში აღინიშნება სურდო უხვი გამონადენით.

ვითარდება: ბრონქიტი, ხახის, სასის ანთება. ნუშურა ვირუსები შეშუპებული და შეწითლებულია. თვალის ლორწოვანა შეწითლება, შეშუპდება და ჩნდება ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენი თვალიდან. ბავშვებში ხშირია ენტერიტის (ნაწლავების ანთების) მოვლენები: მუცლის ტკივილი. თხელი ფაღარათი, ლორწოვანი განავლით. გადიდებულია ღვიძლი და ელენთა.

სპეციფიკური სიმპტომი: გადიდებულია კისრის წინა და უკანა, ილიისქვეშა, საზარდულის ლიმფური კვანძები.

გართულებები: პნევმონია (ფილტვების ანთება), ოტიტი (ყურის ანთება), პლევრიტი, მიოკარდიტი (გულის კუნთის ანთება), ანგინა (ნუშურების ჩირქოვანი ანთება).

მკურნალობა: სიცხის დამწვევი, ანტიალერგიული საშუალებები (ანალგინი, პარაცეტამოლი, ტავეგილი, სუპრასტინი) ინჰალაციები, სავლებები. გართულებების შემთხვევაში – ანტიბიოტიკები.

პროფილაქტიკა: საჭიროა ავადმყოფის იზოლაცია, კონტაქტში მყოფ პირებს აწვეთებენ ცხვირში ინტერფერონს. კარგია ოქსოლინის მალამოს წასმა ნესტოებში.

ყელის ტკივილის დროს სავლებად გამოიყენეთ შემდეგი მცენარეების ნაყენი: ევკალიპტი 30 გ, სალიბი 50 გ, არყის ხის ფოთლები 20 გ. აიღეთ ამ ნარევის 1-2 სუფრის კოვზი, დაასხით 1 ლ. ჭ. მღელარე წყალი, დადეთ თავდახურული 15 წთ, შემდეგ გადაწურეთ და ივლეოთ ხშირ-ხშირად.

მუცელში ტკივილის დროს მოამზადეთ ანტივირუსული ჩაი შემდეგი მცენარეებით: გვირილა, მელისკულა, თავმაგა. დალიეთ თითო ჭიქა 3-ჯერ დღეში 1 სუფრის კოვზ თაფლთან ერთად.

ოვს, შენობიდან ნუ გამოვლენ. და კიდევ ერთი, რასაც ნაკლებად ექცევა ყურადღება: შენობაში შესვლისთანავე, თუ სუფთა წყლით მოიბანენ პირ-სახეს, ავადმყოფობის სიმპტომები გაცილებით დაქვეითდება. ძირითადი რჩევა ამ შემთხვევაში იქნება ის, რომ, რაც შეიძლება ნაკლები კონტაქტი ვიქონიოთ გარე სამყაროსთან. არსებობს კიდევ მეორე გამოსავალი, რაც შედარებით რთული განსახორციელებელია: ჩვენი ქვეყნის მდიდარი გეოგრაფიული გარემოს პირობებში, ალერგიით დაავადებული ადამიანი შეიძლება გადაადგილდეს იმ ზონაში – მაგალითად, მთაში, – სადაც ყვავილობა ჯერ არ არის დაწყებული – და დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილს, როცა იქ ყვავილობა ჩაივლის.

— დღევანდელ პირობებში, ალერგიით დაავადებულთა უმრავლესობისთვის ეს გამოსავალი მხოლოდ თეორიულად თუ არსებობს.

– გეთანხმებით, ეს რთული განსახორციელებელია, მაგრამ შესაძლებელია. არსებობს მცენარეთა ყვავილობის კალენდარი თბილისის მიდამოებისათვის, რომლის გაცნობაც კარგ სამსახურს გაუწევს ალერგიულ ადამიანებს.

— ეს კალენდარი, როგორც ბრძანეთ, თბილისის შემოგარენისთვისაა, მთის რეგიონებისთვის ალბათ ერთი თვით ქვემოთ ჩამოინჯება.

– დიას, მაგრამ გააჩნია ამინდებს. ხშირად მცენარეთა ვეგეტაცია ამინდის გამო ივვიანებს, ზოგ შემთხვევაში კი, პირიქით ხდება.

— ზემოთ ჩამოთვლილი მცენარეებიდან, მაინც რომლის მტვერთა ყველაზე მავნებელი ადამიანისთვის?

– როგორც მოგასწავნებ, მცენარეთა ალერგიული ზემოქმედება ადამიანზე ინდივიდუალურია, მაგრამ მაინც შეიძლება გამოყოფა: ეს არის სარეველა მცენარე ამბროზია, რომლის საშობლოც ჩრდილოეთ ამერიკაა და ჩვენში საქაიდაა გავრცელებული. მისი გავრცელების ორი დიდი კერა არსებობს საქართველოში – ერთი გავრის რაიონში, მეორე კი – ლაგოდეხის რაიონში. ამბროზია თავისი ალერგიული თვისებებით გამოირჩევა სხვა მცენარეებისაგან და მისგან დაავადებულ ადამიანებს სწრაფად უვითარდებათ ასთმური მოვლენები. როდესაც ალერგიულ დაავადებებზეა საუბარი, ყველაზე რთულად ითვლება ბრონქული ასთმა. „ასთმა“ არის ძველბერძნული სიტყვა და „სულხუთას“ ნიშნავს. ამბროზია კი, ხშირად იწვევს ამ მძიმე დაავადებას. ხოლო მათთვის, ვინც ზემოხსენებულ რაიონებში ცხოვრობს, არსებობს დიდი პოტენციური საშიშროება ამ დაავადებით დასნეულებისა. ადამიანებს ეს კარგად იციან და, შეძლებისდაგვარად, ებრძვიან ამ სარეველას.

— ადრე ტელევიზიით, რადიოთი და პრესით მოუწოდებდნენ ხალხს,

ამბროზია ყვავილობამდე მოესპოთ: გარდა იმისა, რომ მას მწვავე ალერგიული ზემოქმედება ახასიათებს, ნადაგსაც ფიტაცს. გამოდის რომ, მისი მოსპობა ორმაგად სასარგებლო ყოფილა.

– მართალი ბრძანდებით, ამ მცენარეს ადამიანისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს და კარგი იქნებოდა, თუ მასშტაბური ბრძოლა გამოცხადდებოდა მის წინააღმდეგ.

— ქალბატონო მაია, ნარმოუდგენელია, ასეთი მცირე პუბლიკაციით, რომელიმე ავადმყოფობის არსის ამონაურვა, მით უმეტეს, ისეთი რთული და მრავალფეროვანი დაავადებისა, როგორც ალერგიაა. დასასრულს მისი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ გვიამბეთ.

– საერთოდ, უმეტესად, ადამიანები მაშინ მიმართავენ ექიმს, როდესაც ალერგიული სიმპტომები გამწვაებული აქვთ. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ სიმპტომური დახმარება შეგვიძლია. ამ მომენტში სიმპტომების მეტ-ნაკლებად „დალაგება“ ხდება, დიაგნოსტიკის საშუალება კი არის მხოლოდ და მხოლოდ ინტრავენურად სისხლის აღება და ტესტირების საშუალებით დადგენა, თუ კონკრეტულად, რომელი ყვავილის მიმართ მყლანდება ალერგია. მეორე მეთოდი კანის სინჯვის ალერგოლოგიური ტესტირება, როდესაც ყვავილობის პერიოდი ჩაივლის. რაც შეეხება მკურნალობას, არსებობს რამდენიმე სახის მკურნალობა: ერთი, როდესაც გავრცელებული ანტიალერგიული პრეპარატებით ზოგადად ვმკურნალობთ, სადღესოდ ასეთი პრეპარატების დიდი არჩევანი არსებობს – დასაღვეი წამლებისა და საინიექციო პრეპარატების სახით. ბოლო პერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივი მოქმედების პრეპარატები, რომლის მეშვეობითაც ცალ-ცალკე მკურნალობენ, მაგალითად, თვალს, ცხვირს, ბრონქებს და ა.შ., რაც ავადმყოფებს დიდ შეგებას ჰკვირის. საერთოდ კი, ალერგიის მკურნალობას გლობალურად უნდა მივიხედოთ. როგორც უკვე ვთქვით, არსებობს ზოგადი მოქმედების წამლები, ადგილობრივი მოქმედების წამლები და ის განსაკუთრებული წამლები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ალერგოლოგიაში იხმარება. ეს გახლავთ უკვე დადგენილი ალერგენების შესაბამისი მინიმალური განზავების თანდათანობითი მომატება და ორგანიზმში შეყვანა. მათი საშუალებით, ადამიანის ორგანიზმი კონკრეტულ ალერგენებს ეჩვევა და შემდეგ ბუნებაში გავრცელებული იგივე ალერგენი მასზე აღარ ზემოქმედებს. მაგალითად, როგორც მთრიდატე პონტოელი ეჩვეოდა ფუტკრის შხამს. მცენარეული ალერგია ყველაზე უფრო მეტად ექვემდებარება ამ ტიპის მკურნალობას.

90 წლის წინ ერთ-ერთი ამერიკული კინოსტუდია NES-TOR FILMS-ი აშშ-ის აღმოსავლეთი სანაპიროდან – დასავლეთში, მზიან კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესის თითქმის აუთვისებელ შემოგარენში – ჰოლივუდში გადავიდა. სტუდია გაიხსნა ძველ ტავერნაში, რომელიც ამჟამინდელი SUNSET-ის ბუღვარზე მდებარეობდა. ამგვარად, 1911 წელს საფუძველი ჩაეყარა ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტეგენდას – „ოცნებათა ფაბრიკაზე“.



კინოოფმოროი

XX საუკუნის დასაწყისში ამერიკული კინოწარმოება აღმოსავლეთ სანაპიროზე – ნიუ-იორკსა და ფილადელფიაში და ჩრდილოეთში – ჩიკაგოში იყო გაშლილი. იმ წლებში ცნობილმა ჩიკაგოურმა ფირმა WILLIAM ZELIG-მა სრულიად შემთხვევით „ადმოჩინა“ ეს სასუკვარი კალიფორნიული სამოთხე. საჭირო იყო შესაფერისი ნატურა „ვრდამი მონტე-კრისტოს“ კერანიზაციისთვის და ვიდაცამ სტუდიას კარგი იდეა შესთავაზა: სამხრეთ კალიფორნია, ლოს-ანჯელესი, უფრო ზუსტად, მისი სამხრეთ-დასავლეთი მხარე, იმ დროს თითქმის დაუსახლებელი და აუთვისებელი – HOLLYWOOD HILLS (ჰოლივუდის მთები)!

HOLLY WOOD სიტყვასიტყვით „ჰყოფის ტყეს“ ნიშნავს. მართალია, იქაური გორაკები ხეებითა და ყვავილებით არ იყო დაფარული და გარემოც არ გამოირჩეოდა რომანტიკულობით, სამაგიეროდ, იქვე იყო კლდოვანი კანიონები, ფორთოხლის ტყეები, ვენახები, ზღვა და პალმები. მოკლედ, ტიპური ხმელთაშუაზღვისპირეთი.

1908 წელს მომავალი ჰოლივუდის ტერიტორიაზე პირველი კინემატოგრაფიული დესანტი ჩავიდა. მართალია, პირველი კალიფორნიული ფილმის გადაღებები გაიჭიმა – ის ეკრანებზე მხოლოდ სამი წლის შემდეგ გამოვიდა – და ეს მაშინ, როცა ფილმებს რამდენიმე დღეში იღებდნენ. და მაინც, დიუმას რომანის ეკრანიზაცია პირველი ჰოლივუდური ბლოკბასტერი გახდა, ხოლო ედმონ დანტესის როლის შემსრულებელი ჰობარტ ბოსუორტი – პირველი ჰოლივუდელი ვარსკვლავი.

რამდენიმე წლის შემდეგ ჰოლივუდისკენ დაიძრა უამრავი რეჟისორი და პროდიუსერი. დასავლეთ სანაპიროსკენ მათი ლტოლვა წმინდა ეკონომიკურმა ზეწოლამ განაპირობა, რომელსაც ერთი ადამიანი – ტომას ალვე ედისონი ახორციელებდა.

საქმე ის გახლავთ, რომ XX საუკუნის

kaliforniuli „ჩამოსხმის“ დვინი

დასაწყისში ადგილობრივი კინემატოგრაფისტებისათვის, ოფიციალური „კინემატოგრაფის მამების“ – ძმები ლუმიერების გვარი არაფერზე მეტყველებდა. ისევე, როგორც დღეს ნიუ-იორკელთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პიცა მანჰეტენზე გამოიგონეს, – მაშინ „მოდრავ სურათებს“ წმინდა წყლის ამერიკულ გამოგონებად თვლიდნენ. ამ ვერსიაში სიმართლის რაღაც მარცვლი ნამდვილად არის – კაცმა რომ თქვას, ფრანგ ძმებს თუკი რაიმე შეიძლება ჰქონდეთ საამაყო, ეს არის მსოფლიოში პირველი კინოსენსის ორგანიზება კაპუცინების ბუღვარზე, პარიზის ერთ-ერთ კაფეში. რაც შეეხება პირველი ფილმების შესაქმნელ სხვადასხვაგვარ „მანქანას“, ამ გამოგონებას მრავალი ადამიანი იჩემებდა.

მათ შორის იყო ედისონიც. ამ გენიოს გამოგონებელს, უთვალავ პატენტთა შორის, ჰქონდა კინეტოსკოპიც – მოძრავი სურათების დასათვალიერებელი ხელსაწყო, თანამედროვე კინოპროექტორის წინამორბედი. მაყურებლები იკრიბებოდნენ თანამედროვე ვიდეოთამაშებისთვის განკუთვნილი დარბაზების მსგავს ოთახებში, ყოველი მსურველი მიდიოდა მისთვის განკუთვნილ „ყუთთან“, აგლებდა მონეტას და ტკებულობდა სინემატოგრაფის მამინდელი შედეგებით. ედისონმა არა მარტო გამოიგონა კინეტოსკოპი, არამედ მისი დაპატენტებაც მოიფიქრა და რადგანაც იმ დროს „კინოფილმის“ ჩვენებისთვის სხვა აპარატურა არ არსებობდა, ედისონის ნიუ-იორკის კომპანია – MOTION PICTURES PATENTS COMPANY კინოგაქირავებისა და, ამასთან ერთად, მთელი

კინოწარმოების მონოპოლისტი გახდა. რა თქმა უნდა, კონკურენტები საქმის ასეთ ვითარებას ვერ შეეგუვნენ და დროთა განმავლობაში გამოსავალიც იპოვეს. ამერიკული კანონმდებლობით, ნიუ-იორკის შტატის კანონდამრღვევი კალიფორნიაში დამნაშავედ არ ითვლებოდა. გარდა ამისა, იქვე, გვერდით იყო მექსიკა – საყვარელი ადგილი კანონთან „მწყვარაღ“ მყოფი ადამიანებისთვის.

სანტა-ბარბარას შემკვიდრე

ამგვარად, კინოსამყაროში მოღვაწე წვრილ-წვრილი ბიზნესმენები ჰოლივუდისკენ დაიძრნენ. ისინი დასახლდნენ უსახურ გორაკებზე და მალე ეს ადგილი ჯერ ამერიკული, ხოლო შემდეგ მსოფლიო კინოს დედაქალაქად აქციეს.

საინტერესოა, რომ მანამდე ამ საპატიო წოდებას ატარებდა სხვა კალიფორნიული ქალაქი, რომლის სახელიც ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ეს გახლდათ სანტა-ბარბარა. თუმცა, წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე ეს მწვანეში ჩაფლული ქალაქი „დედაქალაქის“ სტატუსს მხოლოდ და მხოლოდ 12 თვე ინარჩუნებდა. ვარსკვლავები კვლავაც საიმოვნებით სახლდებოდნენ სანტა-ბარბარაში, დიდი ჩარლი ჩაპლინი იქ სასტუმროსაც კი ფლობდა (რომელიც დღესაც ფუნქციონირებს), მაგრამ კინოწარმოება ამ ქალაქში შეწყდა. სამაგიეროდ, ფილმების კეთება მეზობელ ჰოლივუდში დაიწყო.

მას შემდეგაც, რაც 1915 წელს გაუქმდა კანონი, რომელიც ედისონს მონოპოლიურ

უფლებებს აძლევდა, კალიფორნიის მთების ფერდობებზე დამკვიდრებულმა სტუდიებმა აღარ მოინდომეს ხალხმრავალ და მტკრიან ჩიკაგოში, ნიუ-იორკსა და ფილადელფიაში დაბრუნება. კალიფორნია კინოწარმოებას უზრუნველყოფდა იდეალური ბუნებით: ოკეანე, მთები, ველები, მზე და იაფფასიანი მიწა.

1923 წელს კანიონ ბიჭულის მაღალ ნაპირზე დაამონტაჟეს 15 მეტრიანი ასოები, რომლებიც დროთა განმავლობაში მსოფლიოს კინოდელაქალაქის საეიზიტო ბარათად იქცა.

ეს ამერიკული მონუმენტური პროპაგანდის შედეგია აღმართა არა რომელიმე კინომანგანტმა, არამედ უბრალო რეალტორმა, რომელიც ჰოლივუდის ახლომდებარე რაიონებში უძრავი ქონების ვაჭრობის სარეკლამო კამპანიას ხელმძღვანელობდა. გარე რეკლამის დამონტაჟება მას იმ დროისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა – 21 ათასი დოლარი დაუჯდა. 4 ათას ნათურას, რომელიც წარწერას ღამ-ღამობით ანათებდა, ცვლიდა სპეციალურად დაქირავებული ზედამხედველი, რომელიც ასო L-ის უკან მოწყობილ პატარა დროებით სადგომში ცხოვრობდა. ხოლო, როგორც ექსკურსიამდლოები ჰყვებიან, ასო H-ის კენწეროდან, მას შემდეგ, რაც სტუდიამ კონტრაქტის გავრძელებაზე უარი უთხრა, ერთი ინგლისელი მსახიობი გადმომხტარა.

თავდაპირველად ასოები უფრო მეტი იყო: HOLLYWOOD LAND (ჰოლივუდის მიწა). 1939 წელს ეს რაიონი ეწ. დიდი ლოს-ანჯელესის საკუთრებაში გადავიდა და წარწერა საერთოდ გაქრა. ხოლო ათი წლის შემდეგ, როცა ქალაქის სავაჭრო პალატამ კონტრაქტი დაღო კალიფორნიის შტატის ისტორიული ძეგლების დაცვისა და აღდგენის სამმართველოსთან, წარწერა ისევ გაჩნდა, ოღონდ შემოკლებული სახით. სად წავიდა ბოლო ოთხი ასო, გაურკვეველი დარჩა.

ბაბილონი

ჰოლივუდში გადაღებულ ერთ-ერთ პირველ კინოკოლოსად იქცა დევიდ უორკ გრიფიტის შედეგური „შუუწყნარებლობა“ (1915). ეს სამსაათიანი (იმ დროს, ძირითადად, ნახევარსაათიანი ფილმებს იღებდნენ) გრანდიოზული სურათი სტუდია TRIANGLE-ს წარმოუდგენელი ფული – 500 ათასი დოლარი დაუჯდა. ხოლო გრანდიოზული მასობრივი სცენები და ძველი ბაბილონის იმ დროისათვის ფანტასტიკური დეკორაციები დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

20-იანი წლების ბოლოსთვის თავად ჰოლივუდიც წარმოადგენდა ერთგვარ ახალ ბაბილონს, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიედინებოდნენ რეჟისორები, მსახიობები, სცენარისტები, მხატვრები – მოკლედ, ყველა, ვინც ხელოვნების ამ ყველაზე ახალ-გაზრდა დარგში დიდებისა და სახელის მოხვეჭაზე ოცნებობდა.

სტუდია PARAMOUNT PICTURES ჯერ კიდევ 1912 წელს დაარსდა, შემდგომ მას მოჰყვა „არაჩვეულებრივი ხუთეულის“ სხვა სტუდიები: COLUMBIA PICTURES (1920), WARNER BROTHERS (1923), METRO-GOLDWYN-MAYER (1924) და XX CENTURY FOX (1935). ამ გიგანტებმა მრავალი წლით განსაზღვრეს თამაშის წესები დიდი ამერიკული ბიზნესის ახალ, ყველაზე სწრაფად მზარდ სექტორში – კინემატოგრაფიაში.

უზარმაზარი სტუდიები ერთდროულად ფლობდნენ როგორც კინოწარმოებას, ისე კინოთეატრებს, რის შედეგადაც ფილმის ბედის განმსაზღვრელი ადამიანი გახდა არა რეჟისორი, არამედ პროდიუსერი, რომელიც მილიანად აკონტროლებდა სურათის შექმნის პროცესს. ძალზედ მნიშვნელოვანი როლი

ეკისრებოდათ ვარსკვლავებსაც, რომელთა რეკლამირებისთვის სტუდია ფულს არ იშურებდა, რადგანაც სწორედ ისინი „ჩაჩავდნენ“ ამა თუ იმ კინოსურათს.

ვარსკვლავთა კულტის გარეშე ჰოლივუდი, ჰოლივუდი ვერ იქნებოდა, მაგრამ აღრუულ ეტაპებზე, წამყვანი მსახიობებიც კი, ზოგჯერ სტუდიის მონებად იქცეოდნენ ხოლმე. სტუდიებს შეეძლოთ მათი გაქირავება და გაყიდვა. ჩვეულებრივ, კონტრაქტები ხანგრძლივი დროით იღებოდა, მაგრამ მათი დარღვევა სტუდიებს არაფრად უღირდათ, რადგან შემცველი ვარსკვლავის პოვნა ძალზედ იოლი იყო – წარმატების მაძიებელთა დეფიციტს ჰოლივუდი ხომ არასოდეს განიცდიდა.

ვარსკვლავთა სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ეტაპად იქცა ამერიკის კინოაკადემიის პრემიების დაწესება 1927 წელს. მამაკაცისა და ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელთათვის, საუკეთესო რეჟისურისა და საუკეთესო ფილმისთვის გადაცემული ოთხი მოიქრული „კაცუნის“ დანახვამ, ლეგენდის თანახმად, მღვიან ქალში უნებლიე რეაქცია გამოიწვია: „სულ ჩემს ბიძას – ოსკარს ჩამოჰკვანან!“ მას შემდეგ „ოსკარის“ გადაცემის ყოველწლიური ცერემონია ამერიკის მთავარ შოუდ გადაიქცა.


ვარსკვლავური ომები

50-იან წლებში მილიონობით ამერიკელი ჰოლივუდში წასვლაზე ოცნებობდა. ყოველი მათგანი ერთი მიზნისკენ მიისწრაფოდა – თვალში მოხვედროდა რომელიმე კინომანგანტს, რის შემდეგაც ამერიკის დაპყრობა უკვე გადაწყვეტილ საქმედ ესახებოდათ. ზოგიერთ იღვლიანს ეს გამოსდიოდა, მაგრამ უმრავლესობისთვის ჰოლივუდთან ნაცნობობა იმედგაცრუებით მთავრდებოდა.

გასაკვირი ის იქნებოდა, რომ მსოფლიოს „ოცნებათა ფაბრიკას“ საკუთარი თავის შესახებ ლეგენდის შექმნაზე არ ეზრუნა. ამ მიმართულებით მუშაობდა პრესა, ტელევიზია, რადიო, რომელთათვისაც ლოს-ანჯელესის ეს გარეუბანი პერმანენტულ „ინფორმაციის წყაროდ“ იქცა. მაგრამ ომის შემდგომი პერიოდის პირველ დეკადაში მოხდა რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც გვარიანად შეარყია მითი იმ ბედნიერი ქალაქის შესახებ, სადაც ოცნებები აუცილებლად სრულდება და ყველაფერი ჰეფი-ენდით მთავრდება.

50-იან წლებში ჰოლივუდმა გამოიარა მაკპარტისტული „კუდიანებზე ნადირობის“

ჯერ კიდევ 1915 წელს რეჟისორმა გრიფიტმა ჰოლივუდში პირველი სამსაათიანი ფილმი გადაიღო





პერიოდი, რომლის დროსაც შემოქმედთა წრეში „წითლების აგენტების“ გამოძვლავებაში განსაკუთრებული გულმოდგინება კინომსახიობთა გილდიის მაშინდელმა თავმჯდომარემ — რონალდ რეიგანმა გამოიჩინა. „ოცნებათა ფაბრიკაში“ ფეხი მოიკიდა ორპირობამ, „ჩაშვების“ ინსტიტუტმა და კონკურენტებისთვის ძირის გამოთხრამ.

შემდეგი დარტყმა ჰოლივუდის კეთილდღეობას თავად ვარსკვლავებმა მიაყენეს. სტუდიების მხრიდან კაბალური პირობებით უკმაყოფილო მსახიობებმა ამბოხება მოაწყვეს: საკუთარი აგენტებით „შეიარაღებულმა“ ვარსკვლავებმა თავად დაიწყეს პროდიუსერების არჩევა, უზარმაზარი ჰონორარების მოთხოვნა და ჭირვეულობა. ყოველივე ამან ჰოლივუდი სკანდალის სინონიმად აქცია.

მოუხედავად ამისა, 1960 წელს ქალაქის ყველაზე ცნობილ ქუჩაზე HOLLYWOOD BOULEVARD და მის მიმდებარე VINE STREET-ზე საზეიმოდ გაიხსნა ვარსკვლავთა ხეივანი. მას შემდეგ იქ ყოველწლიურად მიდის მილიონობით ტურისტი და ათვალიერებს 2,5 ათას ბრინჯაოს ვარსკვლავს, რომლებზეც კინოს, თეატრის, ტელევიზიისა და პოპ-მუსიკის კერაების სახელებია ამოტვიფრული. მუდმივად მზარდი „ვარსკვლავთა გროვა“ ინტრიგებსა და წყენას იწვევს მათში, ვისაც გადაუვადეს საკუთარი „ვარსკვლავის“ გახსნა, ხოლო ჩვეულებრივ ადამიანებს კიდევ ერთხელ უმტკიცებს, თუ როგორი წარმავალია დიდება და პოპულარობა — ერთ დროს მქუხარე სახელთა 90% დღეს მივიწყებულია.

ჰოლივუდზე მეოცნებე „გარეშე პირთაგან“ განსხვავებით, ადგლობრივ მკვიდრთი ილუზიები არასოდეს იპყრობდა. ერთ-ერთი ძველი კინოვარსკვლავი „ოცნებათა ფაბრიკაზე“ ამბობდა: „ჰოლივუდი ჩვენი ოცნებათა ფაბრიკა კი არა, ამ ოცნებათა გალია იყო“. ამგვარსავე დამოკიდებულებას კიდევ ერთი მთარეული შეფასების აწ ინკოგნიტო ავტორი ამჟღავნებს: „ჰოლივუდში შეუძლიათ სამუდამოდ დაგივიწყონ იმ ხანმოკლე პერიოდში, რასაც ტელეუბტმა ყოფნას მონადლომბა“.

ამ ქალაქს TINSLETOWN-საც (ყალბი ბრწყინვალეების ქალაქი) უწოდებენ. ხოლო

ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ადამიანები იმასაც ამბობენ, რომ თუ ჰოლივუდს ამ ბრწყინვალეების ნიღაბს ჩამოხსნი, მის ქვეშ ნამდვილი მოჩვენებებითა და სიყალბე დაგხვდებაო...

ყველაფერი იცილება

იმის გამო, რომ ამერიკის ყველაზე მოღურ ქალაქში ფასები სტრატოსფეროსკენ მისწრაფოდა, ხოლო უამრავი ტურისტის გამო მის ქუჩებში სიარული აუტანელი ხდებოდა, სტუდიის მფლობელებმა და ვარსკვლავებმა თანდათან ჰოლივუდის დატოვება დაიწყეს.

ქალაქის ხელმძღვანელობა სერიოზულად დააფიქრა ტურისტების ნაკადის შემცირების პერსპექტივამ და მათ სასწრაფოდ წამოიწყო „წარსულის ძეგლების“ დაცვის კამპანია.

1985 წელს ქალაქის რამდენიმე კვარტალი და ქუჩა ისტორიულ ძეგლად გამოცხადდა. ტურისტების უმრავლესობას დღესაც ჰოლივუდის ბულვარი იზიდავს. ამ ქუჩაზე, ნახსენები ვარსკვლავთა ხეივის გარდა, მდებარეობს ქალაქის ყველაზე ცნობილი მუზეუმები და ლეგენდარული კინოთეატრები: EL CAPITAN რესტავრირებული უძველესი კინოსასახლე EGYPTIAN და ჩინური პავილიონის მსგავსი MANN'S, რომლის წინ დაგებულ ასფალტს ვარსკვლავთა დაახლოებით 150 „თათი“, მათი ცხვირებისა და შიშველი ფეხების ნაკვალევები „ამშვენებს“.


უწინდებურად საკმაოდ სოლიდური შემოსავალი მოაქვს პოპულარულ ექსკურსიებს ბევრლი-ჰილზში, რომლის დროსაც ტურისტებს საშუალება ეძლევათ, თვალი შეაფლონ თავიანთი კერპების ფეშენებელურ ვილებს.

ბოლო დროს ამ ტურებს სერიოზული „კონკურენტი“ გაუჩნდა — მოგზაურობა ჰოლივუდის „სკანდალური დიდების ადგილებში“. კატაფალკისებურად გაფორმებული ლიმუზინი ჩერდება იმ სასტუმროებთან, სადაც ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზით სიცოცხლეს გამოეხალმუნე ჯენის ჯოლინი, მსახიობი და მუსიკოსი ჯონ ბელუმი (მსახიობ ჯეიმს ბელუმის ძმა), სადაც არასრულ-

წლოვანთა გახრწნითა და შეცდენით ერთობოდნენ 50-იანი წლების კერპი, მსახიობი ეროლ ფლინი და სახელგანთქმული რომან პოლანსკი. ექსკურსანტებს უჩვენებენ ჭას, რომელშიც გამტაცებლები ფრენკ სინატრას ვაჟს მალავდნენ, სატელეგრაფო ანძას, რომელმაც შეიწირა ჯეიმს დინი და სტუდიებს, სადაც კამერების წინ შიშველი მერილინ მონრო იდგა.


ტურისტების ნაკადი კვლავაც არ წყდება მერილინ მონროს საფლავთან, რომლის გვერდითაც განივებენ სხვა ცნობილი ადამიანებიც: მსახიობი ნატალი ვუდი, მწერალი ტრუმენ კაპოტე, როკ-ვარსკვლავი როი ორბისონი, მაგრამ მათ საფლავებთან იშვიათად თუ ჩერდება ვინმე.

დაბოლოს, ჰოლივუდის კომერციულ „ნიუ-ჰაუდ“ იქცა საექსკურსიო ტურები კინოსტუდიებში. რა თქმა უნდა, სტუდიები არსად გადაუტანიათ, ისინი კვლავ ჰოლივუდში მდებარეობს, მაგრამ, როგორც წესი, ოფისებად, საწვობებად, სამონტაჟოებად და სხვადასხვაგვარ პავილიონებად გადაიქცა. გადღებები კი დღეს, ძირითადად, ინგლისში, აზიასა და აფრიკაში მიმდინარეობს. მაგრამ ჰოლივუდი, ათწლეულების მანძილზე ტყუილად როდი განადიდებდა „არაჩვეულებრივ ხეთუელს“: დღეს ეს სტუდიები კეთილსინდისიერად მუშაობს ქალაქის ბიუჯეტისათვის. ასობით ტურისტი საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდის, რომ სტუდიების პავილიონებში ისეირნოს, ექსკურსიამდლოს მოუსმინოს და ყველაფერს საკუთარი ხელით შეეხოს. რაც შეეხება სტუდია UNIVERSAL-ის ატრაქციონების პარკს, იგი უკვე კონკურენტისადაც კი უწევს იქვე მდებარე დისნეილენდს. რა შემოსავალი მოაქვს სტუდიებისთვის ტურისტულ საქმიანობას, უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მათთვის ხელმეტი ფული არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მთრადი ბინჯის დახურვას არც ერთი მათგანი არ აპირებს. თანაც, ეს ამერიკული პრაქტიციზმის დემონსტრირების კიდევ ერთი საშუალებაა. „ოცნებათა ფაბრიკას“ უწინაც კარგი შემოსავალი მოჰქონდა, მაშ ახლა რა უნდა უშლიდეს ხელს „ფაბრიკის დაცარიელებულ სამქროთა“ მომგებანად გაქირავებას?



კვირის (16 - 22 აპრილი) ასპროლოგიური პროგნოზი

ვერიო - 21/III-20/IV



ეს კვირა ძალიან მოულოდნელი შემთხვევით დაგამახსოვრებთ თავს. სასიხარულო რა გელით ძნელი სათქმელია, მაგრამ, აი, უსიამოვნებების შესახებ შეგვიძლია გაგაფრთხილოთ. ორშაბათი და სამშაბათი საკმაოდ დაძაბული დღეები გექნებათ, ხოლო მოულოდნელი ინფორმაცია უქმეების გეგმებს მთლიანად ჩაგიშლით.

კურო - 21/IV-21/V



ძალზედ მშვიდი კვირა გელით. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ შვილებთან და ოჯახის უფროს წევრებთან ურთიერთობა. სახლის ინტერიერის შეცვლაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ. შესაძლოა, რაიმე შინაური ცხოველიც შეიძინოთ (თუ უკვე არ გყავთ). საქმეში და ურთიერთობებში ძალიან რბილი იქნებით და კომპრომისებზე ადვილად წახვალთ.

მარცხი - 22/V-21/VI




ორშაბათსა და სამშაბათს საქმეში დიდ წარმატებას მიიღწევთ. იმდენად დიდს, რომ ოთხშაბათს დიდება თავბრუს დაგახვევთ და სარისკო ნაბიჯისკენ და ავანტიურული გადაწყვეტილებებისკენ გიბიძგებთ. ფრთხილად იყავით, ყოველივე ეს ცულ შედეგებამდე მიგიყვანთ. შაბათ-კვირას იშვიათ და სასიამოვნო სტუმრებს უმასპინძლებთ.

ბირთვი - 22/VI-22/VII



ლიდერობისა და ხელმძღვანელობის დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდებათ. მთავარია, ზედმეტი არ მოგივიდეთ და სხვების აზრიც გაითვალისწინოთ. თუ ამას შეძლებთ, ოთხშაბათს უკვე შედეგს დაინახავთ.

ლომი - 23/VII-23/VIII



კვირის დასაწყისში სამსახურში მეტად მნიშვნელოვან და გავლენიან ფიგურას დაუპირისპირდებით. თუკი სიმტკიცესა და სიმშვიდეს გამოიჩინებთ, კონფლიქტში არა მარტო გამარჯვებული გამოხვალთ, არამედ, შესაძლოა, ამ გავლენიანი პიროვნების ადგილსაც კი გამოჰკრათ ხელი. მაგრამ ნუ მოდუნდებით, გახსოვდეთ - ქარის მოტანილს...

ქალწული - 24/VIII-23/IX



ამ კვირას მთლიანად წარსულის მოგონებებს დაუთმობთ. შეხვედრებით დიდი ხნის უნახავ ადამიანებს და მათთან ერთად ტკბილი მოგონებების სადღეგრძელოებს შესვამთ. გარდასულ დღეთა ნოსტალგია დაგეუფლებათ. ეს ნორმალურია, უბრალოდ, ეცადეთ მელანქოლია არ დაგეუფლოთ. ამისთვის ახალი ნაცნობობა საუკეთესო გამოსავალია.

სასწორი - 24/IX-23/X



მეტად აფორიაქებული და დატვირთული კვირა გელით. კონფლიქტები, ახალ-ახალი ნაცნობობა, ფინანსური პრობლემები და სასიყვარულო ინტრიგები თვალის დახამხამებაში ცვლის ერთმანეთს. მაგრამ შაბათისთვის ყველანაირი ვნებათაღელვა დაცხრება. კარგი იქნება თუ უქმეებს მშვიდ ატმოსფეროში, ბუნების წიაღში გაატარებთ.

ღრიანკალი - 24/X-22/XI



როგორც ჩანს, სერიოზულად შეუდგებით თქვენი ცხოვრების ორგანიზებას. გრაფიკები, გეგმები და მკაცრად განსაზღვრული რეჟიმი ამ კვირაში თქვენი საუკეთესო თანამგზავრები გახდება და ნებისმიერი გადახვევა, თუ გრაფიკიდან ამოვარდნა, გაგალიზიანებთ. თქვენ იცით, რა გჭირდებათ და მიაღწევთ კიდევ მიზანს.

მეზოლდოსანი - 23/XI-21/XII



საკმაოდ ბევრს მიაღწევთ თუ დამოუკიდებლად იმოქმედებთ, ან ძალზედ სერიოზულ ადამიანებთან დაიჭერთ საქმეს. თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ვინმეს შეიძლება გამაღიზიანებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ ისინი აუცილებლად წარმატებას მოგიტანთ. შაბათ-კვირას პირად ცხოვრებაში ძირეული ცვლილებებია მოსალოდნელი.

თხის რქა - 22/XII-20/I



ძალზედ დინამიკური და დაძაბული ორშაბათ-სამშაბათის შემდეგ განტვირთვას მოიწადინებთ. ოთხშაბათსა და ხუთშაბათს შესაძლოა, რაიმე წვეულებაზე მოხვდეთ და სასიყვარულო ინტრიგებში გაებათ. ოღონდ ფრთხილად იყავით, შესაძლოა ამან უკვე უქმე დღეებისათვის გუნება გაგიფუჭოთ.

მერწყული - 21/I-19/II



ერიდეთ კამათს და კონფლიქტებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოწინააღმდეგის აზრს არ იზიარებთ, რადგან საბრძოლო ვეღვრ მზად არ ხართ. სხვათა შორის, ეს რჩევა პირად ცხოვრებაშიც წაგადგებათ. პარასკევითვის გადაიღლებით, ძალის მოსაკრებად შაბათ-კვირას ბუნებაში - ჰაერზე გაისეირნეთ.

თევზები - 20/II-20/III



უსაზღვროდ ენერგიული და თავდაჯერებული იქნებით და ამ თვისებებს გარშემომყოფებსაც გადასცემთ. ასე რომ, ამ კვირაში თქვენი საუკეთესო სარბიელი მიტინგის ტრიბუნაა. ოღონდ ეცადეთ, რაიმე ღირებული იქადაგოთ. გახსოვდეთ, რომ თუ ხალხს ხელში აყვანილი მიჰყავხართ, ნუ გაგიხარდებათ, შეიძლება მათ „პოლიტიკურ სასაფლაოზე“ მიჰყავდეთ.

გასმით თუ არა თქვენი უვილეზის?

ტესტი მშობლებისთვის

ტესტის კითხვებზე უპასუხეთ „დიახ“, „არა“ ან „არ ვიცი“.

1) შვილის ზოგიერთ საქციელზე უეცრად „ფეთქდებით“, შემდეგ კი ნაწონობთ;

2) როცა არ იცით, როგორი რეაგირება მოახდინოთ შვილის მოქმედებაზე, ხანდახან რჩევას ან აზრს ეკითხებით მეგობრებს.

3) ბავშვის აღზრდაში ყველაზე მეტად საკუთარი ინტუიცია და გამოცდილება გეხმარებათ.

4) ხანდახან ბავშვის ისეთ საიდუმლოს გაანდობთ ხოლმე, რაზეც სხვასთან საუბარი გიჭირთ.

5) თქვენი შვილის შესახებ სხვის მიერ გამოთქმული ნეგატიური აზრი ძალიან გაღიზიანებთ.

6) საკუთარი დაუფიქრებელი ქმედების გამო ბავშვისთვის გითხოვიათ პატიება.

7) თვლით, რომ შვილს მშობლებისგან დაფარული საიდუმლობა არ უნდა ჰქონდეს.

8) საკუთარ ხასიათსა და შვილის ხასიათს შორის ამჩნევთ სხვაობას, რომელიც ხანდახან გაოცებთ ან გახარებთ.

9) ძალიან მტკივნეულად განიცდით თქვენი შვილის წარუმატებლობას და უსიამოვნებას.

10) შეგიძლიათ თავი შეიკავოთ ბავშვისთვის ახალი, საინტერესო სათამაშოს ყიდვისგან (იმ შემთხვევაშიც, თუ ფული გაქვთ), რადგან თვლით, რომ სათამაშოებით თქვენი სახლი ისედაც სავსეა.

11) თვლით, რომ გარკვეულ ასაკამდე ბავშვის აღზრდის საუკეთესო მეთოდი მისი ფიზიკური დასჯაა (მაგ. ქაშირით ცემა).



12) თქვენი შვილი ისეთია, როგორზეც მხოლოდ ოცნება თუ შეგეძლო.

13) თქვენი შვილი ბევრად მეტ პრობლემას გიქმნით, ვიდრე სიხარულს განიჭებთ.

14) ხანდახან გეჩვენებათ, რომ ბავშვი ახლებურად ფიქრს და სხვანაირ ქცევას გასწავლით.

15) ხშირად გაქვთ კონფლიქტი საკუთარ შვილთან.

2, 4, 6, 8, 10, 12, 14 კითხვებზე გაცემული თითოეული „დიახ“ პასუხისთვის დაიწერეთ 10 ქულა. ასევე 1, 3, 5, 7, 9, 11, 13, 15 კითხვებზე გაცემული თითოეული „არა“ პასუხი შეაფასეთ 10 ქულით. საპირისპირო შემთხვევაში დაიწერეთ 0 ქულა. ყოველი „არ ვიცი“ კითხვისთვის დაიწერეთ 5 ქულა.

დაახლოებით მიღებული ქულები

100-150 ქულა: თქვენი შვილის ძალიან კარგად გესმით. აღზრდისას ძირითადად საკუთარი აზრებით და შეხედულებებით ხელმძღვანელობთ. გიყვართ ღია ურთიერთობა და საკმაოდ მომთმენი ხართ, ამიტომ თამამად შეიძლება, მისაბამ მშობლად ჩათვალოთ. იდეალურობამდე მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯი გაკლიათ, ამ ნაბიჯად კი ბავშვის შეხედულებები შეგიძლიათ ჩათვალოთ და წარმატებაც გარანტირებულია!

50-95 ქულა: თქვენი შვილის სწორად გაგების გზას ნამდვილად ადგახართ, ბავშვთან შექმნილი დროებითი სირთულეების და პრობლემების გადაჭრა კი საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოს. არ ეცადოთ, თავი დროის უკმარისობით და თქვენი შვილის ხასიათით გაიმართლოთ. არის რამ-

დენიმე მომენტი, როცა ბავშვზე სწორი ზეგავლენის მოხდენა შეგიძლიათ. აუცილებლად გამოიყენეთ ეს მომენტები. ამასთან, არ დაივიწყოთ, რომ გაგება არ ნიშნავს იმას – შეასრულოთ ბავშვის ყველა მოთხოვნა.

0-45 ქულა: მგონი, ყველას შეუძლია, თქვენს შვილს მეტად თანაუგრძნოს, ვიდრე თქვენ. თქვენ არ ხართ მისთვის სწორი გზის მაჩვენებელი და ცხოვრების მაგალითი, თუმცა ყველაფერი დაკარგული არ არის. თუ მართლაც გსურთ, რაიმეში გამოადგეთ ბავშვს, ცოტა სხვაგვარად სცადეთ, იპოვეთ ის, ვინც ბავშვის აღზრდაში სწორ რჩევებს მოცემთ. ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ სამაგიეროდ, მომავალში თქვენი თავდადება აუცილებლად დაგიფასდებათ.

საცობების ჩისხვა!

ბრიტანელ ბაიკერ ჯონათან პირსონს ლონდონური საცობების არ ეშინია. მას მრავალი საკუთარი მოტოციკლიდან ნებისმიერთ, თავისუფლად შეუძლია ისეთი წინააღმდეგობების გადალახვა, როგორცაა ჩვეულებრივი ავტომობილი. გულად მრბოლელს ბევრი ინგლისელი მძღოლი შურის თვალის უყურებს. თუმცა ცნობილი ვირტუოზის პირუეტების ხილვა მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ შოუებზე შეიძლება. თავის ტრიუკებს ჯონათან პირსონი გადატყველილ ქუჩებში არასოდეს უჩვენებს და არც სხვებს ურჩევს ამას.



მაიმუნები ხიგში დგომას სწავლობენ


ტოკიოს ზოოპარკში შიმპანზების ვოლიერში გაზიანი წყლის ჩამოსასხმელი ავტომატი დადგეს – ანტირესტრუქტურულ, შეძლებდნენ თუ არა მაიმუნები ავტომატით სარგებლობას: ერთი ქილა გაზიანი წყლის მისაღებად, 10 იენიანი მონეტის ჩაგდება აუცილებელი. ავტომატთან მუდმივი რიგია – ცხოველები ჩხუბობენ და მუჯღუგუნების მეშვეობით ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. ამგვარი ექსპერიმენტი პირველად ჩატარდა. ზოოპარკის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ დროთა განმავლობაში ვოლიერში მცხოვრები მაიმუნები სასმლის ყიდვასაც ისწავლიან და აღარც წესრიგს დაარღვევენ.



ფინჯანი ახდა ეს?!

არქეოლოგებმა ლონდონის ერთ-ერთი ქუჩის გათხრისას იპოვეს საგანი, რომელიც საზოგადოებისა და ცნობისმოყვარე ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს. ეს არის მოჭიქული კალისა და თიხისაგან დამზადებული, ცისფერი ორნამენტებით მოხატული უცნაური ფორმის ფინჯანი. არქეოლოგები თვლიან, რომ ფინჯანი XVII ან XVIII საუკუნის ბოლოს უნდა იყოს დამზადებული ნიდერლანდებში. მიუხედავად

სიძველისა, სასმისი ყურადღებას არ მიიპყრობდა, რომ არა მისი მსგავსება კაცის სასქესო ორგანოსთან, რომელიც სრულყოფილი ანატომიური სიზუსტით გამოირჩევა. ანტიკური დროისა და შუა საუკუნეების პერიოდის ფალოსის მგვარი ნივთები იშვიათობას არ წარმოადგენს, მაგრამ მოჭიქული კალისაგან დამზადებული ფინჯანი მეცნიერებს პირველად ჩაუვარდათ ხელში.



გვიხაბმა ხესკოხანში ამოიყვანა

გვირახის გათხრისას, ყველაფერი ზუსტად უნდა გათვალა. ამ ცოტა ხნის წინ ერთი ბერლინური ბანდაც გათვლებში შეცდა და პარფიუმერიის მაღაზიის ნაცვლად, რესტორანში ამოყო თავი. იქ საყოველთაო მხიარულება სუფევდა, როცა მტკვრევის ხმა გაისმა და იატაკიდან წურაქვებით შეიარაღებული მძარცველები ამოძვრნენ. კლიენტები და ოფიციანტები ერთმანეთში აირივნენ. მძარცველები საკუთარ შეცდომას მიხვდნენ, საერთო არეულობით ისარგებლეს და გაუჩინარდნენ. ადგილზე მისულმა პოლიციამ ასეთი ვერსია წამოაყენა: ბოროტმოქმედები მეზობლად მდებარე პარფიუმერიის მაღაზიის უმიზნებდნენ. „სტუმრებმა რამდენჯერმე დაიჩვილეს, ქვემოდან მომავალი ხმაურის გამო, – გაოგნებული ჰყვებოდა რესტორნის მეპატრონე – ჩვენ კი ყველაფერს შენობასთან ახლოს მდებარე მეტროს სახს ვაბრალებდით“.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ვულოცავთ ბატონ ედუარდს და ვუსურვებთ წარმატებებს!

პაუკასო, ხელი ხმაღს იპარ!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას ვთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მთარგეო, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დაავროვებს. ვთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (17 აპრილის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“
ვაჟკაცო, ჩელი ჩელს იპარი!




„ფანტაზიორებს“
გკითხველი
სოფლის
შენებს
რა უნდა?!



უღსრუპროქტი

(მაღაბო ღა სანთლები)

ბუასილის ეფექტური მკურნალობა



უქან მონრეანილი ჰროზღეუბი

